The international scientific peer reviewed journal

საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალი

GULANI

გულანი

Akhaltsikhe ახალციხე

2025

LEPL Samtskhe-Javakheti State University

28

GULANI

Linguistics, Literature Studies, History and Education

Editor:
Maka Beridze, Samtskhe-Javakheti State University, Georgia

Editor Council:

Linguistics:
Inga Rhutidze **(Editor)** Samtskhe-Javakheti State University, Georgia
Jerard Gavanakhi, Limerikis Technological Institute, Ireland
Klodin Blokhi, Freeburg University, Switzerland
Karmen Alen Garabato, Montphel Paul Valer University, France

Literary Studies
Nestan Sulava **(Editor)** Samtskhe-Javakheti State University, Georgia
Cornelia Horn, The Martin Luther University of Halle-Wittenberg, German
Natalia Sokolovskaia, Literary scholar, writer, Russia

Onomastics
Merab Beridze **(Editor)** Samtskhe-Javakheti State University, Georgia
Mustafa Shenel, Kafkas University, Georgia
Igor Kekelia, Georgia

Education
Irma Kurdadze **(Editor)** Samtskhe-Javakheti State University, Georgia
Zakaria Furtskhvanidze, Franfurt Goethe University, German
Ronda Sopher, Gorgon Education Academy Collage, Israel
Anzor Barkalaia, Tartu University, Estonia

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

28

გულანი

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, განათლება

მთავარი რედაქტორი:
მაკა ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

სარედაქციო საბჭო:

ენათმეცნიერება

ინგა ღუტიძე **(რედაქტორი)**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ჯერარდ გავანაჰი, ლიმერიკის ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ირლანდია
კლოდინ ბლოხი, ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია
კარმენ ალენ გარაბატო, მონტფელერის პაულ ვალერის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

ლიტერატურათმცოდნეობა

ნესტან სულავა **(რედაქტორი)**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
კორნელია ჰორნი, ჰალე-ვიტენბერგის მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტი, გერმანია
ნატალია სოკოლოვსკაია, ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, რუსეთი

ონომასტიკა

მერაბ ბერიძე **(რედაქტორი),** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
მუსტაფა შენელი, კავკასიის უნივერსიტეტი, თურქეთი
იგორ კეკელია, საქართველო

განათლება

ირმა ქურდაძე **(რედაქტორი)**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ზაქარია ფურცხვანიძე, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი, გერმანია
რონდა სოფერი, გორდონის განათლების აკადემიის კოლეჯი, ისრაელი
ანზორ ბარკალაია, ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი

УДК (უაკ) 81+82+93/94+37
UDC g 936

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: ***ნინო კარკაძე***

ტექნიკური რედაქტორი: **ნინო ბერიძე**

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

საგამომცემლო ჯგუფი: ***ლარისა გურგენიძე***
ლია ზედგინიძე

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024
ISSN 1987-6157

ლელა თელიაშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
დოქტორანტი, ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა,
ელფოსტა: lelateliashvili@gmail.com

გვარი, როგორც ოიკონიმი
(ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მინაძის მაგალითზე)

მოკლე შინაარსი

ოიკონიმები (დასახლებულ პუნქტთა სახელები) ენის ის ძირითადი ტოპონიმური ერთეულებია, რომელთა უმთავრესი ფუნქცია კონკრეტული ტერიტორიის გამორჩეული ნიშნით მარკირება და აღქმაა. ნომინაცია თავისი სემანტიკური მნიშვნელობით ცნებას ასახავს, აქტუალიზებულია ტერიტორიული მდებარეობა და მისი წარმოდგენა. სახელდებული ოიკონიმის ეტიმონად ხშირად ანთროპონიმიც გვევლინება. ანთროტოპონიმური წარმოშობის ნომინაციები, კერძოდ, გვარები ოიკონიმებად, არაა უცხო ქართული ტოპონიმიისათვის. ირემაძეები, ჭინკაძეები, გოგაძეები, ხაბელაშვილები, ქოქოლაძეები, გოგოლაურთა, მიგრიაულთა, ვეშაგურნი და სხვა სოფლებია საქართველოში. მსგავსი მოვლენები სხვა ქვეყნების ადგილის სახელთა ნომენკლატურაშიც მრავლადაა.

დასახლებული ტერიტორიის გვარით ნომინირების ძირითადი მოტივი დომინანტი გვარის სიმრავლეა, ან მასთან დაკავშირებული რაიმე, მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამ შემთხვევაში სახეზეა გავრცელებული კონცეპტუალური მოვლენა მეტონიმიის სახით. როცა მოტივაციის მიზეზი რეფერენტის გამორჩეული თვისებებია, ან საქმე გვაქვს სხვა გარემოებებთან, თუნდაც განმასხვავებელ ასპექტებთან, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული „წყაროსა“ და „სამიზნე“ სახელს შორის, მაშინ მათი მიმართება მეტონიმურია. **მეტონიმია** გულისხმობს ერთი საგნის სახელის გადატანას მეორე, „სამიზნე“ საგანზე, რომელიც იმავე კატეგორიას მიეკუთვნება როგორც „წყარო“. ოიკონიმის

ლინგვისტური ფორმირებისას აპელატიური ლექსიკის გრამატიკული მაწარმოებლებით გაფორმება, გარკვეულწილად, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა დროითა და ვითარებით არის განპირობებული.

სამიზნე საკითხის ჭრილში ახალციხის მუნიციპალიტეტის მრავალფეროვან ოიკონიმთა შორის აღსანიშნავია სოფლის სახელი **მინაძე.** მასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, თუ რატომაა წარმოდგენილი გვარი ოიკონიმად მხოლობითი რიცხვის ფორმით, როცა ამგვარ შემთხვევებში გვაროვნულ სახელებს ძირითადად მრავლობითი რიცხვის ფორმებით ვხვდებით, ვინაიდან გვარით ნომინირებულ ტერიტორიებზე მის წარმომადგენელთა სიმრავლე შეინიშნებოდა. მართალია, დღეს გვარი, რომელიც სოფელს ჰქვია, შეიძლება აღარ დასტურდებოდეს იქ, როგორც მინაძის შემთხვევაშია, თუმცა ოიკონიმები იმდენად მყარი ბუნების არიან, რომ ხანგძლივად ინარჩუნებენ თვითმყოფადობას. სწორედ ამგვარ ადგილის სახელთა ჯგუფს მიეკუთვნება ეპონიმური წარმოშობის გამჭირვალე სემანტიკის მქონე სოფლის სახელი მინაძე.

საკვანძო სიტყვები: ანთროპონიმი, ანთროტოპონიმი, მხოლობითი რიცხვი, ტოპონიმი, ოიკონიმი, მეტონიმია.

Lela Teliashvili
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
Doctoral Student, PhD Program in Georgian Philology,
Email: lelateliashvili@gmail.com

SURNAME AS AN OIKONYM (FOR THE EXAMPLE OF THE VILLAGE MINADZE IN AKHALTSIKHE MUNICIPALITY)

Abstract

Oikonyms (names of settlements) are the basic toponymic units of a language, the main function of which is to mark and perceive a specifie territory by a distinctive sign. An anthroponym is often used as the etymon

of oikonym. Nominations of anthropotoponymic origin, namely, surnames as oikonyms, are not foreign to Georgian toponymy. There are Iremadzeebi, Chinkadzeebi, Gogadzeebi, Khabelashviliebi, Kokoladzeebi, Gogolaurta, Migriaulta, Veshagurni and others as villages in Georgia. Similar cases are also common in the nomenclature of other countries place names.

The main motive for naming a populated area by a surname is the abundance of the dominant surname, or important factors related to them. The forming of oikonyms by linguistic producers with appellative vocabulary is, to some extent, conditioned by different times and circumstances of the development of society.

In the context of the target issue, among the diverse oikonomyms of Akhaltsikhe Municipality, the name of the village - **Minadze** - is noteworthy. In this regard, it is interesting to note why the surname is presented as an oikonym in the singular form, when in such cases we mainly find generic names in the plural forms, because in the territory named after the surname, a large number of its representatives were observed. Although, today the surname named after a village may no longer be presented there, as in the case of Minadze, oikonyms are so durable that they retain their identity for a long time. The name of the village of Minadze, of eponymous origin and with clear semantics, belongs to this group of place names.

Keywords: Toponym, anthroponym, anthropotoponym, singular, oikonym, metonymy.

შესავალი: ოიკონიმები ტოპონიმიის ბირთვს წარმოადგენენ. მრავალფეროვანი და მრავალგვარია საქართველოს ოიკონიმთა როგორც ფორმობრივი, ასევე სემანტიკური სურათი. ოიკონიმები თავიანთი სტუქტურული შედგენილობით, ძირითადი ეტიმონებისა და აფიქსების თანაწარმოებით მიიღება. აღსანიშნავია, რომ დასახლებულ ტერიტორიათა გარკვეულ ჯგუფში ფუძედ ან მთელ აპელატივად, ყოველგვარი ტოპომაწარმოებლის გარეშე სახელი, გვარი ან მეტსახელია წარმოდგენილი, სწორედ მსგავს ანთროტოპონიმურ ოიკონიმთა რიგში მოვიაზრებთ ახალციხის მუნიციპალიტეტში შემავალ ერთ-ერთი სოფლის სახელს **მინაძე.**

მეთოდები: სამიზნე ოიკონიმის შესწავლისათვის გავეცანით საკითხთან მიმართებაში არსებულ სამეცნიერო ნაშრომებს, ისტორიულ დოკუმენტებს, გამოვიყენეთ ისტორიულ-შეპირისპირებითი და საველე კვლევის მეთოდები.

მიზანი: კვლევის მიზანია სამიზნე ოიკონიმის ლინგვისტური ანალიზი, დენოტატის სახელდების მოტივაციის შესახებ არგუმენტირებული მსჯელობა, კვლევის მკაფიო შედეგების წარმოჩენა.

მსჯელობა: სოფელ მინაძის სახელდება ვფიქრობთ, აქ მცხოვრებთა გვარმა განაპირობა. გვარი_ მინაძე ეპონიმურია, როგორც ენათმეცნიერი ალ. ღლონტი მიუთითებს, მას საფუძვლად უდევს ადამიანის საკუთარი სახელი **_მინა** (ღლონტი, 1986: 162).

ფერსათის „ქვეყნის“ ეთნო-ისტორიის შესახებ საინტერესო კვლევას გვთავაზობენ ენეთმეცნიერები ი. გაბელაია და დ. შავიანიძე, საიდანაც ირკვევა, რომ ბაღდათელი მინაძეები გვარის პირვანდელ საცხოვრისად სწორედ ახალციხის რაიონის სოფელ მინაძეს ასახელებენ.

„მინაძე-სოფელ ფერსათის „ძველიდან“ მკვიდრი დიდი გვარია. დღეს სოფელში სამოცი კომლი მკვიდრობს. საერთოდ ბაღდადში კი მინაძეების ორას ოცდაორი სული მოწმდება. მათ ადრინდელ საცხოვრისში, ადიგენში კი ას სამოცდათოთხმეტი. მე-19 საუკუნის ორმოციანი წლების საარქივო მონაცემებით, საეკლესიო გლეხი მინაძეები მკვიდრობდნენ ბაღდათის სოფლებში: ზეკარში, შუბანსა და წითელხევში. მინაძეები აღნიშნულ დროში სოფელ ფერსათსაც მკვიდრობდნენ. აქაური ღუტუშა მინაძე ფერსათს ჩამოსახლებული მინაძეების მეექვსე შთამომავალია. ბაღდათელი მინაძეები გვარის პირვანდელ საცხოვრისად ახალციხის რაიონის სოფელ მინაძეს ასახელებენ. „თათრობას გამოქცეული“ და ზეკარის უღელტეხილით სოფელ ზეკარში გადმოსული მინაძეენი საისტორიო დოკუმენტებში პირველად სოფელ შუბანის მკვიდრად იხსენიებიან. 1558 წლის დოკუმენტში მოხსენიებულია ნასყიდა მინაძე ქუთაისის საყდრის ბეგარავალდებული იყო“ (გაბელაია და შავიანიძე, 2005: 38).

„მინაძეების გვართან დაკავშირებით არსებობს მეორე, „საეჭვო გადმოცემაც“, რომლის თანახმადაც ბაღდათელი მინაძეები ყოფილან გურიიდან მოსული იმნაძეები.

ბაღდათის ყველა იმ სოფელში უბანს, სადაც მასიურად მკვიდრობენ და მკვიდრობდნენ, მათი გვარის სახელი ჰქვია. გვხვდება ანთროტოპონიმები: „მინაძეების უბანი“,

„მინაძისოული“. სოფელ ზეკარში მათ სალოცავზე _ „ნაძვიკარა“ დღეს უკვე საყანე ადგილებს ეძახიან „მინაძის კალოს“ და „მინაძის საჭილეს“. ზეკარში არის მინაძეთა სახელობის წყაროც“ (გაბელაია და შავიანიძე, 2005: 38).

„ფერსათის მკვიდი გვარი მინაძის წინაპარი „შინა მეპატრონეების“ და „მომხდური მტრის თავდახრილი მჩაგვრელობის“ გამო გამოქცეულა და დასახლებულა ზეკარში. აქედან ორი ძმა მიწის სიმცირის გამო გადმოსულა ფერსათში. მათ თავიანთ საცხოვრისში აუშენებიათ ხის ეკლესია, რომელიც შემდეგ მეხით დაიწვა. მინაძეები სამცხეში გადანასახლები გვარია. გეოგრაფიულ სახელში აქ მცხოვრები გვარების თუ ოჯახების სახელებიც გვხვდება და თან ძალიან ხშირად. საინტერესოა გვართა მიგრაციის თვალსაზრისით ამის შესწავლა“ (გაბელია და შავიანიძე, 2005: 47).

დღეისთვის სოფ. მინაძეში მინაძეების გვარის წარმომადგენლები აღარ გვხვდებიან, რაც კიდევ უფრო აძნელებს ოიკონიმის სახელდების მოტივაციაზე მსჯელობას.

გვაროვნული სახელი, როგორც ოიკონიმი, ამასთან მხოლობითი რიცხვის ფორმით არაა უცხო ქართული ონომასტკისათვის. ჩვენსავე მუნიციპალიტეტში ისტორიულად, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, იხსენიება სოფელი კოპეთი, აწყურის რაიონის ახალციხის ლივაში, რომესაც მე-20 საუკუნეში უკვე კოპაძის სახელით ვხვდებით, საყუნეთის სასოფლო საბჭოში შემავალს. კოპეთის კოპაძედ ქცევის პროცესი მ. ბერიძეს ბუნებრივად მიაჩნია და აღნიშნავს, რომ რადგან -ეთ სუფიქსი სიმრავლის აღმნიშვნელია ენაცვლება _ებ-ს, ამიტომ თავდაპირველად პარალელური ფორმები იყო კოპეთი და კოპაძეები, ან ერთი იყო ოფიციალური სახელი, რომელიც დააფიქსირა ოსმალო მოხელემ, ხოლო ხალხი მას მეორე სახელს უწოდებდა. საბოლოოდ ერთი დოკუმენტურმა წყარომ შემოგვინახა, მეორე კი ხალხმა, თუმცა -ებ მრავლობითობის ნიშანი დაიკარგა. ასე იქცა გვარი -კოპაძე ყოველგვარი ტოპომაწარმოებლის გარეშე ოიკონიმად (ბერიძე, 2006: 73).

როგორც მ. ბერიძე შენიშნავს, შავშეთ-იმერხევში დასტურდება სოფ. დაბაწვრილში უბნის სახელად _კოპაზელარ, რაც კოპაძეებს

ნიშნავს. იქვეა სოფ. წყალსიმერის უბნის სახელად კოპიზე, რაც იგივე კოპაძეებია (ბერიძე, 2006: 73).

გვაროვნული სახელი, როგორც ტოპონიმი არის ასევე -ძინძე, უდის რაიონში, სახელი იხსენიება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. როგორც ირკვევა, ძინძე იმ გზაზე მდებარეობდა, საიდანაც სერაპიონი მივიდა ზარზმას, თუმცა „დღეს ამ სახელით ადგილი ზარზმის მიდამოებში აღარ გვხვდება, მაგრამ 1930 წელს ამ სახელისა და ადგილის არსებობა დაადასტურა ს. ჯიქიამ. იმ დროისათვის ძინძეში ერთ კომლსღა უცხოვრია, ხოლო დავთრის შედგენის დროს- 16 კომლიანი სოფელი ყოფილა“ (ბერიძე, 2010: 80).

როგორც აღნიშნულია, სახელი ძინძე უნდა განვიხილოთ, როგორც ანთროტოპონიმი, რომლის სახელწოდებაშიც ძირითად როლს თამაშობს ადამიანის ძე-ზე დაბოლოებული გვარი. ავტორის აზრით, უცნაური ფაქტია, როდესაც ტერიტორიის სახელდება გვარის საშუალებით წარმოებს, თუმცა სწორედ ამაშია ის ინდიკატორი, რაც სახელის სიძველეზე მიუთითებს. მკვლევარი განმარტავს, რომ რომელ საუკუნეშიც არ უნდა აღმოჩნდეს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ დაწერილი -ძე-ზე დაბოლოებული ეს ქართული გვარი ყოველთვის მასზე ადრეული იქნება. ენათმეცნიერი აქვე დასძენს, იმასაც რომ, მართალია, ამ ტიპის (მაწარმოებლის გარეშე) ტოპონიმები ცოტაა, მაგრამ არის, სწორედ ამ ტიპის სახელებად მიაჩნია მას ოიკონიმი -მინაძე (ბერიძე, 2010: 81).

აღსანიშნავია, რომ „დავთარში“ დასტურდება მსგავსი წარმოების ოიკონიმები: ჯუჯულაძე, ჭიდალაძე, ღონღაძე, საღრაძე, ოსიძე, მელქუაძე, კოპაძე.

მ. ბერიძის აზრით, ტოპონიმთა ამგვარ გაფორმებას სოციალური საფუძველი უნდა ჰქონდეს. -ძე- ზე დაბოლოებულმა სახელებმა შემოგვინახეს მონოგენური დასახელების უძველესი ფორმები: როდესაც -ძე-ზე დაბოლოებული გვარები არ დაირთავენ ტოპომაწარმოებელს ან სიმრავლის ნიშანს (ბერიძე, 2010:81). _ნძე დაბოლოეულ გვარებში, მაგ: გოდაბნძე, ჯაფანძე, ქათლანძე, კვიტანძე, ბუსაკანძე, აბსანძე, ბასლანძე და სხვ. _ნ ჩართულად ითვლება, რადგან -ნძე- კომპლექსს მოეპოვება _ნ_ს გარეშე

ვარიანტები: გოლანძე_გოლაძე, ქვარანძე_ ქვარაძე, ბუსკანძე__ბუსკაძე და სხვ. (ბერიძე, 2020: 81).

ძინძე, როგორც უძველესი ფიქსირებული ანთროოიკონიმი, ერთ-ერთი უძველესი გვარია და ქვეგვართა სათავის დამდებია. ანთროპონიმისა და ოიკონიმის ეს კავშირი კარგად აქვს შენიშნული ალ. ღლონტს, როდესაც წერს: „მწიგნობრობის წყაროთა მიხედვით, შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ქართული გვარების განვითარების ისტორიას გრძელ მანძილზე, ჩვენს ხელთ არსებული მასალა მოწმობს არა მარტო გვაროვნულ სახელთა დიდ ტრადიციას, არამედ ქვეგვართა, გვარების განშტოებათა, რაც ტოპონიმებსაც უკავშირდება, უძველეს ტრადიციას“. სწორედ ამ კავშირის კარგი მაგალითია - ძინძე (ბერიძე, 2010: 82).

ძინძის ამოსავალი ფუძე არის _ძინ_, რომელიც სხვადასხვა აფიქსით გაფორმებული დასტურდება ქალთა საკუთარ სახელებში: ძინა, ძინი, ძინე, ძინო, ძინობია, ძინოვ, ძინოფ. ეს სახელები ძირითადად სვანეთშია გავრცელებული (ბერიძე, 2010: 82).

შედეგები და დასკვნები: ადგილის სახელის ლინგვისტურმა შესწავლამ ცხადყო, რომ ოიკონიმები დროის გასვლასთან ერთად ინფორმაციით ივსებიან და ზოგჯერ მათ მყარი, ზოგჯერ კი სახეცვლილი ტოპოფორმატით მოაქვთ ჩვენამდე ისტორიული, ეთნოგრაფიული, კულტურული თუ სხვა სახის მასალა. ამიტომ იკონიმებში ონომასტიკური პრობლემების გადასაწყვეტად, სინქრონული და დიაქრონული კვლევების წარმართა ერთმნიშვნელოვნად საჭიროა. საკუთრივ, ოიკონიმი მინაძე სინქრონულ ოიკონიმად უნდა მოვიაზროთ, რადგან სახელწოდება მიიღო საზოგადოებამ და უცვლელად მოდის დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ ოიკონიმი ანთროტოპომინური წარმოშობისაა, დასახლებას მინაძე აქ მცხოვრები გვარის გამო ეწოდა, დღეს ეს გვარი ამ სოფელში აღარ დასტურდება. ერთი კია, აღნიშნული საკითხის სიღრმისეული ანალიზი, ვფიქრობთ, საჭიროებს კიდევ უფრო მეტ ინტერდისციპლინურ, მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე, მ. (2006). ქართველთა გამუსლიმანება და გვარის შეცვლა მესხეთში. თბილისი.

ბერიძე, მ. (2010). ტაძრები და სახელები. თბილისი.

ბერიძე, მ. (2020). სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. ახალქალაქი.

გაბელაია, ი., შავიანიძე, დ. (2005). ფერსათის „ქვეყნის“ ეთნოისტორიიდან (გვარსახელთა მონაცემების მიხედვით). ქართველური მემკვიდრეობა IX. ქუთაისი.

ღლონტი, ალ. (1986). ქ.დ.კ.-ს მასალები. თბილისი.

ჯიქია, ს. (1941). გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II. თბილისი.

References

Berije, M. (2006). Kartvelta gamuslimaneba da gvaris šeccvla Mesxetši. Tbilisi. (in Georgian)

Berije, M. (2010). T'ajrebi da saxelebi. Tbilisi. (in Georgian)

Berije, M. (2020). Samcxe-Javaxetis saxelmcipo universit'et'i XL resp'ublikuri dialek't'ologiuri samecniero sesiis masalebi. Axalkalaki. (in Georgian)

Gabelaia, I., & Šavianije, D. (2005). Persatis "kveqnis" etnoist'oriidan... Kartveluri memkvidreoba IX. Kutaisi. (in Georgian)

Ghlont'i, Al. (1986). K.D.K.-s masalebi. Tbilisi. (in Georgian)

Jikia, S. (1941). Gurjist'anis vilaieTis didi davTari, Cigni II. Tbilisi. (in Georgian)

თამთა ნაგერვაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო,
დოქტორანტი, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა,
ელფოსტა: tamta.nagervadze@bsu.edu.ge

ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორის თარგმანი „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე - კორპუსზე დაფუძნებული კვლევა

მოკლე შინაარსი

წინამდებარე კვლევაში შესწავლილია კონცეპტ „ცრემლით“ ნაწარმოები ემოციის ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორები „ვეფხისტყაოსანში“ და თარგმანის კორპუსლინგვისტიკური ანალიზი. ემპირიული მასალა ეფუძნება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და ოლივერ და მარჯორი უორდროპების და ლინ კოფინის თარგმანებს. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკა და კონცეპტუალური მეტაფორის თეორია (ლაკოფი და ჯონსონი 1980). ძირითადი ყურადღება ექცევა „ჭურჭლის“ ხატსქემით პროეცირებულ კონცეპტუალურ მეტაფორებს, რომელთა საბაზისო კონცეპტუალური მეტაფორებია „ადამიანის სხეული ემოციის ჭურჭელია“ და „ემოციები თხევად ნივთიერებად გარდაიქმნება“. კვლევისთვის გამოყენებულია კორპუსლინგვისტიკური მეთოდოლოგია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსის ანალიზატორი და AntConc-ის კორპუსის ანალიზატორი, რომლის მიხედვითაც, დედანში 118 კონცეპტუალური მეტაფორა ფიქსირდება, უორდროპის თარგმანში 104, ხოლო ლ. კოფინის თარგმანში 88. კვლევა ინტერდისციპლინურია და აერთიანებს კოგნიტურ ლინგვისტიკას, კორპუსლინგვსიტიკას, კოგნიტურ თარგმანმცოდნეობას.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, კოგნიტური ლინგვისტიკა, კორპუსლინგვსიტიკა, კოგნიტური თარგმანმცოდნეობა, კონცეპტუალური მეტაფორა, ხატსქემა.

Tamta Nagervadze,
Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia,
Doctoral Student, Doctoral Program in Philology,
Email: tamta.nagervadze@bsu.edu.ge

TRANSLATION OF THE CONCEPTUAL METAPHOR OF "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" – CORPUS-BASED ANALYSES

Abstract

This study explores the ontological conceptual metaphor of emotion through the concept of "tear" in "The Knight in the Panther's Skin" and its two English translations by Wardrop and Coffin. The research is grounded in Cognitive Linguistics and Conceptual Metaphor Theory (Lakoff & Johnson, 1980), focusing on the Container schema as the central image schema structuring emotion metaphors. Tears are conceptualized as the overflow of emotional intensity — representing the metaphors "The body is a container for emotion" and "Emotions are fluids." The study analyzes ontological conceptual metaphors based on the Container image schema and their translations. Using a parallel corpus analysis based on BSU's digital corpus and the AntConc corpus analyzer, 118 conceptual metaphors were identified in the Georgian original, 104 in Wardrop's translation, and 88 in Coffin's. While Wardrop's translation retains conceptual and image schemas at both macro and micro levels, Coffin often expands or explicates metaphorical expressions, resulting in expressive and cultural shifts.

Keywords: conceptual metaphor, cognitive linguistics, translation studies, corpus linguistics, embodiment, image schema, "The Knight in the Panther's Skin".

შესავალი: წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ორი ინგლისური თარგმანის — მარჯორი უორდროპისა და ლინ კოფინის ვერსიების კორპუსლინგვისტიკური ანალიზი. ნაშრომის **სიახლეს** წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნი“ თარგმანის ანალიზი, კორპუსლინგვისტიკური მეთოდით. ნაშრომის **აქტუალობას** განსაზღვრავს „ვეფხისტყაოსნის“ როგორც ეროვნული ძეგლის მთარგმნელობითი კრიტიკული ნაშრომების ნაკლებობა. ნაშრომის **მიზანია** „ვეფხისტყაოსანში“ არსებული ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორების თარგმანის ანალიზი. ნაშრომი

ეყრდნობა კოგნიტური ლინგვისტიკისა და თარგმანმცოდნეობის თეორიულ საფუძვლებს, ლაკოფისა და ჯონსონის კონცეპტუალური მეტაფორის თეორიას, რომლის მიხედვითაც, მეტაფორა რთული კოგნიტური პროცესის შედეგია. „ვეფხისტყაოსანში“ არსებული ემოციის მეტაფორები განვიხილეთ როგორც შემეცნებითი სტრუქტურები, რომლებიც რეალობისა და ემოციური გამოცდილების აღქმას ასახავს. კვლევის საგანს წარმოადგენს ცნება „ცრემლით“ შექმნილი ემოციის კონცეპტუალური მეტაფორები. კორპუსის მონაცემებზე დაყრდნობით, ნაშრომში წარმოდგენილია თარგმანთა ანალიზი კოგნიტური თარგმანმცოდნეობის ჭრილში.

კოგნიტური ლინგვისტიკის თეორია

კოგნიტური ლინგვისტიკა ენის კვლევის ერთ-ერთი ახალი მიმართულებაა, რომელიც ლინგვისტურ ცოდნას ზოგად კოგნიტურ სისტემასა და აზროვნებასთან აკავშირებს. ევანსის თანახმად, კოგნიტური ლინგვისტიკა სწავლობს ენას, ენის შესწავლის პროცესს და კონცეპტუალურ სტრუქტურებს (ევანსი 2012: 129). კოგნიტური ლინგვისტიკის უმთავრესი საკითხი - სხეულსაზრისის თეორიაა (embodiment).[1] ლაკოფის მიხედვით, საუკუნეების განმავლობაში გონებას და ფიზიკურ სხეულს ერთმანეთისგან განცალკევებით იკვლევდნენ, ხოლო კოგნიტური ლინგვისტიკის მეშვეობით ლინგვისტური კვლევები დაუბრუნდა ფილოსოფიურ საფუძვლებს, ანუ სხეულისა და საზრისის თანაქმედებათა შესწავლას (ლაკოფი 1999: 50). ლაკოფი (1987) და ჯონსონი (1987) მიიჩნევენ, რომ ჩვენი კოგნიტური სტრუქტურები სხეულისა და საზრისის მიერ გარე სამყაროს ერთიანი აღქმის, გარემოსთან ურთიერთობისა და გამოცდილების (experience) საფუძველზე აყალიბებენ კონცეპტუალურ სისტემებს. სხეულსაზრისის თეორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ხატსქემების თეორიის განვითარებასთან. ხატსქემები განიხილება როგორც აბსტრაქტული მენტალური სტრუქტურები, რომლებიც

[1] ტერმინის თარგმანი ეკუთვნის ხ. ბერიძეს, იხ. ხათუნა ბერიძე, მხატვრული თარგმანის საფუძვლები. თეორია და ოსკარ უაილდის „ლედი უინდერმირის მარაოს” თარგმანი. სახელმძღვანელო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2025.

ყალიბდება გარე სამყაროსთან ურთიერთობისა და აღქმის საფუძველზე. კოგნიტური ლინგვისტიკის თეორიის მიხედვით, მენტალური და ლინგვისტური კატეგორიები არ არის აბსტრაქტული, გარე სამყაროსგან განცალკევებული და ადამიანის ევოლუციისაგან განყენებული, არამედ ერთიანია. **ჯონსონის** თანახმად: „**სქემა** არის სისტემატური, უწყვეტი, მოწესრიგებული მოქმედებების, განმეორებადი შაბლონი, ანუ ფორმა. შაბლონები წარმოიქმნება როგორც მნიშვნელობის მქონე სტრუქტურები, უპირატესად, სივრცეში ფიზიკურად გადაადგილების, საგნებით მანიპულაციის და გარე სამყაროსთან ურთიერთობისა და აღქმის დონეზე“ (ჯონსონი 1987: 67). ჯონსონი გამოყოფს ყველაზე მნიშვნელოვან ხატსქემებს, მათ შორის დომინანტურია: ჭურჭლის, გზის, ძალის, ბალანსის, ციკლის ხატსქემები (ჯონსონი 1987: 126). სხეულსაზრისისა და ხატსქემების თეორიის განვითარებას უკავშირდება კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის განვითარება. კონცეპტუალური მეტაფორა კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ლაკოფმა და ჯონსონმა ერთობლივ წიგნში „მეტაფორები, რომლებთან ერთად ვცხოვრობთ“ –"Metaphors We Live By (1980)" გამოთქვეს თვალთახედვა, რომ ჩვენს ირგვლივ ყველაფერი მეტაფორულია, მეტაფორები გარემოსთან ურთიერთობისა და აღქმის საფუძველზე იქმნება და კონცეპტუალურია. როგორც ლაკოფი და ჯონსონი განმარტავენ, მეტაფორა პოეტური და რიტორიკული ერთეულია, უფრო მეტად გამომხატველობითი, ვიდრე ჩვეულებრივი ენა. ამიტომაც ადამიანები ფიქრობენ, რომ მეტაფორის გარეშეც შეუძლიათ საუბარი.

„კონცეპტები მართავენ ჩვენს ყოველდღიურ ქმედებებს, თუნდაც ძალიან წვრილმან დეტალებს. ჩვენივე კონცეპტები მართავენ ჩვენს აზრებს, ყოველდღიურ ფუნქციებს, ყველა წვრილმანს. კონცეპტები ქმნიან ჩვენს აღქმით სტრუქტურებს, რითაც სამყაროს ვეცნობით და ვურთიერთობთ ადამიანებთან. თუ ჩვენი კონცეპტუალური სისტემა მეტაფორულია, მაშინ ასევე მეტაფორულია ის, თუ როგორ ვფიქრობთ, განვიცდით და ვმოქმედებთ“ (ლაკოფი და ჯონსონი 1980: 4).

კოვეჩიში იზიარებს ლაკოფისა და ჯონსონის თეორიას და განმარტავს, რომ კონცეპტუალური მეტაფორა წყარო დომენსა და

სამიზნე დომენის ურთიერთკავშირს ასახავს (კოვეჩიში 2002: 4). ანუ, სხეულსაზრისის თეორიის მიხედვით, ადამიანი წყარო დომენის კონცეპტს „უკავშირებს“ სამიზნე დომენის კონცეპტს, რითიც ქმნის კონცეპტუალურ მეტაფორებს. ეს პროცესი სქემატურია, ხოლო თავად კონცეპტუალურ მეტაფორებს ხატსქემური (image schema) სტრუქტურა აქვთ. წყარო და სამიზნე დომენებს შორის სქემატური დაკავშირება გამოიხატება ტერმინით **"mapping“ –„ხატის მეტაფორული განფენა“[1], რომელიც ერთი ხატის პროეცირებას გულისხმობს მეორე ხატზე, შესაბამისად, მეტაფორული განფენის სინონიმურ ტერმინს წარმოადგენს „პროეცირება“ (projection)** (ლაკოფი 1993: 77). კონცეპტუალური მეტაფორა შედგება ორი კონცეპტუალური დომენისგან, სადაც ერთი დომენის არსი გვესმის მეორე დომენის საშუალებით. ლაკოფი და ჯონსონი წიგნში **„მეტაფორები, რომლებთან ერთად ვცხოვრობთ“ –"METAPHORS WE LIVE BY"** მეტაფორებს სამ კატეგორიად ყოფენ:

- **ორიენტაციული მეტაფორები;**
- **ონტოლოგიური მეტაფორები;**
- **სტრუქტურული მეტაფორები** (ლაკოფი და ჯონსონი 1986: 264);

ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორა

წინამდებარე კვლევაში ჩვენ გავაანალიზებთ „ვეფხისტყაოსანში“ არსებულ ემოციის ონტოლოგიურ კონცეპტუალურ მეტაფორებს. კერძოდ, კონცეპტი „ცრემლის“ ხატსქემატურ განფენებსა და მათ ინგლისურ **თარგმანებს.** კვლევისთვის გამოყენებულია შემდეგი გამოცემები: 1. „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველი (მე-12 საუკუნე), გამომცემლობა სახელგამი, თბილისი, 1957, რედაქტორები კეკელიძე, შანიძე. 2. “The knight in the panther’s skin” მარჯორი და ოლივერ უორდროპები, გამომცემლობა London The Folio Society 1977; 3. “The knight in the panther’s skin” პოეტური თარგმანი, ლინ კოფინი, 2015, Poezia Press.

---

[1] ტერმინის თარგმანი ეკუთვნის ხ. ბერიძეს, იხ. ხათუნა ბერიძე, მხატვრული თარგმანის საფუძვლები. თეორია და ოსკარ უაილდის „ლედი უინდერმირის მარაოს” თარგმანი. სახელმძღვანელო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2025.

ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორები, ლაკოფისა და ჯონსონის მეტაფორების მესამე კატეგორიაა, რომელიც აბსტრაქტულ გამოცდილებებს განსაზღვრავს რეალობად და სინამდვილედ, რაც ამარტივებს პროცესს, რომ გამოცდილება დავყოთ კონკრეტულ კატეგორიებად, მიმართებებად და ჯგუფებად (ლაკოფი და ჯონსონი 1987: 25).

ონტოლოგიური მეტაფორების კატეგორიას განეკუთვნება „ჭურჭლის“ **(container) ხატსქემის** პროექციის მქონე მეტაფორები. ლაკოფი და ჯონსონი თავიანთ ერთობლივ წიგნში "Philosophy in the Flesh" განიხილავენ ჭურჭლის ხატსქემის კონცეფციას. „ჭურჭლის“ ხატსქემა შემოსაზღვრული სივრცეა, რომელსაც აქვს შიდა სივრცე. სტრუქტურა, სადაც შიდა სივრცე კონკრეტული გადასაადგილებელი ტერიტორიაა (Landmark), ხოლო ობიექტი რაც ამ სივრცეს კვეთს-ტრაექტორია. ლაკოფი და ჯონსონი განმარტავენ, რომ ჩვენი გონება მეტაფორულია. ჭურჭლის ხატსქემის თვალსაზრისით, ჩვენ ადამიანებიც „ჭურჭელი“ ვართ, რომელშიც მოთავსებულია გონება, იდეები და კონცეპტები. იდეები და კონცეპტები გონებაშია, ანუ შიდა სივრცეში, თუმცა რასაც შეიძლება აღნიშნავდნენ და მიემართებოდნენ, გარე სამყაროში (ლაკოფი და ჯონსონი 1987: 31)

ლაკოფისა და ჯონსონის მიხედვით, ჭურჭლის ხატსქემით პროეცირებული კონცეპტუალური მეტაფორებია: „თვალები ემოციის ჭურჭელია“ (“eyes are containers for the emotion”); აღნიშნული მეტაფორის განზოგადებული ფორმაა „ადამიანი ემოციის ჭურჭელია“ (“The body is the container for the emotions”). შესაბამისად ადამიანის სხეული და ამ შემთხვევაში თვალები, ემოციის ჭურჭელია (ლაკოფი და ჯონსონი 1980:50). წინამდებარე ნაშრომში ვიკვლევთ „ვეფხისტყაოსანში“ არსებულ ჭურჭლის ხატსქემით პროეცირებულ ონტოლოგიურ მეტაფორებს, რომელთა საბაზისო კონცეპტუალური მეტაფორაა: „ადამიანი ემოციის ჭურჭელია“ (“The body is the container for the emotions”).

დავაკვირდეთ **„ჭურჭლის“ ხატსქემით** პროეცირებულ ონტოლოგიურ **კონცეპტუალურ მეტაფორებს „ვეფხისტყაოსანში“: „ვიცი, რომე გაუწყვედლად | თვალთათ ცრემლი| გისეტყვია“** - ამ მაგალითში თვალები სევდიანი ემოციის ჭურჭელია, ხოლო ცრემლი ემოციის გამოვლინება. იგივე ითქმის შემდეგ მაგალითზე:

„მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს, | მინდორთა მოსალამენი”; ეს მეტაფორაც ონტოლოგიურია, ვინაიდან ცრემლი სითხეა, რომელსაც აქვს უნარი „ჭურჭლიდან გადმოვიდეს“, ანუ ემოცია იბადება და შემდეგ ცრემლის სახით გადმოედინება. **მომდევნო** მეტაფორას: **„ველთა ცრემლი ასოვლებდა, | თვალთა ჩემთა მონაწური”** ასევე ახასიათებს ზემოთ განხილული ონტოლოგიური მეტაფორული სტრუქტურა და ხატსქემა, თუმცა „ჭურჭლის“, ემოციისა და მისი გამოვლინების არსი და მასშტაბია გავრცობილი: ცრემლი, რომელიც იმპლიციტურად წვიმასთან არის შედარებული იმდენად დიდი რაოდენობით იღვრება, რომ „ველს ასველებს“. თუ ლექსიკური ერთეულის „გადმომღვრელთას“ მეტაფორულ კოდს დავაკვირდებით კიდევ ერთ მაგალითში: **„ვერ გავახმი წყარო ცრემლთა, | თვალთათ| ჩემთა გადმომღვრელთა”**, პრეფიქსი - **გადმო** მიუთითებს რაიმე ჭურჭლიდან სითხის გადმოდენას, გადმოღვრას. ამ ხატსქემაშიც პროეცირებულია წყარო დომენი, ანუ თვალები და სამიზნე დომენი, ანუ ემოცია, შესაბამისად, ეს მეტაფორაც ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორების კატეგორიაშია.

კოგნიტური თარგმანმცოდნეობა

„ვეფხისტყაოსანში“ არსებული ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორების, კერძოდ „ჭურჭლის“ ხატსქემით პროეცირებული ემოციის კონცეპტუალური მეტაფორების თარგმანის კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს კოგნიტური თარგმანმცოდნეობის თეორია. კოგნიტური თარგმანმცოდნეობა განვითარდა კოგნიტური ლინგვისტიკის საფუძველზე. იგი შეისწავლის კონცეპტუალური მეტაფორების და ხატ-მეტაფორების თარგმანთა საკითხებს. თარგმანი აღარ არის მხოლოდ ენობრივი ერთეულების ეკვივალენტური გადათარგმნა წყარო ენიდან სამიზნე ენაში, არამედ თითოეული ენობრივი ერთეულის მიღმა დგას კონცეპტუალური სისტემა. ჩვენს გონებაში ყველაფერი სისტემური ჯაჭვითაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

კონცეპტუალური მეტაფორის თარგმანისთვის, შაფნერი გამოყოფს 5 მთარგმნელობით პროცედურას:

1. კონცეპტუალური მეტაფორა იდენტურია წყარო და სამიზნე ტექსტებში მაკრო დონეზე;

2. წყარო ტექსტში არსებული საბაზისო კონცეპტუალური სქემის სტრუქტურული კომპონენტები შეცვლილია სამიზნე ტექსტში ისეთი ფრაზებით, რომლებიც მეტაფორას უფრო ღიას/ახსნა-განმარტებითს (explicit) ხდის;

3. მეტაფორა უფრო რთული სახითაა წარმოდგენილი სამიზნე ენაზე;

4. წყარო და სამიზნე ტექსტებში გამოყენებულია სხვადასხვა მეტაფორული გამონათქვამი, რომლებიც შეიძლება გაერთიანდეს უფრო აბსტრაქტული კონცეპტუალური მეტაფორის ქვეშ;

5. ფრაზა სამიზნე ტექსტში ასახავს კონცეპტუალური მეტაფორის სხვადასხვა ასპექტს (შაფნერი 2003: 1267).

კორპუსლინგვისტიკური მეთოდი „ვეფხისტყაოსნის“ ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორების თარგმანთა ანალიზისას

მაკკენერის და ჰარდის მიხედვით, კორპუსლინგვისტიკა წარმოადგენს ცოცხალი და ბუნებრივი ენის შესწავლისა და კვლევის საშუალებას, რომელიც ეფუძნება დიდმასშტაბიან ტექსტურ კორპუსებს (მაკკენერი და უილსონი 2001: 1). **კორპუსი** არის ტექსტების ერთობლიობა, რომელიც მოცემული ენის, დიალექტის ან ენის სხვა კატეგორიას განეკუთვნება და რომლის მიზანიც ლინგვისტური ანალიზია (ფრანსისი 1992: 17). **„ვეფხისტყაოსნის“ ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორების** ანალიზისთვის მივმართეთ კორპუსლინგვისტიკურ მეთოდს. კვლევა წარიმართა ორი კორპუსული ანალიზატორის გამოყენებით: 1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსული პლატფორმა და ანალიზატორი, რომელიც შექმნილია თარგმანისა და ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ბაზაზე. ანალიზატორი პარალელური ტექსტების შედარების საშუალებას გვაძლევს. 2. AntConc- კორპუსის ანალიზატორი, რომელიც შექმნა ლორენს ენთონმა (Laurence Anthony) 2002 წელს (Anthony 2002). ანალიზატორი საშუალებას გვაძლევს განვათავსოთ ორი პარალელური ტექსტი და შევქმნათ ჩვენი კორპუსი. პროგრამა აჩვენებს სიტყვათა კონკორდანსს, სიხშირეს, რაოდენობას, ითვლის ტოკენებს,

საკვანძო სიტყვებს და ზოგადად აქვს ფაილის გადახედვის და ჩამოტვირთვის ფუნქცია.

„ვეფხისტყაოსანში“ არსებული ცრემლის კონცეპტით გამოხატული ემოციის ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორები მოვნიშნეთ ნიშნულით (თეგით): <Stl_mtf>.

აღნიშნული კვლევა წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის: **„ვეფხისტყაოსნის“ ქართული და ინგლისური ვერსიების მხატვრული თარგმანის კორპუსლინგვისტიკური ანალიზი“** - ნაწილს. ამ თემაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თარგმანისა და ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრში ჩატარდა უფრო დიდი კვლევა: „The Knight in the Panther's Skin: Comparing corpora of image metaphors in the source text and its translations, spanning different cultural or temporal context“ – („ვეფხისტყაოსანი“: ხატ-მეტაფორების კორპუსზე დაფუძნებული შედარებითი კვლევა დედანში და მის თარგმანებში განსხვავებულ კულტურულ და დროით კონტექსტებში). კვლევა დაიბეჭდა ჟურნალში: „SKASE Journal of Translation and Interpretation“ (ბერიძე და ნაგერვაძე 2025: 188–211). მოცემულ კვლევაში კორპუსის მონაცემების მიხედვით, კონცეპტუალურ მეტაფორათა რიცხობრივი რაოდენობაა: რუსთაველი - 106; უორდროპი-101; კოფინი - 87; ტექსტების მარკირების დროს არ მოხდა კონცეპტ „ცრემლთა ღვრის“ ანოტირება, ხოლო წინამდებარე კვლევაში აღნიშნული კონცეპტები დაემატა, შესაბამისად მივიღეთ განსხვავებული მონაცემები. ქვემოთ წარმოდგენილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსის ანალიზატორში მონიშნული კონცეპტუალური მეტაფორების რაოდენობრივი მონაცემები.

რუსთაველი უორდროპი

ქართული ინგლისური რუსული გერმანული ფრანგული

ტეგი stl_mtf. რაოდენობა: 118

ნაპოვნი ტექსტი

ქალი ტირს და ცრემლთა აფრქვევს. | ჰბრის ყორნისა ბოლო-ფრთათა
ამად ტირს. ბალი ვარდისა | ცრემლითა აივსებოდა
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა. | გულსა მდუღრად ანატირსა
ნვიმს ნვიმა ბროლისა
ცრემლსა სისხლი ერეოდა. | გასდის. ვითა ნაგუბარი
თვალთათ ცრემლი| გისეტყვია
ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს. | ტანსა მჭევრსა ათრთოლებდა
ცრემლსა ვითა მარალიტსა | სნვიმს ვარდისა დასანაზოდ
ცრემლი ცხელი ასოვლებდის | ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა
თვალთათ| ვითა მარგალიტი | ცხელი ცრემლი გარდმოღვარა
ვარდი დათრთვილა
მუნ ეძებს. ცრემლი მტირალსა
ღანვისა ბანანი
ბროლმან. ლალსა გარეულმან . | ვარდნი თხელნი ანატითნა
მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს. | მინდორთა მოსალამენი
ცრემლითა. | ზღვათაცა შესართავითა
ცრემლნი გარდმოსცვივდეს
სისხლით სნვიმდეს
დაინყო ცრემლთა ფრქვევა
ვარდისა ბალსა მოგუბდა | ცრემლისა საგუბარია
ას-კეცთა ცრემლთა დინება
ვისთვისმე ხელი უკილოდ. | მას ცრემლი ემალმალების
ვარდსა ნუ აზრობ. | ცრემლითა ნუ ითოვნების
მაღლად ცრემლითა. | ზღვათაცა შესამალითა
ამარტის ფერად შეცვალა | ბროლი ცრემლისა ბანამან
ცრემლნი მოჰკვეთნა | შავმან გიშრისა დანამან
სისხლისა ცრემლსა გაენნა | შუა გიშრისა სატები

სურ. 1 კორპუსის რაოდენობრივი მონაცემებით ნაჩვენებია, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ „ცრემლის“ კონცეპტით გამოხატული ემოციის 118 კონცეპტუალური მეტაფორა

რუსთაველი კოფინი

ქართული ინგლისური რუსული გერმანული ფრანგული

ტეგი stl_mtf. რაოდენობა: 88

ნაპოვნი ტექსტი

With each tear that streaked the rose garden of her cheeks
From the jets of his eyelashes, clear waters could be seen to flow
Tears mingled with blood, and flowed forth as from floodgates, wave after wave
Hail rained down and froze the rose, in his body, he felt trembling start
He shed pearl tears: his cheeks softened, and seemed then of a paler sort
Snow had fallen, freezing and bruising the rose so young and slender
He cries while searching, his tears a river flowing into the sea
Ruby and crystal made the pale roses of his face seem to dim
From their eyes, hot tears flowed, moistening the plains: They rode as if blind
Her abundant tears were like a river flowing wave after wave
his tears raining down, so spoke he
let his tears flow
shedding tears that seemed to flow from her heart's core
They wept together: Tears could have flowed to the sea from either face
His crystal face darkened to amber as he let his hot tears go,
His jet lashes seemed plaited together with tears of blood and gore
I feel great grief for her: that is the reason I readily bleed
The queen poured forth enough tears over my body to make a sea
I mounted my horse, as I left, tears flowed down my face in a stream
Narcissus tears must have tormented you: You must have felt spurned
It was as if I were a pale rose and heavenly dewdrops wore
shed a stream of tears
Again and again she groaned, and cried such tears as would hollow stone
She said nothing to me, but her tears kept cascading to the ground
A shower of tears bedewed her face, brilliant with radiant shine
"Remember when you kept sighing, 'Ah! Ah!' when your tears bathed the field
The rain which had frozen the rose had turned to a much milder flow
I asked the reason tears had been flowing

სურ. 2 კორპუსის მონაცემები ასახავს, რომ კოფინის მიერ თარგმნილ „ვეფხისტყაოსანში“ არსებული „ცრემლის“ კონცეპტით გამოხატული ემოციის კონცეპტუალური მეტაფორების რაოდენობა არის 88.

ქართული ინგლისური რუსული გერმახელი ფრანგული

ტეგი stl_mtf. რაოდენობა 104

ნაპოვნი ტექსტი

wept. she shed many tears. she drooped her raven eyelashes (the tail feathers of the raven
therefore she weeps. filling the rose-garden (of her cheeks) with tears
the rose (of his cheek) was frozen in tears that welled up from his woe-stricken heart
a channel of jet (his eyelashes) rains a crystal shower
tears were mingled with blood. and flowed forth as from floodgates
I know that without pause the hail has fallen from thine eyes upon thy cheek
crystal hails down and freezes the rose. his graceful form was trembling
Tears like pearls were shed upon the rose. making it tender
Fresh snow had fallen. and. freezing on the rose. blasted it
There seeks he the shedder of tears which flowed to increase the sea
his cheeks will be bathed (in tears)
Ruby mingled with crystal beautified the pale roses (of his cheeks
from their eyes tears flowed. moistening the plains
she wept aloud. her tears uniting with the sea
the tears rained down
they wiped each other's tears of blood
he began to shed tears
In the rose-garden the pool of tears is dammed up
with heart sobs she began to shed tears a hundredfold snore
their tears flowing even to the sea
The bath of tears turned the crystal to the colour of jasper
They were silent. the black knife of jet (of their eyelashes) cut off the (flow of) tears
the jetty eyelashes are plaited by tears of blood
She told me that for three years the stream of tears was to flow without her
You. mighty. were sporting. we bathed our cheeks in tears
for whom flow streams of blood. from her I never expect comfort
he sat down and moaned bitterly. his tears were mingled with the earth
The queen poured forth tears enough to make a sea
The bath of tears changed the crystal (of my face) to saffron colour

სურ. 3 კორპუსის მონაცემები ასახავს „ცრემლის“ კონცეპტით გამოხატული ემოციის კონცეპტუალურ მეტაფორებს უორდროპის მიერ თარგმნილ „ვეფხისტყაოსანში“. კორპუსის ანალიზატორის მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ მეტაფორათა რაოდენობა 104-ს შეადგენს.

აღნიშნულ მონაცემებს შორის არსებული განსხვავება განაპირობა თარგმანში არსებულმა ცვლილებებმა და დანაკარგებმა. კონცეპტუალური მეტაფორების მარკირების პროცესში თეგებით არ მოგვინიშნავს ის მეტაფორები თარგმანებში, რომლებიც კონცეპტუალური მეტაფორებითვე არ იყო თარგმნილი. შაფნერის, მენდელბლითის, ჰალვერსონის, კოვეჩიშის მთარგმნელობითი სტრატეგიების გათვალისწინებითა და შეჯამებით, თარგმანებში ჩვენ დავაკვირდებით ხატსქემის და მეტაფორული ხატის განფენის ცვლილებებს და მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს.

ონტოლოგიური მეტაფორების თარგმანი „ვეფხისტყაოსანში“

დავაკვირდეთ „ჭურჭლის“ ხატსქემით პროეცირებულ, ემოციის ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორების თარგმანებს „ვეფხისტყაოსანში“. წინამდებარე მაგალითი: **„მან არა გვითხრა გაუშვა | წყარო ცრემლისა ცხელისა“,** მეტაფორა აღწერს ნესტან-დარეჯანის ემოციურ მდგომარეობას, ცხელი ცრემლის კონცეპტით. მეტაფორა ონტოლოგიურია, ვინაიდან ემოციური გამოცდილება გაგებულია ნივთიერების სახით. მეტაფორის საბაზისო კონცეპტუალური მეტაფორაა: „ადამიანი ემოციის ჭურჭელია“ (“The body is the container for the emotion“) და „ემოციები თხევად ნივთიერებად გარდაიქმნება“ (“emotions are fluids“). როგორც უორდროპის, ასევე კოფინის თარგმანში შენარჩუნებულია ხატსქემა, საბაზისო კონცეპტუალური მეტაფორა და ცხელი ცრემლის კონცეპტი: “She told us nought; she shed a stream of hot tears“ (უორდროპი); “She told us nothing in response. She shed a stream of hot tears, though“ (კოფინი); თარგმანებს შორის განსხვავებას წარმოადგენს ლინგვისტური სტრუქტურები, უორდროპის ენა უფრო მხატვრულია. მთარგმნელი იყენებს მე-19 საუკუნის ინგლისურისთვის სახასიათო არქაულ ფორმებს. შაფნერის ზემოთმოყვანილი მთარგმნელობითი პროცედურების მიხედვით, თარგმანი შეესაბამება პირველ პროცედურას, როდესაც კონცეპტუალური მეტაფორა იდენტურია წყარო და სამიზნე ტექსტებში მაკრო დონეზე;

შემდეგი ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორაა: **„ცრემლისა ღვარსა მოეცვა | პირი, ელვათა მკრთომელი“.** ტაეპში

მოცემულია ნესტან-დარეჯანის ემოციური მდგომარეობა. მეტაფორა ელვის კრთომა პოემაში ხშირად მეორდება და სილამაზის აღსაწერად გამოიყენება. თუმცა ამ შემთხვევაში „ელვა“ მიგვანიშნებს, რომ ნესტანი განრისხებულია. უორდროპის თარგმანში “a shower of tears fell on her face flashing with radiance“ ცრემლის ღვარის ხატი შეცვლილია ცრემლთა (შხაპუნა) წვიმით. ეკვივალენტურადაა ჩანაცვლებული ელვის კრთომა, ნათლის გამოსხივებით. კოფინის თარგმანში “A shower of tears bedewed her face, brilliant with radiant shine“ უორდროპის მსგავსად, შენარჩუნებულია ხატსქემა და კონცეპტუალური მეტაფორის სტრუქტურა. ორივე თარგმანი შეესაბამება შაფნერის მეოთხე პროცედურას, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მეტაფორული გამონათქვამის გამოყენებას, რომელსაც ერთი და იგივე კონცეპტუალური მეტაფორა აერთიანებთ. კიდევ ერთი „ჭურჭლის“ ხატსქემით პროეცირებული ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორაა: **„დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, | მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა“.** მოცემული ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორაც, როგორც ზემოთ განხილული კონცეპტუალური მეტაფორები, სტრუქტურულად დაკავშირებულია მეტაფორებთან: „ემოციები თხევადია“ „სხეული ემოციის ჭურჭელია“. წყარო დომენში არსებული ცრემლთა ტბა, სამიზნე დომენში სულიერ მდგომარეობას, ემოციურ ფონს განეფინება. უორდროპი თავის თარგმანში “down to write my woes! For ink I give thee a lake of tears, for pen“ ინარჩუნებს ხატსქემას, მელნის და ცრემლის ტბის ხატებს. კოფინი თარგმანში “For ink, I have a lake of tears. Write of my woes, that all may learn“ სინტაქსურ ცვლილებებს მიმართავს, თუმცა ინარჩუნებს ძირითად ხატებს, ხატსქემას და საბაზისო კონცეპტუალურ მეტაფორას. შაფნერის მთარგმნელობითი პროცედურების მიხედვით, უორდროპის თარგმანი პირველ კატეგორიას შეესაბამება, როდესაც ხატები იდენტურად არის ასახული. კოფინის თარგმანი წარმოადგენს შაფნერის მეორე მთარგმნელობით პროცედურას, ანუ მეტაფორა უფრო ახსნა-განმარტებით არის თარგმნილი, თუმცა კონცეპტუალური სტრუქტურა შენარჩუნებულია.

ცვლილებებია შემდეგი კონცეპტუალური მეტაფორის თარგმანში: „ვარდსა წყლითა ცხელითა | რწყვენ ტევრთა საგუბარითა“

ტაეპი აღწერს ფრიდონის და ავთანდილის ემოციურ მდგომარეობას; წყარო დომენში მოცემული კონცეპტი ვარდი, სამიზნე დომენში სახის ხატს განეფინება, ხოლო ტევრთა საგუბარი, ანუ ცრემლთა საგუბარი „ჭურჭლიდან გადმოღვრილ“ ძლიერ ემოციასთან არის პროეცირებული. ბაგრატიონის თანახმად, „ტევრი ხშირს ტყეს ეწოდება, რომელსაც რომ ნახავს კაცი, გულს იმისი ნახვა იამება“ (ბაგრატიონი, 1960: 123). ბაგრატიონი სრულად ტაეპს ასე განმარტავს: „წამწამთა თვალისათა უწოდს, ხოლო საგუბართა მისთა თვალთა უწოდებს, რომელნიცა აღივსებიან ცრემლითა და მორწყვენ მუნით ღაწვთა ვარდისა ფერთა“ (ბაგრატიონი, 1960: 160). მოცემული მეტაფორაც სტრუქტურულად ეფუძნება კონცეპტუალურ მეტაფორას „ემოციები თხევადია“ და „ჭურჭლის“ ხატსქემით არის პროეცირებული. უორდროპის თარგმანში “there the roses were sprinkled by the water of tears dammed up in the jungle“ შენარჩუნებულია ცრემლებით ვარდის მორწყვის კონცეპტი, თუმცა დაკარგულია სითბოს კონცეპტი. კოფინის თარგმანია “The roses of their cheeks were sprinkled by tears in the morning light“, როგორც ვხედავთ, დედანში მოცემული ვარდის კონცეპტი ახსნა-განმარტებით არის გადმოტანილი. აღსანიშნავია, რომ კოფინის თარგმანში ეს ხერხი რამდენჯერმე შეგვხვდა. საყურადღებოა, რომ კონცეპტი „ტევრთა საგუბარი“ თარგმანში არ არის შენარჩუნებული. თარგმანში არ არის შენარჩუნებული კონცეპტი ცხელი ცრემლი. მთარგმნელი ასევე ამატებს დილის სხივების კონცეპტს, რაც დედანში არ არის მოცემული. ორივე თარგმანი თანხვედრაშია შაფნერის მეორე მთარგმნელობით პროცედურასთან.

დასკვნა: ჩვენ მიერ განხილული ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორების თარგმანების ანალიზზე დაყრდნობით, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ ყველაზე დომინანტური ხატსქემა არის ჭურჭლის (container) ხატსქემა, რომელსაც ადამიანის სხეული წარმოდგენილია როგორც ჭურჭელი, რომელშიც გროვდება ემოციები და შემდგომ გარეთ იღვრება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის კორპუსის ანალიზატორის შედეგებმა აჩვენა, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ „ცრემლის“ კონცეპტით გამოხატული ემოციის 118 კონცეპტუალური მეტაფორა. უორდროპის თარგმანში ეს რიცხვი შეადგენს 104-ს, ხოლო კოფინის თარგმანში 88 „ცრემლის“ კონცეპტით გამოხატული ემოციის კონცეპტუალური მეტაფორა არის შენარჩუნებული. **თარგმანებში ხატსქემები შენარჩუნებულია კონცეპტუალურ დონეზე, თუმცა განსხვავდება მათი პოეტური, ესთეტიკური და ემოციური ექსპრესიულობის ხარისხი. კოფინის თარგმანში ვხვდებით მთარგმნელის მიერ ჩამატებებს, ცვლილებებს და დანაკარგს. „ვეფხისტყაოსანში“ არსებული ცრემლით გამოხატული ემოციის ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორები პროეცირებულია ხატსქემა „ჭურჭლით“ და სტრუქტურულად უკავშირდება კონცეპტუალურ მეტაფორებს: „ადამიანი ემოციის ჭურჭელია“, „ემოციები თხევადია“, „ემოციები ცხელია“. თარგმანის ანალიზისთვის გამოვიყენეთ შაფნერის კონცეპტუალური მეტაფორის მთარგმნელობითი პროცედურები და რეკომენდაციები. უორდროპის თარგმანში ყველაზე ხშირად გვხვდება კონცეპტების და ხატსქემების შენარჩუნების, ეკვივალენტური თარგმანის ხერხი, ანუ შაფნერის პირველი პროცედურა. კოფინის თარგმანის შემთხვევაში ყველაზე ხშირად გვხვდება შაფნერის მეორე პროცედურა:** წყარო ტექსტში არსებული საბაზისო კონცეპტუალური სქემის სტრუქტურული კომპონენტები შეცვლილია სამიზნე ტექსტში ისეთი ფრაზებით, რომლებიც მეტაფორას უფრო ღიას/ახსნა-განმარტებით იერსახეს აძლევს.

გამოყენებული ლიტერატურა

Anthony, L. (2002). AntConc (Version 3.2.4) [Computer software]. Tokyo: Waseda University. Available at https://www.laurenceanthony.net/software/antconc.

ბაგრატიონი, ი. (1960). ვეფხისტყაოსნის განმარტებანი. თბილისი: საბჭოთა მწერალი.

Baker, M. (1993). „Corpus linguistics and translation studies: Implications and applications“. In Text and Technology: In Honour of John

Sinclair, Edited by M. Baker, G. Francis, და E. Tognini-Bonelli, 233–250. Amsterdam: John Benjamins.

ბერიძე, ქ. (2018). თარგმანმცოდნეობა. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბერიძე, ქ., და თ. ნაგერვაძე (2025). „The Knight in the Panther's Skin: Comparing corpora of image metaphors...". SKASE Journal of Translation and Interpretation 18, 2: 188–211.

Croft, W., and D. A. Cruse (2004). Cognitive Linguistics. Cambridge: Cambridge University Press.

Evans, V. (2012). Cognitive Linguistics: An Introduction. Edinburgh: Edinburgh University Press.

Francis, G. (1992). „Language corpora BNC design, term, and use". Oxford University Press Papers in Linguistics 17. Oxford: Oxford University Press.

Halverson, S. L. (1997). „The concept of equivalence in translation studies: Much ado about something". Target 9, no. 2: 207–233.

Johnson, M. (1987). The Body in the Mind: The Bodily Basis of Meaning, Imagination, and Reason. Chicago: University of Chicago Press.

Johnson, M., and G. Lakoff (1980). Metaphors We Live By. Chicago: University of Chicago Press.

Kövecses, Z. (2002). Metaphor: A Practical Introduction. Oxford: Oxford University Press.

Kövecses, Z. (2004). Metaphor in Culture: Universality and Variation. Cambridge: Cambridge University Press.

Lakoff, G. (1987). Women, Fire, and Dangerous Things. Chicago: University of Chicago Press.

Lakoff, G. (1993). „The contemporary theory of metaphor". In Metaphor and Thought, მე-2 გამოც., Edited by A. Ortony, 202–251. Cambridge: Cambridge University Press.

Lakoff, G. (1999). Philosophy in the Flesh. New York: Basic Books.

McEnery, T., and A. Wilson (2001). Corpus Linguistics: An Introduction, მე-2 გამოც. Edinburgh: Edinburgh University Press.

Mandelblit, N. (1995). „The cognitive view of metaphor and its implications for translation theory". In Translation and Meaning, Part 5, 483–495. Maastricht School of Translation and Interpreting.

ნათაძე, ნ., და ს. ცაიშვილი (1966). რუსთაველი და მისი პოემა. თბილისი: განათლება.

რუსთაველი, შ. (1957). ვეფხისტყაოსანი. რედ. კ. კეკელიძე და ა. შანიძე. თბილისი: სახელგამი.

რუსთაველი, შ. (2015). The Knight in the Panther's Skin. თარგმ. L. Coffin. Poezia Press.

რუსთაველი, შ. (1977). The Knight in the Panther's Skin. თარგმ. M. და O. Wardrop. London: The Folio Society.

Schäffner, C. (2003). „Metaphor and translation: Some implications of a cognitive approach". Journal of Pragmatics 36, 7: 1253–1269.

van den Broeck, R. (1981). „The limits of translatability exemplified by metaphor translation". Poetics Today 2, 4: 73–87.

References

Anthony, L. (2002). AntConc (Version 3.2.4) [Computer software]. Tokyo: Waseda University. Available at https://www.laurenceanthony.net/software/antconc.

Bagrat'ioni, I. (1960). Vep'khist'qaosnis ganmart'ebani. T'bilisi: Sabchot'a mtserali. (in Georgian).

Baker, M. (1993). „Corpus linguistics and translation studies: Implications and applications". In Text and Technology: In Honour of John Sinclair, 233–250. Edited by M. Baker, G. Francis, and E. Tognini-Bonelli. Amsterdam: John Benjamins.

Beridze, K. (2018). Targmanmtsodneoba. Bat'umi: Bat'umis Shota Rust'avelis sakhelmts'ipo universit'et'i. (in Georgian).

Beridze, K., and T. Nagervadze (2025). „The Knight in the Panther's Skin: Comparing corpora of image metaphors...". SKASE Journal of Translation and Interpretation 18, 2: 188–211.

Croft, W., and D. A. Cruse (2004). Cognitive Linguistics. Cambridge: Cambridge University Press.

Evans, V. (2012). Cognitive Linguistics: An Introduction. Edinburgh: Edinburgh University Press.

Francis, G. (1992). „Language corpora BNC design, term, and use". Oxford University Press Papers in Linguistics 17. Oxford: Oxford University Press.

Halverson, S. L. (1997). „The concept of equivalence in translation studies: Much ado about something". Target 9, 2: 207–233.

Johnson, M. (1987). The Body in the Mind: The Bodily Basis of Meaning, Imagination, and Reason. Chicago: University of Chicago Press.

Johnson, M., and G. Lakoff (1980). Metaphors We Live By. Chicago: University of Chicago Press.

Kövecses, Z. (2002). Metaphor: A Practical Introduction. Oxford: Oxford University Press.

Kövecses, Z. (2004). Metaphor in Culture: Universality and Variation. Cambridge: Cambridge University Press.

Lakoff, G. (1987). Women, Fire, and Dangerous Things. Chicago: University of Chicago Press.

Lakoff, G. (1993). „The contemporary theory of metaphor". In Metaphor and Thought, 2nd ed., 202–251. Edited by A. Ortony. Cambridge: Cambridge University Press.

Lakoff, G. (1999). Philosophy in the Flesh. Basic Books.

McEnery, T., and A. Wilson (2001). Corpus Linguistics: An Introduction, 2nd ed. Edinburgh: Edinburgh University Press.

Mandelblit, N. (1995). „The cognitive view of metaphor and its implications for translation theory". In Translation and Meaning, Part 5, 483–495. Maastricht School of Translation and Interpreting.

Nat'adze, N., and S. Tsaishvili (1966). Rust'aveli da misi poema. T'bilisi: Ganat'leba. (in Georgian).

Rust'aveli, Sh. (1957). Vep'khist'qaosani. Edited by K. Kek'elidze and A. Shanidze. T'bilisi: Sakhelgami. (in Georgian).

Rust'aveli, Sh. (2015). The Knight in the Panther's Skin. Translated by L. Coffin. Poezia Press. (in Georgian). (შენიშვნა: ვინაიდან თარგმანი ქართულ გამომცემლობაშია გამოცემული, მიზანშეწონილია ქალაქის მითითებაც).

Rust'aveli, Sh. (1977). The Knight in the Panther's Skin. Translated by M. and O. Wardrop. London: The Folio Society.

Schäffner, C. (2003). „Metaphor and translation: Some implications of a cognitive approach". Journal of Pragmatics 36, 7: 1253–1269.

van den Broeck, R. (1981). „The limits of translatability exemplified by metaphor translation". Poetics Today 2, 4: 73–87.

ნესტან სულავა,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ელფოსტა: nestansulava@rambler.ru

ქართული ქრისტიანული გალობის მრავალხმიანობისა და ძველი სანოტო სისტემის ქრონოლოგიისათვის

მოკლე შინაარსი

საეკლესიო გალობის მუსიკალური რაობის, მუსიკალური ფენომენის კვლევისას შესასწავლია ქრისტიანული გალობის განვითარების გზა, რასაც წერილობითი წყაროები, მართალია, გადმოგვცემენ, მაგრამ მათში დაცული ცნობები ძალიან მწირია. გალობის მატერიალიზება ერთჯერადი აქტია და, შესაბამისად, გალობა ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. დიდი ხნის განმავლობაში გალობის მელოდია არ ჩაწერილა. საქართველოს კულტურულ სივრცეში გალობის მრავალხმიანობა დამკვიდრდა უძველესი დროიდანვე, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან მალევე, რადგან ქრისტიანული გალობის მრავალხმიანობა ეროვნულ საფუძვლებს ემყარებოდა, ხოლო ნევმური სისტემა მას შემდეგ შემუშავდა, რაც ბიზანტიაში VII-VIII საუკუნეების მიჯნიდან ჩატარდა სამგალობლო და ჰიმნოგრაფიული რეფორმა. შეიქმნა ნევმური სისტემა, რომლის სათავეებთან წმ. იოანე დამასკელი დგას. ბერძნულ საგალობლებს ნევმები ერთ სტრიქონზე დაესმის, ქართულ ნევმურ სისტემას თავისი არსებითი ხასიათი და პრინციპი ჰქონდა, ეს იყო ნევმების სტრიქონსზედა და სტრიქონსქვედა ხაზებზე განთავსება, რითაც არსებითად განსხვავდება ბიზანტიურისაგან. საგალობო ნევმური

სისტემის უძველესი ნიმუშები შემონახულია X საუკუნის ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკულ კრებულებში: ორ სინურ იადგარში Sin. 1, Sin. 14, შატბერდში 978-988 წლებში მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ საწელიწდო იადგარში S-425 და XI საუკუნის ე.წ. იორდანეს ძლისპირთა და ღმრთისმშობლისანთა კრებულში - A-603. რამდენიმე ხელნაწერში ფრაგმენტულად დასტურდება ნევმების გამოყენება.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე დაიწყო ყოველივე ქრისტიანულის გაქართულება, მათ შორის გალობისაც და ქართულ საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული მრავალხმიანობა, როგორც ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიაში ქართული საერო ლექსის მრავალსაუკუნოვანი ფორმები, კერძოდ, თექვსმეტმარცვლოვანი შაირი, ფისტიკაური და სხვანი; აგრეთვე, ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში ანტიკური არქიტექტურის ელემენტები. ქართული საეკლესიო გალობის გამრავალხმიანების პროცესი უნდა დასრულებულიყო VIII საუკუნეში ან მის დამლევს, როდესაც ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში დამთავრდა სამგალობლო რეფორმა. სამეცნიერო ლიტერატურაში (ი. ჯავახიშვილი, ე. მეტრეველი) გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ გამრავალხმიანების პროცესი X-XI საუკუნეებში მიმდინარეობდა. ჩვენი **სტატიის მეცნიერული სიახლე** ისაა, რომ ეს პროცესი დაიწყო IV-V საუკუნეებში, რაც ჩვენს ნაშრომში დასაბუთებულია საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში პარალელად მიმდინარე პროცესების საშუალებით.

საქართველოში სამგალობლო რეფორმა ეტაპობრივად განხორციელდა. მრავალხმიანობის კანონიზება წმ. გრიგოლ ხანცთელის სახელს დაუკავშირდა. მის მიერ ლიტურგიკასა და ჰიმნოგრაფიაში ჩატარებული რეფორმა ეროვნული ხასიათისა იყო. მან შექმნა ქართული ეკლესიის კანონმდებლობა, მოამზადა ქვეყნის ერთიანობის იდეოლოგიური საფუძველი, ჩაატარა საბოლოო რეფორმა ქართულ საეკლესიო გალობაში და კანონიზებული გახადა მისი პოლიფონიურობა, რითაც გარდატეხა შეიტანა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში, როდესაც IX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე შექმნა „საწელიწდო იადგარი“, რის შემდეგაც დაიწყო საგალობელთა ნევმირებული

ჩაწერა მისი უკეთ დახსომების მიზნით; შეიქმნა მეხური (ხმით შესასრულებელი) საწელიწდო იადგარები, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიქაელ მოდრეკილის იადგარი, შემკული მუსიკალური ნიშნებით, ანუ ნევმებით. ჩვენი კვლევის სიახლე ისაა, რომ ნევმირებულ საგალობელთა შესახებ გამოყენებული ტერმინი „მეხური“, სხვა მნიშვნელობასთან ერთად, ქართული გალობის მრავალხმიანობას უნდა აღნიშნავდეს. საქართველოში ნევმირება, სანოტო ნიშნების გამოყენება, განაპირობა ქართული გალობის სხვათაგან, კერძოდ, ბიზანტიური, სირიული, სომხური გალობების ხასიათისაგან განსხვავებამ.

შეიქმნა სამგალობლო ტერმინოლოგიაც, რომელიც საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თვალსაზრისით XII საუკუნეში განაზოგადა იოანე პეტრიწმა, როდესაც ქართული გალობის სამხმიანობა გამოხატა ტერმინებით „მზახრ, ჟირ, ბამ“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ძალადობისა და რუსული ეკლესიის ენობრივი, ქართული სამგალობლო და საეკლესიო ფერწერის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის ფონზე აუცილებელი გახდა საგალობლების ჩაწერა თანამედროვე ნოტებზე, რათა არ დაკარგულიყო საგალობელთა მელოდიის ცოდნა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით ფილიმონ ქორიძეს, ძმებს კარბელაშვილებს, რაჟდენ ხუნდაძეს, ექვთიმე კერესელიძეს.

საკვანძო სიტყვები: წმ. გრიგოლ ხანცთელი, მიქაელ მოდრეკილი, გალობა, ნევმა, მრავალხმიანობა, მუსიკალური აზროვნება და ცნობიერება.

Nestan Sulava,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Samtskhe-Javakheti State University, Tbilisi, Georgia,
Doctor of Philology, Professor,
E-mail: nestansulava@rambler.ru

FOR THE CHRONOLOGY OF THE POLYPHONY OF GEORGIAN CHRISTIAN CHANT AND THE ANCIENT NOTATION SYSTEM

Abstract

In Byzantium, from the 7th-8th centuries, the nevm, or notational system, was introduced, the founder of which was St. John of Damascus. The Georgian nevm system had its own essential character and principle - the placement of nevms on the lines above and below the line in a way that essentially differs from the Byzantine one. The oldest examples of the hymnal nevm system are preserved in the hymnographic-liturgical collections of the 10th century: in the two Sinai Yadgars Sin. 1, Sin. 14, in "the Annual Yadgari" compiled by Michael Modrekili in Shatberdi in 978-988, S-425, and in the so-called 11th-century collection of the Jordane of the Heirmologion and the Mother of God - A-603.

As soon as Christianity was declared the state religion in Georgia, the Georgianization of everything Christian began, including chanting, and polyphony was introduced into Georgian church chanting, just as the centuries-old forms of Georgian secular verse, namely, the sixteen-gram shair, the pistikauri, and others, were introduced into the original Georgian hymnography; as well as the elements of ancient architecture into Christian architecture. The process of polyphonization in Georgian church chanting should have completed in the 8th century, when the chant reform in Byzantine hymnography was completed.

The Chant reform was implemented in Georgia in stages. The canonization of polyphony is associated with the name of St. Grigol Khandzteli. The reform he carried out in liturgy and hymnography was of a national nature. He created the legislation of the Georgian Church, prepared the ideological basis for the unity of the country, carried out the final reform of Georgian church chant and canonized its polyphony, thereby bringing a turning point in the spiritual life of the Georgian nation, when at the turn of the 20s-30s of the 9th century he created the "Annual Hymn". This was preceded by the hymnal reform carried out by St. John of Damascus at the beginning of the 8th century, as a result of which the neuminated recording of hymns began in Greek for the purpose of better memorization; following in his footsteps, Georgian chanter-hymnographers soon mastered the principle of neumination. Mekhuri (to be performed by voice) the Annual Yadgars were created, decorated with musical signs, or neums. Does "mekhuri" mean polyphony? The data of Michael's Yadgari should indicate this, which is what we are talking about in the report. The novelty of our research is that the term "mekhuri" used for the neumirized hymns, along with other meanings, should denote the polyphony of Georgian chanting. In Georgia, neumirization, the use of musical notation, determined the difference between Georgian chanting and other, namely, Byzantine, Syrian, and Armenian chanting.

Chanting terminology was also created, which was generalized from a theological and philosophical point of view in the 12th century by Ioane Petritsi, when he expressed the triphonic nature of Georgian chanting with the terms "mzakhr, zhir, bam".

In the second half of the 19th century, it became necessary to record hymns on notes so as not to lose knowledge of the melody of the hymns, to which Filimon Koridze, Ekvtime Kereselidze, brothers Karbelashvili, and Razhden Khundadze made a great contribution.

Keywords: St. Grigol of Khantsta; Michael Modrekili; Chant; Notice; Polyphony; Musical thinking and consciousness.

შესავალი. ქართული საეკლესიო გალობისა და ძველი სანოტო//ნევმირების სისტემის შესახებ საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა, რომელშიც განსხვავებული ხედვებია წარმოდგენილი. მიუხედავად მეცნიერთა და მუსიკათმცოდნეთა არაერთი მცდელობისა, ძველი ქართული ნევმური სისტემა არ არის ახსნილი, საქმეს ვერ უშველა თანამედროვე სანოტო სისტემაზე საგალობელთა მელოდიის გადატანამ ნევმისა და ნოტის არსებითი განსხვავების გამო. შესაბამისად, საკითხი რჩება აქტუალურად და მოითხოვს კვლევას. სტატიის მიზანია ქართული საეკლესიო გალობისა და ძველი ნევმირების//სანოტო სისტემის შესახებ ჩვენეული კონცეფციის ჩამოყალიბება, რომლის მიხედვით ქართული საეკლესიო გალობა გამრავალხმიანდა ქრისტიანული რელიგიის საქართველოში დამკვიდრებიდან მალე, დაახლოებით იმ დროიდან, რა დროიდანაც ქართულად ითარგმნა ლიტურგიული დანიშნულების უპირველესი ქრისტიანული ლიტერატურა, კერძოდ, სახარება-ოთხთავი, ფსალმუნები, საწინასწარმეტყველო და სხვანი, რადგან ღვთისმსახურებისას ამ ტექსტების უცხო ენაზე მოსმენას მრევლი დიდხანს ვერ იგუებდა, ვერ შეძლებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი თხზულებები მალევე ითარგმნებოდა ქართულად, რასაც უთუოდ მოჰყვებოდა გალობის გაქართულებაც, ე.ი. გალობის გამრავალხმიანება. ქართული ხალხური სიმღერა და წარმართული გალობა მრავალხმიანი იყო, რის მოსმენასაც მიჩვეული იყო ქართველი კაცი. ამიტომ სავარაუდოა ქართული გალობის გამრავალხმიანება IV საუკუნის

მეორე ნახევრიდან ან V საუკუნის დამდეგიდან მაინც. საგალობელთა ნევმირება კი მოსალოდნელია ბიზანტიაში წმ. იოანე დამასკელის მიერ ჩატარებული ჰიმნოგრაფიულ-სამგალობლო რეფორმის შემდეგ, როდესაც პირველად გამოიყენა ნევმური სისტემა გალობათა მელოდიის აღსანიშნავად, რის შესახებაც ცნობები დაცულია წმ. იოანე დამასკელის „ცხოვრების“ ტექსტში („შემდგომად გამოთქუმისა, კილოს დებდა რაჲ იოანე და გალობდა“; კეკელიძე, 1961: 167-168).

ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობის საკითხი IX-XII საუკუნეების ქართველ ჰიმნოგრაფთა და მუსიკალური სისტემის თეორიული საკითხების მცოდნეთა განხილვის საგანი იყო, კერძოდ, მიქაელ მოდრეკილის, წმ. გიორგი მთაწმინდელის, წმ. ეფრემ მცირის, იოვანე პეტრიწის შრომებში გამოთქმული შეხედულებების საფუძველზე შესაძლებელია ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა, რასაც ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო საგალობელთა ნევმირება, რომელიც ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიასა და საეკლესიო სამგალობლო პრაქტიკაში VIII საუკუნიდან მკვიდრდება, ქართულ ჰიმნოგრაფიაში ჩნდება IX საუკუნიდან. ამ საკითხების შესწავლას უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო შრომები მიუძღვნეს ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, პავლე ინგოროყვამ, გაიოზ იმედაშვილმა, ელენე მეტრეველმა, ლილი ხევსურიანმა, ლალი ჯღამაიამ, მანანა ანდრიაძემ და სხვა ფილოლოგებმა და საეკლესიო მუსიკის სპეციალისტებმა, რომელთა დასახულ გზას აგრძელებენ ჩვენი თანამედროვე მკვლევარები.

ქართული მუსიკალური სისტემის ჩამოყალიბების თარიღად ხსენებული მეცნიერები, ძირითადად, მიიჩნევენ X-XI საუკუნეებს. ეს საკითხი განვიხილეთ 2003 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, რომელშიც საწელიწდო იადგარის წარმოშობისა და ქართული გალობის კანონიზების საკითხი დავუკავშირეთ წმ. გრიგოლ ხანცთელს და განვსაზღვრეთ გალობის გამრავალხმიანების მიახლოებითი თარიღიც, VII-VIII საუკუნეები (სულავა, 2003: 23-54). შემდგომი კვლევის შედეგად ზოგიერთი საკითხის შესახებ შეიცვალა ჩვენი შეხედულებაც და წინამდებარე სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული გალობის გამრავალხმიანება

გაცილებით ადრინდელია, რაც, ვარაუდით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსალოდნელი იყო IV საუკუნის მეორე ნახევრიდან ან V საუკუნის დამდეგიდან მაინც.

უდიდესი საქმის აღსრულება ითავეს XIX საუკუნის მუსიკათმცოდნეებმა და საეკლესიო მუსიკის სპეციალისტებმა. ქართულ საგალობელთა თანამედროვე ნოტებზე ჩაწერის აუცილებლობა შეიქმნა XIX საუკუნეში, როდესაც ქართული გალობის მრავალხმიანობას საფრთხე დაემუქრა რუსულ ეკლესიაში დამკვიდრებული ერთხმიანი გალობის ფონზე, რომლის გადატანას ცდილობდა ეკლესიის ეგზარქატი, და მის გადასარჩენად ერთადერთ გზად მიჩნეულ იქნა მეხსიერებით შემონახულ საგალობელთა ჩაწერა ნოტებზე, რაც XIX საუკუნის დამლევს, 80-იანი წლებიდან მოყოლებული XX საუკუნის 20-იან წლებამდე, ჩაწერეს ფილიმონ ქორიძემ, რაჟდენ ხუნდაძემ, ძმებმა კარბელაშვილებმა, ექვთიმე კერესელიძემ, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა აღსრულებული ეროვნული საქმის გამო.
სტატიაში წარმოდგენილია საუკუნეების განმავლობაში საეკლესიო გალობის თანდათანობითი განვითარების ეტაპების გათვალისწინებით ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულების შექმნის, საგალობელთა ნევმირების, ჰიმნოგრაფიულ ტერმინთა ჩამოყალიბების საკითხის შესახებ ჩვენეული კონცეფცია, რომელიც ემყარება ძველ ქართულ წყაროებში დაცულ მწირ ცნობებს ქართველ ჰიმნოგრაფთა ლიტერატურული მემკვიდრეობისა და სამგალობლო პრაქტიკის შესახებ.

მეთოდი. საკითხის შესწავლისას ვეყრდნობით კვლევის ტრადიციულ, კერძოდ: ისტორიულ-შედარებითს, ანალიტიკურს, და შედარებით ახალ მეთოდებს, მულტიდისციპლინურს, ჰერმენევტიკულს, რომელთა საფუძველზე გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ქართული ჰიმნოგრაფიული თხზულებების ნევმირებისა და შესაბამისი ტერმინის, მეხურის, განხილვის აუცილებლობა და მეორე მხრივ, ქართული გალობის მრავალხმიანობის განვითარების ეტაპებისა და კანონიზების საკითხის შესწავლის საჭიროება.

მსჯელობა. წერილობითი და სხვა მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევისას უპირველესად წყაროებს

ვემყარებით, კერძოდ, ქრისტიანული ლიტერატურის კვლევა ძველ ხელნაწერებს და მათში შემონახულ საღვთისმეტყველო ტექსტებს ეფუძნება, ფერწერისა - ფრესკულ ხელოვნებასა და ხატწერას, არქიტექტურისა - საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ანსამბლებს. ეს საღვთისმსახურო და საღვთისმეტყველო დარგები მატერიალიზებული სახითაა შემონახული. საეკლესიო გალობის მუსიკალური რაობის, მუსიკალური ფენომენის შესწავლისას განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან დანამდვილებით არ ვიცით, როგორი იყო თავდაპირველად ქრისტიანული გალობა და განვითარების როგორი გზა განვლო. ამას გადმოგვცემენ მხოლოდ წერილობითი წყაროები, მაგრამ მათში დაცული ცნობები ძალიან მწირია. გალობის მატერიალიზება ერთჯერადი აქტია, ხოლო ჰიმნოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზე, VIII საუკუნიდან, მისი ჩაწერა მხოლოდ მნემონური ხასიათისა იყო. გალობა ზეპირად გადაიცემოდა და მგალობლებმა ყველა საგალობელი ზეპირად იცოდნენ, რასაც ისინი სამგალობლო სკოლებში სწავლობდნენ.

საგალობლები ერთდროულადაა მელოსისა და ლოგოსის გამოხატულება, რითაც ქრისტიანულ ტაძარში მათი შესრულებისას საკრალური სივრცე იქმნება და ამაღლებულობა მკვიდრდება. ე. ველეშის სიტყვით, საგალობელი „არის თეოლოგიური დოქტრინების სარკე, ამიტომ მუსიკა და პოეზია აქ ცალ-ცალკე არ უნდა განვიხილოთ. ლექსი და ხმა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ისინი ლიტურგიის ნაწილებია“ (ველეში, 1980: 157). საგალობელი მსმენელში აღძრავს მშვენიერებისა და ამაღლებულობის შეგრძნებას, იგი სარწმუნოებრივ სწავლებასთან ერთად ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს და კმაყოფილების გრძნობას აღუძრავს მსმენელს.

ყოველივე ამის საფუძველს ქმნის ქართული ხალხური სიმღერისა და წარმართული გალობის მრავალხმიანობა, რომელიც ქართველი ერის ცნობიერების ერთ-ერთი საფუძველთაგანია. იგი უხსოვარი დროიდან იღებს დასაბამს, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ჯერ სახელმწიფო არ იყო ჩამოყალიბებული. ქართველი ერის მუსიკალური აზროვნება ისევე ძველია, როგორც ქართული სიტყვა, ლექსი, ცეკვა, მითოპოეტური სამყარო, ფოლკლორი. მუსიკალური მრავალფეროვნება სხვა კულტურულ ფაქტებთან

ერთად ქართველი ერის სააზროვნო სისტემაა, მისი ცნობიერების, შინაგანი სულიერი სამყაროს გამოვლინებაა.

საგალობლის მუსიკალური ბუნების შესახებ კონცეპტუალური შეხედულებები აქვთ გამოთქმული ქრისტიან წმინდა მამებს, რომელთა მოსაზრებით, საგალობელი სიტყვისა და მუსიკის იდეალური კავშირია, იგი ქრისტიანული სარწმუნოების დიდაქტიკურ, ეთიკურ, გნოსეოლოგიურ შინაარსს ასახავს. ნეტარი ავგუსტინე თავის თხზულებაში „მუსიკის შესახებ“ („De musica“) საგალობელს ყველა სხვა სახეობათა შორის იდეალად წარმოაჩენს, ვინაიდან იგი აერთიანებს სიტყვას, მელოდიას, აზრს, რომელთა ერთობლიობა ადამიანის სულის სიღრმეს სწვდება და მის შინაგან სამყაროს გამოხატავს. მისი შეხედულებით, ის, რაც მხოლოდ სიტყვით ვერ გადმოიცემა, გადმოიცემა მელოდიით; ნეტარი ავგუსტინეს აზრით, მუსიკა, საგალობელი ადამიანის სულის აუწერელ სიხარულს გამოხატავს. საგალობლის ზემოქმედების პროცესი ადამიანზე ხორციელდება მელოდიითა და სიტყვით (ნეტარი ავგუსტინე, De musica 6. 57–58; Col. 1081-1194). საეკლესიო გალობა სიტყვის საკრალურ მნიშვნელობას აძლიერებს. ღვთისმსახურებისას გალობის შესრულება უფლის ქებისა და მისადმი მადლიერების უმაღლესი გამოხატულებაა. წმინდა მამები ამიტომ მიიჩნევდნენ გალობასა და გალობით აღვლენილ ლოცვას ღვთისათვის გაღებულ ყველაზე დიდ შესაწირად. საეკლესიო გალობა მიზნად ისახავს ლიტურგიული ცნობიერების მქონე ადამიანის, მორწმუნის სულიერი მდგომარეობის მიმსგავსებას ბგერითი ჰარმონიისადმი, ბგერითი მოწესრიგებულობისადმი. ღვთისმეტყველ წმიდა მამათა მიერ გალობა მიჩნეულია მორწმუნე ადამიანთა ერთ გუნდად გაერთიანების საშუალებად, რის საფუძველიც რწმენა, იმედი და სიყვარულია. საეკლესიო გალობის ძირითადი არსი ხომ საყოველთაობაა, იგი ღვთისმსახურების ერთ-ერთი უძირითადესი ნაწილია. ღვთისმეტყველთა აზრით, მგალობელმა, რომლის გული, გონება და ცნობიერება კაცებრივისაგან განძარცვული უნდა იყოს, საგალობელში ჩადებული საკრალურობა მის აღმქმელამდე უნდა მიიტანოს. საეკლესიო გალობის კანონიკა ემყარება პოეტური ტექსტისა და მელოდიის ორთოდოქსულობასა და უცვლელად შენარჩუნებას. საგალობლის პოეტური ტექსტი და მუსიკა ერთმანეთთან მჭიდრო

კავშირშია და მათი გამიჯვნა, დამოუკიდებლად კვლევა შეუძლებელია, ამასთან, ამ პრობლემათა განცალკევებულად კვლევა სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ მოგვცემს. დაისმის კითხვა, რა დროიდან უნდა განვითარებულიყო მრავალხმიანობა ქართულ საერო მუსიკალურ სისტემაში და როდის უნდა შესულიყო იგი ქრისტიანულ ეკლესიაში (გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყველა ქრისტიანული ქვეყნის საეკლესიო გალობა მრავალხმიანი არ ყოფილა). საზოგადოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ქართული ხალხური სიმღერის მრავალხმიანობა საუკუნეთა სიღრმეებიდან, ქრისტიანობამდელი მუსიკალური სისტემიდან იღებს სათავეს და უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. ასევე იყო წარმართული საკულტო გალობები. შესაბამისად, ქრისტიანული გალობის მრავალხმიანობაც ეროვნულ საფუძვლებს დაემყარებოდა.

ქრისტიანობამ ძველი აღთქმიდან შეითვისა ერთხმიანი გალობა. ძველი აღთქმა მოგვითხრობს, როგორ მოისმინა ესაია წინასწარმეტყველმა სერაფიმთა გალობა; ევანგელური სწავლებით, ბეთლემელმა მწყემსებმა იხილეს ცათა მხედრობა, რომლებიც განადიდებდნენ ქრისტეს შობას; წმ. იოანე ღვთისმეტყველმა უზენაესი საიდუმლოებების გამოცხადებისას მოისმინა ზესთაგალობები კუნძულ პატმოსზე. გალობის მოთხოვნილება ადამიანს ცოდვითდაცემის შემდეგ გაუჩნდა, რითაც შეეცადა ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენას, ე. ი. ეს მოხდა ადამიანის სულიერი შიმშილის დროს მისი სულიერი განახლების მიზნით.

ცნობების უქონლობის გამო დანამდვილებით არ ვიცით, საგალობლის ტექსტების საგალობო პირობითი ნიშნებით შემკობა ჰიმნოგრაფიის განვითარების რომელ ეტაპზე უნდა დაწყებულიყო, მოსალოდნელია ჰიმნოგრაფიული რეფორმების დროს. VI საუკუნის დასაწყისში საღვთისმსახურო წიგნები, მათ შორის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები, უკვე თარგმნილი იყო ქართულ ენაზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბერძნული მელოდიების ქართულ ნიადაგზე ადაპტირების პროცესი ადრევე, დაახლ. IV საუკუნეშივე უნდა დაწყებულიყო. ქართული საეკლესიო გალობა ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე

ერთხმიანი იქნებოდა, რადგან გალობის ხასიათი განსაზღვრა იმ ქვეყნების სამგალობლო პრაქტიკამ, საიდანაც შემოვიდა ქრისტიანობა, კერძოდ, პალესტინის, აღმოსავლეთ რომის იმპერიის//ბიზანტიის ეკლესიების გალობამ, რომელთაგან უპირველესი პალესტინაა, როგორც აკვანი ქრისტიანობისა.

მრავალეთნოსიანი პალესტინური სამგალობლო სკოლა გახდა ბერძნულ-ბიზანტიური, ქართული, სომხური, კოპტური, სირიული, სლავური და სხვა ქრისტიანული ქვეყნების სამგალობლო ტრადიციის მესაძირკვლე. ყველას აქვს საერთო სამგალობლო ფესვები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში საერთო სამგალობლო ტრადიცია ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ძირებს შეერწყა, თითოეულმა თავისი დამოუკიდებელი განვითარების გზა მოძებნა, ოღონდ ცალკეული ქრისტიანული ქვეყნის სამგალობლო ტრადიციაში შესული ყოველი ცვლილება კანონიკური მალევე ხდებოდა. მრავალეთნოსიანი პალესტინური სამგალობლო სკოლიდან ამოიზარდა ბიზანტიური საეკლესიო გალობა, რომელიც თავადვე დაადგა ეროვნული ტრადიციის გზას და მართლმადიდებლური კანონიკური გალობის ერთ-ერთ განშტოებად ჩამოყალიბდა. ბერძნული, ასურული, სომხური საერო სიმღერები, ოდითგანვე იყო ერთხმიანი, ამიტომ გალობებიც ასეთივე ჰქონდათ. X საუკუნემდე რომის ეკლესიასაც ერთხმიანი გალობა ჰქონდა.

ქართველი ერი ფრთხილად ეკიდებოდა ყოველივე იმ უცხოურს, რომელიც მისი სულიერი და ფსიქიკური წყობისათვის მიუღებელი იყო და ცდილობდა ეროვნულის შენარჩუნებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - საუკუნეთა განმავლობაში ოფიციალურ დონეზე მიჩქმალული, მაგრამ ერის მეხსიერებაში შემონახული ეროვნული ფენომენის აღორძინებას.

ცნობილია, გალობები თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. მრავალხმიანი გალობის ზეპირი გადაცემით მისი დამახინჯების საშიშროება იქმნებოდა, ამიტომ საჭირო იყო მათი ჩაწერა მნემონური თვალსაზრისით მაინც, რისთვისაც აუცილებელი გახდა მუსიკალური პირობითი ნიშნების შემუშავება და შემოღება. ამრიგად, ნევმირების ძირითადი მიზანი

საგალობელთა მუსიკალური ბუნების შენახვა-შენარჩუნება და ხმათა შეწყობის დაცვა იყო.

ბიზანტიაში VII-VIII საუკუნეებიდან შემოდის ნევმური, ანუ საგალობელთა ეკფონეტიკური ნიშნებით შემკობის სისტემა, რომლის სათავეებთან წმ. იოანე დამასკელი დგას და რომელმაც განვითარების სამი საფეხური განვლო, ხოლო ქართულ ნევმურ სისტემას ცვლილება საუკუნეთა განმავლობაში არ განუცდია, მან შეინარჩუნა თავისი არსებითი ხასიათი და პრინციპი წერილობითი თვალსაზრისით - ნევმების სტრიქონსზედა და სტრიქონსქვედა ხაზებზე განთავსება იმგვარად, რომ დაცული იყო ინტერვალები, რაც ამ ეკფონეტიკურ ნიშნებს, ნევმებს, სწორედ მუსიკალურ ნიშნებად აღგვაქმევინებს და არა სალექსო საზომის მითითებებად; ამით ის არსებითად განსხვავებულია ბიზანტიურისაგან. საგალობო ნევმური სისტემის უძველესი ნიმუშები შემონახულია X საუკუნის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში: ორ სინურ იადგარში, მიქაელ მოდრეკილის იადგარსა და ე.წ. იორდანეს კრებულში (ძლისპირთა და ღმრთისმშობლისანთა ხელნაწერი წიგნი). ვარაუდობენ, რომ ქართული ნევმების სემიოგრაფია შემუშავდა წმ. საბა განწმენდილის ლავრაში - ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების უდიდეს კერაში, სადაც VI საუკუნიდან მოყოლებული ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენლები ერთად მოღვაწეობდნენ. ამას ხელს უწყობდა წმ. საბა განწმენდილის ლავრაში ქართველი ბერ-მონაზვნებისათვის ქართულ ენაზე ლოცვების აღსრულების ნებართვა, სხვა ქვეყნების სასულიერო პირებისაგან განსხვავებით.

გალობის გაქართულება, რაც ქართული გალობისათვის ეროვნული მუსიკალური თვისებების შეძინებას ნიშნავს, საქართველოში ქრისტიანული გალობის განვითარების ადრეულ ეტაპზე დაიწყო. ქართული ეროვნული მუსიკის, წინარექრისტიანული გალობისა და სიმღერის უმთავრესი თვისება მისი პოლიფონიურობაა. ამიტომ საეკლესიო გალობის გაქართულება მის გამრავალხმიანებაში უნდა გამოვლენილიყო. ადრეულ საუკუნეებში წინარექრისტიანული ქართული საერო სიმღერა, აგრეთვე, წარმართული გალობა, მრავალხმიანი იყო. ქრისტიანული რელიგიის შემოსვლისთანავე ქართული ეკლესიის

ლიტურგიაში დიდი ადგილი დაიკავა გალობამ. თავდაპირველად იგი ერთხმიანი იყო, როგორც იმ ქვეყნების საეკლესიო გალობა, საიდანაც ქრისტიანობა შემოვიდა (პალესტინა, რომის იმპერია, სომხეთი). ქართული გალობის ერთხმიანობა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და დამკვიდრების საწყის ეტაპზე კანონზომიერი იყო, ვინაიდან საღვთისმეტყველო ლიტერატურა და ლიტურგია შემოსული, შეძენილი იყო, რაც ქართულ ეკლესიას ქრისტიანობის კერის (პალესტინა, საბერძნეთი) მიმართ ერთგულებას ავალდებულებდა. ცხადია, გალობაც ბერძნული ერთხმიანი გალობის კვალზე შესრულდებოდა. ისიც ფაქტია, რომ ახალი რელიგია, ანუ ქრისტიანობა, წინარექრისტიანულ რელიგიას ისევე უპირისპირდებოდა საქართველოში, როგორც სხვა ქვეყნებში. საეკლესიო და საერო-წარმართული მუსიკა ერთმანეთს უპირისპირდებოდა, რადგან ქრისტიანული გალობა თანდათანობით, საუკუნეების მანძილზე მკვიდრდებოდა ქართულ ეკლესიაში და ეგუებოდა ქართულ ეროვნულ ხასიათს, იძენდა ქართულ ეროვნულ თვისებებს. საეკლესიო გალობა უთუოდ უნდა გამხდარიყო ქართული მუსიკალური სამყაროს ორგანული ნაწილი. საეკლესიო გალობის მელოდია, ჰანგი, რომელიც უცხო გარემოში ხვდება, ეგუება გარემოს და ეროვნულ ნიშნებს იძენს. ბერძნულ-ბიზანტიური გალობა შევიდა არა მხოლოდ ქართულ, არამედ სხვა ქრისტიანული ქვეყნების ეკლესიებში, მაგრამ დროთა განმავლობაში ადაპტაცია განიცადა, შეეგუა ახალ სამყაროს ისე, რომ კანონიკურობა არსად დარღვეულა. ქართულ საეკლესიო გალობაში წარმართული რელიგიის ჰანგები ვერ/არ გადავიდოდა; წარმართული რელიგიის არა მხოლოდ საკულტო ლიტერატურასა და გალობათა სიტყვებს, ჰანგსაც ვერ მიიღებდა საეკლესიო გალობა, რადგან ქრისტიანობასა და წარმართობას შორის ბრძოლა მრავალმხრივ წარიმართა და, ცხადია, იგი გალობაშიც იჩენდა თავს. იგი ანგარიშს უფრო მრავალხმიან საერო სიმღერას გაუწევდა.

ამიტომ ქართული საეკლესიო გალობის გაპოლიფონიურებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საერო სიმღერის მრავალსაუკუნოვან მრავალხმიანობას. ქართველი კაცის სმენა მიჩვეული იყო მრავალხმიან სიმღერას და, პალესტინური, ბერძნული, სომხური ქრისტიანული გალობის ერთხმიანობის

კანონიკურობის ფონზე, დიდხანს ვერ იგუებდა, ვერ შეინარჩუნებდა ერთხმიან გალობას. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე დაიწყო ყოველივე ქრისტიანულის გაქართულება, ეროვნულთან მისადაგება, მათ შორის გალობისაც და ქართულ საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა მრავალხმიანობა, როგორც ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიაში ქართული საერო ლექსის მრავალსაუკუნოვანი ფორმები, კერძოდ, თექვსმეტმარცვლოვანი შაირი, ფისტიკაური და სხვანი; აგრეთვე, ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში ანტიკური არქიტექტურის ელემენტები. ქართული საეკლესიო გალობის გამრავალხმიანების პროცესის დასასრული მოსალოდნელია არა უგვიანეს VIII საუკუნის I ნახევრისა, როდესაც ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში უკვე დამთავრდა სამგალობლო რეფორმა; სამგალობლო რეფორმა საქართველოშიც მოხდა, სადაც იგი ეტაპობრივად განხორციელდა. ამიტომ იგი ადრინდელი ჩანს, ვინაიდან IV საუკუნის დასაწყისში ოფიციალურად გაქრისტიანებული საქართველოს ეკლესიის მრევლი, რომლის სმენა საუკუნეების მანძილზე მრავალხმიან სიმღერასა და წარმართული გალობის მრავალხმიანობას იყო შეჩვეული, დიდხანს ვერ იგუებდა ერთხმიან გალობას და მასში უთუოდ ადრევე შეიტანდა ეროვნული მუსიკალური სააზროვნო სისტემის უპირველეს, მთავარ მახასიათებელს - პოლიფონიურობას. ცნობილია, ყოველი ერის წარმომადგენელი გარესამყაროს აღქმას და მის გამოხატვას ყველაზე უკეთ მშობლიურ ენაზე აღწევს, რაც იმას მიუთითებს, რომ რელიგიური განცდა და განწყობაც, მელოსით გამოხატული, ყველაზე ნათლად მშობლიური მუსიკალური სისტემით აღიქმება და გადმოიცემა. ასე მოხდა ქართულ საეკლესიო მუსიკაში.

მრავალხმიანობის კანონიზება კი წმ. გრიგოლ ხანცთელის სახელს უკავშირდება. მის მიერ ლიტურგიკასა და ჰიმნოგრაფიაში ჩატარებული რეფორმა ეროვნული ხასიათისა იყო. მან შექმნა ქართული ეკლესიის კანონმდებლობა, შეადგინა წესდება//ტიპიკონი, მოამზადა ქვეყნის ერთიანობის იდეოლოგიური საფუძველი, მისი ინიციატივითა და უდიდესი ძალისხმევით ჩამოყალიბდა ქვეყნის დამოუკიდებლობის თეორიული წანამძღვარი, საუკუნეების განმავლობაში რომ

გასდევს საქართველოს ეროვნულ სულს: მამული, ენა, სარწმუნოება. წმ. გრიგოლ ხანცთელმა ჩაატარა საბოლოო რეფორმა ქართულ საეკლესიო გალობაში და მოახდინა მისი პოლიფონიურობის კანონიზება. წმ. გრიგოლ ხანცთელმა დააკანონა ქართული გალობის მრავალხმიანობა, რითაც გარდატეხა შეიტანა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში. მან ლიტურგიაც და ჰიმნოგრაფიაც ეროვნულით გააშინაარსა. ამის შედეგი იყო მის მიერ IX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე „საწელიწდო იადგარის“ შექმნა, ავტორის სიტყვით, „რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“; მართალია, გიორგი მერჩულის ამ გამონათქვამში ლოგოსი, სიტყვაა აქცენტირებული, მაგრამ წმ. გრიგოლ ხანცთელის მიერ „საწელიწდო იადგარის“ შექმნა მხოლოდ საგალობელთა ტექსტების ჩაწერით არ იქნებოდა განპირობებული, არამედ სამგალობლო პრაქტიკითაც, გალობის მრავალხმიანობით, რომლის გალობათა ტექსტებზე სპეციალური სამგალობლო ნიშნებით აღნიშვნის აუცილებლობა დროის მოთხოვნებმა მოიტანა. გასათვალისწინებელია წმ. გრიგოლ ხანცთელის ბიზანტიაში, კონსტანტინოპოლსა და მის შემოგარენში არსებულ მონასტრებში შეძენილი გამოცდილება, როდესაც მან შეისწავლა იქაური სამონასტრო ცხოვრება და საღვთისმსახურო წესები.

საგალობელთა ტექსტებზე ნევმების დასმის საჭიროება განაპირობა, ერთი მხრივ, გალობის მელოდიის, ჰანგის შენახვის აუცილებლობამ, მეორე მხრივ, სამგალობლო სკოლებში გალობის შესწავლა//სწავლების აუცილებლობამ. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში IX საუკუნის პირველი ნახევარი, კერძოდ, 20-30-იანი წლების მიჯნა, ის პერიოდია, როდესაც საბაწმიდური და კონსტანტინოპოლურ-სტუდიური წესდებებისა და გამოცდილების საფუძველზე იქმნება ქართული წესდება//ტიპიკონი როგორც ქართული ეკლესიის საკანონმდებლო დოკუმენტი და საწელიწდო იადგარი როგორც ლიტურგიის, საღვთისმსახურო პრაქტიკის წერილობითი დოკუმენტი; ორივეს შემოქმედი წმ. გრიგოლ ხანცთელია, რომელმაც განჭვრიტა საქართველოს ეკლესიის მომავალი.

ჩვენი აზრით, წმ. გრიგოლის შექმნილი „საწელიწდო იადგარი“ იყო ნევმირებული, ხოლო წმ. გრიგოლ ხანცთელი -

პირველი ქართველი მეხელი, რომელმაც მთელი წლის საგალობლების რეპერტუარი მუსიკალური ნიშნებით შეამკო. ზემოთაც აღინიშნა, რომ გალობები თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. მრავალხმიანი გალობის ზეპირი გადაცემით მისი დამახინჯების საშიშროება იქმნებოდა, ამიტომ საჭირო იყო მათი ჩაწერა მნემონური თვალსაზრისით მაინც, რისთვისაც აუცილებელი იყო მუსიკალური პირობითი ნიშნების შემოღება. ამრიგად, ნევმირების ძირითადი მიზანი საგალობელთა მუსიკალური ბუნების შენარჩუნება-შენახვა, ხმათა შეწყობა და ყოველივე ამის მომავალი თაობის მგალობელთათვის გადაცემა იყო. ამ მისიის აღსრულება მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ გრიგოლ ხანძთელს ხვდა წილად. დასანანია, რომ წმ. გრიგოლის იადგარმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

წმ. იოანე დამასკელმა, რვა ხმის გალობის რეფორმატორმა ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში, VIII საუკუნის დამდეგს პირველმა შეთხზა გალობის ტექსტიცა და მელოდიაც. მის მიერ ჩატარებული რეფორმის შედეგად VIII საუკუნის დამდეგიდან ბერძნულში დაიწყო საგალობელთა ნევმირებული ჩაწერა მისი უკეთ დახსომების მიზნით. ქართველი მოღვაწეები ძალიან სწრაფად რეაგირებდნენ ბიზანტიურ და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ეკლესიებში მიმდინარე სიახლეებზე, ამიტომ, წმ. იოანე დამასკელის კვალდაკვალ, ქართველმა მგალობელ-ჰიმნოგრაფებმა მის მიერ დანერგილი სიახლე მალევე აითვისეს. შეიქმნა მეხური (ხმით შესასრულებელი) საწელიწდო იადგარები, შემკული მუსიკალური ნიშნებით, ანუ ნევმებით. საქართველოში ნევმირება, ანუ სანოტო ნიშნების გამოყენება, განაპირობა ქართული გალობის სხვათაგან, კერძოდ, ბიზანტიური, სირიული, სომხური გალობების ხასიათისაგან, განსხვავებულობამ, ისინი ერთხმიანი იყო და ასეთად დარჩა, ხოლო ქართული გალობის ხასიათი ადრევე შეიცვალა. წმ. გრიგოლ ხანცთელმა საწელიწდო იადგარის შექმნით, რომელიც, სავარაუდოდ, ნევმირებული უნდა ყოფილიყო, დააკანონა უკვე საუკუნეთა განმავლობაში ქართულ გალობაში შესული მრავალხმიანი გალობა, რომლის ტერმინოლოგია ქართულ ჰიმნოგრაფიაში X საუკუნიდან იქმნება და ყალიბდება, ხოლო საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თვალსაზრისით XII

საუკუნეში განაზოგადა იოვანე პეტრიწმა, როდესაც ქართული გალობის სამხმიანობა გამოხატა ტერმინებით - „მზახრ, ჟირ, ბამ“; სწორედ ამ სახელწოდებებით წარმოჩნდება ქართული გალობის სამხმიანობის ეროვნული საფუძველი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მზახრ არის მაღალი ხმა, ჟირ - მაღალსა და ბოხს შორის, ბამი - ბოხი ხმა, მისივე განმარტებით, „ჴმიანობის, გაყოფილებითა შემოკრებულად დაწერა აქ მენება. დია მრავალია, სიგრძისათვის არ დავსწერე. ჴმიანება სხვასა და სხვასა ჴმის თქმა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 19661: 584-585; სულხან-საბა ორბელიანი, 19662: 440). თეორიული განზოგადება და სპეციალური დარგობრივ-საგნობრივი ტერმინოლოგიის შემუშავება ხანგრძლივი დაკვირვებისა და პრაქტიკული გამოცდილების შედეგია. ტერმინთა ჩამოყალიბებას წინ უძღვის პრაქტიკული საქმიანობის ხანგრძლივი პროცესი, რასაც, შესაძლოა, საუკუნეები დასჭირდეს. სამგალობლო ტერმინთა არსებობა X საუკუნეში კი იმას მოასწავებს, რომ საქართველოში ბევრად ადრე ითხზვებოდა ორიგინალური, ქართული მელოსის მქონე საგალობლები, ე. ი. იქმნებოდა ქართული ეროვნული სამგალობლო ტრადიცია, რის დამკვიდრებასა და კანონიზებას საუკუნეები დასჭირდა. ამრიგად, საეკლესიო გალობის გაქართულება მის მრავალხმიანობაში გამომჟღავნდა, ხოლო მრავალხმიანობა ქართველი ერის მუსიკალური სააზროვნო კატეგორიაა.

ქართულ ქრისტიანულ კანონიკურ ჰიმნოგრაფიაში შევიდა წინარექრისტიანული ანუ წარმართული დროის საერო სიმღერისა და უძველესი ქართული სალექსო ფორმების ძირითადი ეროვნული მახასიათებლები: მრავალხმიანობა და ქართული ლექსის საზომები, რაც ქართული ეროვნული ფენომენის სიძლიერეზე მეტყველებს. ჩვენამდე მოაღწიეს X საუკუნის ნევმირებულმა სინურმა იადგარებმა - Sin. 1, Sin. 14, შატბერდში 978-988 წლებში მიქაელ მოდრეკილის შედგენილმა საწელიწდო იადგარმა S-425, XI საუკუნის იორდანეს ძლისპირთა კრებულმა A-603, რომლებიც სამგალობლო ეკფონეტიკური ნიშნებითაა შემკული. როგორც ელენე მეტრეველმა განსაზღვრა მიქაელ მოდრეკილის ანდერძ-მინაწერების საფუძველზე, მათ სასწავლო დანიშნულება ჰქონდათ (მეტრეველი, 1966: 172).

მგალობლები ნევმირებულ საგალობლებს ერთმანეთს ზეპირად გადასცემდნენ. როდესაც XIX საუკუნის დამლევს ნოტებზე ჩაიწერეს საგალობელთა მელოდიები, ეს იყო მოსმენილი საგალობლების მელოდიის ჩაწერა, ძველ კრებულებში დაცული ნევმები არ გაშიფრულა, რადგან ნევმების ცოდნა დაკარგული იყო. საგალობლების მუსიკალური ჩაწერა ნოტებზე იმან განაპირობა, რომ რუსული საეკლესიო პოლიტიკის აგრესიულობის ვითარებაში არ დაკარგულიყო საგალობელთა მელოდიის ცოდნა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით ფილიმონ ქორიძეს, ვასილ, პოლიევქტოს და ფილომონ კარბელაშვილებს, რაჟდენ ხუნდაძეს, ექვთიმე კერესელიძეს, რომელთა მიერ ჩაწერილი ნოტირებული უზარმაზარი ხელნაწერები ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. XX საუკუნეში პავლე ინგოროყვამ ნევმებს მიუსადაგა ნოტები, რაც არასწორ მეთოდად იქნა მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში, რადგან ნევმა ერთიანობაში აღნიშნავს რამდენიმე ბგერას, მელოდიურ ფიგურებს. ნოტით კი ერთი ბგერა აღინიშნება. ნოტებზე ჩაწერა საჭირო იმიტომ გახდა, რომ მელოდია არ დაკარგულიყო. აქვე კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ძველ ხელნაწერებში დაცული სანოტო სისტემა ჯერჯერობით ახსნილი არ არის.

წმ. გიორგი მთაწმიდელი ქართულ გალობას მრავალხმიანად რომ აღიქვამს, უწინარეს ყოვლისა, ამას მოწმობს გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების ტექსტი. ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ თხზულებაში დაცულ ცნობას წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ გაწვრთნილი ოთხმოცი ობოლი ბავშვის გალობის შესახებ ბიზანტიის კეისრის, კონსტანტინე დუკას, წინაშე, რომელმაც ქართველ წმინდა მამას უთხრა: „განგისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა, კეთილო ბერო, შენნი ობოლნი“ (ძეგლები 1967: 184), რაც ბიზანტიის იმპერატორის განსწავლულობას მოწმობს. მან იცოდა, რომ ქართული და ბერძნული გალობების გვარები სხვადასხვა იყო; ეს სიტყვები უცილობლად ამტკიცებენ ქართული და ბერძნული გალობის სხვადასხვაობას. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით: „ათონის ქართველი ბერები თავიანთ მონასტერში ქართულსა „გუარსა ზედა“ გალობენ და ის ბერძნული გვარი გალობა, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოასმენინა, პირადად მის

საამებლად იყო მოწყობილი“ (ჯავახიშვილი, 1998: 600), ხოლო მიქაელ მოდრეკილის ანდერძის სიტყვები: „მრავლისა ძლისპირისა ერთი კილოჲ ორგუარად არს მეხურად; ხოლო შენ რომელი გინე, ბრძანე, რამეთუ ორივე ჭეშმარიტ არს“ (S-425, 27r) - ორხმიანობის დადასტურებად მიიჩნია. „ორ ხმაზე რომ არ იყოს საუბარი, რატომ და რისთვის უნდა ყოფილიყო ორი პარალელური ჰანგი ერთი საგალობლისა?“ (ჯავახიშვილი, 1998: 600). მისივე აზრით, ქართული გალობის მრავალხმიანობა ეტაპობრივად უნდა მიღწეულიყო, თავდაპირველად იგი იყო ერთხმიანი, შემდეგ გახდა ორხმიანი და ბოლოს გახდა სამხმიანი, რასაც განმარტავს იოანე პეტრიწი ხმათა სახელდებით („მზახრ, ჟირ, ბამ“). დიდ მეცნიერს ეტაპობრივი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა არ აღუნიშნავს.
ჩნდება კითხვა: მეხურობა, რომელსაც პირველად მიქაელ მოდრეკილის იადგარში ვხვდებით, გალობის ტექსტზე მრავალხმიანობის აღმნიშვნელი ეკფონეტიკური ნიშნების მიწერასაც ხომ არ ნიშნავს? მიქაელის იადგარი სწორედ ამას უნდა მიუთითებდეს, რადგან მიქაელის საწელიწდო იადგარში მუსიკალური ნიშნები სტრიქონზე ორ რიგადაა განლაგებული: სტრიქონს ზედა და სტრიქონს ქვედა რიგებში; მათი ფორმა, ხმის ამაღლებისა და დაწევის მითითებათა გამოსახულებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, რაც პირდაპირ მიუთითებს ხმათა სხვადასხვაობას, ე.ი. ქართული გალობის მრავალხმიანობას. სტრიქონს ზედა ხაზზე განლაგებული ეკფონეტიკური ნიშნები განკუთვნილი უნდა იყოს პირველი ხმისთვის („მზახრ“), რომელსაც მიჰყვება მეორე ხმა („ჟირ“), ხოლო სტრიქონს ქვედა ხაზზე განლაგებული ეკფონეტიკური ნიშნები განკუთვნილი ჩანს მესამე ხმისთვის („ბამ“).

ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას მოწმობს წმ. გიორგი მთაწმინდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც ათონის ივირონის მონასტრის ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ აღნიშნა ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა და დაასაბუთა მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა. გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულება მოგვითხრობს წმ. გიორგი მთაწმინდელისა და ანტიოქიის პატრიარქის თევდოსის შეხვედრის მიზანზე. მსჯელობა შეეხებოდა ქართველთა მართლმადიდებლობისა და ქართულ

ეკლესიაში ლიტურგიის აღსრულების საკითხს. წმ. გიორგი მთაწმინდელმა წმ. ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვანის“ მონაცემების საფუძველზე ანტიოქიის პატრიარქს დაუმტკიცა ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა, დაიცვა მისი ავტოკეფალურობა. წმ. გიორგი მთაწმინდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან მოწმობს ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობასაც, როდესაც ივირონის ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ ქართული ეკლესიის საუკუნეობრივი დამოუკიდებლობა, სამოციქულო წილხვედრილობა და მართლმადიდებლობის განუხრელი დაცვა შეძლო. მან განაცხადა, რომ ქართული ეკლესია არასოდეს მიდრეკილა რომელიმე მწვალებლური მიმდინარეობისაკენ: „ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ. და რაჟამს ერთგზის გჳცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ არცა მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“ (ძეგლები, 1967: 178). იმ დროისათვის, როდესაც ეს პოლემიკა გაიმართა წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობა აღიარებული რომ არ ყოფილიყო, ანტიოქიის პატრიარქი წმ. გიორგი მთაწმინდელს უთუოდ უსაყვედურებდა და ლიტურგიის არაკანონიკურობაში დასდებდა ბრალს. პოლემიკის ინიციატორი ანტიოქიელი მაღალი იერარქიის წარმომადგენლებიც წმ. გიორგი მთაწმინდელის სიტყვებს არ ენდობოდნენ, მის მტკიცებულებას არ გაიზიარებდნენ და რაიმე საწინააღმდეგო საბუთს უთუოდ მოიხმობდნენ. წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი არაპირდაპირ, ირიბად იმას მოწმობს, რომ ამ დროისათვის ქართული გალობის მრავალხმიანობა საუკუნეებგამოვლილია, კანონიკურია და იგი საკამათო არაა.

ელენე მეტრეველმა თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კითხვაზე: „არსებობდა თუ არა განსხვავება ქართულ და ბერძნულ საგალობო ტრადიციებს შორის, ანუ ჰქონდათ თუ არა ქართველებს საკუთარი საეკლესიო ჰანგები“, განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ტერმინ „მეხელს“ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. „მეხელი“ უკავშირდება ბერძნულ ἦχος-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ „იმ დროის ქართველებს თავისი „მეხელობა“, თავისი ჰანგი უნდა ჰქონოდათ. რადგან არსებობს ტერმინი და ამ ტერმინს

განსაზღვრული შინაარსი გააჩნია, ცხადია, გვქონდა არა მხოლოდ საკუთარი ჰანგი-მელოდია, არამედ - საკუთარი წესიც მისი შესრულებისა... რადგან არსებობდა ტერმინი „მეხელი“, აუცილებლად უნდა არსებულიყო ადგილობრივი სამგალობლო ტრადიცია, შესაძლოა, ბევრი რამ გადმოვიდა კიდეც ბერძნულიდან, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი ტრადიცია უნდა ყოფილიყო“. მორიგი კითხვა შეეხებოდა ამ ტრადიციაში მრავალხმიანობის ადგილსა და როლს: „შესაძლებელია ეს ადგილობრივი ტრადიცია გამოხატულიყო მრავალხმიანობაში?“ რასაც ელენე მეტრეველი დაეთანხმა და, ბოლოს, კითხვაზე, დაშორდებოდა თუ არა კანონიკურ საფუძველს ქართული ტრადიციის ზეგავლენით გამრავალხმიანებული საგალობო ჰანგი, მან უპასუხა, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო (მეტრეველი, 2002: 113-114).

აღსანიშნავია, რომ ყოველი ერის სააზროვნო სისტემა, გამოხატული სიტყვით, ფერით, მუსიკალური ბგერით, პლასტიკით, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ემყარება თვით ერის „ფსიქიურს გზასა და კვალს“. ის, რაც წერილობით, ეპიგრაფიკულ, ხუროთმოძღვრულ, ფერწერულ ძეგლებს არ დაუცავს და არ შემოუნახავს, შესაძლოა, დაცული იყოს არამატერიალურ სფეროში, გალობა-სიმღერაში, ცეკვაში. ამიტომ, ამა თუ იმ ერის მუსიკალური ფენომენი ემყარება იმ სისტემას, რომლითაც იგი აზროვნებს, რაც იმას ნიშნავს, ბერძნული საეკლესიო მელოდიების გაქართულება ადრევე დაიწყო, რამაც შედეგად მოიტანა ქართული გალობის მრავალხმიანობა, რაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით იყო განმტკიცებული. ქართული ორიგინალური მრავალხმიანი გალობის წარმოშობას წინ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი უძღოდა; ეს იყო ყოველივე ქრისტიანულის გაქართულების პერიოდი, მათ შორის გალობისა. მრავალხმიანობა ქართველი ერის მუსიკალური სააზროვნო კატეგორიაა, რომელიც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, 326 წლის შემდეგ, რაც შეიძლება ადრე უნდა შესულიყო ქართულ საეკლესიო გალობაში.

დასკვნები და შედეგები: 1. ქართული ჰიმნოგრაფიული თხზულებები და მათ შემცველ ხელნაწერებზე დართული ანდერძ-მინაწერები ის წერილობითი წყაროებია, რომლებიც გვაწვდიან

ცნობებს საეკლესიო გალობის მუსიკალური რაობის, ნევმირების შესახებ. მიუხედავად ამ ცნობების სიმწირისა, მაინც შესაძლებელი ხდება ქართული ქრისტიანული გალობის ეტაპობრივი განვითარების გზის წარმოჩენა, რაც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა.

2. პირველი ეტაპი იყო ჰიმნოგრაფიული ტექსტების თარგმნა და პარალელურად ორიგინალური თხზულებების შექმნა; ასევე, ქართული გალობის გამრავალხმიანება.

3. მეორე საფეხურად უნდა მივიჩნიოთ ნევმური სისტემის შემოღება ქართულ ჰიმნოგრაფიაში სამგალობლო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, რათა საგალობლის მელოდია, ჰანგი ჩაწერილი ყოფილიყო და დროთა განმავლობაში ზეპირო გადაცემით არ შეცვლილიყო. ყოველივე ეს VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე წმ. იოანე დამასკელის მიერ ბერძნულ ჰიმნოგრაფიაში სამგალობლო და ჰიმნოგრაფიულ რეფორმას მოჰყვა. ქართულმა ნევმურმა სისტემამ თავისი არსებითი ხასიათი შეიმუშავა: ნევმების სტრიქონსზედა და სტრიქონსქვედა ხაზებზე განთავსება, რითაც არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიურისაგან, რადგან ბერძნულ საგალობლებს ნევმები ერთ სტრიქონზე დაესმის. ნევმური სისტემის ნიმუშები დაცულია X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკულ კრებულებში: ორ სინურ იადგარში Sin. 1, Sin. 14, 978-988 წლებში შატბერდში მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ საწელიწდო იადგარში S-425 და XI საუკუნის ე.წ. იორდანეს ძლისპირთა და ღმრთისმშობლისანთა კრებულში - A-603.

4. მესამე ეტაპი ჰიმნოგრაფიულ ტერმინთა ჩამოყალიბებაა, რაც, ძირითადად, IX-XII საუკუნეებში განხორციელდა და დაასრულა იოანე პეტრიწმა, როდესაც განაზოგადა ქართული გალობის სამხმიანობა და გამოხატა ტერმინებით „მზახრ, ჟირ, ბამ“.

5. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აუცილებელი გახდა საგალობლების ჩაწერა ნოტებზე, რათა არ დაკარგულიყო საგალობელთა მელოდიის ცოდნა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით ფილიმონ ქორიძეს, ძმებს - ვასილ, პოლიევქტოს და ფილიმონ კარბელაშვილებს, რაჟდენ ხუნდაძეს, ექვთიმე კერესელიძეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ავგუსტინე, ავრელიუს (Augustine, Aurelius). De Musica. წიგნში: Patrologia Latina, ტ. 32, სვ. 1081-1194.

ველეში, ეგონ (Wellesz, Egon). 1980. A History of Byzantine Music and Hymnography. Oxford: Oxford University Press.

კეკელიძე, კორნელი. 1961. „Грузинская версия арабского Жития Иоанна Дамаскина“. წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კელერი, ადალბერტ (Keller, Adalbert). 1993. Aurelius Augustinus und die Musik. Würzburg: Augustinus-Verlag.

მეტრეველი, ელენე. 1966. „'მეხელისა' და 'მეხურის' გაგებისათვის“. წიგნში: შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი). თბილისი: მეცნიერება.

მეტრეველი, ელენე. 2002. „ინტერვიუ ელენე მეტრეველთან“. წიგნში: ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები. თბილისი: [გამომცემლობა].

ორბელიანი, სულხან-საბა. 1966. ლექსიკონი ქართული. ტ. I-II. ილია აბულაძის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

სულავა, ნესტან. 2003. „'ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის'“. წიგნში: ლიტერატურული ძიებანი, № XXIV, 23-54. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. 1967. წიგნი II. რედაქტორი ილია აბულაძე. თბილისი: მეცნიერება.

ჯავახიშვილი, ივანე. 1998. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თხზულებანი, ტ. XI. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

References

Augustine, Aurelius. De Musica. In: Patrologia Latina, Vol. 32, Col. 1081-1194. (in Latin)

Dzveli kartuli agiograpiuli lit'erat'uris bleglebi [Monuments of Old Georgian Hagiographic Literature]. 1967. Book II. Edited by Ilia Abulabe. Tbilisi: Mecniereba. (in Georgian)

Javaxišvili, Ivane. 1998. Kartuli musik'is ist'oriis biritadi sak'itxebi [Main Issues of the History of Georgian Music]. Works, Vol. XI. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomcemloba. (in Georgian)

K'ek'elidze, K'orneli. 1961. "Gruzinskaya versiya arabskogo Zhitiya Ioanna Damaskina" [The Georgian Version of the Arabic Life of John of Damascus]. In: Et'iudebi bveli kartuli lit'erat'uris ist'oriidan [Studies in the History of Old Georgian Literature], Vol. VII. Tbilisi: Tbilisis saxelmc'ipo universit'et'is gamomcemloba. (in Georgian)

Keller, Adalbert. 1993. Aurelius Augustinus und die Musik. Würzburg: Augustinus-Verlag. (in German)

Met'reveli, Elene. 1966. "'Mexelisa' da 'mexuris' gagebisatvis" [For the Understanding of 'Meheli' and 'Mehuri']. In: Šota Rustaveli (ist'oriul-pilologiuri biebani). Tbilisi: Mecniereba. (in Georgian)

Met'reveli, Elene. 2002. "Int'erviu Elene Met'reveltan" [Interview with Elene Metreveli]. In: Kartuli saek'lesio galobis tanamedrove p'roblemebi. Tbilisi: [Publisher]. (in Georgian)

Orbeliani, Sulxan-Saba. 1966. Lexik'oni kartuli [Georgian Dictionary]. Vol. I-II. Edited by Ilia Abulabe. Tbilisi: Sabč'ota Sakartvelo. (in Georgian)

Sulava, Nestan. 2003. "'Kartulita enita žami šeic'irvis'" ['The Liturgy is Performed in the Georgian Language']. In: Lit'erat'uruli biebani, No. XXIV, 23-54. Tbilisi: Šota Rustavelis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'i. (in Georgian)


Wellesz, Egon. 1980. A History of Byzantine Music and Hymnography. Oxford: Oxford University Press.

წყაროები:



სურ. 1 მიქაელ მოდრეკილის საწელიწდო იადგარი S-425, აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სურ. 2 მიქაელ მოდრეკილის საწელიწდო იადგარი S-425, აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



სურ. 3 მიქაელ მოდრეკილის საწელიწდო იადგარი S-425, აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



სურ. 4 წმ. გრიგოლ ხანცთელის მინიატურა ხელნაწერში S-3269, აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დიანა მიქელაძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ელფოსტა: dk.mikeladze@gmail.com

ეკოლოგიური დისტოპია და გლობალური პასუხისმგებლობა მარგარეტ ეტვუდის პროზაში

მოკლე შინაარსი

მარგარეტ ეტვუდის შემოქმედება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და შთამბეჭდავ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება ლიტერატურამ გააღვივოს საზოგადოებრივი თვითშეცნობადობა და გააძლიეროს დისკურსი გარემოსდაცვით და ეთიკურ საკითხებზე. ეტვუდის დისტოპიური რომანები, როგორიცაა: „ორიქსი და კრეიკი“, (Oryx and Crake) და „წარღვნის წელი“ (The Year of the Flood) არა მხოლოდ აფრთხილებენ კაცობრიობას მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფების შესახებ, არამედ აჩვენებენ, როგორ შეიძლება სიხარბემ და ტექნოლოგიურმა ზეწოლამ დააზიანოს ბუნება, საზოგადოება და ადამიანის თვითმყოფადობა.

ნაშრომში გადმოცემულია ავტორის ხედვა კლიმატის ცვლილების, გენეტიკური ინჟინერიისა და კაპიტალისტური ღირებულებების გამანადგურებელი ეფექტების შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მდგრადობისა და ეთიკური პრინციპების დაცვის აუცილებლობის წარმოჩენას, რაც ნაწარმოებში ნაჩვენებია ქალი პერსონაჟებისა და რელიგიური ბუნების მქონე გაერთიანებების საშუალებით. სწორედ ისინი ასრულებენ მორალური ორიენტირების მქონე ძალების ფუნქციას, რომლებიც უპირისპირდებიან დისტოპიურ რეალობაში გამეფებულ სამეცნიერო ცინიზმსა და კაპიტალისტურ ინსტრუმენტალიზმს. რომანში „ორიქსი და კრეიკი“ მწერალი პერსონაჟების მეშვეობით მკაფიოდ გამოხატავს პოზიციას, რომ ტექნოლოგიური განვითარება არ უნდა განხორციელდეს ეთიკური სტანდარტების უგულებელყოფით – პირიქით, სწორედ ჰუმანური

ღირებულებები უნდა წარმოადგენდეს პროგრესის მორალურ საზღვრებს.

ნაწარმოებში მწერალი აღწერს სამყაროს, რომელიც განადგურებულია ბიოტექნოლოგიური ექსპერიმენტებისა და გარემოს იგნორირების შედეგად. აქ გენეტიკურად მოდიფიცირებული ადამიანების – "კრეიკების" – შექმნა დაფუძნებულია სამეცნიერო ამბიციაზე, რომელიც იწვევს ადამიანური ეთიკის დაკარგვას. ამ გზით ეტვუდი მკითხველს მოუწოდებს დაფიქრდეს, თუ სად გადის ზღვარი პროგრესსა და პასუხისმგებლობას შორის.

ნაწარმოებში- „წარღვნის წელი“, მწერალი ახერხებს ეკო-რელიგიური ჯგუფის, ე.წ. „ღმერთის მებაღეების“ საშუალებით სამყაროს გადარჩენას, რაც ეკოლოგიური ცნობიერებისა და სულიერების შერწყმაში გამოიხატება. ეტვუდის მიხედვით, ჰარმონია ბუნებასთან და საზოგადოებრივი თანაარსებობა გადამწყვეტ როლს ასრულებს გადარჩენისთვის. ეს ხედვა მკაფიოდ ეწინააღმდეგება თანამედროვე ინდუსტრიულ და მტაცებლურ ეკონომიკურ მოდელს, რომელიც ეფუძნება რესურსების განუსაზღვრელ მოხმარებასა და ბუნების ექსპლუატაციას. “Nature is to zoos as God is to churches.” (ეტვუდი, 2003: 206).

საკვანძო სიტყვები: გარემოსდაცვითი, სამეცნიერო პროგრესი, ბიოტექნიკური, ეკო-რელიგიური, ალტერნატიული, კლიმატური ცვლილებები, კრეიკები.

Diana Mikeladze
Samtskhe-Javakheti State University, Akhaltsikhe, Georgia,
Doctor of Philology, Associate Professor,
Email: dk.mikeladze@gmail.com

ECOLOGICAL DYSTOPIA AND GLOBAL RESPONSIBILITY IN MARGARET ATWOOD'S PROSE

Abstract

The article discusses Margaret Atwood's work as one of the most important and impressive examples of how literature can awaken public self-awareness and strengthen discourse on environmental and ethical issues.

Atwood's dystopian novels, such as "Oryx and Crake" and "The Year of the Flood", not only warn humanity of impending ecological catastrophes but also show how technological pressures and human greed can damage nature, society, and human identity. Atwood offers readers complex and multidimensional stories that combine fantasy, reality, scientific progress, and moral dilemmas. In Oryx and Crake, she describes a world devastated by biotechnological experiments and environmental neglect. Here, the creation of genetically modified humans so-called "crakers" – represent both scientific ambition and the loss of human ethics. In this way, Atwood invites readers to reflect on where the line between progress and responsibility is drawn. In "The Year of the Flood", the writer manages to save the world through an eco-religious group, the "Gardeners of God." Their approach, which combines ecological awareness and spirituality, creates an alternative narrative in which harmony with nature and social coexistence play a crucial role in survival. Atwood's vision is opposed to the modern industrial and predatory economic model, which is based on the deterministic consumption of resources and the exploitation of nature. Atwood is not limited to scientific and ecological topics; her novels about gender inequality, violence, and women's resilience are set in a real environment. The characters of the work are symbols of women's strength, their indomitable nature, who manage to survive and maintain dignity in difficult social conditions.

Keywords: environmental, scientific progress, biotechnical, eco-religious, alternative, climate change, Crakes..

შესავალი: ლიტერატურას ყოველთვის მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და თანამედროვე პრობლემების ასახვაზე. დღევანდელ გლობალურ სამყაროში, სადაც ეკოლოგიური კრიზისები, ტექნოლოგიური რისკები და კორპორაციული კონტროლი უფრო აშკარა და მწვავე ხდება, ლიტერატურა აღარ განიხილება მხოლოდ გართობის ან ესთეტიკური სიამოვნების წყაროდ. იგი გადაიქცა საკვანძო სივრცედ, სადაც ხდება გლობალური გამოწვევების გააზრება, კრიტიკული შეფასება და სამოქალაქო დისკურსის წახალისება. ამ მხრივ, მარგარეტ ეტვუდი — კანადელი მწერალი, პოეტი და ესეისტი — ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად გვევლინება, მისი დისტოპიური რომანები, განსაკუთრებით

„ორიქსი და კრეიკი“, (Oryx and Crake) და „წარღვნის წელი“, (The Year of the Flood) წარმოადგენენ უაღრესად მნიშვნელოვან ლიტერატურულ გამოხმაურებას 21-ე საუკუნის ეკოლოგიურ და ეთიკურ პრობლემებზე. ეტვუდის შემოქმედება ასახავს იმას, თუ როგორ შეუძლიათ მწერლებს წინასწარ განჭვრიტონ მომავალი კრიზისი და მკითხველს შესთავაზონ ალტერნატიული ხედვები იმაზე, თუ რა გზით შეიძლება განვითარდეს კაცობრიობა, თუ ის არ გაიაზრებს საკუთარ დამოკიდებულებას ბუნებასთან, ტექნოლოგიასთან და საზოგადოებრივ ღირებულებებთან. მაშინ, როცა თანამედროვე დისკურსში გარემოსდაცვითი პრობლემები ხშირად განიხილება პოლიტიკისა და მეცნიერების ჭრილში, ეტვუდს შემოაქვს ჰუმანური, ემოციური და ფილოსოფიური განზომილება თემებში. მისი ლიტერატურა მოახლოებული საშიშროებისა და შემოქმედებითი წარმოსახვის სინთეზია, გამაფრთხილებელი წარმოსახვაა იმ საბედისწერო სამყაროზე, რომელიც შეიძლება რეალობად იქცეს, თუ ადამიანური ქმედებები და მიდგომები არ შეიცვლება.

ეტვუდის შემოქმედება მდიდარია რთული და მრავალგანზომილებიანი სიუჟეტებით, სადაც ერთმანეთს ერწყმის ფანტასტიკა, რეალობა, სამეცნიერო პროგრესი და მორალური საკითხები. მარგარეტ ეტვუდის რომანები: „ორიქსი და კრეიკი“ და „წარღვნის წელიწადი“ წარმოადგენს ძლიერ ლიტერატურულ გამოხმაურებას თანამედროვე სამყაროში არსებულ ეკოლოგიურ და ეთიკურ პრობლემებზე. ეტვუდის ნამუშევრები ეკოკრიტიკული და ფემინისტური პერსპექტივიდან გვაჩვენებს ადამიანის გაუცნობიერებელ ჩარევას ბუნებრივ კანონზომიერებებში და ამ ჩარევის არასახარბიელო შედეგებს.

ნაშრომის **მიზანია** გაანალიზოს, როგორ წარმოადგენს მარგარეტ ეტვუდი გარემოსდაცვით პრობლემებს ლიტერატურულ სივრცეში და როგორ ახდენს გავლენას მკითხველის ცნობიერებაზე

ნაშრომის **აქტუალობა** უდავოა, რადგან მარგარეტ ეტვუდის დისტოპიური რომანები, როგორიცაა: „ორიქსი და კრეიკი“ და „წარღვნის წელი“, არა მხოლოდ მხატვრულად ასახავენ

ეკოლოგიური და ეთიკური პრობლემების არასახარბიელო შედეგებს, არამედ მკითხველს სთავაზობენ შესაძლებლობას, დაფიქრდეს ადამიანის პასუხისმგებლობაზე ბუნებისა და მომავლის წინაშე. თემის აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ ეტვუდის ტექსტები სინთეზურად აერთიანებს გარემოს, ტექნოლოგიების და კაპიტალიზმის კრიტიკას — საკითხებს, რომლებიც თანამედროვეობისთვის უკიდურესად რელევანტურია. ამგვარად, მისი ლიტერატურა ფუნქციონირებს როგორც გაფრთხილება, როგორც მსჯელობის არეალი და როგორც ინსტრუმენტი ცნობიერების გასაღრმავებლად გარემოსდაცვით საკითხებზე.

მეთოდები: კვლევა ეყრდნობა ლიტერატურულ ანალიზს, რომელიც მოიცავს პირველწყაროებს — თავად ეტვუდის ტექსტებს — და კრიტიკულ ნაშრომებს, რომლებშიც გაანალიზებულია მწერლის შემოქმედების მთავარი თემები და ღირებულებები. გამოყენებულია ტექსტის სიღრმისეული კვლევა და თემატური ანალიზი, რათა გამოიკვეთოს, როგორ გადააქცევს ეტვუდი მხატვრულ ტექსტს საზოგადოებრივი დიალოგის პლატფორმად და საკმაოდ გაბედულ მოწოდებად გლობალური პასუხისმგებლობისკენ.

კვლევის შედეგები: მარგარეტ ეტვუდის რომანების ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ ლიტერატურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გააზრებასა და კრიტიკულ შეფასებაში. ნაწარმოებები: „ორიქსი და კრეიკი“ და „წარღვნის წელი“ არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებებია, არამედ სტრატეგიული ინსტრუმენტებიც, რომლებიც მკითხველს შთააგონებს ეკოლოგიურ თვითრეფლექსიასა და გონივრულ ქმედებას. ეტვუდის გამაფრთხილებელი სამყაროს აღწერა, სადაც კორპორაციული ინტერესები ჭარბობს მორალურ პასუხისმგებლობას, ზნეობრივი ეთიკის ნორმებს და ბუნების პატივისცემას, მკითხველს არა მხოლოდ აფრთხილებს მომავალი საფრთხეების შესახებ, არამედ აქტიურად უბიძგებს მათ, იფიქრონ საკუთარ წილ

პასუხისმგებლობაზე კლიმატის ცვლილების პროცესში. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი დასკვნა ის არის, რომ ეტვუდის ლიტერატურული სტრატეგია — დისტოპიური რეალობის და ბიოტექნოლოგიური ექსპერიმენტების საშუალებით — ქმნის პლატფორმას, სადაც შესაძლებელია გლობალური დისკურსის გახსნა ისეთი თემების ირგვლივ, როგორიცაა: ბუნებრივი რესურსების არაეთიკური გამოყენება, გარემოს განადგურება და კორპორატიული მმართველობის უკონტროლო ზრდა. ამასთან, ავტორი იკვლევს ადამიანის იდენტობას და მისი გადარჩენის უნარს პოსტკატასტროფულ გარემოში, რაც მის ტექსტებს ჰუმანურ ღირებულებას ანიჭებს.

ეტვუდის ნაწარმოებების მიხედვით ლიტერატურა აღარ არის მხოლოდ რეალობის ანარეკლი — იგი თავად ხდება ჩართული გლობალურ პროცესებში. ავტორი აერთიანებს მეცნიერებასა და ხელოვნებას, რითიც ასახავს ლიტერატურის ინტერდისციპლინურ ბუნებას. მისი ტექსტები მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ დარგებთან, როგორიცაა ეკოლოგია, ბიოეთიკა, პოლიტიკური მეცნიერება და ფემინისტური თეორია, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ სოციალურ და აკადემიურ მნიშვნელობას. გარდა ამისა, ეტვუდი თავისი ნაწარმოებების საშუალებით ახერხებს იმ დისტანციის გადალახვას, რომელიც ხშირად არსებობს აკადემიურ დისკურსსა და ფართო საზოგადოებრივ ჩართულობას შორის. მაშინ, როდესაც კლიმატის ცვლილება და ბიოეთიკური საკითხები ხშირად რჩება სპეციალისტთა დისკუსიის ფარგლებში, ეტვუდის მხატვრული ტექსტები ამ პრობლემებს სიცოცხლეს სძენენ — ემოციური, პერსონალური და მოქმედებაზე ორიენტირებული პერსპექტივიდან. მკითხველი არ რჩება პასიური დამკვირვებელი, პირიქით — ტექსტის გავლენით მას უყალიბდება ეკოლოგიური შეგნება და მასში იბადება პასუხისმგებლობის გრძნობა.

საბოლოო ჯამში, მარგარეტ ეტვუდის რომანების ანალიზი ადასტურებს, რომ ლიტერატურა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს გლობალური ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებას.

მისი ტექსტები მკითხველს არა მხოლოდ საგანმანათლებლო და ესთეტიკურ გამოცდილებას აძლევს, არამედ სოციალური ქმედებისკენ უბიძგებს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს თანამედროვე ლიტერატურის კვლევის აუცილებლობას არა მხოლოდ როგორც კულტურული ფენომენის, არამედ ,როგორც აქტიური ინსტრუმენტის, რომელიც ჩვენს დროსა და მომავალზე ზემოქმედების პოტენციალს ფლობს.

მსჯელობა: მარგარეტ ეტვუდი, დაიბადა 1939 წელს კანადაში, იგი არის ნაყოფიერი მწერალი, რომლის შემოქმედება მოიცავს პროზას, პოეზიასა და კრიტიკულ ესეებს. იგი განსაკუთრებით ცნობილია შორსმჭვრეტელი ხედვით, მწერალი თავის შემოქმედებაში ხშირად იკვლევს გარემოს დეგრადაციის, გენდერული პოლიტიკისა და სოციალური კოლაფსის თემებს. ეტვუდის ინტერესი გარემოსდაცვით საკითხებში ღრმად არის ჩაბეჭდილი მის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით რომანებში: „ორიქსი და კრეიკი“, და „წარღვნის წელი“, რომლებიც გვიწინასწარმეტყველებენ და ასახავენ დისტოპიურ მომავალს, რაც უკონტროლო კორპორაციული მტაცებლობისა და ეკოლოგიური განადგურების ფატალური შედეგის საფუძველია მარგარეტ ეტვუდის დისტოპიური რომანი „ორიქსი და კრეიკი“ თანამედროვე სამყაროს კრიტიკულად წარმოსახული ვერსიაა, სადაც ტექნოლოგიამ, გენეტიკურმა ინჟინერიამ, კორპორაციების სიხარბემ და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ კაცობრიობა თითქმის სრულიად გაანადგურა. წიგნი წამოჭრის მნიშვნელოვან ეკოლოგიურ, ეთიკურ და სოციალურ საკითხებს.

რომანის მთავარი გმირია ჯიმი, რომელსაც შემდგომში თოვლის კაცი (Snowman) ეწოდება. რომანი ორ დროში ვითარდება: წარსულსა და აწმყოში. წარსულის მონაკვეთები ასახავს ჯიმის ბავშვობას და იმ მოვლენებს, რომლებმაც კაცობრიობის კოლაფსი გამოიწვია. ჯიმი იზრდება ტექნოლოგიურად დახვეწილ, მაგრამ სოციალურად ღრმა კრიზისში მყოფ საზოგადოებაში. ის ცხოვრობს სპეციალურ „კომპაუნდში“, რომელიც მხოლოდ მაღალი რანგის და მაღალკვალიფიციური კორპორაციული მუშაკებისთვისაა

განკუთვნილი. საზოგადოება მკვეთრადაა დაყოფილი ელიტურ და ღარიბ ფენებად – ელიტები ცხოვრობენ უსაფრთხო, მაღალი ტექნოლოგიებით დაცულ ზონებში, დანარჩენი მოსახლეობა კი სიღარიბესა და კრიმინალით სავსე ჭაობში იხრჩობა.

ჯიმი იღვიძებს პოსტ-აპოკალიფსურ სამყაროში, სადაც თითქმის ყველა ადამიანი გამქრალია და მხოლოდ გენეტიკურად მოდიფიცირებული არსებები – „კრეიკები“ – არსებობენ. კრეიკები გამოგონილი, ადამიანზე მეტად დახვეწილი არსებები არიან, რომლებიც შექმნა ჯიმის ბავშვობის მეგობარმა, გენეტიკურმა ინჟინერმა- გლენმა, რომელიც შემდეგ თავს კრეიკს უწოდებს. კრეიკი მუშაობს წამყვან ბიოტექნოლოგიურ კომპანიაში და ქმნის ახალ არსებებს – „კრეიკებს“, რომლებიც კაცობრიობის განახლებული, იდეალური სახეები უნდა ყოფილიყვნენ. კრეიკი საკმაოდ ჭკვიანი, ინტელექტუალური, ლოგიკურ აზროვნებით უბადლო და იდეალისტი ახალგაზრდა ადამიანია, რომელიც ბავშვობიდანვე ეჭვის თავალიათ უყურებს საზოგადოებას, მას სძულს თანამედროვე კაცობრიობის სისასტიკე, სიხარბე და გარემოზე მათი დამანგრეველი ზემოქმედება.ის კრიტიკულად უყურებს კაცობრიობის მორალურ დეგრადაციასა და ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებულ გამოყენებას. სწორედ ამ ნეგატიური თვისებებისა და ქმედებების აღმოსაფხვრელად იგი ქმნის სრულიად ახალ ქმნილებებს, რომლებიც სუფთა ფურცლიდან იწყებენ ცხოვრებას, რომელთა ქცევა წინასწარ განსაზღვრულია გენეტიკურად. ე.წ. კრეიკები არ იცნობენ აგრესიას, შურს, საკუთრებას და რელიგიას – ისინი მხოლოდ პირველყოფილი, მშვიდობიანი არსებებით არიან წარმოდგენილნი თუმცა ბუნდოვანი მომავლით.

“Don’t we all want to live in a perfect world?” said Crake. “As a species we’re doomed by hope, then?” (ეტვუდი, 2003: 304).

კრეიკი მიიჩნევდა, რომ ადამიანის ბუნება და მისი ქმედებები იმდენად ნეგატიურია, რომ აღარ ექვემდებარება გამოსწორებას. ამიტომ ახალი არსებების შექმნასთან პარალელურად, მან შექმნა ვირუსი, რომელმაც გაანადგურა

კაცობრიობა, რათა კრეკერებს გზა გათავისუფლებოდათ წარსულის „გადმონაშთებისაგან“.

კრეიკის ამორალური საქციელი -ადამიანის მოსპობა, მისთვის ლოგიკურად და ეთიკურად გამართლებული იყო, რადგან ახალ არსებებს უკეთესად ეარსებათ. ერთადერთი არსება ადამიანთა მოდგმიდან, რომელიც კრეიკის გამანადგურებელ ვირუსს გადაურჩა, ჯიმია, იგი რეალობიდან გადაადგილდება პოსტაპოკალიპტურ ლანდშაფტში, სადაც ბატონობენ გენეტიკურად მოდიფიცირებული არსებები და ადამიანის ცივილიზაციის ნარჩენები. ნაწარმოები წარმოადგენს კორპორატიული კონტროლის კრიტიკას სამეცნიერო მიღწევებზე. — აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება უკონტროლო კაპიტალიზმმა და დაუფიქრებელმა ექსპერიმენტებმა კატასტროფული შედეგები მოიტანოს (ბოუსონი, 2004). სნოუმენის, იგივე ჯიმის და კრეიკის ბავშვობიდან დაწყებული მეგობრობა სიმბოლურია: ჯიმი ჰუმანურობის, სიკეთის ადამინთა მოდგმის საუკეთესო სიმბოლოა, კრეიკი კი ცივი ლოგიკის და ტექნოლოგიური იდეალიზმის განსახიერებაა. სიმბოლურია ჯიმის (სნოუმენის) გადარჩენა სრულიად მარტო ახალ არსებებთან, ის მეგობარმა კაცობრიობის ბინადრად დატოვა,შემხსენებლად იმისა, რომ კაცობრიობის გადაშენებაში, უპირველესად, თვით ადამიანია დამნაშავე, რადგან სიხარბითა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, მან ბიოეთიკური ზღვარი გადაკვეთა, დაკარგა უპირველესად მორალი, სოლიდაროზა, სიყვარული. ჯიმი არის სიმბოლური სახე, ერთგვარი მემატიანე ადამიანის კულტურისა და ენის, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს სიტყვები, ისტორია, ლიტერატურა, თუმცა ხედავს, როგორ ქრება ყველაფერი. იგი ტრაგიკული ფიგურაა, რომელიც დანგრეული სამყაროს მოგონებებით ცხოვრობს, ჯიმი ადამიანის და მისი ადამიანური ბუნების უკანასკნელი ხმაა ახალ სამყაროში, რომელიც აღარ არის ადამიანისთვის შექმნილი. ის გადარჩა თითქოს იმისთვის , რომ აღეზარდა ახალი არსებები -კრეიკები, თუმცა ორ სხვადასხვა სამყაროს არ ესმით ერთმანეთის, ისინი სრულიად განსხვავებულნი არიან.

ნაწარმოების მნიშვნელოვანი ფიგურაა ორიქსიც, რომელიც ორივე მეგობარს სიგიჟემდე უყვარდა. ქალი, რომლის წარსული და იდენტობა ბუნდოვანია, მისი წარსული გაურკვეველი და მტკივნეულია. ის ბავშვობაში სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი იყო, სავარაუდოდ, იგი აზიიდან გაყიდეს სიღარიბის გამო. საბოლოოდ ის კრეიკმა დაასაქმა „მასწავლებლად“, რომელსაც მისი ქმნილებებისთვის - კრეიკებისთვის სიყვარული, სიკეთე, ბუნებასთან თანაცხოვრების მადლი უნდა აეხსნა. ორიქსი არის სიმბოლო ემპათიის, მოთმინების და ადამიანურობის. ის არასდროს ჯანყდება წარსულის სისასტიკის წინააღმდეგ, არც კრეიკის გეგმებს ამხელს და ვერ ვხვდებით მხარს უჭერდა თუ ეწინააღმდეგებოდა მის განაზრახვას. მიუხედავად ძლიერი სიყვარულისა, კრეიკი მას კლავს, როგორც წარსულის გადმონაშთს, რადგან კრეიკის იდეის განხორციელებისთვის ადამიანის ცივილიზაციის სრული განადგურება უნდა მომხდარიყო, სწორედ ამიტომ ის ყელში დანის ერთი გამოსმით ანადგურებს მისთვის უძვირფასეს ადამიანს ჯერ კიდევ ვირუსის გავრცელებამდე. ორიქსის სიკვდილი სიმბოლურია, რადგან იგი არის უკანასკნელი კეთილშობილი ადამიანი, ვისგანაც სიკეთე და თანაგრძნობა უნდა ესწავლათ კრეიკებს, თუმცა ახალ საზოგადოებრივ სტადიაში, ტექნოლოგიების ეპოქაში ეს წარმოუდგენლად მიაჩნია მწერალს. თვითმკვლელობით ასრულებს საკუთარ სიცოცხლეს კრეიკიც. ამით მარგარეტ ეტვუდს განაჩენი გამოაქვს მეცნიერისთვის კაცობრიობის განადგურების იდეის განხორციელებისათვის.

რომანში მწერლის მიერ აღწერილი სამყარო ნადგურდება კლიმატის ცვლილებითა და ქედმაღალი მეცნიერის ბიოტექნოლოგიური მანიპულაციებით, რაც თითქმის მთლიანად სპობს კაცობრიობას:

“The coastal aquifers were sinking, the polar ice was melting, the ozone hole was gaping, the sun was killing“ (ეტვუდი, 2003: 55).

რომანის ბოლოს სნოუმენი (ჯიმი) გადის დაზვერვაზე და შემთხვევით ხედავს ცოცხალ ადამიანთა მცირე ჯგუფს, რომლებიც, როგორც ჩანს, გადაურჩნენ ვირუსს, რომელმაც კაცობრიობა გაანადგურა. ისინი ცეცხლს ანთებენ და საუბრობენ

ადამიანთა ენაზე – ეს პირველი შემთხვევაა მთელი რომანის განმავლობაში, როცა სნოუმენი ადამიანებს ისევ ხედავ და ესმის მათი. თუმცა დიდი დილემის და არჩევანის წინაშე დგება მათ შეუერთდეს და ეცადოს ადამიანური კავშირის აღდგენას, დაიმალოს, რადგან შესაძლოა ისინი საშიშები იყვნენ მისთვის თუ დაუპირისპირდეს, ანუ საბოლოოდ გაწყვიტოს კავშირი ადამიანებთან და აირჩიოს კრეიკებთან ერთად ცხოვრება:

"He would have to decide. Right now. You could not be in between. You could not be semi. You could not be post. You could not be ex." (ეტვუდი, 2003: 374),

სნოუმენის (ჯიმის) შინაგან მონოლოგი, მაჩვენებელია იმ განცდისა, რომლის წინაშეც ის რეალურად დგება ადამიანის გადარჩენის ან განადგურების ზღვარზე.

ჯიმის დილემა წარმოადგენს მარგარეტ ეტვუდის ერთ-ერთ მთავარ თემას – ადამიანური იდენტობა და ეთიკური პასუხისმგებლობა კატასტროფის შემდეგ. ჯიმი მარტო დარჩენილი ადამიანია, რომელიც ხვდება, რომ შეიძლება თვითონ იყოს ახალი საზოგადოების მომავალი დამფუძნებელი ან მისი საფრთხე.რომანი მთავრდება გაურკვეველი, მაგრამ მღელვარე ნოტით, ჯიმი რჩება ნარჩენებად გადაქცეულ ბუნებასთან მარტოდმარტო.

ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი თემა ბუნების კომოდიფიკაცია და ეთიკური დილემებია, რომლებიც გენეტიკურ ინჟინერიას თან ახლავს. რომანის ანტაგონისტი — კრეიკი — განასახიერებს სამეცნიერო ქედმაღლობის უკიდურეს შედეგს. მისი ქმნილება — კრეიკები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ადამიანები არიან, შექმნილნი კონფლიქტისა და ეკოლოგიური ზიანის გარეშე ცხოვრებისათვის — ნაწარმოებში ჩნდება კითხვები სამეცნიერო ჩარევის და ადამიანის ეთიკური პასუხისმგებლობების შესახებ (გლოვერი, 2012), როგორც ქორალ ენ ჰოველსი (Coral Ann Howells) აღნიშნავს: „ეტვუდი აყალიბებს მეცნიერების კრიტიკულ ხედვას არა როგორც ცოდნის მიღწევის გზას, არამედ როგორც ძალაუფლების იარაღს, რომელიც უკონტროლოდ დარჩენის შემთხვევაში საზოგადოებისთვის

დამანგრეველი ხდება“ (ჰოუელსი, 2006: 85). გარდა ამისა, ეტვუდი ნაწარმოებში იკვლევს მომხმარებლობასა და გარემოს განადგურებას შორის არსებულ კავშირს. რომანი აღწერს საზოგადოებას, რომელიც გატაცებულია ხელოვნური გაუმჯობესებით, გენეტიკური მოდიფიკაციებითა და ფარმაცევტული დამოკიდებულებებით — ყველა ეს ფაქტორი კი განაპირობებს ცივილიზაციის დაღმასვლას. ეს დისტოპიური ხედვა წარმოადგენს გაფრთხილებას თანამედროვე ბიოტექნოლოგიურ პრაქტიკასა და გარემოს ექსპლუატაციაზე, რაც ეხმიანება რეალურ დებატებს კლიმატის ცვლილებებისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ (გლოვერი, 2012). ნაწარმოები „ორიქსი და კრეიკი“ გახლავთ გაფრთხილება მომავლის შესახებ – თუ როგორ შეიძლება ბიოტექნოლოგიამ და უგუნურმა მიდგომამ ბუნების მიმართ კაცობრიობა განადგურებამდე მიიყვანოს. ეტვუდი ეკოლოგიური პრობლემების, კაპიტალიზმის კრიტიკისა და ადამიანის ბუნების სიღრმისეულ გააზრებას სთავაზობს მკითხველს.

მარგარეტ ეტვუდის ეს ერთდროულად საზარელი და უმშვენიერესი რომანი არ არის სამეცნიერო ფანტასტიკა, მიუხედავად იმისა, რომ მასში სამყაროს მომავალია აღწერილი. ეს უკვე დაწყებული პროცესების ლოგიკური დასასრულია, ის, რაც მოხდება, თუ სამყარო განვითარების კურსს არ შეცვლის.

მარგარეტ ეტვუდის რომანი „წარღვნის წელი“ (ეტვუდი, 2009) წარმოადგენს ტრილოგიის მეორე ნაწილს „მადლის ტრილოგიიდან“ (ეტვუდი, 2013), რომლის პირველი წიგნი არის „ორიქსი და კრეიკი“, ხოლო მესამე – „მადადამი“. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტი ნაწილობრივ პარალელურად ვითარდება „ორიქსი და კრეიკის“ მოვლენებთან, „წარღვნის წელი“ წარმოაჩენს სხვა პერსპექტივებს ქალ პერსონაჟთა თვალით დანახულ პოსტ-აპოკალიპტური სამყაროს შესახებ.

„წარღვნის წელი“ აღწერს მომავლის სამყაროს, სადაც კაცობრიობა გადაშენების ზღვარზეა. ისევე, როგორც პირველ წიგნში, აქაც ვხვდებით კორპორატიულად დომინირებულ

საზოგადოებას, სადაც ძალაუფლება მძლავრ ბიოტექნოლოგიურ კომპანიებს ეკუთვნით. ადამიანები მკვეთრად იყოფიან სოციალურ კლასებად და ყოველდღიური ცხოვრება ხორციელდება კომპლექსურად, კონტროლირებად კომპაუნდებსა და გარეთ დარჩენილ ღარიბ უბნებში, ე.წ. „პლებლენვში“.

ნაწარმოებში ორი პერსონაჟი ქალია წარმოდგენილი: ტობი – რომელიც არის განათლებული, მორალურად ძლიერი პიროვნება, რომელიც „ღმერთის სახელით ცნობილ რელიგიურ ეკო-კულტში მოხვდა მას შემდეგ, რაც კორპორაციული ძალადობისგან თავის დაღწევას შეეცადა. ტობი ორგანიზაციაში ხდება ბაღის მცველი (მეურნე), თუმცა მუდმივად ფხიზლად აკვირდება სამყაროს.

ნაწარმოების მოქმედი პირია რენი, ახალგაზრდა ქალი, რომელიც „პლებლენვში“ გაიზარდა, იგი ბავშვობაში იყო რელიგიურ-ეკოლოგიური სექტის წევრი, რომელიც აერთიანებდა ქრისტიანულ რწმენას, ბუნების თაყვანისცემას და გარემოსდაცვით იდეოლოგიას. შემდგომ იგი მუშაობდა პრესტიჟულ ბორდელში „სასმელი კლუბის“ მოცეკვავედ. იგი გადარჩება მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ იზოლირებულ ოთახში ჩაკეტილი აღმოჩნდება მასობრივი ეპიდემიის დროს.

წიგნი მონაცვლეობით გადმოსცემს ტობისა და რენის მოგონებებს წარსულის შესახებ და მათ ბრძოლას გადარჩენისთვის პანდემიის შემდეგ, რომელსაც ეწოდება „წარღვნა“ – ანუ ბიოტექნოლოგიურად შექმნილი სასიკვდილო ვირუსი, რომელმაც კაცობრიობა თითქმის მთლიანად გაანადგურა.

რენისთვის წარსული გადაჯაჭვულია თავისი ბავშვობის მეგობრებთან – ამოსთან და ჯიმისთან. ტობი კი ცდილობს გადარჩეს ბუნებაში, შეინარჩუნოს რწმენა და სიმშვიდე დანგრეულ სამყაროში, მიუხედავად იმისა, რომ მას მუდმივად ემუქრება ფიზიკური საფრთხე, შიმშილი და ძალადობა.

რომანის ერთ-ერთი ცენტრალური თემა ეკოლოგიური ფანატიზმია – რელიგიური მოძრაობა - „ღმერთის მებაღეები“, ქადაგებს ბუნების უზენაესობას, მცენარეთა და ცხოველთა ღვთიურ მნიშვნელობას და მიიჩნევს, რომ კაცობრიობა დაისჯება,

თუ განაგრძობს ბუნების ექსპლუატაციას. თუმცა ეტვუდი სკეპტიკურად აფასებს რელიგიური იდეოლოგიის ეფექტურობასაც – ის ეკოლოგიურ რელიგიასაც ფარისევლურ და კონტროლის ინსტრუმენტად წარმოსახავს.

რომანი წარმოაჩენს, როგორ ეძებენ ადამიანები სულიერებას, კავშირს, მეგობრობასა და გადარჩენის გზებს რადიკალურად შეცვლილ რეალობაში. მკითხველი თანდათან იგებს, რომ პანდემია კრეიკის მიერ იყო გამოწვეული – ეს კი იმავე ტრაგედიის გამოძახილია, რაც პირველ წიგნში მიმოვიხილეთ.

„წარღვნის წელი“ ფოკუსირებულია ჰუმანურობაზე, დედობრივ ინსტინქტზე, ეკოლოგიასა და გადარჩენის შინაგან ძალაზე. იგი ავსებს და ამდიდრებს „ორიქსი და კრეიკის“ სამყაროს, თუმცა სთავაზობს მკითხველს უფრო ემოციურ და ინტიმურ ხედვას იმავე კატასტროფაზე – დანახულს ქალების თვალით.

რომანში „წარღვნის წელი“ (ეტვუდი, 2009), ეტვუდი აფართოებს იმ დისტოპიურ სამყაროს, რომელიც „ორიქსში და კრეიკში“, იყო აღწერილი, იგი ფოკუსირდება ადამიანებზე, რომლებიც გადაურჩნენ ადამიანის მიერ გამოწვეულ პანდემიას . რომანში მოთხრობილია ტობისა და რენის შესახებ, რომლებიც ეკო-რელიგიური ჯგუფის - „ღმერთის მებაღეთა“ წევრები არიან. ეს ორგანიზაცია მიესალმება მდგრად ცხოვრებასა და ეკოლოგიურ შენარჩუნებას. მათი გამოცდილების საშუალებით, ეტვუდი იკვლევს გარემოსდაცვითი აქტივიზმის, კორპორატიული დომინაციისა და ადამიანის გამძლეობის თემებს ეკოლოგიური კატასტროფის პირობებში (ეტვუდი, 2009).

ნაწარმოების -„წარღვნის წელი“ ერთ-ერთი ცენტრალური თემაა გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და სულიერების ჰარმონიზაცია. „ღმერთის მებაღეები“ ავითარებენ ფილოსოფიას, რომელიც აერთიანებს რელიგიურ სწავლებებსა და სამეცნიერო ცოდნას და ხაზს უსვამს ბუნებასთან თანაარსებობის მნიშვნელობას. მათი პრინციპები მკვეთრად ეწინააღმდეგება კორპორატიული ელიტის უკონტროლო მომხმარებლობასა და გენეტიკურ ექსპერიმენტებს, რაც კიდევ ერთხელ ასახავს ეტვუდის

კრიტიკას თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისადმი (ბოუსონი, 2010). როგორც ჯ. ბრუკს ბუსონი აღნიშნავს: „ეტვუდი ქმნის ეკო-რელიგიური რწმენის მეშვეობით ალტერნატიულ ეთიკურ სამყაროს, რომელიც მიმართულია კაპიტალისტური სისტემის უგულვებელსაყოფად“ (ბოუსონი, 2010: 146).

რომანში ასევე წარმოჩენილია უკონტროლო კორპორაციული ძალაუფლების საფრთხეები. ეტვუდის დისტოპიურ სამყაროში კორპორაციები აკონტროლებენ საზოგადოების თითქმის ყველა ასპექტს — საკვების წარმოებიდან დაწყებული სამეცნიერო კვლევებამდე. საკითხის ამგვარი წარმოჩენით, ეტვუდი მიანიშნებს კორპორაციული მონოპოლიების გავლენას როგორც გარემოზე, ასევე ადამიანის ავტონომიაზე (ჰოუელსი, 2006).

რომანში ასევე საუბარია გენდერულ საკითხებსა და გადარჩენაზე — ტობისა და რენის გზა გვიჩვენებს, როგორ ერთიანდებიან და იბრძვიან ქალები სასტიკ და ექსპლუატაციურ სამყაროში. მათი გამძლეობა და ადაპტაციის უნარი ხაზს უსვამს საზოგადოებრივი სოლიდარობის აუცილებლობას კრიზისის დროს. ეტვუდის რომანები განაგრძობენ დისკურსს მდგრად განვითარებასა და გარემოსდაცვით ეთიკაზე. მის ნაწარმოებებში წარმოდგენილი გამაფრთხილებელი ამბები, მკითხველს უბიძგებენ, ხელახლა გაიაზრონ თავიანთი როლი ეკოლოგიურ სფეროში. დისტოპიური ფიქციის შერწყმით რეალურ გარემოსდაცვით საკითხებთან, ეტვუდი ადასტურებს, რომ ლიტერატურა რჩება ძლიერ ინსტრუმენტად სოციალური კრიტიკისა და ცნობიერების ამაღლებისათვის (ჰოუელსი, 2006).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეტვუდი არ შემოიფარგლება მხოლოდ სამეცნიერო და ეკოლოგიური თემებით, მისი რომანები გენდერულ უთანასწორობაზე, ძალადობასა და ქალთა გამძლეობაზე რეალურ გარემოშია გადმოცემული. ნაწარმოების პერსონაჟები- ტობი და რენი, წარმოადგენენ ქალთა სიმტკიცის, მათი შეუდრეკელი ბუნების სიმბოლოებს, რომლებიც რთულ

სოციალურ პირობებში ახერხებენ გადარჩენასა და ღირსების შენარჩუნებას.

დასკვნა: კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მარგარეტ ეტვუდის ნამუშევრები მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური ცნობიერების განვითარებაში. იგი აშკარად აჩვენებს, რომ თანამედროვე ლიტერატურა არ არის მხოლოდ ესთეტიკური განცდების ან გართობის საშუალება, არამედ მძლავრი პლატფორმაა სოციალური, ეთიკური და ეკოლოგიური საკითხების გადასაჭრელად. ეტვუდის დისტოპიური ხედვები, რომლებიც დაფუძნებულია მეცნიერულ და სოციალურ რეალობებზე, მკითხველს აძლევს შესაძლებლობას გააცნობიეროს მომავალი, რომელიც რეალურად შეიძლება დადგეს, თუკი საზოგადოება უგულებელყოფს ბუნებას, ეთიკას და ადამიანურ ღირებულებებს.

მარგარეტ ეტვუდის რომანები გვთავაზობს არა მხოლოდ კრიტიკულ ანალიზს თანამედროვე სამყაროს მიმართ, არამედ ცდილობს წარმართოს გონებრივი დისკუსია ადამიანსა და ბუნებას შორის ჰარმონიის ჩამოყალიბებაზე. პერსონაჟების საშუალებით, რომლებიც რეაგირებენ ეკოლოგიურ და ეთიკურ კატასტროფებზე, მკითხველი არ რჩება პასიურ დამკვირვებლად, არამედ გარდაიქმნება აქტიურ მოაზროვნედ — როგორც ინდივიდი, რომელსაც გააჩნია მოქმედების უნარი და პასუხისმგებლობა საერთო მომავლის წინაშე, როგორც კრიტიკოსი კორალ ენ ჰოუელსი (Coral Ann Howells) აღნიშნავს, „ეტვუდი სთავაზობს მკითხველს კრიტიკულ ჩართულობას თანამედროვე გლობალურ პრობლემებთან და გვაიძულებს, დავფიქრდეთ ჩვენს ფასეულობებზე, პოლიტიკასა და პასუხისმგებლობაზე“ (ჰოუელსი, 2006: 169). ეს შეფასება ხაზს უსვამს იმას, რომ ეტვუდის ტექსტები არა მხოლოდ აღწერენ სოციალურ პრობლემებს, არამედ ქმნიან სივრცეს, სადაც მკითხველი ემოციურად, ეთიკურად და ინტელექტუალურად ერთვება განხილვაში.

მარგარეტ ეტვუდის შემოქმედება მაჩვენებელია იმისა, რომ ლიტერატურა არა მხოლოდ რეალობის ამსახველია, არამედ მისი

გარდამქმნელიც. მისი დისტოპიური ნარატივი გვაიძულებს დავფიქრდეთ საკუთარ მოქმედებებსა და მათ გრძელვადიან შედეგებზე, კლიმატურ ცვლილებებზე, ტექნოლოგიურ ზღვარსა და სოციალური სამართლიანობის საჭიროებაზე. იგი აკავშირებს მეცნიერებას, ეთიკას, სოციოლოგიასა და ფილოსოფიას ერთიან ლიტერატურულ სივრცეში, რაც გლობალურ დიალოგში ჩართვის საფუძველია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მარგარეტ ეტვუდი ქმნის ლიტერატურას, რომელიც არა მხოლოდ რეალობის ანარეკლია, არამედ მისი შეცვლისკენ მოწოდებაა. მისი შემოქმედება ადასტურებს, რომ მწერალი შეიძლება იქცეს არა მარტო ისტორიის მთხრობელად, არამედ გზამკვლევად, რომელიც წარმართავს საზოგადოებას მეტი პასუხისმგებლობის, თვითშეგნებისა და ჰუმანიზმისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

Atwood, M. (2003). Oryx and Crake. McClelland and Stewart.

Atwood, M. (2013). The MaddAddam Trilogy Series. McClelland and Stewart.

Atwood, M. (2009). The Year of the Flood. McClelland and Stewart.

Bouson, J. B. (2010). Brutal Choreographies: Oppositional Strategies and Narrative Design in the Novels of Margaret Atwood. University of Massachusetts Press.

Bouson, J. B. (2004). "A "joke-filled romp" through end times..." Journal of Commonwealth Literature, 39(3), 139-156.

Glover, D. (2012). Postmodern Climate: Fiction and the Environment. London: Palgrave Macmillan.

Howells, C. A. (2006). The Cambridge Companion to Margaret Atwood. Cambridge University.

References

Atwood, M. (2003). Oryx and Crake. McClelland and Stewart.

Atwood, M. (2009). The Year of the Flood. McClelland and Stewart.

Atwood, M. (2013). The MaddAddam Trilogy Series. McClelland and Stewart.

Bouson, J. B. (2004). "A "joke-filled romp" through end times..." Journal of Commonwealth Literature, 39(3), 139-156.

Bouson, J. B. (2010). Brutal Choreographies: Oppositional Strategies and Narrative Design in the Novels of Margaret Atwood. University of Massachusetts Press.

Glover, D. (2012). Postmodern Climate: Fiction and the Environment. London: Palgrave Macmillan.

Howells, C. A. (2006). The Cambridge Companion to Margaret Atwood. Cambridge University.

ვახტანგ ინაური
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ელფოსტა: vaxtanginauri@gmail.com

მგლის სახე ჯეკ ლონდონის რომანში „ზღვის მგელი“ ქართული კონტექსტით

მოკლე შინაარსი

ჯეკ ლონდონის რომანში ,,ზღვის მგელი'' ასახული მგლის მეტაფორულად გააზრებული მხატვრული მგელი ლარსენი საყურადღებოა თავისი მკაცრი მატერიალისტური შეხედულებებით, შინაგანი სამყაროთი, გარეგნული აღნაგობით, ძლიერი ფიზიკური და გონებრივი უნარით.

მოქმედებაში, მსჯელობასა და დიალოგებში გამოვლენილი განსაკუთრებული სისასტიკე, მომთხოვნელობა, ლიდერობის ჟინი, დაუნდობლობა ქმნის მგლი ზეკაცის ასოციაციას. მასში, მგლის ბუნება და ხასიათები სახიერდება მისი ქცევით, ეკიპაჟის წევრებთან ურთიერთობით, მათზე ძალისმიერი მოქმედებით და სხვა ქმედებით.

ქართულ მწერლობაში ასახული მგელკაცა ძირითადად ყაჩაღი, მძარცველი და მკვლელია. აქაც მთავარი გმირი გერმან ბაზილი ფიზიკურად ძლიერი, უნარიანი, ინტელექტუალური და ამტანი პიროვნებაა.

ასეთ სახეს ქმნის ალექსანდრე იაშალიაშვილი თავის რომანში ,,მგლის ბილიკი'', რომელიც შეიძლება შევადაროთ ვულფი ლარსენს და განვასხვაოთ კიდეც.

სხვადასხვა დრო და სივრცე განაპირობებს მათ ფსიქოლოგიურ და სოციალურ სხვაობას. რაც განასხვავებს ჯ.ლონდონისა და ალ. იაშალიაშვილის სამწერლო მეთოდს და ისინი თავიანთი ინდივიდუალური ფორმითა და შინაარსით გვიხატავენ მხატვრულ ტიპებს.

საკვანძო სიტყვები: მგელი, ლარსენი, ვან ვეიდენი, ოკეანე, გემი ,,აჩრდილი'', საფუარი.

Vakhtang Inauri
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
Doctor of Philology, Associate Professor,
Email: vaxtanginauri@gmail.com

THE IMAGE OF THE WOLF IN JACK LONDON'S NOVEL "THE SEA-WOLF" WITHIN THE GEORGIAN CONTEXT

Abstract

Larsen, a metaphorically reflected artistic wolf in Jack London's novel "The Sea Wolf", is notable for his rigid materialistic views, inner world, outward appearance, strong physical and mental abilities.

The special cruelty, demand, leadership genius, ruthlessness expressed in wolf 's actions, discussions and dialogues creates the association of a wolf. In it, the nature and characters of the wolf are expressed in wolf's behavior, in his relationship with crew members, violent actions against them and other different actions.

The man with a character of the wolf in Georgian literature is mainly a robber and murderer. Here, the protagonist German Basil is a physically strong, capable, intelligent and tolerant person.

Alexander Iashaliashvili creates the same opinion in his novel "Trail of the Wolf", in which the wolf and the creature can be compared and even differentiated.

Different time and space determine their psychological and social differences,that distinguish J. London's and Al. Iashaliashvili's writing method who draw artistic types with their individual form and content.

Keywords: Sea Wolf, Larsen, "Ghost", Weiden, "Yeast", Maud Brewster.

შესავალი: ჯეკ ლონდონის „ზღვის მგელი“ მონოგრაფიულად შესწავლილი და გამოკვლეული არ არის. მის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ფიქსირდება ამბროსი ბიერსის ამერიკელი ლიტერატორის აზრი მგელი ლარსენის შესახებ. ასევე არის ინფორმაცია, რომელშიც ნახსენებია მისი პროტოტიპი, რელურად არსებული პიროვენება.

სხვა რაიმე ნაშრომი ან წერილი არ გვაქვს ლიტერატურულ კრიტიკაში. „ზღვის მგელი“ და მასში ასახული პრობლემატიკა

ფართოა,იგი კვლევის საგანი არ გამხდარა ქართულ ლიტმცოდნეობაში. ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გაგვეანალიზებინა რომანის მთავარი გმირის ვულფ ლარსენის სახისმეტყველება, მისი მეტაფორული ფუნქცია ნაწარმოებში. გამოგვეკვლია ლარსენის შინაგანი სამყარო, მისი რელიგიური მრწამსი და ზნეობა. შეგვეჯერებინა ლარსენის ფიზიკური და სულიერი მხატვრული ტიპი ქართულ მწერლობაში ასახულ მსგავს ლიტერატურულ გმირებთან. გაგვერკვია მსგავსება და განსხვავება მათ შორის. გამოგვეკვეთა მგელი ლარსენის ორიგინალობა და განსაკუთრებულობა, მასში ზეკაცის ნიუანსები და მწერლის ჩანაფიქრი მისი მხატვრული ტიპის შექმნის პროცესში.

მეთოდები: ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია თეორიული, ემპირიული მეთოდოლოგია, მათ შორის კომპარტივისტული, ანალიტიკური და პრობლემატური კვლევის მეთოდი.

შედეგები: 1. შესწავლილი და გამოკვლეულია მგელი ლარსენის მხატვრული ფუნქცია და მისი ადგილი რომანში ,,ზღვის მგელი“. სპენსერისა და ნიცშეს თეორიების ფიქსაცია ვულფი ლარსენის პიროვნებაში.

2. გამოკვლეულია რომანის მთავარი გმირის ურთიერთობის საკითხი ეკიპაჟის წევრებთან, დახასიათებულია მხატვრული სივრცე.

3. გაანალიზებულია მგელი ლარსენის პრინციპები, შეხედულებათა სისტემა და ცხოვრების მატერიალისტური ხედვა. წარმოჩენილია მისი პრაქტიკული აზრვნება და საქმიანობა.

4. შედარებულია მგელი ლარსენის სახე ქართულ მწერლობაში ასახულ მგლის მხატვრულ სახეებთან.

5. დახასიათებული და შეფასებულია რომანში ჰემფრი ვან ვეიდენის მხატვრული სახე, მისი ჰუმანიზმი და სიკეთისადმი ერთგულება.

მსჯელობა: მგელი ყოველთვის ფიგურირებდა ადამიანის ცნობიერებაში. ტრადიციულად იგი მშვიდობიანი მოსახლეობის მტრად გაიაზრებოდა. განსაკუთრებით მეცხვარეებისა და მენახირეებს ექმნებოდათ მისგან საფრთხე. თავისი მტაცებლური ბუნებით მან დაიმკვიდრა უარყოფითი და საშიში არსების სახელი ადამიანთა აზროვნებაში.

მწერლობაში მგელი ოდითგანვე მოიხსენიებოდა. მასზე შექმნილია მრავალი პროზაული და პოეტური ნაწარმოები. ერთ-ერთი უძველეს ზეპირსიტყვიერ თხზულებაში ,,ამირანის თქმულება“ უკვე ნახსენებია მგელი. უფალმა ამირანს დაანათლა მგლის მუხლი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მგელი ძლიერი და ამტანი ცხოველია.

მგელი გვხვდება აგრეთვე, იაკობ ხუცესის ,,შუშანიკის წამებაში“. რომელშიც ავტორი ვარქსენ პიტიახშს იხსენებს მგლად ,,მოვიდა მგელი იგი ტაძრად“ (ხუცესი, 2004: 51).

ხალხურ ლექსიკაში მგელი გაიაზრება, როგორც ჯანმრთელი, ძლიერი და ხარბი ნადირი: ,,მგელივით კაცია“, ,,მგელივით ჭამს და სხვა. ეს გამოთქმები მეტყველებენ, რომ მგელი ადამიანთა საზოგადოებრივ-სამეტყველო ურთიერთობაში მყარად დამკვიდრებული სახე-სიმბოლოა.

მას სხვა მტაცებელ ცხოველებთან შედარებით მეტი შეხება აქვს ადამიანებთან. მათთან ნახულობს იგი საზრდოს. იტაცებს ცხვარს, თხას, ხბოს, კვიცს და სხვა შინაურ ცხოველებს. ამდენად, ისტორიულად ჩამოყალიბდა მგელზე ადამიანის უარყოფით აზრი.

მგლის სახე ჯ. ლონდონის პროზაში გვხვდება რომანებში ,,ზღვის მგელი“, ,,წინაპართა ძახილი“ და ,,თეთრი ეშვი“. გვაქვს თემატურ-პრობლემატური ანალოგიები ჯ.ლონდონის მიერ ასახულ მგლის სახესთან. რომელთაგან მნიშვნელოვანია ორი ძირითადი ფაქტორი: მგლის მეტაფორული გააზრება ადამიანში და მგელში ადამიანის თვისებებისა და ხასიათების წარმოსახვა.

ამ მიმართულებით საყურადღებოა ჯ.ლონდონის ,,წინაპართა ძახილი“ და ,,თეთრი ეშვი“, ხოლო ქართული მწერლობიდან ვაჟა-ფშაველას, ,,მგელი“, ,,ამოდის ნათდება“. საკითხი გვხვდება სხვა მწერალთა შემოქმედებაშიც.

ნაშრომის მთავარი პრობლემაა ადამიანში მგლის თვისებების ასახვის გამოკვლევაა ჯეკ ლონდონის ,,ზღვის მგელსა“ და ,,ალექსანდრე იასაღაშვილის რომანში ,,მგლის ბილიკი“. ამ ორ ნაწარმოებებში მთავარი გმირების სახეებია ანალოგიურად დახატული. ჯეკ ლონდონის მგელი ლარსენი და ალ. იასაღაშვილის გერმან ბაზილი (ცაცი მუხრანელი) მეტაფორულად მგელს განასახიერებენ სხვადასხვა მხატვრულ სივრცეში. ლარსენი

ზღვაზე, ხოლო ბაზილი ანუ მუხრანელი ხმელეთზე - ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ისინი მგლური ბუნებით ემსგავსებოდნენ ერთმანეთს. სისასტიკე, დაუნდობლობა, სიძიერე, ამტანობა და სხვა. ლარსენიც ფიზიკურად ძლიერი, მოქნილი, გონიერი და ნაკითხი პიროვნებაა, რომელიც თეორიული მსჯელობითაც ამტკიცებს, რომ ის გზა, რომლითაც ის მიდის, რეალურია, სიკეთე, მარადიული სული მისი აზრით, აბსურდია. ცხოვრებაში ის იმარჯვებს ვინც ძლიერია, ის ნთქავს სუსტებს. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ისეთი უნდა იყოს, როგორც არის.

ანალოგიური სახეა გერმან ბაზილი. იგი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელია საბჭოურ პერიოდში. მისი სიახლოვე მგელ ლარსენთან დასტურდება „მგლის ბილიკში“. ის კარგად იცნობს ჯ.ლონდონის რომანს და იმ სივრცეს და იმ დროს ნატრობს, რომელშიც და სადაც ცხოვრობდა მგელი ლარსენი.

სხვა მრავალი ფაქტი მეტყველებს მათ ხასიათობრივ ანალოგიებზე. მართალია სხვადასხვა დრო და სივრცე მეტნაკლებად განსხვავებულად წარმოაჩენს მათ პრაქტიკულ საქმიანობას, მაგრამ მგლური ბუნება, მათ შინაგან სამყაროში, გონებასა და სულში არსებული მგელი აერთიანებს როგორც მსგავს მხატვრულ სახეებს.

ჯეკ ლონდონის რომანში მთავარი გმირი მგელი ლარსენი სიუჟეტის განვითარებაში ჩნდება ლიტერატორის ვან ვეიდენის მის გემზე მოხვედრის შემდეგ. ეს ორი სრულიად განსხვავებული ადამიანი ერთმანეთთან, ბუნებრივია, ვერ დაამყარებენ კეთილ ურთიერთობას, მათ შორის კონტაქტები გემზე საქმიანობით არის განპირობებული. მაგრამ დიალოგების დროს მათი შეხედულებების, აზრებისა და შინაგან სამყაროთა შორის დიდი სხვაობა ვლინდება. გემზე სტატუსიც სხვადასხვა აქვთ. ლარსენი კაპიტანია. გემი მისი საკუთრებაა, ხოლო ვეიდენი რომელსაც კნინობითი სახელი ჰემპი უწოდა - ლტოლვილია, ჩაძირული სამგზავრო გემი, მარტინესიდან“. ერთის მხრივ მგელმა ლარსენმა ის გადაარჩინა ოკეანეში დახრჩობას, რისთვისაც მადლობას იმსახურებს, ხოლო მეორეს მხრივ, მსახურად დაიყენა და ამცირებს. მიუხედავად ამისა მათ საერთო აქვთ განათლება, ლიტერატურისა და ფილოსოფიის სიყვარული. მგელი ლარსენი

ფიზიკურად ბევრად აღემატება ვეიდენს. ის უძლიერესი მამაკაცია. „ტანმაღლი - ხუთი ფუტი და ათნახევარი დიუმი. მკვრივი აღნაგობის მამაკაცს განიერი მხრები და მაღალი მკერდი ჰქონდა. ძარღვიანი, მოქნილი კაცი იყო. ველური მძვინვარე ძალა, რომელიც სიცოცხლის საწყისია, ცხოვრების არსია (ლონდონი, 1971: 19-20).

მისი ზღვარს გადასული ძალა შეიძლებოდა ყოველ წამს ამოთხრილიყო და ვაი მას ვის დაატყდებოდა თავს. როგორც პერსონაჟი ლიჩი უყვებოდა ვეიდერს, მგელმა ლარსენმა „მუშტის ერთი დარტყმით ერთ კაცს გააცხებინა სული“ (ლონდონი, 1971: 53). მის წინააღმდეგ აჯანყების დროს ათ-თხუთმეტ კაცს სძლია და წიხლის კვრით გადმოყარა კიბიდან.

უსაზღვროდ ძლიერი პიროვნებაა მგელი ლარსენი, ადამიანებს თავისი ძალითა და ენერგიით უფრო მეტად აღემატებოდა, ვიდრე მგელი ფაუნის სხვა ცხოველებს.

ლარსენის ასეთი ძლიერი და სრულყოფილი სახე ზეკაცის ნიშნებს შეიცავს. ნიცშეს ზეკაცის თეორიის ნიუანსები უდაოდ ჩანს ვულფი ლარსენის სახეში. მისი ზებუნებრივი ძალა და ზეადამიანური უნარები ამაზე მიგვანიშნებს.

ამ ფაქტს ადასტურებს ამერიკელი ლიტერატორი ამბროსი ბაერსიც: „ლონდონი თავის მოთხრობაში მიზნად ისახავდა, იერიში მიეტანა ნიცშეს სუპერ ადამიანის ფილოსოფიაზე“ (2024: ka.m.wikipedia.org).

ლარსენი ამავე დროს ძალიან ლამაზი მამაკაცი იყო. მწერალი მთხრობელის ვან ვეიდენის მეშვეობით ახასიათებს მის იერ-სახეს: „მგელ ლარსენს საოცრად ლამაზი მამაკაცური სახე ჰქონდა, წმინდად გაპარსულ სახეზე ყველა ნაკვთი, ასე ნათლად მოუჩანდა, კამეაზე ამოკვეთილი გეგონებოდათ. მზისა და მარილიანი წყლისგან ხორბლისფერი სახე მუქი ბრინჯაოსფერი გახდომოდა. ეს ველურ იერს აძლევდა, მშფოთვარე ცხოვრებასა და სტიქიასთან დაუცხრომელ ბრძოლაზე მიუთითებდა და ისედაც ლამაზსს უფრო მიმზიდველს ხდიდა.

მგელი ლარსენი ულამაზესი კაცი იყო... ბიწიერების, ბოროტების ან რაიმე შეცოდების კვალი ამ კაცის სახეს არ აჩნდა“ (ლონდონი, 1971: 90).

ჯ.ლონდონის მიერ დახატული პერსონაჟი გარეგნობით უდაოდ დადებითი გმირის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ

მთავარი და მნიშვნელოვანი მისი სულიერი სამყაროა, მისი შინაგანი მრწამსი, რომელიც პიროვნების ქმედებასა და აზროვნებას განსაზღვრავს. ამ მხრივ ლარსენი სრულიად განსხვავებული სახეა. მისი მსგავსი მწყობრი ლოგიკური და რეალისტური ცხოვრებისეული ხედვა იშვიათად ფიქსირდება მხატვრულ ლიტერატურაში. ,,მისი სხეულის წიაღში მთვლემარე გონებრივი თუ სულიერი უზარმაზარი ძალის შეგრძნება რჩებოდა. მისი ძლიერი, რაღაც არაბუნებრივად ძლიერი ყვრიმალის ძვალი, ყბა, მაღალი შუბლი, ამოზნექილი წარბზედა რკალი, თითქოსდა თვალით უხილავ, მათ მიღმა მიფარულ სასიცოცხლო ენერგიასა თუ სულის სიდიადეზე მეტყველებდნენ“ (ლონდონი, 1971: 24).

მწერალი გმირის იმ ფიზიკურ ნიშნებზე საუბრობს, რომლებიც წარმოაჩენენ ადმიანის გონიერებას, ნიჭსა და ინტელექტუალურობას. ვან ვეიდენთან დიალოგებში ნათელი ხდება, რომ გემის კაპიტანი, რომელიც გამუდმებით ბრძოლაშია, ნაკითხი, წიგიერი და მცოდნე პიროვნება ყოფილა. მას კაიუტში მეტად საინტერესო წიგნები ჰქონდა ,,შექსპირი, ტენისონი, პო, დექუინსი, დარვინის ნაშრომები, კემბრიჯში გამოცემული ბრაუნინგის სრული კრებული“ ...

ეს საზარელი ადამიანი არც ისეთი უვიცი და ბეცი ბრიყვი იყო“ (ლონდონი, 1971: 45).

ალ. იასაღაშვილის გმირი ყაჩაღი და ავაზაკი გერმან ბაზილიც განათლებული და მოაზროვნე პიროვნებაა. ამ მხრივ ამ ორი სხვადასხვა მწერლის პერსონაჟები ერთმანეთს ჰგვანან, მიუხედავად მათ მიერ გავლილი გზისა და საალმზრდელო გარემოსა და ცხოვრების პიროვნების სხვადასხვაობისა.

ჯ.ლონდონი რეალისტურად ხატავს მგელი ლარსენის მხატვრულ სახეს. მეზღვაურობა, ცურვა ათლეტურ ტანს აყენებს. ის კი ბავშვობიდან ოკეანეში ცურავს. შესაბამისად შესაშური აღნაგობა ექნება. მეორე მხრივ ასეთი ფიზიკური ტიპის ადამანები ამობურცული მკერდით ამპარტავანი და პატივმოყვარე ადამიანებად არიან მიჩნეული ფსიქოლოგების მიერ. ისინი თავდაჯერებულები, ქედმაღლები ნებისყოფიანი და ნიჭიერები არიან. სწორედ ასეთი ტიპია მგელი ლარსენი. რომელიც თავის ხასიათებს ავლენს პრაქტიულ ცხოვრებაში და მტკიცედ იცავს თავის პრინციპებსა და შეხედულებებს.

მის შინაგან სამყაროს მწერალი პერმანენტულად წარმოაჩენს, როგორც ჰემფრი ვან ვეიდენთან საუბარში, ისე მოქმედებაში და ეკიპაჟის წევრებისადმი დამოკიდებულებაში.

თავის გარეგნობაზე ლარსენი სხვა შეხედულებისაა.

„ეს სხეული ღმერთს გამოსაყენებლად შეუქმნია. კუნთები იმისთვისაა, რომ მიიტაცოს, დაგლიჯოს გაანადგუროს ყველა სულდგმული, რომელიც კი ჩემსა და ცხოვრებას შუა დგას“ (ლონდონი, 1971: 128). „ფეხები იმისათვის გამოუგონიათ, რომ მტკიცედ დადგეს მიწაზე, ხოლო ხელები, კბილები და ბრჭყალები - საბრძოლველად, სხვის მოსაკლავად, რათა შენ არ მოგკლან“ (ლონდონი, 1971: 128).

ასეთ ფუნქციას აკისრებს მგელი ლარსენი თავის სხეულს, რომელიც ხიბლავდა ვან ვეიდენს თავისი სისრულითა და სრულყოფილებით ღმერთის დარად მიაჩნდა.

მოყვანილი ციტირებიდან ნათლად ჩანს, რომ მგლური მისწრაფებაა ლარსენის მოქმედების პრინციპი. რომ მისთვის ბრძოლა არსებობისთვის უპირველესი მიზანია ცხოვრებაში. აქ არ ჩანს მშვიდობიანი თანაარსებობა, თანასწორობა. შეთანხმებულობა და სამართლიანობა. ამდენად, მწერლის მიერ მინიჭებულ მეტაფორულ ეპითეტს „მგელი“, ლარსენი თავის ცხოვრებაში, მსჯელობასა და მოქმედებაში, ამართლებს.

მას არ სწამს სულის უკვდავება, ამდენად მისთვის ეს ცხოვრება წარმავალია. ამიტომ ვიდრე არსებობს უნდა მოიხვეჭოს, იშოვოს, უკეთ იცხოვროს, იკვებოს და ა.შ. ეს ყველაფერი სხვების, მასზე სუსტების, მასზე მცირეთა „შთანთქმის“ ხარჯზე უნდა შესძლოს. მისი აზრით, „ცხოვრება ამაოებაა! საფუარის მაგვარი, დიდი შთანთქავს მცირეს, რათა კვლავაც და მარადის შეინარჩუნოს დუღილი, მოძრაობის უნარი და ძალა. ძლიერი ნთქავს უღონოს, რათა შემოინახოს სიმტკიცე და ცხოველმყოფელობა. ის ვისაც ბედი უღიმის, მეტს ჭამს და დიდხანსაც დუღს, აი მთელი ფილოსოფია“ (ლონდონი, 1971: 47).

აქ ჩანს სპენსერის ფილოსოფიური ნააზრევი, რომელიც კარგად იცის მგელმა ლარსენმა. ამ ფიოსოფიის მიხედვით ძლიერნი იმარჯვებენ სუსტზე, მაგრამ ეს სპენსერისთვის იდეალური არ არის, ეს იმ პერიოდის ამერიკული ცხოვრების ფილოსოფიური გააზრებაა, მაგრამ ის ჰუმანიზმს აღიარებს,

როგორც უმაღლეს კატეგორიას ადამიანთა საზოგადოებაში, მაგრამ ლარსენი ფილოსოფიას მთლიანად არ იღებს. ის არჩევს მისთვის მისაღებ დებულებებს და ცნებებს. მათ ახორციელებს თავის საქმიანობაში. მისი აზრით ყველა ცდილობს და ოცნებობს მეტი მიითვისოს ,,როგორმე უკეთ მოაწყონ ცხოვრება, რათა საშუალება ექნეთ გაძარცვონ და სისხლი გამოსწოვონ თავიანთ მოძმეებს. ჩვენცა, თქვენცა და მეც ასეთები ვართ. განსხვავება არაა ჩვენსა და მათ შორის, გარდა იმისა, რომ ჩვენ უფრო მეტსა და უკეთესს ვჭამთ. ახლა მე ვნთქავ იმათ და გნთქავთ თქვენც“ (ლონდონი, 1971: 48).

ეს პროცესი არ ხიბლავს მგელ ლარსენს, ჭამაზე, დანაყრებულ ცხოვრებას ის ღორობას უწოდებს და ამდენად ასეთი ცხოველური მიდრეკილების ადამიანები არ შეიძლება მადლიერები იყვნენ, ლარსენის მიხედვით შეუძლებელია მათი სული უკვდავი იყოს. ,,ეს ქვეყანა - მისი აზრით - ისევეა სავსე ბოროტებით, როგორც ზღვა მოძრაობით“ (ლონდონი, 1971: 83).

ნათლად ჩანს, რომ ლარსენს ცხოვრებაზე უარყოფითი შეხედულება აქვს, მაგრამ სხვაგვარად არ შეუძლია იარსებოს. სხვაგვარად ის დაიღუპება, მსხვერპლად იქცევა დომინანტი პიროვნებაც კი. რადგან თუ სხვა არ შთანთქე, ვერ იცოცხლებ. ამიტომ ასეთი სიცოცხლე მას არარაობად მიაჩნია. ,,სიცოცხლე ჩირად არ ღირს, ყველაზე უიაფეს საგანზე უფრო უიაფესი რამაა (ლონდონი, 1971: 64).

ლარსენი კიდევ უფრო აფართოვებს თავის ხედვას ცხოვრებაზე, უფრო მეტი არგუმენტი მოჰყავს ვეიდენთან საუბარში და უფრო უარესად აფასებს მას: ,,ძალა ყოველთვის მართალია და ის არის ყველაფრის თავი და თავი. სუსტი კი-დამნაშავე. ძლიერება სიკეთეა, სისუსტე კი - ბოროტება“ (ლონდონი, 1971: 73).

მისი ახსნა ცხოვრების ფილოსოფიისა თავისი ქმედებიდან გამომდინარეობს; თვითონ ძლიერია, უნარიანი, გონიერი და ამიტომაც ბატონობს თავის გემზე. მეორეს მხრივ კი, მისი ფილოსოფია მხოლოდ გემზე და გემის ეკიპაჟზე ახდენს გავლენას. იგი თავისებურად მართალია, რომ ასეთი სიმკაცრით მართავს გემსა და მის ეკიპაჟს. გაშლილ ოკეანეში ვერ გადარჩება გემი, ვერ გაუძლებს იგი შტორმს, ქარიშხალსა და ჩაწოლილ ნისლს, თუ

დროზე არ მოაწესრიგე და დროზე არ მართე გემის აღჭურვილობა სტიქიის შესაბამისად. დროზე უნდა დაუშვა აფრები, დროულად უნდა მართო შტურვალი ქარის მიმართულებიდან გამომდინარე. დროზე უნდა ამოტუმბო გემზე ნიაღვარად გადმოსული წყალი. რაც კაპიტნის ხელმძღვანელობით ხდება. მან ყველაზე მეტად იცის როგორ მოემზადოს და როგორ მოამზადოს ეკიპაჟი სტიქიასთან საბრძოლველად. ამდენად, მისი სიმკაცრე გამართლებულია ოკეანეში ნაოსნობის პირობებიდან გამომდინარე, ხოლო რაც შეეხება უხეშობას ეკიპაჟთან და ეკიპაჟის წევრებს შორის, ეს გემზე ყოფითი ურთიერთობისა და საქმიანობით არის განპირობებული. ასეთი ურთიერთობა სხვა სანავიგაციო გემზეც გვხვდება სათავგადასავლო რომანებში. როცა საკითხი სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება, როცა კაპიტნისა და ეკიპაჟის მოქმედებაზეა დამოკიდებული ჩაიძირება გემი თუ თავს დააღწევს სტიქიას, ასეთ დროს თავაზიანობაზე ლაპარაკი და ეთიკური ნორმების დაცვა შეუძლებელია. რთულია აბობოქრებულ ოკეანეში ფსიქოლოგიური წონასწორობა და სიმშვიდე შეინარჩუნო და საუბრის ეტიკეტი დაიცვა, რასაც ყველაზე მეტად ისევ კაპიტანი მგელი ლარსენი ახერხებს, ხოლო სხვა ეკიპაჟის წევრთა მოქმედება კაპიტნის პოზიციებიდან და ბრძანებებით იმართება. ამიტომაც გემი ,,აჩრდილი“ ყოველთვის იოლად უმკლავდება ოკეანის მრისხანებას.

მგელ ლარსენს აქვს დიდი საზღვაო გამოცდილება, ნიჭი და უნარი მართოს გემი და გამოიყვანოს გემიც და ეკიპაჟიც გაჭირვებიდან. ერთი წუთითაც არ შეიძლება ზღვაზე ყურადღების მოდუნება. ყოველთვის უნდა აკონტროლებდეს კაპიტანი ოკეანის ზედაპირს. შეუძლებელია გათვალო, როდის ამოვარდება შტორმი. ამდენად კაპიტანი ძლიერი, გონიერი და გამოცდილი უნდა იყოს, მისთვის თავდავიწყება, ქეიფი დათრობა დაუშვებელია, ამიტომაც ,,მგელი ლარსენი“ არ ითვრებოდა, თუმცა კი ჯამს ჯამზე ცლიდა“(ლონდონი, 1971: 72).

ასეთივე ამტანი, გონიერი და ძლიერი ლიდერები არიან ქართულ მწერლობაში ასახული ,,მგელი“ გერმან ბაზილი და ხუჩბაროვი. ისინიც მტკიცე, მობილეზებული, გამოცდილი და გონიერი მეთაურები არიან. გერმან ბაზილს ვერაფრით ვერ ჯაბნის მილიციის ძლიერი და დაუღალავი თანამშრომელი ხუტა

გაწერელია, რომელსაც მიზნად ჰქონდა ბაზილის დათრობა, მაგრამ მან აქეთ დაათრო მილიციელი და რევოლვერის ნაცვლად მოღუნული რკინა ჩაუდო პორტუპეში. მათ თავისი პროტოტიპები ჰყავდათ ცხოვრებაში, მათ შორის მგელ ლარსენს კაპიტანი ალექს მაკლეინი, რომელსაც წიგნაკში მგლის გამოსახულება ჰქონდა.

მგელ ლარსენს ორი პრინციპი აქვს ,,მისწრაფება შეჭამოს და მისწრაფება არ შეაჭმევინოს თავი (ლონდონი, 1971: 74). მისთვის უცხოა ალტრუიზმი. ამ ტერმინს სპენსერის შრომებიდან იცნობს, მაგრამ არ აღიარებს ამ სიტყვების სპენსერისეულ მნიშვნელობას, რომლის მიხედვით ,,უმაღლესი ქცევის იდეალის იმპერატივი იყო" (ლონდონი, 1971: 76).

სხვაზე ზრუნვა, სხვისთვის თავის დადება აბსოლუტურად მიუღებად მიაჩნია, არა მარტო გარეშეთათვის, არამედ მისთვის ,,შვილებისთვისაც რაიმე მსხვერპლის გაღება ამორალიზმია" (ლონდონი, 1971: 79).

ასეთი მკაცრი პრაგმატული და ეგოისტური მატერიალიზმი ნაკლებად გვხვდება ევროპულ და მით უფრო ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. მგელი ლარსენის მიერ გავლილი ცხოვრების გზის ობიექტური ანალიზის შედეგად შეიძლება გავარკვიოთ, თუ როგორ მივიდა მგელი ლარსენი ასეთ შეხედუებათა სისტემამდე. რამ გააპირობა მასში ატავიზმის ასე მყარად ჩამოყალიბება.

მისი ცხოვრების გზა ათი წლის ასაკიდან დაიწყო. ღარიბი, რიგითი დაბალი სოციალური ფენის ოჯახში დაიბადა და სიღარიბეში გაიზარდა.

რა თქმა უნდა სიღარიბე საფუძველი არ არის მკაცრი და დაუნდობელი პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის. ბევრი ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი დაიბადა და გაიზარდა ღარიბ ოჯახში, თავად ჯეკ ლონდონიც ასეთ პირობებში გაიზარდა, მაგრამ მსოფლიო მაშტაბის უდიდესი მწერალი გახდა და პირიქით გერმან ბაზილი ფუფუნებაში გაიზარდა და ყაჩაღი, მგელი და მკვლელი ჩამოყალიბდა მისგან.

აქ მნიშვნელოვანია არა მარტო ოჯახი, არამედ ის სივრცე და ის ადამიანური ურთიერთობები, რომელშიც ყალიბდება მოზარდი. (ეს საკითხი ცნობილია პედაგოგიკურ მეცნიერებაში).

მგელი ლარსენი აღიზარდა და ჩამოყალიბდა გემზე, არაადამიანურ პირობებში და მისი მომავალი გონებრივი და ფიზიკური სახე იშვა და განვითარდა უფროსებისაგან მხეცური და სადისტური დამიკიდებულებით.

ის ვან ვეიდენთან საუბარში იხსენებს თავის წარსულს, ბავშვობას და ყრმობას: ,,ბავშვობაში სიმწრის მეტი არაფერი მინახავს! რომ მშიოდა და მწყუროდა და პირში ხემსი ჩასადები არაფერი მქონდა დაგვით და წვით მოპოვებული თევზის გარდა.

ათი წლის უვიცი და წერა - კითხვის უცოდინარი ღლაპი კაბულუტის ძველის ძველ გემზე იუნგად ვმუშაობდი. საჭმლის მაგიერ სალაფავს ვთქვლეფდი და ურთიერთობის და გაგებინების საშუალება გათენებიდან დაღამებამდე ენა კი არა წიხლი და მათრახი იყო. შიში, სიძულვილი და ტკივილი იყო სულის საკვები და ერთადერთი საზრდო“ (ლონდონი, 1971: 92).

ასეთ პირობებში აღზრდილი ბიჭი, რომელიც დაკაცებამდე ამ რეჟიმში იყო მოქცეული და აქვე გახდა უფროსი მეზღვაური. თავისი სიბეჯითით, ნიჭითა და უნარით მიაღწია კაპიტნობის სტატუსს. რა თქმა უნდა ცხოვრებასა დაზღვაოსნობას იმ წესებით გააგრძელებდა, როგორითაც აღიზარდა, როგორი ჩვევებიცა და ხედვაც გამოუმუშავდა ბავშვობიდან ზრდასრულობამდე.

მისი ცხოვრების მაგალითიდან ჩანს, რომ გემებზე ისეთი ტრადიცია ბატონობდა, როგორიც გაიარა მგელმა ლარსენმა და ამავე ტრადიციას აგრძელებდა იგი თავის გემზე.

ასე იშვა, გაიზარდა და გაბატონდა თავის გემზე მგელი ლარსენი ,,სიკვდილი ლარსენი“ (ლონდონი, 1971: 93).

მისი პრინციპია თავისუფლება, დამოუკიდებლად სხვებისგან დაუხმარებლად ცხოვრება, ასეთია თვითონ და ამავეს მოითხოვს სხვებისგანაც. მას არ მოსწონს, რომ შვილები მშობლების ხარჯზე ცხოვრობენ. ის კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ ადამიანმა ქალია თუ კაცი, თვითონ უნდა ირჩინოს თავი, თავისი შრომით უნდა მოიპოვოს საზრდო, თავისი მცდელობით უნდა შექმნას ცხოვრება და კარიერა. ამასვე მოითხოვს ცნობილი ლიტერატორი ჰემფრი ვან ვეიდენისგან, რომელსაც მის გემზე მოხვედრის შემდეგ პრაქტიკულ, ლიტერატორისთვის, შეუფერებელ სამუშაოს ავალებს.

ასეთი მიდგომით გარდაქმნა ლარსენმა ჰემფრი ვან ვეიდენი, რომელსაც საყვედურობდა, რომ მამის კისერზე ცხოვრობდა. ამიტომ მას ამუშავებდა იუნგად, მზარეულად და ბოლოს კაპიტნის თანაშემწედ დანიშნა. მისი გამოთქმით ჰემფრი, მან, "თავის ფეხებზე დააყენა", ანუ დამოუკიდებლად მოქმედება და პრაქტიკული ცხოვრება შეაძლებინა. სუსტი და ნებივრად გაზრდილი ინტელიგენტი, გაკაჟებულ, ძლიერ და მოხერხებულ კაცად იქცა, როგორც მ. ჯავახიშვილის ელიზბარი, რომანში "თეთრი საყელო". სწორედ ლარსენის მკაცრი მეთოდების მეშვეობით ათვისებულმა საზღვაოსნო ჩვევებისა და გამოცდილების წყალობით დააღწია ვან ვეიდენმა თავი, მგელი ლარსენი გემზე, პრაქტიკული გააზრებით, ტყვეობას და ასევე შეძლო დაზიანებული და ანძამოტეხილი "აჩრდილის" შეკეთება და ამავე გემით დაბრუნება ხმელეთზე. ასე, რომ მგელი ლარსენის სისასტიკეს და მომთხოვნელობას თავისი დადებითი შედეგებიც ახლავს, უარყოფით ზეგავლენასთან ერთად.

ერთი მხრივ ლარსენის მგლობა შეიძლება აიხსნას საზღვაო ნაოსნობის პირობებით, რაც გულისხმობს სიკვდილისა და გემის ჩაძირვის მუდმივ საფრთხეს. მაგრამ მეორე მხრივ ეცემა და ქვეითდება ადამიანური ზნეობა. მხეცური სისასტიკე თრგუნავს პიროვნებაში სიკეთისა და ჰუმანიზმის პრინციპებს, ილახება მეგობრობის, კოლეგიალობის შეგნება, იდევნება სულიერება და გემზე ისადგურებს ცივი, მატერიალისტური ცხოვრების წესი. მგელ ლარსენს არაფრად მიაჩნია ადამიანური მორალი, სიკეთე, სხვისადმი დახმარება. მას არც ღმერთი სწამს და არც ადამიანი. თავისი თავიც მას მიაჩნია ყოფითი ცხოვრების, ჭამა-სმის, მისი სიტყვებით "თქვლეფის" და "ღორობის" აპოლოგეტად. მისთვის არ არსებობს ადამიანის სულის მარადიულობა. სვამს კითხვას: რატომ უნდა იყოს ადამიანის სული უკვდავი? "რა უკვდავება დაიმსახურეთ თქვენ ამ ქვეყნად"? (ლონდონი, 1971: 49). ამ კითხვაზე ჰემფი ვერ პასუხობს.

ლარსენი საუცხოოდ გადმოსცემდა თავის ნააზრევს. (იგი დიდებული ინგლისურით ლაპარაკობდა).ის მიმართავს ვან ვეიდენს: "ჩემს თვალებში თქვენ ხედავთ გონიერებას, ცხოვრების, როგორც სიცოცხლის არსებობის შეცნობის უნარს და ეგ არის სულ. თქვენ ვეღარ ხედავთ ამ სიცოცხლის უსასრულობას". (ლონდონი,

1971: 47). მას მოსწონს მილიტონის "დაკარგული სამოთხე", ლუციფერის აზრები. მისი ინტელექტი თავისებურად იაზრებს ლუციფერის დებულებას- "ცაში მონობას ჯოჯოხეთში მეფობა მიჯობს" (ლონდონი, 1971: 28). ამიტომაცაა, რომ მის გემზე მოხვედრილი ქალი მოდ ბრუსტერი მას ლუციფერს უწოდებს. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ პოეტესამ მასში სატანური საწყისი დაინახა, რომელთანაც არც ჰემფრსა და არ მოდ ბრუსტერს არანაირი საერთო არ ჰქონდათ „ ამ კაცთან შეხების არცერთი წერტილი არ გამაჩნდა" (ლონდონი, 1971: 63)- ამბობს ლარსენის შესახებ ჰემფრი ვან ვეიდენი. ჰემფრს უძნელდება მგელი ლარსენი ადამიანად აღიქვას. ამას ლარსენის მისეული შეფასებაც მოწმობს: "ჩემს წინ იდგა ტყის ნადირი - მგელი, მგელი, მშიერი მგელი. მგელი ღმუილით წამოვიდა ჩემკენ" (ლონდონი, 1971: 78).

ლარსენის აზრით "ცხოვრებას არავითარი ფასი არა აქვს იმის გარდა, რასაც თავად ანიჭებს თავს" (ლონდონი, 1971: 65). იგი საყვედურობს ჰემფერის, სულის უკვდავებას ქადაგებთ და სიკვდილის გაგონებაზე ელეთმელეთი მოგდითო" (ლონდონი, 1971: 83). ასეთ რეალისტურ და მკაცრ აზრს ვერაფერს დაუპირისპირებს ვეიდენი. სიკვდილის ყველას და მასაც ეშინია, რაც სულის უკივდავებას ასეთ ადამიანთა რწმენაში ეჭვის ქვეშ აყენებს. მას არანაირი განათლება არა აქვს. მისი ყოველი დებულება თავისი ნაფიქრი და ნააზრევია, "არც შემიხედავს სკოლაში, ჩემით დამჭირდა გზის გაგნება" (ლონდონი, 1971: 89) - ეუბნება ლარსენი ჰემფრის. ასეთივე შეხედულება აქვს ლარსენზე ეკიპჟის წევრს ლიჩის. იგი ჰემფრის ეუბნება: "ტყუილა კი არ ეძახიან მგელს! მგელია, მგელია და იმიტომ, ნამდვილი მგელი" (ლონდონი, 1971: 53). მისი აზრით, იბადებიან გულბოროტი ადამიანები, მაგრამ "ამ კაცს სულ არა აქვს გული, მგელია, მგელი" (ლონდონი, 1971: 53). ასევე მგლური იმიჯი აქვთ ეკიპაჟის წევრებს, განსაკუთრებით მონადირეებს, რომლებსაც ჰემფრი მგლების ხროვას ადარებს; "თვალი მოვავლე გაბოროტებულ მხეცთა სახეებს" (ლონდონი, 1971: 126) - ამბობს იგი, ლარსენის წინააღმდეგ შეთქმულ მონადირეებზე. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ გემზე მგლური განწყობილება სუფევს, მხეცური იმიჯი სჭარბობს ადამიანურს. ეკიპაჟის წევრების უმრავლესობა მგელ ლარსენს მგელივით ეპყრობა და რომ დასძლიონ, დაამარცხონ, მგლებივით გაგლეჯენ

მას. რასაც გვაფიქრებინებს ჰემფრი ვან ვეიდენის ნარატივი მათ შესახებ.

მგელი ლარსენი საკუთარი პრინციპების დასასაბუთებლად თავისი განათლების წყალობით, დამაჯერებელი არგუმენტებისა და ლოგიკური აზროვნების გარდა ბიბლიასაც იშველიებს, რაც იმას მოწმობს, რომ ბიბლიას კითხულობს. სწორედ ბიბლიიდან წაუკითხა ჰემფრის და უმტკიცებს, რომ სიკვდილი არყოფნაა და მკვდრები აღარაფერს წარმოადგენენ. "ვინაითგან ცოცხალნი სცნობენ რამეთუ მოკვდებიან, ხოლო მკვდარნი არა არიან მეცნიერ არა რაისა და არა რაის მათდა მერმეცაა სასყიდელი. რამეთუ დავიწყებულ არს სახსენებელი მათი (ლონდონი, 1971: 97).

მოცემულ ციტატაში სული საერთოდ ნახსენები არ არის და ამდენად მხოლოდ სხეულზე მსჯელობს ბიბლიის ავტორი თუ სულზეც, რთულია ამ ის გარკვევა, ეს სხვა საკითხია. მაგრამ ლარსენი ხაზს უსვამს, რომ სიკვდილი არყოფნაა და მკვდარს არაფრის უნარი და ცნობიერება არა აქვს. ამიტომ მისი აზრით, "ცოცხალი ძაღლი სჯობს მკვდარ ლომს" (ლონდონი, 1971: 103). მას არაფრად მიაჩნია სული. არავითარი კავშირი არ არის. " რა შუაშია ადამიანის სული, მთავარია წადილი, სურვილი! სურვილი წყვეტს ყველაფერს" (ლონდონი, 1971: 213) - უმტკიცებს იგი ჰემფრის თავის აზრს.

მგელი ლარსენი თავისი მრწამსის ერთგულია სიკვდილის წინაც. იგი ჰემფრის, რომელიც ცდილობს ლარსენის გემი შეაკეთოს და დაბრუნდეს სამშობლოში, ობიექტურად აფასებს. აქებს კიდეც მის მოქმედებას, თვლის, რომ ჰემფრი საკუთარ ფეხებზე დგას. ამიტომ ეუბნება ვან ვეიდენს: "შეგიძლიათ მამათქვენს დაუბრუნოთ ფეხები საფლავში" (ლონდონი, 1971: 130).

იგი ვეიდენს ყოველთვის თქვენობით მიმართავს, მას ისე არ ეპყრობა როგორც სხვებს, ჩანს, რომ მას ისინი მგლებად მიაჩნია და ადექვატურად ექცევა მათ. იგივე "ლიჩში მეტისმეტად მებრძოლი მხეცი ჩაბუდებულიყო" (ლონდონი, 1971: 132). ასევე გამოიყურებიან სხვებიც.

მგელი ლარსენი კარგად ხედავს, რომ ვეიდენი ჭეშმარიტად კულტურული, განათლებული და ნამდვილი ჯენტლმენი კაცია. ამდენად, ის მას მისგან განსხვავებულ იდეურ მოწინააღმდეგე პიროვნებად მიაჩნია და არა მხეცად და მტრად, როგორც ჯონსონი,

ლიჩი, კუკი და სხვები. მხედველობადაკარგული სასიკვდილოდ განწირული მგელი ლარსენი თავის გემზე შეპარულ ჰემფრის ნაბიჯების ხმით და მზის შუქჩრდილით შეიცნობს, იგი სუნთქვით შეიცნობს ვეიდენთან ერთად გაქცეულ მოდის, რითიც დასტურდება, რომ მას მგლის ყნოსვა და გონებრივი ალღო არ დაუკარგავს. ამდენად ის კვლავ საშიშია ჰემფრისთვის. იგი იძულებულია რევოლვერი გამოიყენოს, მაგრამ ვერც ამით გატეხა ლარსენის ნებისყოფა. იგი ვეიდენს ეუბნება: "თქვენი თავით ბოლომდეე პირობითი მორალი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე თავად თქვენ. იმ ხალიხის ცრურწმენებისა და იმ წიგნების ცრუ აზრების მონა ხრთ, ვისაც იცნობთ და რაც წაგიკითხავთ"..."თქვენი ფილოსოფიისა და ჩემი შეგონებების მიუხედავად, ეს აზრები ნებას არ გაძლევთ მოკლათ შეუიარაღებელი , უმწეო კაცი" (ლონდონი, 1971: 260).

ჰეფრი ვან ვეიდენი თავისი მორალისა და კაცური პრინციპების ერთგული რჩება, იგი ჰუმანიზმით მგელ ლარსენზე მაღლა დგას. ამიტომაც ამ დაპირისპირებაში უსისხლოდ და ძალადობის გარეშე იმარჯვებს. მიუხედავად იმისა, რომ ის აგრძნობინებს ლარსენს მის უძლურებას "ბატონო ლარსენ, - მიმართავს იგი დაუძლურებულ დადამბლავებულ კაპიტანს, - საფუარის ის ნაგლეჯი აღარა ხართ, ოდესრაც რომ ყოფილხართ. ახლა ველარ შემჭამთ და ვერ შემახრამუნებთ, საფუარი ჩავარდა, გადამჟავდა, თქვენ დაპატარავდით, ახლა მე გადაგყლაპავთ" (ლონდონი, 1971: 272).

ამ სიტყვების მიუხედავად ჰემფრი თვლის, რომ მგელი ლარსენი მტკიცე პიროვნებად რჩება და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც თავისი პრინციპების ერთგულია. ამას მოწმობს ლარსენის მისამართით ნათქვამი მისი სიტყვები:" შეუპოვარი და დაუცხრომელი მგელი ლარსენი, -საკუთარ სხეულში დატყვევებული მგელი ლარსენი, არ შეცვლილა, იგი კვლავაც ის შეუპოვარი, დაუცხრომელი ადამიანი, დაუთრგუნველი და საშიში მგელი ლარსენი გახლდათ" (ლონდონი, 1971: 291).

ჰემფერის ეს აზრი დასტურდება ლარსენის სიტყვებით, რომელიც მან სიკვდილის წინ წარმოთქვა: "მე ვიღიმები, როგორც ხედავთ, მე ჯერ ისევ საფუარის ნაგლეჯი ვარ" (ლონდონი, 1971: 297).

ხოლო ლარსენის რწმენას სულსა და საიქიოზე მოდი ბრუსტერის კითხვაზე სულის უკვდავების შესახებ, ვლინდება მისი ერთსიტყვიან პასუხში "სისულელეა" (ლონდონი, 1971: 228).

ბუნებრივია ასეთი უკუღმართული შეხედულებების ადამიანთან ჰემფრი ვაიდენი შეურიგებელი იქნებოდა. მისთვის ჰუმანურობა, სიკეთე და ალტრუიზმიც კი მნიშვნელოვანია.

აქედან გამომდინარე მიაჩნია, რომ მგელი ლარსენი, მიუხედავად მისი განათლებისა, მატერიალისტური პრაქტიციზმისა და შრომის მოყვარეობისა უარყოფით პიროვნებად მიაჩნია. უფრო მეტიც, იგი ამბობს: "შევიგრძენი, რაოდენი დანაშაული იყო ამ კაცის არსებობაც კი ამქვეყნად" (ლონდონი, 1971: 219).

ციტირებული სიტყვები მოწმობენ, რომ ცივილიზებული ადამიანისათვის მიუღებელია მგელი ლარსენისთანა მგლური ბუნების, მგლის თვისებების, კაცთმოძულე და დაუნდობელი ზეკაცი. მაგრამ თავისი სიკეთიდან გამომდინარე, მან თავისი ხელით მიაბარა ლარსენის გვამი უსაზღვრო ოკეანეს. რითიც კვლავ დაამტკიცა, რომ კაცთმოყვარეობა სამყაროს განვითარების აუცილებელი ფენომენია.

დასკვნები: ჯეკ ლონდონის რომანში "ზღვის მგელი" მგლის მეტაფორული სახის შესწავლისა და ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. რომანის მთავარი გმირი მგელი ლარსენი განასახიერებს მგელს ადამიანში. ანუ ნაწარმოების მთავარ გმირში სახიერდება მგლის სასტიკი და დაუნდობელი ბუნება. ამდენად იგი გამოირჩევა გარეგნული აღნაგობით, გონიერებით, ნიჭითა და ამტანობით. მასში კონცენტრირდება ადამიანური და მგლური საწყისები.

2. მგელ ლარსენს აქვს თავისი ჩამოყალიბებული პრინციპები, რომელიც ემყარება ოკეანეში ზღვაოსნობის წესებსა და ტრადიციებს. რაც იმის მანიშნებელია, რომ ლარსენი საზღვაო ცხოვრების პრაქტიკამ და ურთიერთობამ ჩამოაყალიბა ასეთ პიროვნებად. ბავშვობიდანვე მის ფსიქიკაში დამკვიდრებულმა აგრესიულობამ, მხეცურმა დამოკიდებულებამ გემის უფროსების მხრიდან, თავისი შედეგი გამოიღო და სკოლის უნახავ ბავშვზე

გადამწყვეტი გვლენა იქონია, რომ ის მგლის სახედ ქცეულიყო ადამიანთა შორის.

3. მგელი ლარსენის ძირითადი პრინციპია თავისუფლება და დამოუკიდებელი პრაქტიკული ცხოვრება ანუ "საკუარ ფეხებზე დგომა". ის დიდად აფასებს შრომას და ადამიანის თავისი შრომით საზრდოს და საცხოვრებელი პირობების შექმნას. მისი მრწამსი ცხოვრებაზე უარყოფითია. მას ეს ქვეყანა მხოლოდ მატერილისტურად აქვს გააზრებული და ძლიერთა უპირატესობას აღიარებს, სუსტებთან შეპირისპირებისას. ამ პრინციპებს იგი სპენსერის ფილოსოფიიდან ღებულობს.

4. მგელ ლარსენს კომპარტივისტული მეთოდით შეიძლება შევადაროთ ალ. იასაღაშვილის რომანის "მგლის ბილიკის" გმირი გერმან ბაზილი. მათ შორის საერთოა მგლური ბუნება, ძლიერება, ამტანობა, გონივრულობა, მკვლელობა. მათ შორის სხვაობაც დიდია. მგელი ლარსენი თავისი შრომით ცხოვრობს, გერმან ბაზილი მძარცველი, ყაჩაღი და კრიმინალია. იგი დამნაშავეთა სამყაროს ლიდერია ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ლარსენი თავისი გემის "აჩრდილის" კაპიტანია.

5. რომანში "ზღვის მგელი" იდეურად წინა პლანზე დგს ჰუმანიზმი და სიკეთე, რომელსაც განასახიერებს პერსონაჟი - მთხრობელი ჰემფრი ვან ვეიდენი, რომელიც მგელს ხედავს არა მარტო ლარსენის მოქმედებაში და აზროვნებაში, არამედ ეკიპაჟის წევრებშიც. ის თავისი რწმენის ერთგულია, ამერიკის ცნობილი ლიტერატორი, რომელსაც სჯერა კაცთმოყვარეობის, ადამიანური ურთიერთობების და მოდისთან ერთად ამ რწმენით აღწევს თავს, როგორც მგელი ლარსენის ტყვეობიდან, ისე უკაცრიელი კუნძულიდან და ბრუნდება სამშობლოში.

6. ჯეკ ლონდონი მგელი ლარსენის მხატვრული სახის შექმნაში აღწევს მაქსიმალურ შედეგს. იგი ქმნის განუმეორებელ გმირს, რომლის მსგავსი ძნელად თუ მოიძებნება ლიტერატურაში. ის არის ორიგინალური პერსონაჟი და სრულიად განსხვავებულია ჟიულ ვერნის, დანიელ დეფოს, ჯონათან სვიფტის და სხვათა პერსონაჟებისაგან.

7. ჯ. ლონდონის რომანში მკაცრი რეალისტური ცხოვრების ფონზე, რეალურ გარემოში ასახულია ულტრა მატერიალისტი

გმირი, ნიცშესეული ზეკაცი,რომელიც ნაწარმოებში ასახული სინამდვილის პირობებშია ჩამოყალიბებული.

გამოყენებული ლიტერატურა

იასაღაშვილი, აბას. 1969. მგლის ბილიკი. თბილისი: ნაკადული.

ლონდონი, ჯეკ. 1971. ზღვის მგელი. თბილისი: ნაკადული.

სანადირაძე, გიორგი. 1998. ნადირობა მგლებზე. თბილისი: სამშობლო.

ხუცესი, იაკობ. 2004. შუშანიკის წამება. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ლონდონი, ჯეკ. 1904. The Sea-Wolf. New York: Macmillan.

References

Iasaghashvili, Abas. 1969. Mglis biliki [The Wolf's Path]. Tbilisi: Nakaduli. (in Georgian)

Londoni, Jack. 1971. Zghvis mgeli [The Sea Wolf]. Tbilisi: Nakaduli. (in Georgian)

Sanadiradze, Giorgi. 1998. Nadiroba mglebze [Hunting Wolves]. Tbilisi: Samshoblo. (in Georgian)

Khutsesi, Iakob. 2004. Shushanikis ts'ameba [The Martyrdom of Shushanik]. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing. (in Georgian)

London, Jack. 1904. The Sea-Wolf. New York: Macmillan. (in English)

ქეთინო გრძელიშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ელფოსტა: ketinogrdzelishvili@gmail.com

სახარებისეული ციტატა ანა კალანდაძის პოეზიაში

მოკლე შინაარსი

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ანა კალანდაძის პოეზიაში სახარებისეული ციტატებისა და ბიბლიური სიმბოლიკის გააზრებასა და მათი გამოყენების კონკრეტულ მხატვრულ ფუნქციას. კვლევა ემყარება მოსაზრებას, რომ ბიბლია, როგორც ქართული კულტურისა და ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლური ტექსტი, საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებით ხედვას. თუმცა, ანა კალანდაძის შემთხვევაში ბიბლიური ტექსტები არა მხოლოდ ტრადიციული რელიგიური ან ფილოსოფიური კონტექსტის გაგრძელებაა, არამედ თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური რეალობის სიღრმისეული გააზრების საშუალებაც.

ნაშრომში გამოკვეთილია, რომ ანა კალანდაძის პოეზიაში ბიბლიური ციტატები და მხატვრული სახეები განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 60-70-იან წლებში, რაც უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ დამკვიდრებულ იდეოლოგიურ წნეხსა და ცენზურას. ასეთ რეალობაში პოეტისთვის სიტყვიერების ღია ფორმები შეზღუდული იყო, რის გამოც იგი სახარებისეულ ციტატებსა და ბიბლიურ სიმბოლოებს იყენებდა სათქმელის შეფარულად, მაგრამ ღრმა შინაარსით გადმოსაცემად. ამგვარი მიდგომა პოეტისთვის არა მხოლოდ ესთეტიკური საშუალება, არამედ ინდივიდუალური წინააღმდეგობისა და სულიერი თავისუფლების გამოხატულება იყო.

ნაშრომი ეყრდნობა როგორც უშუალოდ ანა კალანდაძის პოეტურ ტექსტებს, ისე მის თანამედროვე კრიტიკოსთა

შეხედულებებს, მათ შორის რევაზ მიშველაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილისა და ლაურა სორდიას ნააზრევს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ აფასებენ აღნიშნული მკვლევარები პოეტის შემოქმედებაში ბიბლიური ნაკადის გააქტიურების პროცესს.

ამასთან, ნაშრომი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით ცდილობს ანა კალანდაძის პოეზიაში ბიბლიური ციტატების გამოყენების მიზეზების კომპლექსურად გაანალიზებას. მათ შორის განსაკუთრებით ხაზგასმულია საბჭოთა რეპრესიული გარემო, პოეტისთვის აუცილებელი შემოქმედებითი თვითცენზურისა და სამოქალაქო პოზიციის შენარჩუნების რთული არჩევანი.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ანა კალანდაძის პოეზიაში სახარებისეული ციტატები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: 1) ციტატები, რომლებიც ეპიგრაფად წინ უძღვის ლექსებს; 2) ციტატები, რომლებიც ლექსის შიგნით, როგორც ტაეპები, ორგანულად ჩნდება; 3) ბიბლიური ეპიზოდები და იგავები ტექსტში გადამუშავებული სახით გვხვდება. თითოეულ შემთხვევაში ბიბლიური ტექსტის გამოყენება არ არის უბრალო დეკორატიული ან ესთეტიკური ფუნქციის მატარებელი, იგი პოეტის სიღრმისეული სულიერი და სამოქალაქო დიალოგის ნაწილია თანამედროვეობასთან.

ნაშრომი ნათლად მიუთითებს, რომ ანა კალანდაძის პოეზიაში სახარებისეული ციტატების ინტერპრეტაცია ტრადიციისა და სიახლის ორგანულ შეზავებას წარმოადგენს, რაც ხაზს უსვამს პოეტის განსაკუთრებულ როლს ქართული ლიტერატურის განვითარებაში, ეროვნულ იდენტობასა და სულიერი წინააღმდეგობის კულტურის შენარჩუნებაში.

საკვანძო სიტყვები: სახარებისეული ციტატა, ძველი ქართული ტრადიცია, ალტერნატიული სივრცე, მოდერნისტული იდეა.

Ketino Grdzelishvili
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
Doctor of Philology, Associate Professor,
Email: ketinogrdzelishvili@gmail.com

GOSPEL QUOTATIONS IN ANA KALANDADZE'S POETRY

Abstract

The present paper is dedicated to the analysis of Gospel quotations and biblical symbolism in the poetry of Ana Kalandadze, exploring their specific artistic function. The research is based on the premise that the Bible, as one of the foundational texts of Georgian culture and literature, has shaped the creative vision of Georgian writers and poets for centuries. However, in the case of Ana Kalandadze, biblical texts are not merely a continuation of traditional religious or philosophical contexts, but also serve as a means of deeply understanding contemporary social and political realities.

The paper reveals that in Kalandadze's poetry, biblical quotations and imagery became especially prominent during the 1960s and 1970s, directly linked to the ideological pressure and censorship imposed by the Soviet totalitarian regime. In such a reality, open forms of verbal expression were limited for the poet, which led her to employ Gospel quotations and biblical symbols to convey her messages in a veiled yet profound manner. This stylistic approach was not only an aesthetic choice but also an expression of personal resistance and spiritual freedom.

The study draws upon Kalandadze's poetic texts as well as insights from contemporary critics, including Revaz Mishveladze, Avtandil Nikoleishvili, and Laura Sordia. Special attention is paid to how these scholars evaluate the activation of the biblical current in the poet's work.

Additionally, taking the historical context into account, the paper aims to provide a complex analysis of the reasons behind the use of biblical quotations in Kalandadze's poetry. In particular, it highlights the repressive Soviet environment and the poet's difficult choice to maintain both creative self-censorship and a civic stance.

The results of the research show that Gospel quotations in Kalandadze's poetry fall into three main categories: 1) Quotations used as epigraphs to the poems; 2) Quotations that appear organically within the body of the poem as lines; 3) Biblical episodes and parables reworked and embedded into the text. In each case, the use of biblical texts is not merely decorative or aesthetic — it is part of the poet's profound spiritual and civic dialogue with her contemporary world.

The paper clearly demonstrates that the interpretation of Gospel quotations in Ana Kalandadze's poetry represents an organic fusion of tradition and innovation, emphasizing the poet's unique role in the development of Georgian literature, the preservation of national identity, and the culture of spiritual resistance.

Keywords: Gospel quote, ancient Georgian tradition, alternative space, modernist idea.

შესავალი: ქართული მწერლობის საფუძველი მითოსთან ერთად ბიბლიაა, განსაკუთრებით, მისი მეორე ნაწილი ახალი აღთქმა, კერძოდ კი სახარება-ოთხთავი, რომელიც უხვად იყენებს ძველ ღთქმისეულ ნაკადს: სიუჟეტებს, ციტატებს, მხატვრულ სახეებს. სახარება-ოთხთავს ბაძავს როგორც ძველი, ისე ახალი და უახლესი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა.ესაა ერთგვარი ბიბლიური ტრადიცია, რომელიც არა მხოლოდ აძლიერებს ქრისტიანულ სარწმუნოებას, არამედ ეროვნული თვითშეგნების, სულიერი წინააღმდეგობისა და კულტურული იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმადაც გვევლინება.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებს იმსახურებს ანა კალანდაძის პოეზია, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში გამორჩეულ ადგილს იკავებს. მისი შემოქმედება ღრმად ფესვგადგმულია ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში, თუმცა ამავე დროს, თანამედროვე ისტორიულ-პოლიტიკური რეალობის გამომხატველი და შეფასების მნიშვნელოვანი მცდელობაა. პოეტის ლექსებში ბიბლიური ციტატები, ბიბლიური მხატვრული სახეები და სიუჟეტები თითქოს მშვიდი ლიტერატურული ფორმით გვევლინება, მაგრამ მათ უკან იმალება ღრმა სულიერი წუხილი, სოციალური პროტესტი და თანამედროვე ყოფით უკმაყოფილება.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როცა თავისუფალი აზრის გამოხატვა მკაცრად შეზღუდული იყო, ბიბლიური ტექსტები და სახარებისეული ციტატები პოეტისთვის სათქმელის შეფარულად გადმოცემის საშუალებად იქცა. ანა კალანდაძის მიერ სახარებისეული ციტატების გამოყენება არა მხოლოდ ესთეტიკური მოთხოვნიდან, არამედ ისტორიული საჭიროებიდანაც გამომდინარეობდა — ეს იყო სულიერი წინააღმდეგობის ფორმა, ტრადიციის გაგრძელება და იმ ეპოქაში ეროვნული ღირსების შენარჩუნების მცდელობა.

წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ საკითხების კვლევას ისახავს მიზნად. ტექსტში გაანალიზებულია ანა კალანდაძის პოეზიაში სახარებისეული ციტატების გამოყენების ფორმები, მათი

მხატვრული, ფილოსოფიური და სოციალური დატვირთვა, ასევე განხილულია თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში არსებული შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით. კვლევის მთავარი ამოცანაა, გამოკვეთოს, თუ როგორ ახერხებდა პოეტი ტრადიციისა და სიახლის სინთეზით კონკრეტული ისტორიული ეპოქის სულიერი წინააღმდეგობების გადალახვას და როგორ იქცა ბიბლიური ტექსტი მისი პოეზიის ორგანულ ნაწილად.

შედეგები და მსჯელობა: ბიბლია ქართული მწერლობის ქვაკუთხედია, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნაწილი-ახალი აღთქმა და განსაკუთრებით სახარება- ოთხთავი, რომელიც მარტოოდენ ქრისტიანულ მორალს როდი ამკვიდრებს ჩვენში, არამედ გარკვეულ ლიტერატურულ ტრადიციებსაც. ამ ტრადიციათაგან მნიშვნელოვანია ქართული მწერლობის ნიმუშებში ბიბლიური ნაკადის მიზანმიმართულად გამოყენების შემთხვევები. სახარება-ოთხთავი უხვად იყენებს ძველ აღთქმისეულ ციტატებს ამა თუ იმ თვალსაზრისის გასამყარებლად. სახარება- ოთხთავს კი ბაძავს სასულიერო მწერლობა, განსაკუთრებით მისი მნიშვნელოვანი ჟანრები: ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია არა მარტო იდეური, არამედ მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც. თავიანთი მხატვრული ჩანაფიქრის საილუსტრაციოდ ქართველი ჰაგიოგრაფები და ჰიმნოგრაფები უხვად იყენებენ ამონარიდებს ბიბლიიდან. ის, რაც დოგმა იყო ადრეფეოდალური ხანის მწერლობისთვის, შემდგომდროინდელ ეპოქებშიც გაგრძელდა. ბიბლიური ნაკადი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაშიც. ახალი და უახლესი ლიტერატურის ნიმუშები სავსეა ამდაგვარი მაგალითებით, თუმცა ამ პროცესს განსხვავებული დატვირთვა აქვს.

აღნიშნულ საკითხზე ბევრი უფიქრია ანასაც. პოეტი აცხადებს: ,, ჩემი გულისთქმა ხშირად ესადაგება ჩემთვის საინტერესო ადგილებს ამ ბრძნული წიგნებიდან, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმიდან. ამიტომაცაა, ალბათ, ბიბლია შთაგონების უშრეტი წყარო ყოველი დროისა და ყოველი ეპოქის ხელოვანისათვის... ბიბლიური სახეები და სიუჟეტები დღევანდელობას გასაოცარი აქტიურობით ეხმაურებიან, გასაოცრად ესადაგებიან ხოლმე დღევანდელი ადამიანის განცდებს და განწყობილებებს. ბიბლიაში

ხომ... დუღს და გადმოდუღს ნამდვილი ცხოვრება... (კალანდაძე 1987, 344-345). როგორც ჩანს, ანასთვის ბიბლია არის ის ტექსტი, რომელიც მუდმივ დიალოგშია აწმყოსთან. ბიბლიური ტექსტი ერთგვარად აცოცხლებს როგორც წარსულის ტრადიციას, ასევე ხელს უწყობს სიახლის დამკვიდრებასაც. „ანას „ტექსტები“, როგორც შერწყმა „ტექსტში მოქცეული უამრავი ტექსტისა“, მრავალშრიანი ზოდებით მბრწყინავი, ცალკეული შენაკადების შესწავლის სიხარულს გვანიჭებს“(ბარბაქაძე 2008, 22-23),- ვკითხულობთ სამეცნიერო ლიტერატურაში.

სპეციალურ ლიტერატურაში საინტერესო შეხედულებები გვხვდება ანას პოეზიისა და ბიბლიის მიმართების შესახებ. ამ თვალსაზრისთაგან მნიშვნელოვანია რევაზ მიშველაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, ლაურა სორდიასა და თამარ ბარბაქაძის ნააზრევი, თუმცა სათქმელი, ვფიქრობ, კიდევ რჩება.

რევაზ მიშველაძის აზრით: „ პირველ ხანებში გვიჭირდა მიგვეღო სხვა ამპლუაში წარმოდგენილი ანა კალანდაძის ლექსი, სადაც ადრინდელ სასაუბრო ინტონაციებს და ლაპიდარულ მეტყველებას ძველი ქართული კდემა და მონუმენტურობა შენაცვლებოდა, ხოლო ლექსის თავისუფალ მდინარებას, თითქოს საგანგებოდვე ამოსდებოდა ლაგამი"(მიშველაძე 2000, 125). შემდეგ მკვლევარი აგრძელებს: „მინიატურულობა, ერთი მხრივ, აფორისტულ სიზუსტეს მატებდა ლექსს. მეორე მხრივ კი, პოეტური სუნთქვის ხელოვნური შეკავების ილუზია რჩებოდა. ბოლოს თვითონვე დაგვარწმუნა, რომ დიდი პოეტის სიტყვასა და სათქმელს, ჭეშმარიტი შემოქმედის სულის რთულ შრეებს მრავალი განზომილებანი გააჩნია და ლიტერატურულ სტერეოტიპს ვერა და ვერ მიუსადაგებ. იგი იმდენად ძლიერია, რომ გაიძულებს ჩაჰყვე მის ნებას" (მიშველაძე 2000, 126). მკვლევარი აქ აშკარად მიუთითებს (ლექსის თავისუფალ მდინარებას, თითქოს საგანგებოდვე ამოსდებოდა ლაგამი), რომ ანა კალანდაძის შემოქმედებაში ბიბლიური ნაკადის გააქტიურებას თავისი მიზეზები აქვს. თუმცა არაფერს ამბობს ამ მიზეზებზე.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის თვალსაზრისით: „ ადრინდელ ლექსებთან შედარებით 60-იანი წლების დასასრულიდან პოეტის ლირიკაში ერთგვარად იკლო მელოდიურობის ხარისხმა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი კვლავაც ხშირად მიმართავს

ხოლმე ამღერებულ მუსიკალურ სალექსო ფორმებსა და ხალხურ პოეტურ ინტონაციებს, მისი ლექსის მელოდიურ უშუალობას თითქოს მაინც მოაკლდა ის შინაგანი სილაღე, ტემპერამენტი, სინარნარე და მღერადობა, რითაც ადრინდელი ლექსები ხასიათდებოდა. ამან თითქოს ერთგვარად დაამძიმა პოეტური მელოდია და რაგინდ პარადოქსადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ლექსი ზომაზე მეტად შეიბოჭა ტექნიკური პროფესიონალიზმით"(ნიკოლაიშვილი 2012, 356-357). მკვლევარი აქ მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს: ,,ადრინდელი ტენდენციის მომძლავრება იქნებ იმანაც განაპირობა, რომ პოეტის ბოლოდროინდელ ლირიკაში ფართოდ შემოიჭრა ე. წ. მწიგნობრული ნაკადი. კერძოდ, 70-იანი წლებიდან შექმნილი არაერთი ლექსის განწყობილება სასულიერო მწერლობის წიაღიდანაა ამოზრდილი და თანამედროვე ადამიანის სულიერ ზრახვებთან შეზრდილ-შესისხლხორცებული, რაც ნათლად იგრძნობა როგორც შინაარსობრივად, ისე ინტონაციური თვალსაზრისითაც..."(ნიკოლაიშვილი 2012, 256).

წერილში ავთანდილ ნიკოლეიშვილი პარალელს ავლებს ჰიმნოგრაფიულ ნიმუშებთან და ასკვნის, რომ ,,სწორედ ამ ტიპის ლექსებში შემოდის ყველაზე მძაფრად ლირიკული გმირის მიერ საკუთარი სულიერი სამყაროს თვითგანსჯა და თვითანალიზი" (ნიკოლაიშვილი 2012, 257).

რაც შეეხება ლაურა სორდიას, მკვლევარს შესწავლილი აქვს ანას პოეზიის ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ანას პოეზიის ბიბლიურ სახისმეტყველებაზე. მისი აზრით: ,,ანა კალანდაძის სიმბოლიკა ქრისტიანულია და ნასაზრდოებია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით. ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის სახისმეტყველება წმინდა წიგნების სახეებთან შემოქმედებითი დამოკიდებულების შედეგია" (სორდია 2005: 165-218).

მეოცე საუკუნის 60-70-იან წლებში ანას პოეზიაში სახარებისეული ნაკადის გააქტიურებას ალბათ თავისი მიზეზები ჰქონდა. ვფიქრობ, ამ საკითხზე პასუხს ანას თანამედროვე ეპოქა გვაძლევს. აკაკი ბაქრაძე თავის ყველასთვისცნობილ ,,მწერლობის მოთვინიერებაში" ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ბუნებაზე. მკვლევარი წერს: ,,არის დრო, როცა მთელი ერი მიეცემა სასოწარკვეთილებას, აღარავის

სჯერა სამართლიანობის,პატიოსნების, კეთილსინდისიერების და მხოლოდ საკუთარ ტყავს უფრთხილდება ადამიანი. ასეთია კომუნისტების დიქტატურის ეპოქა. ამ ეპოქაში გაბატონებულმა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ჩამოაყალიბა მწერლის ახალი ტიპი-მწერალი ფლუგერი, რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს" (ბაქრაძე 1990: 41). ამ სიტყვებს მიღმა უამრავი შემოქმედის ტრაგედია ცოცხლდება. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმს არც ანა კალანდაძე დარჩენია კადრს მიღმა. პოლიკარპე კაკაბაძის ქალიშვილი, მანანა კაკაბაძე, თავის სტატიაში ,,ანას გამოჩენა პოეზიაში და პოლიკარპე კაკაბაძე" იგონებს: ,,1953 წლის 19 ნოემბერს ანა მოვიდა ჩვენთან სტუმრად და მამაჩემს მოართვა თავისი ახლადგამოშვებული ლექსების თხელი კრებული. 48 ლექსი შედიოდა ამ კრებულში (კალანდაძე 1953). უმეტესი ნაწილი ამ კრებულში შემავალი ლექსებისა, დაახლოებით 26-27 ლექსი შემდგომ გამოცემებში ანას ამ სახით აღარასოდეს შეუტანია. მხოლოდ მცირე მათგანი, მხოლოდ რამოდენიმე ლექსი შეცვლილი რედაქციითაა შესული შემდგომ გამოცემებში. ეს იყო უშველებელი , გრძელი, გაწელილი, ტრაფარეტული ტექსტები, ,,პოეზიას" რომ ეძახდნენ ავბედით, საბჭოთა ხანაში, სტალინის რეაქციის უმძიმეს პერიოდში. ასეთ ლექსებს ჩვენში ,,პარავოზს" ეძახდნენ. რამდენიმე მაინც რომ არ წაემძღვარებინათ კომუნისტური იდეოლოგიის მომხრეობის დასამტკიცებლად, კრებულს არ დაბეჭდავდნენ... ეს არ იყო ანას პოეზია... იყო იძულებით დაწერილი ტექსტები, რომლებიც შეიძლება შეადარო იმ თავის გადასარჩენად შეთხზულ აღიარებებს, წამების შედეგად რომ აწერინებდნენ საპატიმროებში სიკვდილმისჯილ პატიმრებს... ლექსები ბელადზე, პარტიაზე, ვიღაც მუშაკებზე... პოლიტიკური სიყალბე, გამოგონილი ტექსტები, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ანას პოეზიასთან, შემოქმედებასთან... ამ საშინელი ტექსტების ფონზე, ანას პოეტური მარგალიტები, აქა-იქ მიმობნეულნი მორცხვად, თითქოს გამქრალიყვნენ და აცრემლებულიყვნენ, ისინი შეურაცხყოფილნი თავის თავს აღარ გავდნენ... (კაკაბაძე 2008: 16-17). მანანა კაკაბაძე აგრძელებს: ,, ანას მოხვდა დროის მსახვრალი ხელი და დააზრო მისი ყვავილი, რომელიც იშლებოდა სიმარტოვეში, როგორც მისტიკური ვარდი სასუფეველში. მისი

პოეზია, სიმარტოვეში შექმნილი, თავისუფლების სულით იყო აღბეჭდილი. როცა წაართვეს თავისუფლება, დაემსგავსა გალიაში შეკეტილ ბულბულს" (კაკაბაძე 2008: 18).

ლაურა სორდიას სიტყვითაც: ,,ანა კალანდაძის მოღვაწეობის დიდი პერიოდი (50-იანი წლებიდან 80-90-იან წლებამდე) ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობით, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის გაფეტიშებით, ჰუმანიზმის, ეროვნულობის, რწმენის იგნორირებით, ზნეობრივ პასუხისმგებლობაზე უარის თქმით, თავისუფალი აზრის არტახებში მოქცევით ხასიათდებოდა"(სორდია 2005, 191). ამიტომ ძალიან ძნელი იქნებოდა ანასთვის, ისე როგორც ბევრი სხვა შემოქმედისთვის, მსგავს სიტუაციაში ყოფნა, ან უნდა ყოფილიყავი ,,პოეტი ფლუგერი," ან საერთოდ არ გეწერა, მაგრამ დუმილიც, ეტყობა, პროტესტად მიიჩნეოდა. ისმება კითხვა: იქნებ სახარებასთან მიბრუნებით ანა კალანდაძემ არსებულ რეჟიმს გამოუცხადა პროტესტი? ვფიქრობ, რომ ასეა. ბიბლიურ ნაკადი ერთგვარი გამოსავალი უნდა ყოფილიყო ანასთვის, ერთგვარი ნიღაბი, სათქმელის თქმის საშუალება. აქ ისევ მანანა კაკაბაძეს დავესესხები. პოლიკარპეს ქალიშვილი მოგვითხრობს ანა კალანდაძის მიერ მწერალთა კავშირში პირველი გამოჩენისა და მამისის, პოლიკარპე კაკაბაძის, რეაქციის შესახებ: ,, ნამდვილი პოეტი" - ამბობდა აღფრთოვანებით პოლიკარპე კაკაბაძე და ეს მისი აღფრთოვანება იმდენად გადამდები იყო, რომ მწერალთა კავშირის კედლები გაავსო ამ განწყობილებამ. მწერლები მონუსხულები უსმენდნენ უცნობი გოგონას ლექსების კითხვას, რომელიც სულ სხვა თემებზე წერდა, სულ სხვა სამყაროდან მოდიოდა. იგი თითქოს ციდან ჩამოფრინდა თავისი პოეზიით და პირდაპირ სატუსაღოში მოვიდა თავისი ლექსების რვეულით. საბჭოთა კავშირი ხომ დიდი სატუსაღო იყო, ხოლო მწერალთა კავშირი მისი ნაწილი, ეს გოგონა კი თავისუფალი სულით მოვიდა, ის ჯერ კიდევ არ იყო ტყვე"(კაკაბაძე 2008, 19). მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა სისტემა არავის ინდობდა. ცხადია, ანასაც გაუსწორდა. 1953 წელს გამოცემული პოეტის ლექსების კრებული ამისი ნიმუშია. აღშფოთებული პოლიკარპე კაკაბაძე უმეორებდა თურმე : ,, ეს რა ქენი, ეს რა ქენი, ანა... ეს რა ჩაიდინე ... ანას თავის მართლება: ,,რა მექნა, ბატონო პოლიკარპე, მაიძულეს,

იძულებული ვიყავი"... ,,აწი, შენ ლექსს ვერ დაწერ"... უმკაცრესი განაჩენი ტყვიასავით მიახალა ,,ყვარყვარეს" ავტორმა, ვისგანაც ანას მხოლოდ აღფრთოვანება და უნაზესი მოფერება ახსოვდა... ანა გულში დაჭრა ამ სიტყვებმა, მთელი ცხოვრება ატარებდა ამ ტყვიას გულში ანა... ,, მე მჯერა, ბატონო პოლიკარპე, ისევ დავწერ ლექსს"... კვლავ თავს იმართლებდა ანა, ანგელოზი გულში ჭრილობით,"_იგონებს მანანა კაკაბაძე (კაკაბაძე 2008, 20).

სტალინის სიკვდილის შემდეგ, მართალია, შესუსტდა წნეხი, განსაკუთრებით ხრუშოვის პერიოდში, მაგრამ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა არსად წასულა. ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი ისევ გაძლიერდა, რაც ხელოვნების მოღვაწეთ საკუთარი აზრის, საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატავად განსხვავებული გზების ძიებას აიძულებდა. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია კიდეც, რომ ,,მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოკვეთილია ალტერნატიული კულტურის სივრცე, რომელიც ტიპოლოგიურად ქართული მოდერნიზმის სივრცეს უკავშირდება და ესთეტიკურად ნაციონალური ნარატივის სივრცის ალტერნატივას წარმოადგენს" (წიფურია 2016, 72). ვფიქრობ, ბიბლიური ნაკადი ანას პოეზიაში სწორედ ამ ფუნქციას ატარებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ანა პოლიკარპეზე მომავალში დაწერს: ,, მისი შეხედულებები, მისეული შეფასებები, მერე და მერე უფრო ხელშესახებნი და საცნაურნი ხდებიან, მერე და მერე, რაც უფრო ღრმად გიხდებათ ცხოვრებისეულ ლაბირინთებში სვლა...ის გახლდათ წმინდა და ამაღლებული, მიწიერ ცდუნებათაგან შეუვალი და მოუსყიდველი"(კაკაბაძე 2008, 22). ანასთვის მიწიერ ცდუნებათაგან შეუვალობისა და მოუსყიდველობის გარანტად, ვფიქრობ, სახარება-ოთხთავი იქცა. 70-იან წლებში სახარებისეული ნაკადის გაძლიერება მის შემოქმედებაში ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ანა არც არასოდეს დაცილებია ქართველთა მსოფლგანცდის საფუძველს, ქრიატიანობას. მისი ლექსები სავსეა ბიბლიური სახისმეტყველებით. როგორც ლაურა სორდია შენიშნავს: ,,მას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი უზენაესს საწყისებთან, მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან. პოეტის მსოფლმხედველობის ფორმირებაში გადამწყვეტი იყო ბიბლიურ

წინასწარმეტყველთა, ცნობილ ღვთისმეტყველთა, მსოფლიოში აღიარებულ ფილოსოფოსთა, აგრეთვე ქართული თუ უცხოური კლასიკური მწერლობის პროგრესული ნააზრევი და არა სატანისტური მარქსიზმ-ლენინიზმი" (სორდია 2005, 165).

ანა კალანდაძის ის ლექსები, რომლებშიც სახარებისეული ნაკადია წარმოდგენილი, შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს:

1. ლექსები, რომლებსაც სახარებისეული ციტატები ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული;

2. ლექსები, რომლებშიც სახარებისეული ციტატები ტაეპებადაა გამოყენებული;

3. ლექსები, რომლებშიც სახარებისეული ეპიზოდები და იგავებია გაზავებული;

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ პირველსა და მეორე კატეგორიებზე, თუმცა, სამივე კატეგორიის ლექსებში დაკვირვებული თვალი შეამჩნევს ერთგვარი პროტესტის კვალს და ეს პროტესტი შეიძლება, უკავშირდებოდეს საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემას.

1971 წელს ანა კალანდაძე წერს უსათაურო ლექსს, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ციტატა მათეს სახარებიდან: ,,წარვედ და დავფალ ქანქარი იგი შენი ქვეყანასა"(მათე: 25; 25). ლექსი დიალოგური ფორმისაა. უფალი ეკითხება მონას, ლექსის ლირიკულ გმირს, რა ქნა, გაამრავლა ტალანტი? პოეტი ტალანტების იგავიდან იღებს იმ შემთხვევას, როცა მონას უფალმა მხოლოდ ერთი ქანქარი(ტალანტი) არგუნა. მათე მახარებელი მოგვითხრობს: ,,მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მიეღო, და ჰრქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელი კაცი ხარ შენ: მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ.და შემეშინა, წარვედ და დავმალე ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აჰა ესერა შენი შენ თანა არს.

მიუგო უფალმან მისმან და რქუა მას: ბოროტო მონაო და მედგარო, უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ.

ჯერ იყო შენდა დადებად ვეცხლი ჩემი სავაჭროს, და მო-მცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ.

მიუღეთ მაგას ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსა აქუს ათი ქანქარი.

რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან"(მათე, 24, 24-29).

ტალანტის გამრავლების სახე-სიმბოლო სათავეს სწორედ ამ იგავიდან იღებს. ამ ეპიზოდში ადამიანის ამ ქვეყნად მოსვლის ისტორიული მისიაა წარმოჩენილი. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ,, ამ იგავის აზრი ისაა, რომ ტალანტის დამმარხველი თავის მაღალ ადამიანურ მოვალეობას ვერ ასრულებს. ადამიანი თუ არ სრულყოფს თავის ღვთაებრივ არსს, თუ არ იღვწის და არ ამრავლებს ღვთით ბოძებულს, იგი კარგავს მას, აღარიბებს თავის ღვთაებრივ ბუნებას (გიგინეიშვილი,... 2004, 184). რა ხდება ანა კალანდაძესთან? მისი დასახელებული ლექსი ათტაეპიანია. ლექსს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორი მოქმედი პირი ჰყავს, ღმერთი და ავტორი. ფორმაც უცნაური აქვს, დიალოგური, მხოლოდ ერთი შეკითხვაა და პასუხი.

უფლის სიტყვები, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ლექსის ლირიკული გმირის საქმიანობაზე მიუთითებს:

,,-ჰყავ მტილი ჩემი ვარდით სავსე
და მზეთა დგომად.
დამძიმებულთა გულთა შვებად
და მოსაფონად..."

(კალანდაძე 1976, 219).

უფლის ამ სიტყვების მიხედვით, ლექსის ლირიკული გმირს გარკვეული მისია აკისრია. ის ვალდებულია, ,,მტილს" ვარდითა და ,,მზეთა დგომით" ავსებდეს, ბევრ რამეს , ალბათ, მრავალწერტილი ამაზე უნდა მიუთითებდეს, ,, დამძიმებულთა გულთა შვებად და მოსაფონად"აკეთებდეს. უფლის სიტყვების მეორე ნაწილი კი შეკითხვაა:

,,-მე ამისათვის მოგანიჭე ჩემი ტალანტი,
თუ ამოქმედე, კეთილო მონავ?"

(კალანდაძე 1976, 219).

ანა კალანდაძის პასუხი თითქოს მიჰყვება მათეს სახარებას: ,, - მიიღე იგი, მეუფეო... მიწაში ვმალე", მაგრამ ტალანტების იგავის პასუხისგან ,,აჰა ესერა შენი შენ თანა არს" განსხვავებით კითხვანარევი ინტონაციით დაასკვნის: ,, რაა ციური, თუ

ქვეყნისაც არ ექნა ძალი?" რა შინაარსი შეიძლება იდოს ამ ფრაზაში, რაზე შეიძლება მეტყველებდნენ ამ ტაეპის მხატვრული სახეები? როგორც ჩანს, ანა განსხვავებულად ფიქრობს. ტალანტის შენახვას მისთვის სხვა დატვირთვა აქვს. მისი აზრით, ღვთიურს მიწიერი აშინაარსებს და ზოგჯერ საჭიროა მისი გადამალვა, გაძლიერება. ანას სწამს, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში გაძლებაც, ღვთაებრივი ტალანტის გამრავლებაა.

ასეთივე ფუნქცია აკისრია ანას პოეზიაში სახარებისეული ციტატების ლექსის ტაეპებად გამოყენების შემთხვევებსაც. ერთ ლექსში „გაბრწყინებული იყო ტაძარი" ავტორი ტაეპებად უფლის შეგონებებს იყენებს. აქ მთლიანად მოვიყვან აღნიშნულ ლექსს:

„გაბრწყინებული იყო ტაძარი,
ცეცხლმა აავსო და თვალთა სხივმან...
ხმა გუგუნებდა გუმბათიონით:
_„შექმენ საფასე , ვერ გარყვნას მღილმან!"
შენს ლამაზ სახეს კელაპტრის ალი
მიღმა ქვეყნიურ სინათლეს ფენდა...
ხმა გუგუნებდა ისევ და ისევ:
_„სახლს ნუ ააგებ ქვიშასა ზედა!"
გადგს შორეული, მომწვანო ელვა
ქერუბიონის, ცათა მყოფისა...
კვლავ ჩურჩულებდა მოხუცი მათე:
_ „შენ ხარ მარილი ამა სოფლისა!"
გაცისკრებული იყო ტაძარი...“
(კალანდაძე 1976, 135).

როგორც ვხედავთ, სამი ციტატა გვხვდება ლექსში: 1. „შექმენ საფასე , ვერ გარყვნას მღილმან!"(ამოღებულია ლუკას სახარებიდან (12,33). 2. „სახლს ნუ ააგებ ქვიშასა ზედა!" (მათე 6.19); 3. „შენ ხარ მარილი ამა სოფლისა!" (მათე,8.26). ლექსის ლირიკული გმირი, როგორც ვხედავთ, ბოლომდე აცნობიერებს ადამიანის ამ ქვეყნად მოსვლის ისტორიულ მისიას. მისი აზრით, მხოლოდ ადამიანი აშინაარსებს ამქვეყნიურ ცხოვრებას.

საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ ანა კალანდაძე სახარებისეული ციტატების გამოყენების დროს თავის ლექსებში ძირითადად მიჰყვება ძველ ქართულ ტრადიციას, ციტატების გამოყენება თავისთავად ტრადიციის გაგრძელებაა, მაგრამ

ზოგჯერ ცილდება ამ გზას, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახარებისეული ციტატის მხატვრულ ფნქციაზე ვიწყებთ საუბარს. სახარებისეული ციტატა პოეტისთვის იქცა იმ მძლავრ იარაღად, რომლის საშუალებითაც ის ახერხებდა აწმყოს მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, ეროვნული ღირებულებებისა და სულიერი თავისუფლების შენარჩუნებას.

დასკვნა: წარმოდგენილმა კვლევამ ცხადყო, რომ ანა კალანდაძის პოეზიაში სახარებისეული ციტატების გამოყენება მხოლოდ ტრადიციული რელიგიური მოტივითა და ესთეტიკური ფორმის გაგრძელებით არ შემოიფარგლება. პოეტისთვის ბიბლიური ტექსტები და სახარებისეული ციტატები ერთდროულად წარმოადგენს ღრმა სულიერი განცდების, ეროვნული თვითშეგნებისა და სოციალურად რთული ეპოქის მხატვრულად გააზრების საშუალებას.

ანას ლექსებში სახარებისეული ციტატები სამი ძირითადი ფორმით გვხვდება: როგორც ეპიგრაფები, როგორც ლექსის ტაეპების ნაწილი და როგორც სიუჟეტურად გადამუშავებული ბიბლიური ეპიზოდები. ამ შემთხვევაში თითოეული ფორმა მხოლოდ მხატვრული ელემენტი არ არის, არამედ პოეტის შინაგანი პროტესტისა და ისტორიული რეალობის გამოხატულებაა. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როცა სიტყვის თავისუფლება შეზღუდული იყო, ბიბლიური ტექსტი პოეტისთვის იქცა იმ მძლავრ იარაღად, რომლის საშუალებითაც ის ახერხებდა აწმყოს მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, ეროვნული ღირებულებებისა და სულიერი თავისუფლების შენარჩუნებას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ანა კალანდაძის შემოქმედებაში სახარებისეული ციტატების გააქტიურება ორგანულად ებმება ქართულ ლიტერატურულ ტრადიციას, თუმცა ამავე დროს, პოეტი ახერხებს ამ ტრადიციის თანამედროვე კონტექსტში გადმოტანას, ახალი შინაარსით დატვირთვას და საკუთარი შემოქმედების ინდივიდუალური სტილის გამოკვეთას.

ამრიგად, ანა კალანდაძის პოეზიაში ბიბლიური ნაკადი წარმოადგენს არა მხოლოდ ტრადიციის გაგრძელებას, არამედ კონკრეტული ისტორიული ეპოქის, პირადი სულიერი მდგომარეობისა და ეროვნული კულტურის ორგანულ სინთეზს,

რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პოეტისა და მისი პოეზიის დიდ მნიშვნელობას, მის განსაკუთრებულ როლს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარბაქაძე, თამარ. 2008. „ბიბლიის ანარეკლი ანას პოეზიაში“. წიგნში: ლექსმცოდნეობა (ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), ტ. 1. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ბაქრაძე, აკაკი. 1990. მწერლობის მოთვინიერება. თბილისი: რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“.

გიგინეიშვილი, მანანა, ლაურა გრიგალაშვილი და ვახტანგ როდონაია. 2004. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, IX კლასის სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

კაკაბაძე, მანანა. 2008. „ანა კალანდაძე“. წიგნში: ლექსმცოდნეობა (ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), ტ. 1. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

კალანდაძე, ანა. 1976. რჩეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

კალანდაძე, ანა. 1987. რჩეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

მიშველაძე, რევაზ. 2000. „ანა კალანდაძე (1924)“. წიგნში: უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მცხეთური ხელნაწერი: დანიელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები. 1986. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევები დაურთო ელენე დოჩანაშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

ნიკოლეიშვილი, ავთანდილ. 2012. „ანა კალანდაძე“. წიგნში: ქართული ლიტერატურა, ტ. IV, ნაწილი II. თბილისი: საქართველოს მაცნე.

სორდია, ლაურა. 2005. ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

წიფურია, ბელა. 2016. ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

References

Barbak'abe, Tamar. 2008. “Bibliis anarek'li Anas p'oeziaši” [Reflection of the Bible in Ana's Poetry]. In: Lexmcodneoba (Ana K'alandabisadmi mibvnvili lexmcodneobis meore samecniero sesiis masalebi), Vol. 1. Tbilisi: Šota Rustavelis kartuli literaturis inst'it'ut'i. (in Georgian)

Bak'rabe, Ak'ak'i. 1990. Mc'erlobis motvinieba [Taming of Literature]. Tbilisi: Rustavelis sazogadoebis gamomcemloba “Sarangi”. (in Georgian)

Gigineišvili, Manana, Laura Grigalašvili, and Vaxt'ang Rodonaia. 2004. Dzveli kartuli literaturis krestomatia, IX k'lasis saxelmbvnelo [Anthology of Old Georgian Literature, IX Grade Textbook]. Tbilisi: Gamomcemloba “Sakartvelos macne”. (in Georgian)

K'ak'ababe, Manana. 2008. “Ana K'alandabe”. In: Lexmcodneoba (Ana K'alandabisadmi mibvnvili lexmcodneobis meore samecniero sesiis masalebi), Vol. 1. Tbilisi: Šota Rustavelis kartuli literaturis inst'it'ut'i. (in Georgian)

K'alandabe, Ana. 1976. Rčeuli [Selected Works]. Tbilisi: “Sabč'ota Sakartvelo”. (in Georgian)

K'alandabe, Ana. 1987. Rčeuli [Selected Works]. Tbilisi: “Sabč'ota Sakartvelo”. (in Georgian)

Mišvelabe, Revaz. 2000. “Ana K'alandabe (1924)”. In: Uaxlesi kartuli literaturis ist'oria [History of Modern Georgian Literature]. Tbilisi: Tbilisis saxelmc'ipo universit'et'is gamomcemloba. (in Georgian)

Mcxeturi xelnac'eri: Danielis, mcire c'inasc'armet'q'velta da axali agtkmis c'ignebi [Mtskheta Manuscript: Books of Daniel, the Minor Prophets, and the New Testament]. 1986. Prepared for publication by Elene Dočanašvili. Tbilisi: Mecniereba. (in Georgian)

Nik'oleišvili, Avtandil. 2012. “Ana K'alandabe”. In: Kartuli literatura [Georgian Literature], Vol. IV, Part II. Tbilisi: “Sakartvelos macne”. (in Georgian)

Sordia, Laura. 2005. Ana K'alandabis p'oezia (bibliur-krist'ianuli asp'ekt'ebi) [Ana Kalandadze's Poetry (Biblical-Christian Aspects)]. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomcemloba. (in Georgian)

C'ipuria, Bela. 2016. Kartuli t'ext'i sabč'ota/p'ost'sabč'ota/p'ost'modernul k'ont'ext'ši [Georgian Text in Soviet/Post-Soviet/Postmodern Context]. Tbilisi: Ilias saxelmc'ipo universit'et'is gamomcemloba. (in Georgian)

მაყვალა დავითაძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ელფოსტა: nikarkadze@gmail.com

ფსიქოლოგიზმი აკ. გაწერელიას რომან–ეტიუდში „ფაიდას გამოცხადება“

მოკლე შინაარსი

აკ. გაწერელია მე–20 საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი, კვლევარი, ესეისტი და მწერალია. მისი შემოქმედება აგრძელებს იმ ღრმა ფსიქოლოგიზმს ლიტერატურაში, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ მე–5 საუკუნიდან ვხედავთ ლიტერატურაში. გმირის შინაგანი ბუნების გამოხატვის ფსიქოლოგიური ასპექტები შესანიშნავადაა ნაჩვენები კლასიკური ხანის ბრწყინვალე შედევრში– ,,ვეფხისტყაოსანში“.

ფსიქოლოგიზმის გამორჩეულ წარმომადგენლად თვლიან გრიგოლ რჩეულიშვილს, როგორც ფსიქოლოგიური პროზის მცირე ფორმის ოსტატს. რომლის შემოქმედებაშიც მართლაც კარგადაა გამოხატული ნაწარმოების გმირის ფსიქოლოგიური სახე, ქცემის მოტივაცია და ბუნება. ფსიქოლოგიზმი განსაკუთრებით განვითარდა მეცხრამეტე საუკუნეში. მეოცე საუკუნეში გაგრძელდა ეს ტრადიცია გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გურამ დოჩანაშვილის, ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებაში. ამ მხრივ გამორჩეულია აკაკი გაწერელია სახელი და მისი შემოქმედება.

ავტორს ფსიქოლოგიზმის მხატვრული მეთოდის გამოყენებთ აქვს არაერთი ნაწარმოები. სწორედ ღრმა ფსიქოლოგიზმით ხსნის ავტორი თავის გმირთა სახეებსა და ბუნებას.

ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება ,,ფაიდას გამოცხადება" რომელიც ავტორმა უძღვნა თავის დიდ მასწავლებელს, ელინისტ გრიგოლ წერეთელს. ხოლო თავად ნაწარმოები წარმოადგენს ნეტარი ავგუსტინეს სახის გახსნის, მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის ხატვის მაგალითს. ნეტარი ავგუსტინე წარმოჩენილია როგორც ღრმა თვითანალიზის გმირი,

რომლის მთავარი მიზანი არის ღმერთის პოვნა, საეჭარ ცოდვებთან გამკლავება . ეს ყველაფერი ნაჩვენებია ფილოსოფიისა და თეოლოგიის სინთეზის ფონზე. გმირის სიცოცხლის ბოლო ჟამს.

აკ. გაწერელიამ, როგორც მწერალმა გააგრძელა დიდი ლიტერატურული ტრადიციები და დიდი როლი ითამაშა ლიტერატურაში ფსიქოლოგიზმის განვითარების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ფსიქოლოგიზმი ლიტერატურაში, აკ, გაწერელია, ,,ფაიდას გამოცხადება,, ნეტარი ავგუსტინე.

Makvala Davitadze,
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
Doctor of Philology, Associate Professor,
Email: nikarkadze@gmail.com

PSYCHOLOGISM IN AKAKI GATSERELIA'S NOVEL-ETUDE "THE MANIFESTATION OF FAIDA"

Abstract

Akaki Gatsirelia is a renowned 20th-century scholar, researcher, essayist, and writer. His work continues the tradition of profound psychologism in literature, a tradition that can be traced back as far as the 5th century. The psychological aspects of a character's inner nature are excellently depicted in the Georgian literary masterpiece of the classical era The Knight in the Panther's Skin.

Grigol Rcheulishvili is considered one of the notable representatives of psychologism, recognized as a master of short-form psychological prose. In his works, the psychological portrayal of characters, their motivations, and inner nature are vividly expressed.

Psychologism particularly flourished in the 19th century, and this tradition was carried on in the 20th century in the works of writers such as Grigol Robakidze, Mikheil Javakhishvili, Guram Dochanashvili, and

Chabua Amirejibi. Among these names, Akaki Gatsirelia stands out for the depth and consistency of his work.

The author has written numerous works using the artistic method of psychologism.. Through deep psychological insight, he reveals the inner worlds and personalities of his characters.

One such work is " The Revelation of Faida", dedicated to his great teacher, the Hellenist Grigol Tsereteli. This piece serves as an example of portraying the psychological portrait of Saint Augustine, a figure of deep self-examination and spiritual search.Saint Augustine is presented as a hero of intense introspection, whose main goal is to find God and overcome worldly sin. All of this is shown against the backdrop of a synthesis of philosophy and theology, particularly in the final stages of the hero's life.

As a writer, Akaki Gatsirelia continued the great literary traditions and played a significant role in the development of psychologism in Georgian literature.

Keywords: Georgian literature, Psychologism in literature, Akaki Gatsirelia, The Revelation of Faida, Saint Augustine

შესავალი: ლიტერატურა, სხვა ყველაფერთან ერთად, ადამიანის ბუნების სიღრმისეული შესწავლის საშუალებაა. ადამიანის სულიერების, მისი შინაგანი ბუნების შესწავლა კი წარმოუდგენელია ფსიქოლოგიის ცოდნის გარეშე. ფსიქოლოგიზმი მწერლობაში ყოველთვის მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური რესურსი იყო, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ადამიანის შინაგანი სამყაროს დეტალური და კომპლექსური ანალიზი. ფსიქოლოგიზმის გამოყენებით, მწერალი გააცნობს მკითხველს პერსონაჟის სულიერებას, ემოციურ და მენტალურ მდგომარეობას, რაც ქმნის ნაწარმოების ემოციურ სიმძაფრეს და დიდ გავლენას მკითხველზე. მსოფლიო ლიტერატურაში ფსიქოლოგიური თემატიკა ძველია. ფსიქოლოგიზმი კი უაღრესად გამართლებული ხერხი. როგორც იუნგი წერდა: ფსიქოლოგიური თემატიკა ძველია და მნიშვნელოვანია, რადგან იგი გადმოსცემს გმირის შინაგან სულიერ მოძრაობას და ემოციებს (იუნგი 1995)

შინაარსი: ლიტერატურა თავისი ბუნებით, ერთგვარად, ადამიანთმცოდნეობაა.

ყველა დიდი მწერლის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა გმირის ბუნების ჩვენება, მისი შინაგანი სამყარო, სულიერება.

განცდებისა და ემოციების სიღრმის დახატვა , რაც მკითხველზე ახდენდა უდიდეს გავლენას.

ფსიქოლოგიზმი მწერლობაში ყოველთვის იკავებდა მნიშვნელოვან ადგილს. ის განიხილებოდა როგორც ლიტერატურული მეთოდი, რომელმაც მკითხველს უნდა აჩვენოს ადამიანის სულიერი სამყაროს ღრმა და კომპლექსური ანალიზი.

ფსიქოლოგიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მწერლობაში, რადგანაც უამისოდ, ნაწარმოები ემსგასება ფაქტებისა და მოვლენების კონსტატაციას.

ცხადია, ასეთი ტიპის ნაწარმოების შექმანა მოითხოვს ავტორის ძალიან დიდ ერუდიციას, ლიტერატურულ ტექნიკასა და ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას.

ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ ამგვარი ტიპის ნაწარმოები რთულია დასაწერად, რადგან მასში უნდა იყოს გადმოცემული ნაწარმოების გმირის შინაგანი სამყაროს ანალიზი, ავტორმა გვიჩვენოს პერსონაჟის ემოციური და მენტალური მდგომარეობის დეტალები. სრულფასოფნად გადმოსცეს ე.წ. ,,ფიქრთა ნაკადის'' რთულად გამოსახატავი მომენტები.

ავტორმა უნდა შეძლოს და უაღრესად დახვეწილი ფორმით გადმოსცეს გმირის შინაგანი კონფლიქტი, ეჭვი, გაოცება, საკუთარ სულში ჩაბრუნებული მზერის დეტალები.

ამგვარი სტილის წერას აქვს თავისი დიდი მიზანი: მკითხველი დააფიქროს და ჩააღრმავოს საკუთარ შინაგან სამყაროში. სწორედ ასეთი ემოციური გზით არის შესაძლებელი დაინახოს მკითხველმა თავისი მეორე ,,მე,, და სცადოს უკეთესობისაკენ მიმართოს თავისი სულიერება.

მსოფლიო ლიტერატურაში ფსიქოლოგიური თემატიკა ძველია და საინტერესო. საინტერესოა, რადგან მოვლენები მშრალად კი არ არის გადმოცემული, არამედ გადმოცემულია გმირის შინაგანი სულიერი სამყარო, მისი სულის მოძრაობა და აქედან გამომდინარე შედეგიც.

მსოფლიო ლიტერატურა იცნობს არაერთ დიდებულ მწერალს, რომელთაც სწორედ ფსიქოლოგიზმის ღრმა ცოდნით შეძლეს და თავიანთი ნაწარმოების პერსონაჟები, მათი თავგადასავალი და ბუნება წარმოგვიდგინეს როგორც ადამიანური ტრაგიზმის

მაგალითები. ასეთი კოლიზიებია უილიამ ფოლკნერის, ჰერმან ჰესეს, ფრანც კაფკას, ფიოდორ დოსტოევსკის შემოქმედებაში. მათი შემოქმედება ფსიქოლოგიური ლიტერატურის ჩარჩოებშია ჩამჯდარი. დოსტოევსკი სამართლიანად ითვლება ფსიქოლოგიური პროზის ერთ ერთ დამწებ მწერლად რუსულ ლიტერატურაში.

მსოფლიო ლიტერატურის ნაწილია ქართული ლიტერატურა. ხშირად კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ გრ. რჩეულიშვილის ნაწარმოებებით დაედო სათავე ფსიქოლოგიზმის ჟანრის ლიტერატურას. აკაკი გაწერელია თავის თეორიულ ნაშრომში ლიტერატურის შესახებ წერდა: ქართულ ლიტერატურაში ფსიქოლოგიზმის სათავეებად ითვლება როგორც გრ. რჩეულიშვილის ნაწარმოებები, ასევე ძველი ქართული აგიოგრაფიული მწერლობა, სადაც უკვე ვლინდება ადამიანის ფსიქოლოგიური ელემენტები (გაწერელია 1988).

შეიძლება ეს ასეც ვივარაუდოთ, რადგან მან შემოიტანა ლიტერატურაში ადამიანის შინაგანი სამყაროს, ზნეობრივი თვითშემეცნების თემებბი, მის ნაწარმოებებში მთავარი ადგილი უჭირავს სინდისის, რწმენისა და ადამიანის შინაგანი ფიქრების თემას. ამ მხრივ ის გვევლინება ფსიქოლოგიური ხედვის მწერლად. თუმცა, მიმაჩნია, რომ ქართულ ლიტერატურაში ამგვარ ნაწარმოებთა სათავე, ჩანასახი, უცილობლად უნდა ვივარაუდოთ ძველი ქართული ლიტერატურიდანვე.ქართული აგიოგრაფიული მწერლობა ამისი ნათელი დადასტურებაა. აგიმოგრაფიულ ტექსტებში ცხადად და მკვეთრად არის დახატული გმირის შინაგანი განცდები, ფიქრი და ჭეშმარიტების ძიების პროცესი.

აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში გადმოცემულია გმირის სულიერი მოძრაობა, თუმცა ამ გმირის ემოციურ მუხტს აქვს ახსნა და განპირობებულია ქრისტიარულ–რელიგიური მრწამსით. ძველი ქართული მწერლობიდან მოყოლებული მწერლური ინტერესი ადამიანის ფსიქოლოგიური განცდების გადმოცემისა და გამომზეურების მიმართ არ შეწყვეტილა... ამის ნათელი მაგალითია თუნდაც რუსთველის ,,ვეფხისტყაოსანი" გამონაკლისი არც მეცხრამეტე საუკუნე ყოფილა და არაერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები შეიქმნა ამ ნიშნით აღბეჭდილი.

მეოცე საუკუნის ლიტერატურაში უკვე თვალსაჩინო გახდა ინდივიდუალრი ცნობიერების ინტენსიური გამოკვეთა, რაც

მხატვრულად გამოიხატა ჟანრისა და ფორმის თავისუფალ სინთეზში. მწერალთათვის ეს ერთგვარ თვითგამოხატვის საშუალება და იარაღი იყო. თვალსაჩინოებისათვის მეოცე საუკუნის კლასიკოსის გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაც იკმარებდა. ფსიქოლოგიზმის კუთხით მნიშვნელოვანია გრ. რობაქიძის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილისა და სხვ. შემოქმედებაც.

მეოცე საუკუნეში, ეს შემოქმედებითი მეთოდი იყო საშუალება, მწერალს გამოეხატა ის, რასაც განიცდიდა. ამ მხრივ არც ცნობილი მეცნიერ–ფილოლოგი, კრიტიკოსი, ესეისტი, მწერალი აკაკი გაწერელია იყო გამონაკლისი.

თავად აკ. გაწერელიას არაერთგზის აღუნიშნავს რომ თავს ჯერ მწერლად, მერე კი მეცნიერად მიიჩნევდა და არა პირიქით.

მისი შემოქმედება მისი, როგორც მწერლის ნიჭიერების ნათელი მაგალითია . აკ. გაწერელიას პროზა გამოირჩევა სადა, უაღრესად დახვეწილი, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სტილით. ატორი იყო ღრმა მოაზროვნე, ხოლო მისი შემოქმედება იყო ანარეკლი იმ კულტურულ–ეპოქალური მოვლენებისა, რომელშიაც ავტორს უწევდა ცხოვრება.

აკ. გაწარელია ლიტერატურულ სარბიელზე 1927 წლიდან გამოვიდა.მას ეკუთვნის არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა და მონოგრაფია.

გაწერელიას, როგორც მწერლის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს მოთხრობებსა და ნოველებს, რომლებიც გაჯერებულია ფსიქოლოგიური და ეგზისტენციალური პრობლემატიკით.

ავტორი პერსონაჟთა ხატვის ოსტატია, მისი მოთხრობები კი უდიდესი სიღრმითა და ფსიქოლოგიური წაიღსვლითაა საინტერესო.

მე–20 საუკუნის მწერლობა ფსიქოლოგიზმისადმი კიდევ უფრო მეტ ყურადღებასა და ინტერესს იჩენდა. ლიტერატურული პერსონაჟების ხასიათში იკვეთება ის, რომ რაიმე პრობლემისა და კრიზისის დროს, ეგზისტენციალიტების ტერმინით რომ ვთქვათ, ,,ზღვრული ვითარებაში,, ვლინდება ადამიანის ჭეშმარიტი სახე, ხელის გულზე გვეშლება მისი თუნდაც შენიღბული ბუნება. შეიძლება თავად გმირისთვისაც ამოუხსნელი და შეუმეცნებელი.

ამგვარი ფსიქოლოგიზმები ხშირია აკ. გაწერელიას შემოქმედებაში. მისი მოთხრობების გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომელთა შინაგანი სამყარო მოითხოვს აღქმის უნიკალურობასა და თავის თავში გარკვევას, რას განიცდის გმირი ამა თუ იმ გარემოების გამო, რაც მის გარშემო ხდება. ამ მხრივ გამოირჩევა მწერლის არაერთი ნაწარმოები: მაგ. ,,მხატვრის ნაამბობი" ,,საბედისწერო შემთხვევა" ,,თხუპნია" და სხვ.

ფსიქოლოგიზმი მწერლისაგან ითხოვს ორმაგ პროფესიონალიზმს. და თუ ნაწარმოების მთავარი გმირი ისტორიული პიროვნებაა, ეს სირთულე კიდევ უფრო მეტად ვლინდება. აკ. გაწერელიამ შეძლო და მსგავს სირთულეს ღირსეულად გაუმკლავდა.

აკ. გაწერელიას მოთხრობებში ორიგინალური სტილისა და წერის მანერასთან ერთად მკითხველს ხიბლავს ავტორის ღრმა ცოდნა ადამიანის სულიერებისა. აკ. გაწერელიას გმირები დახატულია მათი შინაგანი ბუნებით, სულიერი მოძრაობითა და მთელი იმ ტრაგიზმით, რომელთან გამკლავებაც უწევთ მათ. ძნელია ლიტერატურაში ნახო მსგავსი მოთხრობა, რომელშიც მთელი სიცხადით, ექსპრესიულობითა და ადამიანის ღრმა შინაგანი ბუნების ცოდნით იქნება გადმოცემული სიკვდილის სარეცელზე მყოფი ადამიანის განცდები, როგორც ეს მწერალმა დაგვიხატა თავის მოთხრობაში ,,სიკვდილი ბარათაშვილისა". აკ; გაწერელიას შემოქმედებაში უდავოდ დიდ ყურადღებას იმსახურებს მისი რომანი ეტიუდი ,,ფაიდას გამოცხადება". ნაწარმოები 1988 წელს დაიბეჭდა და გამოსვლისთანავე მიიპყრო ლიტერატორთა და ლიტერატურის კრიტიკოსთა ყურადღება. როგორც აღვნიშნე, ისტორიულ პიროვნებათა შესახებ წერა, კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს და გარკვეულწილად, პრობლემურიცაა, რადგან საქმე ეხება მნიშვნელოვან პიროვნების ცხოვრებისა და შინაგანი სამყაროს გამომზიურების მცდელობას. აქ შეცდომა დაუშვებელია.

ისტორიულ პირთა ჩვენება, მათი ქცევისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის ჩვენება აკ. გაწერელიას შემოქმედებაში უხვად გვხვდება. ,, ნაზარის უკანასკნელი ლოცვა", ,,იმამის ერთი დღე", ,,ამზათი" და სხვა არაერთი ნაწარმოები სწორედ ისტორიულ მოვლენებსა და პიროვნებებზე მოგვითხრობს საინტერესო და

ხშირად საბედისწერო ამბებს. ასეთი ამბების გადმოცემა კი ფსიქოლოგიური ცოდნის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნება.

„ფაიდას გამოცხადება" ფილოსოფიურ –ფსიქოლოგიური ნაწარმოებია. ავტორი შეეჭიდა უაღრესად რთულ საკითხს: იტორიული პიროვნების ცხოვრების ბოლო დღეების აღწერა, ფილოსოფიური ხედვა და ფსიქოლოგიური ქარტეხილების ზუსტი ასახვა, რასაც განიცდის მთავარი გმირი. ნაწარმოების მთავარი გმირი კი ავგუსტინე ავრელიუსია– ნეტარ ავგუსტინედ წოდებული, რომელიც მეოთხე –მეხუთე სს. უდიდესი ქრისტიანი თეოლოგი და ფილოსოფოსი. მან გავლენა მოახდინა თეოლოგიაზე, ფილოსოფიაზე, ფსიქოლოგიასა და გარკვეულწილად ლიტერატურაზეც. ავგუსტინე ავრელიუსი დაიბადა 354 წელს, სამხრეთ ნუმიდიიის პატარა ქალაქში. მამამისი წარმართობიდან ქრისტიანად მაშინ მოინათლა როცა ავგუსტინე ჩვიდმეტი წლისა იყო. დედამ, სათნოებით გამორჩეულმა კეთილი ბუნების ქალმა ჩაუნერგა და შეაყვარა შვილს იესოს სახელი. მიუხედავად ამისა ავგუსტინემ გამოიარა ქრისტიანული მოძღვრების უარყოფაც, მანიქეველთა გავლენის ქვეშ ყოფნაც და და საბოლოოდ, 33 წლის ასაკში მოინათლა ქრისტიანად, მთელი თავისი ქონება შეჭირვებულ ქვრივ–ობლებს დაურიგა და ბერული წესით დაიწყო ცხოვრება. თავისი სიწმინდით მიაღწია იმას, რომ ეპისკოპოსად აკურთხეს. ის გახდა ქრისტიანობის უპირველესი დამცველი და მებრძოლი. სასულიერო ტექსტების გარდა მის კალამს ეკუთვნის არაერთი თხზულება, მათ შორის ,,აღსარებანი"

ვფიქრობთ, აკ. გაწერელიას დაინტერესება ნეტარი ავგუსტინეს პიროვნებით, გამოწვეული იყო ავგუსტინეს ამ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებით, რომელშიც ავტორმა აღწერა თავისი ახალგაზრდული ცხოვრების ამბავი, სულიერი გარდატეხა, რამაც დიდი როლი ითამაშა მის ღრმა დამოკიდებულებაზე ქრისტიანული რწმენის მიმართ. სწორედ ნეტარი ავგუსტინე ითვლება მნიშვნელოვან ქრისტიან ფსიქოლოგად.

აკაკი გაწერელია ეთაყვანებოდა ავგუსტინე ავრელიუსის პიროვნებას, მის სიწმინდესა და ქრისტიანულ სათნოებას, რომელმაც თავისი ცხოვრების 35 წელი დაუცხრომლად იღვაწა ქრისტიანობის განსამტკიცებლად. დატოვა შესანიშნავი ნაწერები .

სწორედ ამიტომაც უძვღვნა გაწერელიამ მას ასეთი მშვენიერი ნაწარმოები.

ნაწარმოებში მოქმედება ვითარდება ნეტარ ავგუსტინესა და ახალგაზრდა ექიმს–გენადს შორის მიმდინარე დიალოგით. გენადი სტუმრად მიდის ნეტარ ავგუსტინესთან, რომელიც მდუმარედ ზის თავის სენაკში. მათ შორის დიალოგი ძიებაა ჭეშმარიტებისა. ექიმს აინტერესებს რა დაემართა ფაიდას, ან სინამდვილეა თუ არა მისი გამოცხადება. ავგუსტინე მშვიდია და კი არ შფოთავს, ან უბრძანებს, არამედ სიმშვიდით ასწავლის, უამბობს და ეს ნაამბობი ექიმ გენადზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ახალგაზრდა ექიმსა და ნეტარ ავგუსტინეს შორის დიალოგით ჩანს რომ ექიმი გენადი სკეპტიკურად უყურებს რწმენას. მისთვის რწმენა აბსტრაქტულია. ფაიდა ტექსტში არ ჩანს,მაგრამ ფაიდაზე მსჯელობს მთავარი გმირი.

ფაიდას გამოცხადება არ არის რეალური პიროვნების გამოჩენა. ფაიდას მიერ გამოცხადების მიღება სიმბოლურად რწმენას, რწმენაში განმტკიცებას ნიშნავს.

,,ფაიდას გამოცხადება" არ წარმოადგენს გარდასული დრო–ჟამის მშრალ აღწერას. ნაწარმოებში ცოცხლდება ეპოქის სურათები. მაღალმხატვრულადაა დახატული დიდი თეოლოგისა და ფილოსოფოსის ავგუსტინეს სახე. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დროის ფერფლწაყრილი ხსოვნიდან გამოამზეურა ის ისტორიული ამბები, რომელსაც ადგილი შეიძლება ჰქონოდა... თავად მთავარი გმირი–ავგუსტინე სახეა რწმენაში განმტიცებული ადამიანისა, რომელმაც გაიარა ეჭვის, ორჭოფობის გზა და განმტკიცდა სარწმუნოებაში. ექიმ გენადისა და ავგუსტინეს დიალოგი სწორედ ჭეშმარიტების ძიებაა, რომელმაც სულიერი კათარზისი უნდა მოუტანოს ადამიანს. ნეტარი ავგუსტინეს აზრით, სიწყნარე, სიმშვიდე არის ჭეშმარიტება. მისი შეხედულებით რწმენა არის ისეთი ბუნებისა,სადაც სიტყვებს სიჩუმე ფარავს, ლოგიკურ ამბებს კი სულიერი ამბები ანაცვლებს.მთავარი გმირისა და ექიმის დიალოგში იკვეთება ექიმის პოზიცია, რომელიც ნასაზრდოვებია ლოგიკაზე დაყრდნობით და გენადი თვლის, რომ ფაიდას გამოცხადება შესაძლოა ნერვოლოგიური ან ფსიქოლოგიური მოვლენაა . მისი აზრით ჭეშმარიტებაა ის, რასაც გაზომავს ადამიანი. გენადი ისეთ

ფაქტს, მოვლენას, არ აღიქვამს სინამდვილედ რომელსაც ვერავინ დაადასტურებს. შინაარსის მიხედვით ექიმი მიდის ავგუსტინესთან, ეს შეიძლება გავიგოთ მეტაფორულად: ჭეშმარიტების შემცნობთან მიდის ჭეშმარიტების მაძიებელი. ექიმი გენადის სახე შემდეგნაირად უნდა იქნას გაგებული: ის წარმოადგენს სკეპტიციზმის, რაციონალიზმისა და მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკაზე დაფუძნებულ სახეს. ის არის საწინააღმდეგო ბუნების ადამიანი ნეტარ ავგუსტინესთან მიმართებაში. რადგან მას არ აქვს ის რაც აქვს ნეტარ ავგუსტინეს: მაღალი სულიერება და რწმენით განპირობებული სიმშვიდე. ექიმისათვის რწმენა არაა მნიშვნელოვანი, მართალია არ უარყოფს საერთოდ რწმენას, მაგრამ ბნელ სივრცედ მიიჩნევს. აკ გაწერელიამ შეძლო და საკუთარ ხილვებში გამოაქანდაკა მაღალმხატვრული ოსტატობით დიდი თელოლოგის, რიტორისა და ფილოსოფოსის, ნეტარი ავგუსტინეს პორტრეტი. ისტორიულ თემატიკასა და ისტორიულ პიროვნებებზე წერა დიდ რისკთანაც არის დაკავშირებული რადგან მწერალმა სიშორიდან, საუკუნეთა გადასახედიდან შეიცნოს თავისი გმირის სულიერება, შინაგანი ვნებათაღელვა და მკითხველსაც განაცდევინოს იგივე.

აკ. გაწერელიას აზრით, ნეტარი ავგუსტინეს ღვთისსწორობა მისი ადამიანობითაა განპირობებული. ის ადამიანია და ადამიანის ბუნების შესაბამისად, უშვებს შეცდომებს . ავგუსტინემ კავშირი გააბა ზნედაცემულ ქალთან. ეყოლა უკანონო ვაჟიშვილი, რომელიც მას ძალიან უყვარს, გატაცებულია ჰედონიზმითა და ვნებით. მიუხედავად ამისა, მან მოახერხა და თაგასტაში, აფრიკაში ჩასულმა გაასაჩუქრა მთელი ქონება და მონასტრული ცხოვრებისათვის დაიწყო მზადება. თავისი სიცოცხლის ბოლოს ავგუსტინე წარმოდგენილია როგორც ჭეშმარიტებითა და რწმენით სავსე ადამიანი, მისთვის სიცოცხლის ბოლო დღეებიც კი საშუალებაა შინაგანი განწმენდისა და თვითშემეცნების. ავგუსტინეს სახით ნაჩვენებია რწმენით განმსჭვალული ადამიანის უბრალოება/ სიმშვიდე. ავგუსტინე გენათდთან საუბარში კი არ მბრძანებლობს და არ აძალებს მას გაითავისოს ის ჭეშმარიტება, რაც მას გააჩნია, არამედ სიმშვიდით, სიბრძნითა და შემწყნარებლობით ცდილობს ცხოვრების გზაზე მიღებული გამოცდილება გაუზიაროს ექიმს. ნეტარი ავგუსტინეს ცხოვრება ნათელი

მაგალითია იმისა, თუ როგორ ებრძვის ადამიანი საკუთარ თავში არსებულ ცოდვებს, შეცდომებსა და ვნებებს. ავტორი თავის გმირს თივთანალიზის დიდ უნარს ანიჭებს. ნეტარი ავგუსტინესათვის გადალახულია ყოველივე არაქრისტიანული, აღარ აქვს ეჭვი, მერყეობა და გაორება. მან ამ მდგომარეობას არა ცოდნით, არადმეთ ღვთისადმი ერთგულებით მიაღწია. ავტორის სათქმელიც ესაა: ცოდნა რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ადამიანს არ აქვს ადამიანობა და ღვის რიდი, შეუძლებელია მიაღწიოს სრულყოფილებას. ნაწარმოების ავტორი ფრთხილად, მაგრამ მაინც გამოთქვამს თავის ვარაუდს, რომ ადამიანი არის ერთადერთი შესაძლებლობა ღმერთისა. ამ შესაძლებლობის საჩვენებლად ავტორმა მკითხველს წარუდგინა მიწიერი ადამიანი, თავისი ვნებებითა და ადამიანურობით და ერთგვარად ჩამოაყალიბა ადამიანის ღვთაებრივთან კავშირის იდეა.

მიუხედავად ყველაფრისა ავგუსტინე მარტოა, სრულიად მარტო და თავისი სიცოცხლის ბოლო საათებსა და წუთებშიც. ღრმა ფსიქოლოგიზმით გვიხატავს ავტორი ავგუსტინეს სახეს, როცა ის ჯვაცმას მიმართავს: ,,შენდამი ერთგულით და ჭეშმარიტი გულით ვემსახურე ჩემს მრევლს, შენ უკთ უწყი, რაოდენი ჯაფა გადამხდა ადამიანთა სწორ გზაზე დაყენებისათვის. მაგრამ რაა თვითონ ადამიანი? წმინდა მოციქულებისაგან ვისწავლე ზოგი ჭეშმარიტება და ისინი აღვწერე კიდეც" ამ მიმართვას მოსდევს ავგუსტინეს მიერ ფსალმუნთა განმარტებიდან ამოღებული ადგილი, უფსკრულს ადარებს ადამიანის გულს, რომელიც ისეთივე ღრმაა როგორც ადამიანის გული.

აკ. გაწერელია, მისთვის დამახასიათებელი ღრმა ფსიქოლოგიზმით აღწერის ოსტატია ადამიანის სიცოცხლის ბოლო საათებისა და წუთებისა. ასეა მის ერთ მოთხრობაში,, სიკვდილი ბარათაშვილისა", ასეა ,,ფაიდას გამოცხადებაშიც".

გარდამოხსნასთან მლოცველი ავგუსტინე მართალია და გულწრფელი. იესოს წინაშე აღიარებს, რომ საკუთარ თავსაც უფსკრულს ადარებს ღრმასა და უძიროს. დაუძლურებული კი უფალს სთხოვს, რმ არგუნოს ტკბილი , უშფოთველი და წყნარი სიყვდილი.

სიცოცხლის ბოლო წუთებში გამოცხადებული საყვარელი ქალი ყრმობის ასაკში ჩადენილი ცოდვის მხილებაა.. და სწორედ

ამ ცოდვათა გახსენება არის უდიდესი სულიერი სატანჯველი ავრელიუსისათვის. ახალგაზრდობაში ჩადენილი ცოდვა მიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ავგუსტინეს. ეს მისთვის ყველაზე დიდი ტვირთია, ქალის, ფაიდას გამოცხადებით ავგუსტინეს სული წარსულს ხვდება. წარსულთან შეხვედრა კი დიდ შინაგან ტკივილს იწვევს მასში. ხარჭადყოფილს სატანად აღიქვამს და თავის მდივანს უხმობს საშველად რომ იხსნას სატანისაგან. ოთახში შემოსულმა მდივანმა ნეტარი ავგუსტინეს გარდა ვერავინ შენიშნა. შეიძლება ითქვას, რომ ფაიდას გამოცხადება სიმბოლურად უნდა იქნას გაგებული. ხოლო ავგუსტინეს მცდელობა, რომ მას მოაშორონ ეს ქალი, მისი ბოლო ბრძოლაა შინაგანი ტკივილისაგან გათავისუფლებისა. თავად ავგუსტინეს სიცოცხლის ბოლო წუთი ასეა აღწერილი: ,,უკვდავს თავი ბალიშზე ედო, ნიკაპი ზემოთ აეწია და გახელილი თვალებით თითქოს ჭერს მისჩერებოდა" ნაწარმოებში გადმოცემულია ნეტარი ავგუსტინეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მოვლენები. რომელსაც ავტორი ურთავს ღრმა ფილოსოფიურ ანალიზს.

აკ. გაწერელიამ ნეტარი ავგუსტინეს სულიერების, უფლისკენ მიმართული მისი სულისკვეთების გვერდით დაგვიხატა მისი, როგორც მიწიერი ადამიანის სახე. ერთმანეთს ლოგიკურად დაუკავშირა ავგუსტინე ავრელიუსის ტანჯვით სავსე ცხოვრების ეპიზოდები. რომელიც გმირს ილუზორულ ჩვენებად ეხატება.

რაც არ უნდა იყოს, ადამიანური ცხოვრება, განცდილი ანარეკლი ისეთ დიდ ადამიანსაც ჰხვევს სინანულში, როგორიც ავრელიუსია. ხოლო უფლისკენ მავალი ადამიანის გზა არის გზა განწმენდისა, დიდი სულიერი გრადაციისა და უფლისკენ გულით მიხედებისა. ნეტარი ავგუსტინეს სახის ჩვენებით ავტორმა განავითარა თავისი შეხედულებები: ადამიანი, რომელიც უფლისკენ ისწრავის, უცილობოდ შეძლებს საკუთარ ვნებებთან გამკლავებას. განმტკიცდება რწმენაში, ეს კი მისცემს ძალას, შეიმეცნოს და გაუფილტრავად შეიცნოს საკუთარი წარსული, მიიღოს ის და ღრმა ანალიზის საფუძველზე გააკეთოს დასკვნები. შინაგან ბრძოლას ყოველთვის მოიგებს რწმენაში შეურყეველი ადამიანი, ასეთ ადამიანში სულიერებაცაა და ადამიანურობაც. ეს თვისებები კი არის ის, რაც ადამიანს აქცევს ღირსეულ პიროვნებად.

ავტორმა გვიჩვენა რომ ადამიანის სულის ლაბირინთები რთულია, განწმენდა– აუცილებელი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა მწერალმა, მეცნიერმა და არაერთი მონოგრაფისა და ლიტერატურის თეორიის წიგნების ავტორმა, აკ. გაწერელიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართულ ლიტერატურაში ფსიქოლოგიზმის ხერხებისა და მეთოდების დახვეწაში , შექმნა არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები, რითაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ პროზაში და დამსახურებული ადგილი დაიკავა ქართველ მწერალთა შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

ბრეგაძე, ლევან. 2008. ფსიქოანალიზი და მხატვრული სიმოციმედება. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

გაწერელია, აკაკი. 1985. ნოველები და მოთხრობები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გაწერელია, აკაკი. 1988. ფაიდას გამოცხადება. თბილისი: მერანი.

იმედაძე, ირაკლი. 2004. XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები. თბილისი: გამომცემლობა „ენა და კულტურა“.

იუნგი, კარლ გუსტავ. 1995. ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი: მერანი.

უნივერსალური ენციკლოპედიური ცნობარი. 2008. ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „აი ია“.

References

Bregadze, Levan. 2008. Psikoanalizi da mxat'vruli simocimebeba [Psychoanalysis and Artistic Glimmering]. Tbilisi: Literaturis inst'it'ut'is gamomcemloba. (in Georgian)

Gac'erelia, Ak'ak'i. 1985. Novelebi da motxrobebi [Novels and Stories]. Tbilisi: Sabč'ota Sakartvelo. (in Georgian)

Gac'erelia, Ak'ak'i. 1988. Paidas gamocxadeba [Revelation of Faida]. Tbilisi: Merani. (in Georgian)

Imedadze, Irak'li. 2004. XX sauk'unis p'sikologiis biritadi mimartulebebi [Main Directions of 20th Century Psychology]. Tbilisi: Gamomcemloba "Ena da k'ult'ura". (in Georgian)

Iungi, K'arl Gust'av. 1995. Analizuri p'sikologiis sapubvlebi [Fundamentals of Analytical Psychology]. Tbilisi: Merani. (in Georgian)

Universaluri enc'ik'lop'ediuri cnobari [Universal Encyclopedic Reference]. 2008. Vol. 2. Tbilisi: Gamomcemloba "Ai Ia". (in Georgian)

ირმა ქურდაძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი,
ელფოსტა: irmakurdadze@gmail.com

ნინო კარკაძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი,
ასისტენტ-პროფესორი,
ელფოსტა: nikarkadze@gmail.com

უნივერსალური სწავლების დიზაინის ინტეგრაცია სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადებაში: კვლევის, პრაქტიკისა და სამომავლო მიმართულებების მიმოხილვა

მოკლე შინაარსი

სპეციალური განათლების მასწავლებლების მომზადებასა და პრაქტიკაში ინტეგრირებას ფილოსოფიური, პედაგოგიური და პრაქტიკული ასპექტების რაც აუცილებელია, თანამედროვე სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების პროცესისათვის. ამ პროცესში გასათვალისწინებელია მოსწავლის აკადემიური შედეგები და მათი ჩართულობა.

სპეციალური მასწავლებლის მომზადებისათფვის არსებობს ბარიერები და რისკები. მაგალითად, დროის შეზღუდვები, ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობა და შეზღუდული ცოდნა. არსანიშნავია რომ, პროცესის წარმატებული განხორციელება მოითხოვს კულტურულ ცვლილებას და კოლექტიურ ვალდებულებას როგორც მასწავლებლების, ასევე ადმინისტრაციის მხრიდან, ტექნოლოგიების გამოყენებითა და თანამშრომლობითი პროფესიული განვითარებით.

ასევე გასათვალისწინებელია, ახალი ტენდენციები, რაც ეფუძნება ტრანსფორმაციულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას უფრო სამართლიანი და ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის შესაქმნელად.

წინამდებარე საკონფერენციო ნაშრომი მიმოიხილავს უნივერსალური სწავლების დიზაინის (UDL) ინტეგრაციას სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადებაში. ნაშრომი ხაზს უსვამს UDL-ის როლს თანამედროვე განათლების სისტემაში და განმარტავს, თუ რატომ არის აუცილებელი მისი პრინციპების ჩართვა მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში. კვლევის მიზანი იყო ახალციხის საჯარო სკოლების 30 მასწავლებელთან ფოკუს-ჯგუფის გამოყენებით შეფასებულიყო მათი დამოკიდებულება და პრაქტიკა UDL-ის მიმართ, ასევე გამოვლენილიყო ძირითადი გამოწვევები. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანი ბარიერებია დროის სიმწირე, ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობა და ცოდნის შეზღუდულობა.

ნაშრომი ასკვნის, რომ UDL-ის წარმატებული ინტეგრაცია მოითხოვს არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ ადმინისტრაციის მხრიდანაც კოლექტიურ ვალდებულებას და მზადყოფნას. მოცემული რეკომენდაციები მიზნად ისახავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების დახვეწას, ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენებას და ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის შექმნას.

საკვანძო სიტყვები: UDL, უნივერსალური დიზაინის სწავლება, სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამა, ინკლუზიური სასწავლო გარემო.

Irma Kurdadze,
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
Doctor of Pedagogy, Professor,
Email: irmakurdadze@gmail.com

Nino Karkadze,
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,

Doctoral Candidate in Business Administration,
Assistant Professor,
Email: nikarkadze@gmail.com

INTEGRATING UNIVERSAL INSTRUCTIONAL DESIGN INTO SPECIAL EDUCATION TEACHER TRAINING: A REVIEW OF RESEARCH, PRACTICE, AND FUTURE DIRECTIONS

Abstract

This conference paper provides a comprehensive overview of the integration of Universal Design for Learning (UDL) principles into the preparation of special education teachers. It argues that a philosophical shift is required in modern educational practice to move beyond reactive interventions and embrace a proactive, design-based approach that addresses diverse student needs.

The study, conducted with 30 teachers from Akhaltsikhe public schools using a focus group, aimed to explore their perceptions and practical application of UDL. The findings indicate that while teachers recognize the importance of UDL, its implementation is significantly hampered by key barriers, including limited time, a lack of institutional support, and a deficit of specialized knowledge.

The successful implementation of UDL demands a collective cultural change and shared responsibility among educators and school administration. Based on these findings, the paper offers actionable recommendations for future teacher training programs, focusing on curriculum integration, collaborative professional development, and the strategic use of technology to build a more equitable and inclusive educational system.

Keywords: UDL, Universal Design for Learning, special education teacher training, inclusive learning environment

შესავალი: თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა ინკლუზიური გარემოს შექმნაა, სადაც ყველა მოსწავლის საჭიროება იქნება გათვალისწინებული. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განსაკუთრებულ მომზადებასა და პროფესიულ განვითარებას მოითხოვს მასწავლებლებისგან.

უნივერსალური სწავლების დიზაინი (UDL) წარმოადგენს სწავლა-სწავლების ინოვაციურ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც არ არსებობს ბარიერები და ყველა მოსწავლეს, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა, აქვს თანაბარი წვდომა სასწავლო პროცესზე. UDL-ის პრინციპების (მიზნები, მეთოდები, მასალები და შეფასება) ინტეგრაცია პედაგოგის მომზადების პროგრამებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა მასწავლებლებმა ეფექტიანად შეძლონ ინდივიდუალური საჭიროებების მართვა და მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

კვლევის პრობლემა და მიზანი

მიუხედავად UDL-ის მნიშვნელობისა, საქართველოში მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში მისი ინტეგრაციის ხარისხი და პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობა ნაკლებად არის შესწავლილი. ამ კვლევის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს საკმარისი მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ცოდნა და დამოკიდებულება აქვთ მოქმედ მასწავლებლებს UDL-ის მიმართ, რამდენად იყენებენ მის პრინციპებს სასწავლო პროცესში და რა გამოწვევების წინაშე დგანან.

კვლევის ძირითადი მიზანია ახალციხის საჯარო სკოლების მასწავლებელთა დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შეფასება უნივერსალური სწავლების დიზაინის პრინციპების გამოყენებასთან დაკავშირებით. კვლევა ასევე მიზნად ისახავს:

- მასწავლებელთა ცნობიერების დონის დადგენას UDL-ის კონცეფციისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.
- იმ პრაქტიკული გამოწვევების იდენტიფიცირებას, რომლებსაც პედაგოგები აწყდებიან UDL-ის ინტეგრირებისას.
- რეკომენდაციების შემუშავებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში UDL-ის პრინციპების ეფექტიანად ჩართვისთვის.

კვლევის სიახლე და მნიშვნელობა

წინამდებარე კვლევის სიახლე განპირობებულია იმით, რომ ის პირველად იკვლევს UDL-ის პრაქტიკულ გამოყენებას კონკრეტულ რეგიონში — ახალციხის საჯარო სკოლებში. კვლევა, რომელიც 30

მასწავლებელთან ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით ჩატარდა, ღრმა და თვისებრივ ინფორმაციას მოგვცემს პედაგოგთა გამოცდილებების, შეხედულებებისა და საჭიროებების შესახებ.

ამ კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის, ასევე პოლიტიკის შემქმნელებისთვის. მიღებული დასკვნები ხელს შეუწყობს:

- მასწავლებელთა მომზადების პროგრამების დახვეწასა და UDL-ის პრინციპების სისტემურ ინტეგრაციას.
- პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოვლენას და მათი დაძლევის გზების ძიებას.
- მასწავლებლებისთვის მიზანმიმართული ტრენინგებისა და რესურსების შექმნას, რაც გააძლიერებს მათ უნარებს ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.

ეს კვლევა მნიშვნელოვანი წვლილი იქნება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში UDL-ის კვლევისა და განვითარების საქმეში, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ყველა მოსწავლისთვის თანაბარი და ხარისხიანი განათლების მიღებას.

1. თანამედროვე სპეციალური განათლების კონტექსტი და პროაქტიული ჩარჩოს საჭიროება

თანამედროვე საგანმანათლებლო ლანდშაფტს მოსწავლეთა უპრეცედენტო ცვალებადობა განსაზღვრავს.

დღეს პედაგოგები პასუხისმგებელნი არიან მოსწავლეთა მრავალფეროვან ჯგუფზე, რომლებსაც აქვთ მრავალფეროვანი წარმომავლობა, ენა, შესაძლებლობები და ცხოვრებისეული გამოცდილება - როგორც ხილული, ასევე დემოგრაფიული მონაცემების ეს ცვლილება პედაგოგიური პრაქტიკის ევოლუციას მოითხოვს, რომელიც აშკარად არასაკმარისია ყველა მოსწავლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ტრადიციული მიდგომა, რომელიც მოსწავლეთა ცვალებადობას ხშირად გადასალახავ გამოწვევად მიიჩნევს, ადგილს უთმობს უფრო დინამიურ და ინკლუზიურ ფილოსოფიას, რომელიც მრავალფეროვნებას ნორმად და სასწავლო გარემოსთვის ღირებულ აქტივად აღიარებს2.

1.1. მოსწავლის ცვალებადობის ნორმად აღიარება

თავისი არსით, სწავლის უნივერსალური დიზაინის ფილოსოფიური წინაპირობა „საშუალო“ ტვინის კონცეფციის უარყოფაა.UDL ეფუძნება იმ გაგებას, რომ ადამიანური ცვალებადობა პროგნოზირებადია და, შესაბამისად, სასწავლო გარემო თავიდანვე უნდა იყოს შექმნილი ამ მრავალფეროვნების პროგნოზირებისა და მიღების მიზნით, და არა ნორმიდან გადახრის სახით მისი მიჩნევის მიზნით. ეს ფუნდამენტური პრინციპი თანხვედრაშია განათლების სფეროში უფრო ფართო მოძრაობასთან, რომელიც მიზნად ისახავს მოქნილი და ადაპტირებადი სასწავლო გარემოს შექმნას, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს წარმატების თანაბარი შესაძლებლობა. ეს ფილოსოფიური ცვლილება არ არის მხოლოდ წინადადება, არამედ სულ უფრო მეტად მხარდაჭერილია ფედერალური მანდატებით, ისეთი ძირითადი კანონმდებლობით, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების შესახებ კანონი (IDEA 2004) და უმაღლესი განათლების შესაძლებლობების შესახებ კანონი (HEOA 2008), რომლებიც აშკარად ხელს უწყობენ UDL პრინციპების გამოყენებას განათლების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

1.2. ფილოსოფიური ცვლა: „მოსწავლის გამოსწორებიდან“ „გარემოს დიზაინზე“

UDL ჩარჩოს ცენტრალური პრინციპია აზროვნების ფუნდამენტური ცვლილება, რაც გამოიხატება ციტატით: „როდესაც ყვავილი არ ყვავის, თქვენ უცვლით გარემოს, რომელშიც ის იზრდება და არა ყვავილს“ 2.ეს ძლიერი მეტაფორა საშუალებას გვაძლევს, სასწავლო ბარიერები განვიხილოთ არა როგორც მოსწავლის დამახასიათებელი, არამედ როგორც თავად სასწავლო გამოცდილების დიზაინის ხარვეზები.

ტრადიციულ მოდელში, როდესაც მოსწავლეს სირთულეები აქვს, ხშირად ისმის კითხვა: „რა სჭირს ამ მოსწავლეს?“ შემდგომი ქმედებაა კონკრეტული ადაპტაციის ან ჩარევის უზრუნველყოფა მოსწავლის „გამოსასწორებლად“ და არსებულ სასწავლო გეგმასთან ადაპტაციაში დასახმარებლად.

ამის საპირისპიროდ, UDL ჩარჩოში მომუშავე პედაგოგი სხვა კითხვას სვამს: „სასწავლო გეგმის დიზაინში რა ბარიერები უშლის

ხელს ამ მოსწავლეს წარმატების მიღწევაში?“ პრობლემის ამ მარტივ გადააზრებას ღრმა გავლენა აქვს მასწავლებლის პროფესიულ იდენტობასა და პედაგოგიურ მიდგომაზე.

მასწავლებლის როლი მოსწავლეთა დეფიციტის რეაქტიული დიაგნოსტიკიდან პროაქტიულ, უფლებამოსილ სასწავლო დიზაინერად გარდაიქმნება 2. ეს ცვლილება პედაგოგებს საშუალებას აძლევს, გააკონტროლონ ის ფაქტორები, რომლებზეც მათ პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლიათ - სასწავლო გეგმის მიზნები, მეთოდები, მასალები და შეფასებები - იმის ნაცვლად, რომ ყურადღება გაამახვილონ იმ ფაქტორებზე, რომლებზეც მათ გავლენა არ შეუძლიათ, მაგალითად, მოსწავლის თანდაყოლილ შესაძლებლობებზე.

ეს ტრანსფორმაცია პედაგოგს უფრო მეტ თვითრეალიზაციისა და ეფექტურობის განცდას უნერგავს, რადგან ის დეფიციტის იდენტიფიცირებისა და დაკმაყოფილების პოტენციურად იმედგაცრუების მომტან ციკლს შემოქმედებითი პრობლემების გადაჭრისა და ყველა მოსწავლის სასარგებლოდ განზრახული დიზაინის გაძლიერების პროცესით ცვლის.

2. სწავლის უნივერსალური დიზაინის (UDL) ფუნდამენტური პრინციპები

UDL-ის ყოვლისმომცველი გაგება იწყება მისი ისტორიული ფესვებითა და ძირითადი პრინციპებით, რომლებიც განვითარების ფსიქოლოგიასა და ნეირომეცნიერებაშია დაფუძნებული.

2.1. ისტორიული საწყისები: არქიტექტურიდან საგანმანათლებლო ჩარჩოებამდე

UDL კონცეფცია წარმოიშვა არქიტექტურული უნივერსალური დიზაინის მოძრაობიდან, რომლის პიონერიც რონ მეისი იყო ჩრდილოეთ კაროლინას სახელმწიფო უნივერსიტეტში.ამ მოძრაობის მიზანი იყო ისეთი პროდუქტებისა და გარემოს შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა რაც შეიძლება ფართო სპექტრის ადამიანების მიერ სპეციალიზებული ადაპტაციის საჭიროების გარეშე. ეს ფილოსოფია, რომელიც თავდაპირველად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკურ ხელმისაწვდომობაზე იყო ორიენტირებული, მოგვიანებით

განათლებაშიც გამოიყენეს. საწყისი ნაბიჯი საკლასო ოთახებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იყო, თუმცა მალევე გაირკვა, რომ ფიზიკური ინკლუზია არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს სასწავლო გეგმაზე თანაბარი წვდომა ჰქონდათ ან მისი შეთავაზებებით ისარგებლებდნენ.

ამ ხარვეზის საპასუხოდ, 1984 წელს დაარსებულმა გამოყენებითი სპეციალური ტექნოლოგიების ცენტრმა (CAST) უნივერსალური დიზაინის პრინციპები სასწავლო გეგმის რეფორმის სფეროში გამოიყენა. CAST-ის ნაშრომზე დიდი გავლენა იქონია განვითარების ფსიქოლოგის, ლევ ვიგოტსკის კვლევამ, რომელმაც ადამიანის სწავლისთვის აუცილებელი ტვინის სამი ძირითადი შრე გამოავლინა.

2.2. ტვინის სამი ძირითადი შრე და შესაბამისი UDL პრინციპები

UDL ჩარჩო აგებულია იმ გაგებაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანის ტვინს საერთო ფუნქციები აქვს, ისინი ინფორმაციას ძალიან ცვალებადი გზით ამუშავებენ და იღებენ. CAST-მა ვიგოტსკის სამი ტვინის ქსელი UDL-ის სამ ძირითად პრინციპს შეუსაბამა:

- აფექტრუ შრე („რატომ“):ეს შრე პასუხისმგებელია მოტივაციასა და სასწავლო ამოცანებში ჩართულობაზე. შესაბამისი UDL პრინციპია

ჩართულობის მრავალი საშუალება, რომელიც ფოკუსირებულია ინტერესის სტიმულირებასა და მდგრად ძალისხმევაზე არჩევანის, ავტონომიისა და შესაბამისობის ვარიანტების შეთავაზებით.

- აღიარების შრე („რა“):ეს შრე ეხება იმას, თუ როგორ ამოიცნობენ მოსწავლეები შესასწავლ ინფორმაციას. ეს არის პრინციპი, რომელიც ეხება ინფორმაციის მრავალფეროვანი გზებით, მაგალითად, მრავალი მედიის, ფორმატისა და სიმბოლოს მეშვეობით წარდგენის აუცილებლობას, რათა მხარი დაუჭიროს სხვადასხვა აღქმასა და გაგების დონეს.

- სტრატეგიული შრე („როგორ“):ეს შრე განსაზღვრავს, თუ როგორ გეგმავენ, ახორციელებენ და აჩვენებენ მოსწავლეები თავიანთ ცოდნას. საბოლოო UDL პრინციპი,მოქმედებისა და გამოხატვის მრავალი საშუალება, მოითხოვს მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი ვარიანტების მიწოდებას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ მათ რეაგირება, გამოხატვა და გაზიარება იმის შესახებ, რაც იციან.

3. მოსწავლეთა ჩართულობის, მოტივაციისა და მოქმედების უნარის ხელშეწყობა

აკადემიური მოსწრების ხელშესახები გაუმჯობესების გარდა, დადასტურებულია, რომ UDL აძლიერებს შინაგან მოტივაციას და სტუდენტის უნარს, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე. ეს მიიღწევა მოქნილი და მრავალმხრივი სასწავლო გარემოს შექმნით, რომელიც ხელს უწყობს ავტონომიის, შესაბამისობისა და თვითრეგულირების განცდას. მოსწავლეების ჩართულობაზე დადებითი გავლენა კარგად არის არის ჩამოყალიბებული შემდეგ ქვეპინქტებში:

კვლევებმა აჩვენა, რომ UDL აუმჯობესებს მოსწავლეთა ჩართულობას, როგორც სკოლებში ასევე უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, რაც ხელს უწყობს აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა ჯგუფებში.

- სკოლის მოსწავლეებმა აღნიშნეს რომ ჰქონდათ, თვითეფექტურობის უფრო მაღალი განცდა და დადებითი ემოციური რეაქცია იმ კლასებში, სადაც UDL პრინციპები უფრო ფართოდ იყო დანერგილი.
- მოსწავლეებს მომატებული ჩართულობა ჰქონდათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაკვეთილებზე, რომლებშიც გამოყენებული იყო UDL-თან თავსებადი სასწავლო მასალები, როგორიცაა ვიდეო თამაშები და ალტერნატიული ტექსტი.

აკადემიურ მოსწრებაზე დადებითი გავლენა, სავარაუდოდ, ჩარჩოს ჩართულობის ხელშეწყობის წარმატების პირდაპირი შედეგია. როდესაც პედაგოგები იყენებენ UDL-ს მოსწავლეების ინტერესების გამოსავლენად და არჩევანის შესათავაზებლად, მოსწავლეები უფრო მეტად გრძნობენ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე 1. ეს გაზრდილი ჩართულობა და თვითეფექტურობის

განცდა აიძულებს მათ, უფრო მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ და შეუპოვრად გაუმკლავდნენ გამოწვევებს, რაც აკადემიური შედეგების გაუმჯობესების აუცილებელი წინაპირობაა. ამგვარად, UDL-ის ძირითადი სარგებელი შესაძლოა არა „უკეთესი სწავლება“, არამედ „მოსწავლეთა მოტივაცია იყოს, რომ მეტი ისწავლონ“. ეს არის კრიტიკული განსხვავება, რომელიც ჩარჩოს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობის გამაძლიერებელ ინსტრუმენტად წარმოაჩენს.

დასკვნა და რეკომენდაციები: სწავლის უნივერსალური დიზაინი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ პედაგოგიური სტრატეგიების ერთობლიობა. ეს არის აზროვნება და ფუნდამენტური ჩარჩო ყველა მოსწავლისთვის თანასწორი და ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შესაქმნელად. ემპირიული მტკიცებულებები მისი მიღების დამაჯერებელ არგუმენტებს იძლევა, კვლევების მზარდი რაოდენობა ადასტურებს მის დადებით გავლენას მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებასა და მოსწავლეთა ჩართულობაზე. გარდა ამისა, UDL-ის პროაქტიული, დიზაინზე დაფუძნებული მიდგომა ფუნდამენტურად განასხვავებს მას ისეთი რეაქტიული მოდელებისგან, როგორიცაა დიფერენცირებული სწავლება და ნაჩვენებია, როგორც ძლიერი ინსტრუმენტი ძირითადი სწავლების გასაუმჯობესებლად და სპეციალურ განათლებაში დისპროპორციულობის პრობლემის მოსაგვარებლად.

თანამედროვე სპეციალური განათლების სასწავლო გეგმის ძირითადი კომპონენტი უნდა იყოს UDL პრინციპების ინტეგრირება ყველა სასწავლო კურსში და არა მხოლოდ დამოუკიდებელი მოდულის სახით. ეს მიდგომა მასწავლებლებს კარიერის დასაწყისიდანვე ამზადებს პროაქტიული, დიზაინზე ორიენტირებული მსოფლმხედველობით, რაც მათ ცოდნითა და თავდაჯერებულობით აღჭურვავს, რათა დააკმაყოფილონ მრავალფეროვანი მოსწავლეების საჭიროებები.

ამ სინთეზის საფუძველზე, სპეციალური განათლების მასწავლებლების მომზადების პროგრამებისთვის შემოთავაზებულია შემდეგი ქმედითი რეკომენდაციები:

- **UDL-ის ყველა სასწავლო გეგმაში ინტეგრირება**: მასწავლებლის მომზადების პროგრამებმა UDL უნდა

ინტეგრირდეს, როგორც ძირითადი, სახელმძღვანელო პრინციპი ყველა კურსში. UDL-ის შესახებ ერთი კურსის ნაცვლად, ყველა კურსმა უნდა მოახდინოს სტუდენტებისგან UDL პრინციპების გამოყენების მოდელირება და მოსთხოვოს მათ გამოყენება დავალებებსა და გაკვეთილების დაგეგმვაში.

- **ხაზი გაუსვით აზროვნების ცვლილებას:** მიდგომა უნდა ფოკუსირდეს UDL-ის ფილოსოფიურ საფუძვლებზე - დეფიციტზე დაფუძნებული მოდელიდან დიზაინზე დაფუძნებულ მოდელიზე გადასვლაზე. ეს გულისხმობს არა მხოლოდ UDL-ის „როგორ“-ის, არამედ „რატომაც“-ის სწავლებას, რაც მასწავლებლების წახალისებას უწყობს ხელს, რომ მოსწავლის ცვალებადობა აქტივად მიიჩნიონ და პროაქტიულად გამოავლინონ და მოაშორონ ბარიერები სასწავლო გეგმის შემუშავებაში.
- **თანამშრომლობითი პრაქტიკის ხელშეწყობა:სპეციალური მასწავლებლის მომზადების** პროგრამებმა უნდა წარმოადგინონ და წაახალისონ პროფესიული სასწავლო საზოგადოებებისა და თანატოლთა თანამშრომლობის გამოყენება განხორციელების პრობლემების გადასაჭრელად.

ეს მომავალ პედაგოგებს ამზადებს იმ რეალობისთვის, რომ UDL არის საერთო, თანამშრომლობითი ძალისხმევა და არა მარტო სატარებელი ტვირთი.

- **ტექნოლოგიების ინტეგრირება, როგორც ხელშემწყობი ფაქტორი:** აღნიშნული მიდგომა უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ გამოცდილებას - ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაში, რაც UDL-ის დანერგვას შესაძლებელს და ეფექტურს ხდის.

მასწავლებლები უნდა მომზადდნენ ისეთი ინსტრუმენტების გამოსაყენებლად, რომლებიც მხარს უჭერს UDL-ის პრინციპებს, რითაც ისინი შეეჩვევიან ტექნოლოგიას, რომელიც ხელს უწყობს მოქნილ და ხელმისაწვდომ სწავლებას.

მნიშვნელოვანიაროემ ინკლუზიური და სამართლიანი საგანმანათლებლო სისტემის შესაქმნელად. სამომავლო კვლევები ფოკუსირებული იყოს UDL-ის სრულ, ჰოლისტურ დანერგვაზე სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოში, მათ შორის მის გამოყენებაზე არატრადიციულ გარემოში, როგორიცაა სამუშაო ძალის მომზადება და სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

გარდა ამისა, კვლევის უმნიშვნელოვანესი სფერო იქნება ისეთი ახალი ტექნოლოგიების შესწავლა, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი (AI), გამოყენება UDL-ზე დაფუძნებული პრაქტიკის შემდგომი პერსონალიზაციისა და ავტომატიზაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ალექსანდერი, მელისა. 2018. UDL, როგორც ჩარჩო სპეციალური განათლების მასწავლებელთა მომზადებაში. თბილისი: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

კორნელის უნივერსიტეტი. ნ.დ. „ინკლუზიური სწავლების პრაქტიკის ჩამოყალიბება“. ნანახია 22 დეკემბერი, 2025. https://teaching.cornell.edu/resource/building-inclusive-teaching-practices.

ლორენცი, მართა. 2020. UDL და სპეციალური განათლების მომავალი. თბილისი: სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი.

პუისის უნივერსიტეტი. 2021. UDL-ის პრაქტიკული გამოყენება. პრინსტონი: პუისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტელფორდის უნივერსიტეტი. 2022. ტექნოლოგიები და UDL. ტელფორდი: ტელფორდის უნივერსიტეტის გამოცემა.

CAST. ნ.დ. „UDL რჩევები შეფასებისთვის“. ნანახია 22 დეკემბერი, 2025. https://www.cast.org/products-services/resources/2018/udl-tips-assessments.

UDL საიტები. ნ.დ. „ხშირად დასმული კითხვები UDL-ის შესახებ“. ნანახია 22 დეკემბერი, 2025. https://udlguidelines.cast.org/more/frequently-asked-questions.

References

Alexander, Melissa. 2018. UDL, rogorc čark'o sp'ecialuri ganatlebis masc'avlebelta momzadebaši [UDL as a Framework in Special Education Teacher Training]. Tbilisi: National Center for Educational Quality Enhancement. (in Georgian)

CAST. n.d. "UDL rčevebi šep'asebistvis" [UDL Tips for Assessment]. Accessed December 22, 2025. https://www.cast.org/products-services/resources/2018/udl-tips-assessments. (in Georgian)

Cornell University. n.d. "Ink'luziuri sc'avlebis p'rakt'ik'is čamoq'alibeba" [Building Inclusive Teaching Practices]. Accessed December 22, 2025. https://teaching.cornell.edu/resource/building-inclusive-teaching-practices. (in Georgian)

Lorenc'i, Martha. 2020. UDL da sp'ecialuri ganatlebis momavali [UDL and the Future of Special Education]. Tbilisi: Samokalako ganatlebis inst'it'ut'i. (in Georgian)

P'uisis universit'et'i. 2021. UDL-is p'rakt'ik'uli gamoq'eneba [Practical Application of UDL]. Princeton: Poissy University Press. (in Georgian)

T'elp'ordis universit'et'i. 2022. T'eknologiebi da UDL [Technologies and UDL]. Telford: University of Telford Press. (in Georgian)

UDL sait'ebi. n.d. "Xširad dasmuli k'itxvebi UDL-is šesaxeb" [Frequently Asked Questions about UDL]. Accessed December 22, 2025. https://udlguidelines.cast.org/more/frequently-asked-questions. (in Georgian)

გულნარა ჯანოვა
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
ელფოსტა: gulikojanova1952@gmail.com

მაკა მურვანიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ელფოსტა: murvanidzemaka1982@gmail.com

თამაშის როლი უცხოური ენის სწავლებაში

მოკლე შინაარსი

ნებისმიერი ენა მდიდარი და შესაბამისად ძლიერია, მაგრამ ის შეიძლება ძალიან სახალისოც იყოს. ფაქტობრივად, მხიარულების განცდა ენას კიდევ უფრო ძლიერს ხდის. ენა და თამაში ერთმანეთს ავსებენ და ამდიდრებენ. ამ ორის შერწყმის შედეგად წარმოიქმნება ენობრივი თამაშები. მათ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ უცხოური ენების სწავლებაში. როგორც ამას პოლ რუეიკერსი აღნიშნავს ენის თამაშები ბავშვებს საშუალებას აძლევს განავითარონ კომუნიკაციის უნარები, გაამდიდრონ ლექსიკონი, გაუმჯობესონ საუბრისა და თხრობის უნარები.

ბლანკა კლიმოვა მიიჩნევს, რომ თამაში ბავშვებისთვის ბუნებრივი საშუალებაა მათ გარშემო არსებული სამყაროს შესაცნობად. ამიტომ, თამაში უნდა იყოს სწავლის განუყოფელი ნაწილი, მათ შორის უცხოური ენების შესწავლის.

თამაშების კატეგორიებად დაყოფა მრავალფეროვანია და საკმაოდ რთულიც, რადგან ისინი ერთმანეთს ხშირად ემთხვევიან. ჯორჯ ჯეკობსი უპირატესობას ანიჭებს თამაშების კატეგორიებად დაყოფის ჰადფილდისეულ ვერსიას. ის

განმარტავს ენის თამაშების კლასიფიკაციის ორ გზას. პირველ რიგში, ის ყოფს ენის თამაშებს ორ ტიპად: ლინგვისტურ თამაშებად და კომუნიკაციურ თამაშებად. ლინგვისტური თამაშები აქცენტს

აკეთებს სიზუსტეზე, მაგალითად, სწორი ანტონიმის მოწოდებაზე. მეორეს მხრივ, კომუნიკაციური თამაშები ორიენტირებულია ინფორმაციისა და იდეების წარმატებულ გაცვლაზე — მაგალითად, ორი ადამიანი ცდილობს იპოვოს განსხვავებები ორ მსგავს, მაგრამ არა იდენტურ სურათს შორის.ჰადფილდის მიერ ენობრივი თამაშების კლასიფიკაციის მეორე ტაქსონომია ბევრად უფრო მრავალფეროვან კატეგორიებს მოიცავს. ისევე როგორც თამაშების ლინგვისტურ და კომუნიკაციურ კატეგორიებად დაყოფის შემთხვევაში, ზოგიერთი თამაში შესაძლოა შეიცავდეს ერთზე მეტი ტიპის ელემენტებს.

საკვანძო სიტყვები: ენობრივი თამაშები, უცხოური ენების სწავლება, კომუნიკაციური უნარები, ლინგვისტური თამაშები, თამაშების კლასიფიკაცია, საგანმანათლებლო თამაშები, ლექსიკის გამდიდრება, ჰადფილდის ტაქსონომია.

Gulnara Janova
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
Doctor of Philology, Professor
Email: gulikojanova1952@gmail.com

Maka Murvanidze
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
Doctor of Philology, Associate Professor,
Email: murvanidzemaka1982@gmail.com

THE ROLE OF GAMES IN FOREIGN LANGUAGE TEACHING

Abstract

Any language is quite powerful, but it can also be very fun. The feeling of enjoyment makes language even more powerful. Language and a game enhance and enrich one another. The combination of language and a game gives rise to language games. They play an important role in foreign language learning and teaching. As Paul Rooyackers points out, Language

games allow children to stretch their communication abilities, enhancing vocabulary, conversation, and storytelling skills.

As Blanka Klimova points out, " a game is a natural means for children to understand the world around them. Therefore, it should be part and parcel of their learning, including the learning of foreign languages".

Classifying games is diverse and quite complex, as they often overlap. George Jacobs prefers Hadfield's version of classifying games. Hadfield divides language games into two types: linguistic games and communicative games. Linguistic games focus on accuracy, such as supplying the correct antonym. On the other hand, communicative games focus on the successful exchange of information and ideas, such as when two people identify the differences between two pictures that are similar to one another but not identical. The second taxonomy that Hadfield uses to classify language games has many more categories. As with the classification of games as linguistic games or communicative games, some games will contain elements of more than one type.

Keywords: Language games, foreign language teaching, communication skills, linguistic games, game classification, educational games, vocabulary enrichment, Hadfield's taxonomy.

შესავალი: 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიის ინტეგრაციამ რადიკალურად შეცვალა სწავლა-სწავლების ტრადიციული მეთოდები საგანმანათლებლო სივრცეში და შექმნა ახალი ინსტრუმენტები და მიდგომები. ერთ-ერთი ინოვაციური მიდგომა, რომელმაც დიდი ყურადღება მიიპყრო, არის თამაშები ე.წ. „გემიფიკაცია", რომელიც გულისხმობს თამაშის ელემენტების ჩართვას სწავლა- სწავლების პროცესში. ეს მიდგომა დიდი პოტენციალით ხასიათდება ენის შემსწავლელთა მოტივაციის ამაღლების, მათი სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებისათვის.

თამაში ძველი დროიდან იღებს სათავეს. ის მხოლოდ გართობასა და დასვენებას არ გულისხმობს. თამაში ამავდროულად წარმოადგენს სწავლისა და სწავლების აუცილებელ კომპონენტს, უფრო მეტიც თამაში სწავლების ერთგვარ მეთოდს წარმოადგენს. მისი როლი განსაკუთრებით გაიზარდა 21-ე საუკუნეში. დღეს მასწავლებლები მთელს მსოფლიოში თამაშებს აქტიურად იყენებენ სწავლების პროცესში. ამგვარი გაკვეთილების ეფექტურობა და შედეგიანობა საკმაოდ მაღალია.

„თამაშები ახალისებენ, ართობენ და ხელს უწყობენ მოსწავლეებში გამართული მეტყველებისა და კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებას, რომ არა ეს მიზეზები, მაშინ ისინი მხოლოდ უცხოური ენის სილამაზის აღსაქმელად იქნებოდა გამოყენებული და არა იმ პრობლემების გადასალახავად, რომლებიც თავს იჩენენ სწავლის პროცესში და ზოგჯერ გადაულახავად მიგვაჩნია“ (უბერმანი 1998: 87).

თამაშების მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ამასთანავე, საგანმანათლებლო თვალსაზრისით ეფექტური მეთოდია. გარდა ამისა, ის გამოიყენება ნებისმიერი ასაკის აუდიტორიისთვის. პატარებისთვის — ის არის განვითარების ეტაპი და რეალობის მოდელის ათვისება; მოზარდებისთვის — ყოველდღიური ცხოვრების წამყვანი საქმიანობა, რომელიც მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ ვარჯიშს; თინეიჯერებისთვის — ეს არის საზოგადოებაში კომუნიკაციის პროცესი და სამყაროს ხედვის ფორმირება; ხოლო ზრდასრულებისთვის — გაცნობიერებული აქტივობა მეხსიერების ვარჯიშისა და ახალი უნარების განვითარებისთვის, ასევე ყოველდღიური ცხოვრების რუტინისგან თავის დასაღწევად.

თამაშების მეთოდი ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის სტუდენტების ცოდნის შეფასების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სკოლის მოსწავლეები და უნივერსიტეტის სტუდენტები ძირითადად მიჩვეულნი არიან ქულებზე და ნიშნებზე მუშაობას. თუმცა თამაშის დროს ისინი ივიწყებენ შეფასებებს და ქულებზე ფიქრს. თამაშისას ისინი თავისუფლები და გახსნილები არიან.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია თამაშის როლი ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის (EFL), სწავლა-სწავლების პროცესში. ჩვენ განვიხილავთ თამაშის მახასიათებლებს, მიზნებსა და თავისებურებებს. ყურადღება ეთმობა ასევე თამაშების შერჩევასა და მათ გამოყენებას. უფრო ზუსტი შედეგების მისაღებად ჩატარდა კვლევა მასწავლებლებში. კვლევის მიზანია გამოვავლინოთ თამაშების როლი და მათი მნიშვნელობა სკოლის მოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

ლიტერატურის მიმოხილვა: სტატიაში - **თამაშები ინგლისურის სწავლებაში** (Games in the Teaching of English) ბიანკა კლიმოვა აღნიშნავს, რომ „თამაში აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი და სახალისო აქტივობა, რომელიც წესებით იმართება". მისი აზრით ენობრივი თამაშები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა პრინციპების მიხედვით. მას მოჰყავს ენობრივი თამაშების ჰედფილდისეული (1998) კლასიფიკაცია. პირველი მოიცავს ლინგვისტურ თამაშებს (რომლებიც ძირითადად სიზუსტეზე არიან ორიენტირებული) და კომუნიკაციურ თამაშებს, (რომლებიც ინფორმაციის გაცვლაზეა დაფუძნებული). ხოლო მეორე კლასიფიკაცია მოიცავს მეტ კატეგორიას და, როგორც წესი, აერთიანებს როგორც ლინგვისტურ, ასევე კომუნიკაციურ ასპექტებს. მაგალითად: დასახარისხებელი, დასალაგებელი ან დასაწყობი თამაშები; ინფორმაციული სიცარიელის შევსების თამაშები; გამოცნობის თამაშები; საძიებო თამაშები; დამთხვევაზე დაფუძნებული თამაშები; დასათაურებელი თამაშები; გაცვლის თამაშები; სამაგიდო თამაშები; როლური თამაშები/დრამები.

ამავე სტატიაში ბიანკა კლიმოვას წარმოდგენილი აქვს თამაშების ლუისისა და ბედსონის (1999) მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც ჰედფილდისეული კლასიფიკაციის თითქმის იდენტურია, თუმცა ისინი ამატებენ მოძრაობით და ამოცანებზე დაფუძნებულ თამაშებს. ლუისი და ბედსონი ასევე სთავაზობენ თამაშების პოპულარულ ტიპს - კომპიუტერულ თამაშებს. საბოლოოდ, კლიმოვას მოყავს ჯაკობსის კლასიფიკაცია, რომელიც თამაშებს ყოფს: კონკურენტულ თამაშებად და კოლაბორაციული/თანამშრომლობით თამაშებად (კლიმოვა, 2015).

ავტორთა ჯგუფი - გუზელ მუნავიროვა გალეევა, ეკატერინა ვლადიმიროვნა მარტინოვა, სვეტლანა მიხაილოვნა პერეტოჩკინა, ტატიანა ვლადიმიროვა მარშევა (Guzel Munavirovna Galeeva, Ekaterina Vladimirovna Martynova, Svetlana Mihajlovna Peretochkina, Tatyana Vladimirova Marsheva) სტატიაში - **თამაშების როლი უცხოური ენების სწავლებისას** (The Role of Games in Foreign Language Teaching) ხაზს უსვამენ თამაშებს, როგორც სწავლა-სწავლების ეფექტურ მეთოდს.

თამაშების ტექნიკის ბუნებიდან გამომდინარე,ავტორები თამაშებს ყოფენ: სუბიექტურ,ნარატიულ,როლურ, საქმიან,

იმიტაციურ და კონკურენტულ თამაშებად. მათივე აზრით თამაშები შეიძლება იყოს: საგანმანათლებლო, სასწავლო, საკონტროლო, შემფასებელი; საინფორმაციო, განვითარებადი, პედაგოგიური; შემოქმედებითი; და პროფესიული ორიენტაციის.

სტატიაში ხაზგასმულია თამაშების მეთოდის მნიშვნელობა მასწავლებლისთვის. ის საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეაფასოს მოსწავლეთა ცოდნა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევაში, როცა საუბარია სკოლის ან უნივერსიტეტის სტუდენტებზე, რომლებიც ჩვეულებრივ ქულებზე და ნიშნებზე არიან ორიენტირებულნი. თამაშების დროს მათ ავიწყდებათ ქულებზე ფიქრი. ისინი თამაშობენ და თავს თავისუფლად გრძნობენ (გალეევა და სხვ. 2016).

სტატიაში - **გემიფიკაციის როლი უცხოური ენების სწავლებაში: სტრატეგიები, სარგებელი და ქეის-სტადი** -ის (The Role of Gamification in Enhancing Foreign Language Education: Strategies, Benefits, and Case Studies) ავტორები- ოკოლო ჩინვი ჯეინი, ჩინიერ გრეის ეზეონვუმელუ, ჩიომა იჰუომა ბარაჰ და უგუ ნნენა ჯოვიტა (Okolo Chinwe Jane, Chinyere Grace Ezeonwumelu, Chioma Ihuoma Barah and Ugwu Nnenna Jovita) მიიჩნევენ, რომ თამაშებისა და გემიფიკაციის გამოყენების მიზანი განათლებაში მოსწავლეებისა და სტუდენტების მოტივაციის, სწავლის პროცესში ჩართულობისა და აქტიურობის ამაღლებაა. მოსწავლეები და სტუდენტები სწავლობენ ხალისით. ისინი აგრეთვე ხაზს უსვამენ ციფრული თამაშების როლს. მათი აზრით „ციფრული თამაშები საგანმანათლებლო რესურსის სახეობაა, რომელიც მოსწავლეს მოტივაციას უმაღლებს და ხელს უწყობს დამოუკიდებელ სწავლას. ამავდროულად, სთავაზობს მდიდარ სასწავლო გამოცდილებას“. ავტორები გვთავაზობენ გემიფიკაციის სამ ტიპს — **სტრუქტურულს, პროცესულს** და **შინაარსობრივს.** მათი აზრით გემიფიკაციას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა და ასპექტი: იგი შეიძლება გამოვლინდეს სასწავლო მიზნებში, სასწავლო შინაარსში, შეფასებაში და ა.შ. ისინი ასევე აფრთხილებენ,რომ გემიფიკაციის არასწორად გამოყენებამ შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს. იმისათვის, რომ გემიფიკაცია ეფექტური იყოს, იგი უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო მიზნებს (ოკოლო და სხვ. 2016).

ავტორების - ფეი ლუის, ბალაჩანდრან ვადიველის, ეჰსან რეზვანის, ეჰსან ნამაზიანდოსთის Fei Liu, Balachandran Vadivel, Ehsan Rezvani, Ehsan Namaziandost) აზრით თამაშებმა, განსაკუთრებით მათმა ინტეგრაციამ სასწავლო პროცესში, შეიძლება გაზარდოს სტუდენტების სურვილი და მოტივაცია ისწავლონ მეტი და აქტიურად იურთიერთონ საკლასო სივრცეში, სხვადასხვა დონეზე განსხვავებული ინტერესების მიუხედავად. მათი შეხედულებით, თამაშები ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელობაზე ენის სწავლის პროცესში, რაც ხელს უწყობს უკვე ნასწავლის უკეთ დამახსოვრებას. თამაში ბავშვებს ეხმარება ფიზიკური, სოციალური, ემოციური და კოგნიტური უნარების განვითარებაში და ამავდროულად არის სასიამოვნო და სახალისო, იქნება ეს შეჯიბრებით თუ თანამშრომლობაზე დაფუძნებული, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებითა და წესებით. გარდა ამისა, თამაშები ქმნიან მხიარულ და კომფორტულ გარემოს, რომელშიც მოსწავლეები მეტად მოტივირებულები არიან (ლიუ და სხვ. 2021).

შეილა ქოზაი (Šejla Ćosaj), ავტორი სტატიისა - **თამაშები, როგორც სწავლების მეთოდი** (The use of games in the language classroom) ყურადღებას ამახვილებს თამაშებზე, როგორც სწავლების მეთოდზე.თუ ადრე სწავლება ძირითადად მოსწავლეთა პასიურობასა და კლასში მოსმენაზე იყო ორიენტირებული, აღნიშნავს ავტორი, დღეს მოსწავლეები ჩვეულებრივ უფრო აქტიურები არიან კლასში, და რა არის უკეთესი საშუალება აქტიურობისთვის, ვიდრე თამაშების თამაში. ავტორს მოჰყავს ისლანდიის ეროვნული სასწავლო გეგმის მაგალითი,სადაც უცხოურ ენებში სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება ზრდის სტუდენტებში ინტერესს. მასწავლებლები იყენებენ ისეთ თამაშებს, რომლებიც მოითხოვენ სტუდენტების შემოქმედებით აზროვნებას. ავტორი ასახელებს კლასში თამაშების გამოყენების მიზეზებსა და მნიშვნელობას. ესენია: **მოსწავლეთა აქტიურობა,** (რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თამაშებს შეუძლიათ გაააქტიურონ ის მოსწავლეებიც კი, რომლებიც ადრე შესაძლოა ინტერესის ნაკლებობის გამო პასიურები იყვნენ), **კლასში მეგობრული და პოზიტიური ატმოსფეროს ხელშეწყობა, ენის გამოყენება რეალურ სიტუაციებში,** პოზიტიური დამოკიდებულება სწავლის პროცესისადმი, რაც

ხშირად დადებით გავლენას ახდენს ენის სწავლაზე. მორცხვი და დაბალი თვითშეფასების მქონე მოსწავლეების გააქტიურება, როდესაც თამაშები გამოიყენება სხვა სასწავლო მეთოდებთან ერთად, ისინი ქმნიან მრავალფეროვნებას, რაც იდეალურია სასკოლო საქმიანობისთვის (ჩოსაი, 2010).

კვლევა და მისი შედეგები: გადავწყვიტეთ შეგვესწავლა ენობრივი თამაშების როლი უცხოური ენის, ჩვენს შემთხვევაში, ინგლისური ენის სწავლებაში. ამასთანავე, რას ფიქრობენ ინგლისური ენის მოქმედი მასწავლებლები ამ საკითხზე. თამაშების რა ტიპები/კატეგორიები გამოიყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში. ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლების ინგლისური ენის მოქმედმა 60 მასწავლებელმა.

კვლევის თემის აქტუალურობა: 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ეპოქაა,სწავლა-სწავლების მეთოდები გამდიდრდა ახალი, ინოცაციური მიდგომებით. განსაკუთრებით წინ წამოიწია ენობრივმა თამაშების მეთოდმა, რომელიც გამოიყენება სწვლების ყველა დონეზე და რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და ენის სწავლის და სწავლების ეფექტურობას.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდს წარმოადგენს კითხვარით ჩატარებული ინგლისური ენის მასწავლებელთა გამოკითხვა, რომელიც მოიცავს როგორც დახურულ, ისე ღია კითხვებს. მისი მიზანია თუ რა როლს ასრულებს თამაშების გამოყენება ინგლისურის, როგორც უცხოური ენის, სწავლა-სწავლების პროცესში, რამდენად ეფექტურია ის ინგლისური ენის უნარების განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

პირველ კითხვაზე - **რომელ კლასებს ან ასაკობრივ ჯგუფებს ასწავლით?** აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა თითქმის ყველა კლასს ასწავლის.

მეორე კითხვაზე - **რამდენი წელია, რაც ინგლისურ ენას ასწავლით?** პასუხი მრავალფეროვანია. გამოკითხულთა 8.5 % ინგლისურს ასწავლის 21 წელი, 7.8 % ასწავლის 13 წელი, 14 წელი-8.5%,,10 წელი-6.2% , 15 % ასწავლის 6 წელი; 8% -5 წელი; 12%-3წელი; დანარჩენი ახალბედა მასწავლებელია.

მესამე კითხვის - **რამდენად ხშირად იყენებთ თამაშებს ინგლისური ენის გაკვეთილებზე?** შედეგების გაცნობისას აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 45.8 % ხშირად იყენებს თამაშებს გაკვეთილებზე, 39% ხანდახან, 11,9% ყოველთვის, ხოლო 3,3 % იყენებს იშვიათად.

მეოთხე კითხვაზე - **რა ტიპის თამაშებს იყენებთ ყველაზე ხშირად?** (აირჩიეთ ყველა შესაბამისი ვარიანტი) დაფიქსირებულ პასუხებში ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს ლექსიკის თამაშებს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ინგლისური ენის შესასწავლად, ენის შემსწავლელმა პირველ რიგში უნდა იზრუნოს ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე (86.4 %); შემდეგ მოდის საუბრის თამაშები (78%); როგორც ყოველთვის, როლური თამაშები ფართოდ გამოიყენება სწავლების პროცესში,მას გამოკითხულთა - 62.7 % უჭერს მხარს; პრაქტიკული გრამატიკის ცოდნა ენის შესწავლის აუცილებელი კომპონენტია. თამაშებს, რომელთა მეშვეობით ისწავლება პრაქტიკული გრამატიკა, გამოკითხულთა 64.4 % უჭერს მხარს; საინტერესოა, რომ მასწავლებლების 52.5 % უპირატესობას ანიჭებს სამაგიდო თამაშებს, ისინი შედარებით ახალი თამაშებია, თუმცა საოცრად კარგი შედეგი აქვს, თუ მასწავლებელმა სწორედ დაგეგმა და წარმართა ისინი; მოსმენის თამაშები ასევე მნიშვნელოვანია სწავლა, სწავლების პროცესში. გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი-50.8% იყენებს მოსმენის თამაშებს. ონლაინ/ტექნოლოგიებზე დაფუძნებული თამაშები ნელნელა იკიდებს ფეხს სწავლებაში, მაგრამ ისინი ასევე ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის. მისასალმებელია, რომ დღეს მასწავლებელთა 37.7 % იყენებს ამ ტიპის თამაშებს მუშაობის პროცესში.

მეხუთე კითხვის - **რა არის ინგლისური ენის გაკვეთილებზე თამაშების გამოყენების ძირითადი მიზეზები?** პასუხები მრავალფეროვანია და ამასთანავე საინტერესო. გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი ფიქრობს, რომ თამაშები აუცილებელია მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, ენის ცოდნისათვის საჭირო უნარების განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის, როგორც აქტიური, ასევე პასიური მოსწავლეების ჩართულობისთვის და გართობისთვის.მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ თამაშები ეხმარება სტუდენტებს/მოსწავლეებს მასალის

მარტივად ათვისებაში. მათი აზრით თამაშები ინგლისური ენის პრაქტიკაში გამოყენების სახალისო გზაა - ეს შეიძლება იყოს ენის შესწავლის ნამდვილად მოტივაციური გზა. მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს მასწავლებელთა პასუხებიდან:

- სტუდენტები/ მოსწავლეები უფრო მეტს სწავლობენ თამაშში, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში;
- თამაში ხელს უწყობს ინგლისურ ენაზე სასაუბრო უნარების განვითარებას; თავისუფალ კომუნიკაციას და მოტივაციას;
- თამაში აძლიერებს ენის პრაქტიკაში გამოყენების სურვილს; სხვადასხვა უნარების განვითარება-გაუმჯობესებას;
- თამაშების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესს უფრო საინტერესოს, პროდუქტიულს და მარსტივს ხდის;
- თამაშების გამოყენების მთავარი მიზეზი არის ის, რომ სწავლა მოსწავლეებისთვის საინტერესო, ინტერაქტიული და დასამახსოვრებელი გავხადო.

ინგლისურის გაკვეთილებზე ენობრივი თამაშების გამოყენებას საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგი მოაქვს როგორც ენის შესწავლისთვის,ასევე მასწავლებლისათვის სწავლა- სწავლების პროცესში. ესენია:: მოტივაციის გაზრდა, აქტიური სწავლა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია; სასიამოვნო და გასართობი ატმოსფერო; საუბრის კომპლექსის მოხსნა, მოსწავლეებისთვის საუბრისა და შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობის მიცემა; მოსწავლეთა ენობრივი უნარების გაუმჯობესება და მათი გამოყენება რეალურ ცხოვრებაში საუბრის წარმატებულად წარმართვისთვის; სტუდენტების უფრო აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში; ინგლისური ენის ლექსიკის გამდიდრება; პრაქტიკული გრამატიკის დაუფლება; უკეთესი სასაუბრო უნარები; თამაში ყველა მოსწავლეს უყვარს, ისინი თან ერთობიან და თან სწავლობენ.

მეშვიდე კითხვაზე - **რა გამოწვევებს წააწყდით ინგლისური ენის სწავლებაში თამაშების გამოყენებისას?** გამოკითხულთა შეხედულება საკითხის გარშემო განსხვავებულია. ზოგიერთის აზრით გამოწვევები საერთოდ არ არსებობს; ხოლო უმრავლესობას მიაჩნია, რომ გამოწვევები არსებობს. გამოწვევაა თამაშისას კლასის მართვა; თამაშის დაგეგმვა;მოსწავლეთა მხრიდან წაგების შიში; ხმაური; არეულობა კლასში, ინგლისური

ენის ცოდნის დაბალი დონე,განსხვავებული დონის გამო, საჭირო თამაშის შერჩევა, ინგლისურად საუბრისგან თავის არიდება, რადგან სტუდენტებს/მოსწავლეებს, როგორც ჩანს, შეცდომების დაშვების ეშინიათ. ასევე. სტუდენტები/მოსწავლეები ხშირად თამაშებს მხოლოდ გასართობად აღიქვამენ; ზოგიერთ მოსწავლეს (განსაკუთრებით პატარებს) ყოველთვის სურთ გამარჯვებულნი იყვნენ და წაგებას მტკივნეულად განიცდიან;

„ინგლისური ენის სწავლებაში თამაშების გამოყენებისას ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც შემხვედრია“,აღნიშნავს ერთ-ერთი პედაგოგი, „კლასში მოსწავლეთა ქცევის მართვაა, რადგან ზოგიერთი მოსწავლე შეიძლება ზედმეტად აღელვებული ან გაფანტული იყოს. დროის მენეჯმენტი კიდევ ერთი პრობლემაა, რადგან თამაშებს ზოგჯერ დაგეგმილზე მეტი დრო სჭირდებათ“.

გამოკითხულთა ერთი ნაწილი გამოწვევად ასახელებს რესურსების ნაკლებობას; ტექნიკურ პრობლემებს, კერძოდ ინტერნეტის წვდომის ნაკლებობას.

მეერვე კითხვა - **თქვენი გამოცდილებით, როგორ რეაგირებენ სტუდენტები ინგლისური ენის თამაშებით სწავლაზე?** გამოკითხულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ენის შემსწავლელებს მოსწონთ თამაშებში მონაწილეობა და ამ მიდგომით ენის სწავლა. ისინი აქტიურები, ხალისიანები და პოზიტიურები არიან და ყოველთვის მზად არიან სათამაშოდ.ამასთანავე, ისინი, როგორც წესი, უფრო მოტივირებულნი არიან,აქტიურად ერთვებიან თამაშში და მონაწილეობის სურვილით გამოირჩევიან. ბევრ თამაშში მოსწავლეების ყურადღება კონცენტრირებულია შეტყობინებაზე, ამიტომ ისინი ენობრივ ფორმებს არაცნობიერად იძენენ. გამოკითხულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ თამაშების გამოყენება შესანიშნავი შესაძლებლობაა ოთხივე უნარის, ასევე ლექსიკისა და გრამატიკის განვითარებისთვის. თამაშების გამოყენებით ნებისმიერი ენობრივი მასალა დასამახსოვრებად ადვილია. მათი აზრით მოსწავლეთა უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობს და სარგებლობს ინგლისური ენის უფრო ბუნებრივი და ინტერაქტიული გზით გამოყენების შესაძლებლობით. საერთო ჯამში, თამაშები სწავლის პროცესს უფრო სასიამოვნოს და ეფექტურს ხდის.

თამაშს თავისი წესები აქვს. სტუდენტი, თუ მოსწავლე ცდილობს „უკეთესად ითამაშოს“ და გამარჯვებული გამოვიდეს.თუ სწორ თამაშს აირჩევთ, მოსწავლეები სიამოვნებით ითამაშებენ.

„ჩემი გამოცდილებით“, აღნიშნავს ერთი-ერთი პედაგოგი, “მოსწავლეების უმეტესობა დადებითად არის განწყობილი თამაშებისადმი“. მისი აზრით თამაშისას მოსწავლეებში მატულობს თვითდაჯერებულობა, მორცხვი მოსწავლეც კი იკრებს ძალას და „თამაშობს“.

„ჩემს მოსწავლეებს მოსწონთ თამაში, ისინი ყოველთვის მზად არიან თამაშისთვის, განსაკუთრებით დაწყებითი კლასის მოსწავლეები, სწავლობენ ენთუზიაზმით და უფრო მოტივირებულნი არიან“ აღნიშნავს ერთ-ერთი გამოკითხული.

მეეცხრე კითხვაზე - **გავლილი გაქვთ თუ არა ტრენინგი ენის სწავლებაში თამაშების გამოყენების შესახებ?** დადებითი პასუხი გასცა გამოკითხულთა 67.8 %, ხოლო 32.2% სამწუხაროდ არ აქვს გავლილი ტრენინგი.

მეათე კითხვაზე - **გსურთ გაეცნოთ უფრო მეტ რესურსს ან გაიაროთ ტრენინგი ინგლისური ენის სწავლებაში თამაშების გამოყენებასთან დაკავშირებით?** 84.7% დადებითი პასუხი გასცა, 13.6 % კი უარყოფითი.

მეთერთმეტე კითხვაზე - **რა მხარდაჭერა ან რესურსები დაგეხმარებათ თამაშების უფრო ეფექტურად გამოყენებაში სწავლების პროცესში?** პასუხების მიხედვით გამოიკვეთა ორი ჯგუფი. გამოკითხულთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სოციალურ მედია, YouTube-ი, Instagram-ი, სახელმძღვანელოებში მოცემული თამაშები, გამოცდილება, ტრენინგები, სემინარები, ინტერნეტ მასალა, გამოცდილების გაზიარება, ციფრული რესურსები და ინტერნეტზე წვდომა ყველა საკლასო ოთახში დიდად დაეხმარება მათ თამაშების უფრო ეფექტურად გამოყენებაში. „თამაშების უფრო ეფექტურად გამოსაყენებლად, სასარგებლო იქნებოდა დონის შესაბამისი მზა თამაშები, რომლებიც შეესაბამება სასწავლო გეგმას“- წერს ერთ-ერთი გამოკითხული. ასევე სასარგებლო იქნებოდა ტრენინგები ან სემინარები თამაშების გაკვეთილის გეგმებში ინტეგრირების შესახებ.“ მისი აზრით, საგანმანათლებლო თამაშებისთვის შექმნილი ციფრული ინსტრუმენტების ან

პლატფორმების ქონა გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და თამაშებზე დაფუძნებულ სწავლებას უფრო ხელმისაწვდომს და ორგანიზებულს გახდის.

გამოკითხულთა პასუხებიდან ჩანს, რომ მათ მხარში დგომა და დახმარება სჭირდებათ, რადგან სასწავლო პროცესში ვერ იყენებენ თამაშებს სხვადასხვა მიზეზების გამო, მიუხედავად იმისა, რომ გააზრებული აქვთ მათი როლი ინგლისური ენის სწავლა-სწავლების პროცესში.მაგრამ გამოკითხულთა მეორე ნაწილი აქტიურად იყენებს თამაშებს და კმაყოფილებიც არიან მათი გამოყენებით. „სიამოვნებით დავამატებდი ჩემს „თამაშების ბანკს“ კიდევ ბევრ თამაშს , მაგრამ ჯერ მინდა მათი მოქმედებაში ნახვა, შესაძლოა, ტრენინგის დროს, ხშირად თამაში საინტერესო ჩანს, მაგრამ შესრულების პროცესში ის დიდად მიმზიდველი აღარ არის“ წერს ერთერთი გამოკითხული.

მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ თუ ექნებათ წვდომა სხვადასხვა თამაშებზე, ეს დაეხმარება მათ გაკვეთილები უფრო სახალისოდ და საინტერესოდ ჩაატარონ. მაგალითად, ონლაინ რესურსები ან რჩევები, თუ როგორ გამოიყენონ სხვადასხვა თამაშები. მათი აზრით მეტი ენობრივი თამაშები, მეტი კომპიუტერი საკლასო ოთახებში, პროექტორი, წიგნები თამაშებზე, ბარათები და მეტი ტრენინგი და ნაკლები მოსწავლეთა რაოდენობა კლასში დიდ დახმარებას გაუწევთ თამაშების უფრო ეფექტურად გამოყენებაში სწავლების პროცესში.

ზოგიერთი გამოკითხული უპირატესობას ანიჭებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას თამაშებში, ვფიქრობ, „ჩემთვის სასარგებლო იქნებოდა, თუ მომცემდნენ პრაქტიკულ რჩევებს, თუ როგორ მოვახდინო თამაშების ადაპტირება და განხორციელება სწავლის დონეებისა და სტილების შესაბამისად“ წერს ერთ-ერთი პედაგოგი. ნაწილი პედაგოგებისა ითხოვს ახალ და თანამედროვე თამაშებს, მეორე ნაწილი ითხოვს თამაშების შესაქმნელად დაბეჭდილი მასალების, ციფრული ხელსაწყოების ან შაბლონების ქონას, რომელიც გაამარტივებდა თამაშების გაკვეთილებში რეგულარულად და შინაარსიანად ინტეგრირებას.

დასკვნა: თამაშები საუკეთესო კომუნიკაციური აქტივობებია, რომლებიც ერთდროულად მოიცავენ როგორც პროდუქტულ, ისე პერცეპციულ უნარებს. ისინი გათვლილია მოსწავლეზე,

უზრუნველყოფს მათ კომუნიკაციურ კონპეტენციას, ზრდის სწავლის მოტივაციას, აერთიანებს სხვადასხვა ლინგვისტურ უნარებს, ქმნის სწავლის გარემოს, შეიცავს შეჯიბრის ელემენტებს (ჩენი, 2016: 80).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ენობრივი თამაშები სასარგებლო და მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პერიოდში, რადგან ისინი მოსწავლეზეა ორიენტირებული, ხელს უწყობენ კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბებას, ქმნიან ენის გამოყენებისთვის მნიშვნელოვან კონტექსტს,ზრდიან სწავლის მოტივაციას,აერთიანებენ სხვადასხვა ენობრივ უნარს, ახალისებენ ენის შემოქმედებით გამოყენებას,ქმნიან თანამშრომლობით სასწავლო გარემოს, ახალისებენ მოსწავლეებს და ისინიც აქტიურად მონაწილეობენ გაკვეთილზე.

გარდა ამისა, თამაშის პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ მთელი რიგი რბილი (სოციალური) უნარები, რომელიც დღეს ასე საჭიროა როგორც სწავლისათვის, ასევე მომავალში თვითდამკვიდებისა და აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Chen, I-Jung. 2016. „Using Games to Promote Communicative Skills in Language Learning“. წიგნში: კითხვისა და მოსმენის უნარ-ჩვევების საფუძვლების გამომუშავება სწავლების დაწყებით საფეხურზე, რედაქტორი გ. ჯანოვა. ახალციხე: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 166–170.

Ćosaj, Šejla. 2010. The Use of Games in the Language Classroom. Prishtina: University of Prishtina.

Galeeva, Guzel M., Ekaterina V. Martynova, Svetlana M. Peretochkina და Tatyana V. Marsheva. 2016. „The Role of Games in the Teaching of Foreign Languages“. Journal of Language and Literature 7 (2): 205–208.

Jacobs, George. 2019. Cooperative Games for Language Learning. Singapore: Peachey Publications.

Klimova, Blanka Frydrychova. 2015. „Games in the Teaching of English“. Procedia – Social and Behavioral Sciences 191: 1157–1160. https://doi.org/10.1016/j.sbspro.2015.04.544.

Liu, Fei, Balachandran Vadivel, Ehsan Rezvani და Ehsan Namaziandost. 2021. „Using Games to Promote English as a Foreign

Language Learners' Willingness to Communicate: Potential Effects and Teachers' Attitude in Focus". Frontiers in Psychology 12 (721267): 1–11. https://doi.org/10.3389/fpsyg.2021.721267.

Okolo, Chinwe Jane, Chinyere G. Ezeonwumelu, Chioma I. Barah ϙδ Jovita N. Ugwu. 2016. „The Role of Gamification in Enhancing Foreign Language Education: Strategies, Benefits, and Case Studies". International Journal of English Language Teaching 4 (10): 54–65.

Rooyackers, Paul. 2002. 101 Language Games for Children: Fun and Learning with Words, Stories and Poems. Alameda, CA: Hunter House Publishers.

Uberman, Agnieszka. 1998. „The Use of Games for Vocabulary Presentation and Revision". English Teaching Forum 36 (1): 20–27.

References

Chen, I-Jung. 2016. "Using Games to Promote Communicative Skills in Language Learning." In K'itxvisa da mosmenis unar-č'vevebis sap'udzvlebis gamomušaveba sc'avlebis dac'q'ebit sap'exurze [Developing the Foundations of Reading and Listening Skills at the Primary Stage of Teaching], edited by G. Janova. Akhaltsikhe: Samtskhe-Javakheti State University, 166–170. (in Georgian)

Ćosaj, Šejla. 2010. The Use of Games in the Language Classroom. Prishtina: University of Prishtina.

Galeeva, Guzel M., Ekaterina V. Martynova, Svetlana M. Peretochkina, and Tatyana V. Marsheva. 2016. "The Role of Games in the Teaching of Foreign Languages." Journal of Language and Literature 7 (2): 205–208.

Jacobs, George. 2019. Cooperative Games for Language Learning. Singapore: Peachey Publications.

Klimova, Blanka Frydrychova. 2015. "Games in the Teaching of English." Procedia – Social and Behavioral Sciences 191: 1157–1160. https://doi.org/10.1016/j.sbspro.2015.04.544.

Liu, Fei, Balachandran Vadivel, Ehsan Rezvani, and Ehsan Namaziandost. 2021. "Using Games to Promote English as a Foreign Language Learners' Willingness to Communicate: Potential Effects and Teachers' Attitude in Focus." Frontiers in Psychology 12 (721267): 1–11. https://doi.org/10.3389/fpsyg.2021.721267.

Okolo, Chinwe Jane, Chinyere G. Ezeonwumelu, Chioma I. Barah, and Jovita N. Ugwu. 2016. "The Role of Gamification in Enhancing Foreign

Language Education: Strategies, Benefits, and Case Studies." International Journal of English Language Teaching 4 (10): 54–65.

Rooyackers, Paul. 2002. 101 Language Games for Children: Fun and Learning with Words, Stories and Poems. Alameda, CA: Hunter House Publishers.

Uberman, Agnieszka. 1998. "The Use of Games for Vocabulary Presentation and Revision." English Teaching Forum 36 (1): 20–27.

მაია ქუქჩიშვილი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ელფოსტა: kukchishvilim@gmail.com

ლექსიკური სემანტიკის სწავლება სკოლაში და ასაკობრივი თავისებურებები

მოკლე შინაარსი

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად რჩება ენობრივი კომპეტენციის გაძლიერება. ამ კომპეტენციის საფუძველს სწორედ სიტყვასთან გამართული, გააზრებული და მრავალგანზომილებიანი მუშაობა წარმოადგენს. მეტყველების განვითარება არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ გრამატიკული წესების, ან სიტყვათა მარაგის აკუმულაციის ჭრილში – აუცილებელია სემანტიკური დიფერენცირების, ლექსიკური კავშირების და მნიშვნელობის ველის გააზრებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

ლექსიკური სემანტიკის სწავლება გულისხმობს, როგორია ენაში სიტყვების მნიშვნელობა; როგორ იცვლება ეს მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით და როგორ ურთიერთქმედებენ სიტყვები ერთმანეთთან აზრის გადმოსაცემად.

სტატიაში გაანალიზებულია ლექსიკური სემანტიკის სწავლების ხერხები; ასევე, როგორ უნდა ვასწავლოთ სიტყვის სემანტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, როგორ გავითვალისწინოთ ასაკობრივი თავისებურებები, როგორ ჩამოვაყალიბოთ ლექსიკური ველი და როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს ენის სისტემურობის გააზრებაში.

სიტყვის სემანტიკის სწავლება ეხმარება მოსწავლეს ღრმად გაიაზროს ენა, სწორად გამოიყენოს სიტყვები და გაითავისოს მათი მრავალმნიშვნელოვნება თუ ემოციური შეფერილობა, რაც კომუნიკაციას ხდის უფრო მდიდარსა და ეფექტურს.

საკვანძო სიტყვები: მეტყველების განვითარება; ლექსიკური სემანტიკა; ლექსიკური კავშირები; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა; ასაკობრივი თავისებურებები.

Maia Kukchishvili,
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
Doctor of Philology, Associate Professor,
Email: kukchishvilim@gmail.com

TEACHING LEXICAL SEMANTICS AT SCHOOL AND AGE-SPECIFIC FEATURES

Abstract

In the modern educational space, one of the priority tasks remains the strengthening of linguistic competence. The basis of this competence is precisely the correct, thoughtful and multidimensional work with words. The development of speech cannot be considered only in terms of grammatical rules or the accumulation of vocabulary - it is necessary to teach semantic differentiation, lexical connections and the field of meaning in a comprehensive school.

Teaching lexical semantics involves understanding the meaning of words in a language; how this meaning changes depending on the context and how words interact with each other to convey meaning.

The article analyzes the methods of teaching lexical semantics; as well as how to teach word semantics in a comprehensive school, how to take into account age characteristics, how to form a lexical field and how to help students understand the systematics of the language.

Teaching word semantics helps students to deeply understand language, use words correctly, and grasp their multiple meanings and emotional connotations, which makes communication richer and more effective.

Keywords: Speech development; lexical semantics; lexical connections; general education school; age characteristics.

შესავალი: ლექსიკური სემანტიკის სწავლება გულისხმობს, რა დატვირთვა აქვს ენაში სიტყვების მნიშვნელობას; როგორ იცვლება ეს მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით და რა კავშირი აქვთ მათ ერთმანეთთან აზრის გადმოსაცემად.

ლექსიკური სემანტიკის სწავლება მოიაზრებს სიტყვის მნიშვნელობის ანალიზს, რაც თავის მხრივ გულისხმობს სიტყვების ძირითად (დენოტაციურ) და დამატებით (კონოტაციურ) მნიშვნელობებს; სიტყვების კონტექსტუალურ გამოყენებას - სხვადასხვა კონტექსტში ერთი და იგივე სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობების განსაზღვრას; პოლისემიას და ჰომონიმიას - სიტყვების მრავალმნიშვნელოვნებისა (პოლისემია) და ჟღერადობით ერთნაირი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვების (ჰომონიმია) გამოყენებას; ასევე, თუ როგორ იწვევს სიტყვა კონკრეტულ ემოციებს, ასოციაციებს ან კულტურულ მნიშვნელობებს; გასათვალისწინებელია სიტყვათშექმნის საშუალებები - თუ როგორ წარმოიქმნება ახალი სიტყვები და მნიშვნელობები ენაში; სიტყვის სემანტიკა გულისხმობს აზრის გადმოცემას - ზუსტად და მრავალფეროვნად გამოხატოს აზრები, სენტიმენტები და ინფორმაცია; კომუნიკაციის ეფექტურობას - უზრუნველყოფს სიტყვის სწორი გაგება და ურთიერთგაგება მეტყველებაში; ენობრივ განვითარებას, რაც ხელს უწყობს ენის მუდმივ განვითარებასა და გამდიდრებას ახალი მნიშვნელობებითა და ასოციაციებით; კულტურული იდენტობის გამოხატვას, რაც ასახავს ენისა და საზოგადოების კულტურულ თავისებურებებს, ტრადიციებსა და ღირებულებებს.

სიტყვის მნიშვნელობა და მისი სტრუქტურა: სიტყვის სემანტიკური განზომილება მრავალშრიანია. მისი ბირთვი, ანუ ლექსიკური მნიშვნელობა, დაკავშირებულია სიტყვასთან ასოცირებულ განცდებთან, შეფასებებთან, კონტექსტებთან.

ენათმეცნიერთა აზრით, მნიშვნელოვანი არ არის მხოლოდ ფიქსირებული მოცემულობა, არამედ – ფუნქციური კონსტრუქცია, რომელიც აქტიურდება კონტექსტით.

სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება განვიხილოთ როგორც:

- დენოტაციური – პირდაპირი მნიშვნელობა
- კონოტაციური – ემოციური, ღირებულებითი შეფერილობა
- სტილისტური – სიტყვის გამოყენება ტექსტის ტიპის მიხედვით

ლექსიკური ველის თეორია: ლექსიკური ველი განისაზღვრება სიტყვათა ერთობლიობად, რომელიც ერთი კონცეპტუალური

ცენტრის გარშემო აზრობრივად ჯგუფდება. ლექსიკური ველები ქმნიან ენის სემანტიკურ სისტემას და ეხმარებიან მომხმარებელს აზრის კოდირებასა და გაგებაში.

ლექსიკური ველის ელემენტები შესაძლოა განსხვავდებოდნენ:

- მნიშვნელობის ინტენსივობით (მაგ.: უყვარს – აფასებს – აღმერთებს)
- ემოციური ტონით (მაგ.: მამაცი – თავზეხელაღებული)
- გამოყენების სფეროთი (მაგ,: საუბრის ენა – ნეიტრალური – მაღალი სტილი)

სწავლების სტრატეგიები სემანტიკური სისტემების ფარგლებში: თანამედროვე მეთოდოლოგია გვთავაზობს ენობრივი ერთეულების სწავლების შემდეგ მიდგომებს:

- კონტექსტზე დაფუძნებულ სწავლებას
- კონტრასტულ ანალიზსა და ლექსიკურ შეხვედრებს
- ვიზუალურ სტრუქტურებს: აზრობრივი რუკას, ლექსიკური ხეს;
- ინტერაქტიულ დავალებებსა და ტექსტზე მუშაობას.

პრაქტიკული ნაწილში შევეხებით ასაკობრივ თავისებურებებს. გასათვალისწინებელია ასაკზე მორგებული სტრატეგიები

1. I–IV კლასი – სიტყვასთან პირველი გაცნობა

ამ ეტაპზე მოსწავლეს სჭირდება ვიზუალური, ქმედებითი და თამაშით შემეცნებითი მიდგომები.

მეთოდები, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული:

- თემატური კარტები (ცხოველები, ფერები, ოჯახი)
- სიტყვების დაჯგუფება მარტივი თემის გარშემო
- სურათის მიხედვით სიტყვების ამოცნობა და თხრობა

მთავარი ამოცანაა – სიტყვის შინაგანი ხედვის განვითარება და პირველი ლექსიკური ველების ფორმირება.

I–IV კლასის მოსწავლისთვის მნიშვნელოვანია სიტყვათა ასოციაცია, მისი ძირითადი მნიშვნელობის გაგება და თემატური ჯგუფების ჩამოყალიბება.

მაგალითისთვის:

სავარჯიშო 1: „ვის /რას ვხედავ?“

ინსტრუქცია: დააკვირდი სურათს და დაასახელე რაც შეიძლება ბევრი სიტყვა. შემდეგ დააჯგუფე ისინი:

– ადამიანები, ცხოველები, საგნები, მოქმედებები.

მაგალითად: პიკნიკი ტყეში (სურათი)

შედეგი:

- ადამიანები: ბიჭი, გოგო
- ცხოველები: ძაღლი
- საგნები: კალათი, ხილი
- მოქმედებები: სეირნობს, ჭამს, სვამს, თამაშობს

სავარჯიშო 2: „სიტყვის ოჯახი“

ინსტრუქცია: აირჩიე ერთი სიტყვა და შეავსე ცხრილი შესაბამისი მნიშვნელობით

მთავარი სიტყვა	**სად ვხედავთ?**	**რას აკეთებს? რა ჰგავს მას?**	
კატა	სახლში	კნავის	ვეფხვს
მზე	ცაში	ანათებს	ნათურას

ამ ტიპის სავარჯიშოებით მოსწავლე სწავლობს თემატური ასოციაციების შექმნას.

2. **V–VI კლასის მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია სიტყვის სემანტიკური ველის გააზრება.**

ამ ასაკში მოსწავლე მზადაა კონტექსტურ და სტილისტურ დაკვირვებაზე.

მეთოდები, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- პოლისემიური სიტყვების გაანალიზება კონტექსტით
- ემოციური შეფერილობის დიფერენცირება (მაგ: სითამამე – თავხედობა)
- ლექსიკური რუკის შედგენა თემაზე: „დედა“, „მეგობრობა“, „სიმამაცე“

მოსწავლე სწავლობს, რომ ერთი სიტყვა განსხვავებულია სხვადასხვა ვითარებაში. უყალიბდება ენობრივი შეგრძნება.

V–VI კლასი: პოლისემია, სინონიმია, მნიშვნელობის შრეები

სავარჯიშო 3: „ერთი სიტყვის – ორი მნიშვნელობა“

ინსტრუქცია: წაიკითხე წინადადებები და გაარკვიე, ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენება თუ არა განსხვავებული მნიშვნელობით:

ა) ბავშვმა წყალი იატაკზე დაღვარა.

ბ) მზემ სხივი დაღვარა მთაზე და გაანათა სოფელი.

ან კიდევ მაგალითისთვის:

ა) გული სტკივა

ბ) გული დასწყდა

გ) გული აუჩყდა

→ სიტყვა „დაღვარა“ „გული“ და სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულად აღიქმება.

მოსწავლე სწავლობს კონტექსტურ გარჩევას და სიტყვის მრავალმნიშვნელოვან ფუნქციურ გამოყენებას განსხვავებულ კონტექსტში.

სავარჯიშო 4: „სიტყვის რუკა“

ინსტრუქცია: სიტყვა „მეგობრობა“ მოათავსე ცენტრში. მის გარშემო ჩაწერე:

– სამი სინონიმი;

– სამი მოქმედება, რაც ამ სიტყვასთანაა დაკავშირებული.

– ერთი ანტონიმი;

– ერთი ფრაზეოლოგიზმი.

მაგალითი:

→ მეგობრობა

– სინონიმები: მეგობრობა, ძმობა, სიახლოვე

– მოქმედებები: ეხმარება, იცავს, იზიარებს

– ანტონიმი: მტრობა

– ფრაზეოლოგიზმი: მეგობრობა გზად და ხიდად; მეგობრები ერთმანეთს თვალდახუჭული ენდობიან

3. VII–IX კლასი – ტექსტური და სტილისტური ანალიზი

ამ ეტაპზე სწავლება უკვე გულისხმობს:

- სიტყვის კონოტაციური და კულტურულ-სოციალური მნიშვნელობის გააზრებას
- ტექსტის სტილისტურ გარდაქმნას ლექსიკის საშუალებით
- ფრაზეოლოგიზმების სემანტიკურ ანალიზს

მეთოდები:

- ტექსტიდან ლექსიკური ველის ამოღება (მაგალითად, თემაზე – ღირსება)

- სინონიმების გამოყენებით ტექსტის ემოციური ელფერის შეცვლა
- მეტაფორული სტრუქტურების იდენტიფიცირება და ინტერპრეტაცია

მოსწავლე ეუფლება ენის ფუნქციურ და კულტურულ განზომილებებს. სწავლობს კრიტიკულ ანალიზს.

VII–IX კლასი: ლექსიკური ველის ანალიზი, სტილისტიკა, ფრაზეოლოგიზმები

სავარჯიშო 5: „სტილისტური გარდაქმნა“

ინსტრუქცია: გადაწერეთ ტექსტი ისე, რომ ტექსტი გახდეს უფრო მხატვრული. გამოიყენეთ ემოციური ლექსიკა და სინონიმები.

ტექსტი:

„მოსწავლეები სკვერში სხედან. საუბრობენ. ერთი კითხულობს წიგნს.“

შესაძლო გარდაქმნა:

„მზიან სკვერში მოსწავლეები გატაცებით საუბრობდნენ. ერთ-ერთი, გარშემომყოფთაგან გამორჩეული, დაფიქრებული იჯდა და ჩაძირული იყო წიგნის სამყაროში.“

მოსწავლე სწავლობს სტილისტურ იარაღთა გამოყენებას და სიტყვების შერჩევით ტექსტის განწყობის შეცვლას.

სავარჯიშო 6: „ლექსიკური ველი ტექსტიდან“

ინსტრუქცია: წაიკითხე ტექსტი და ამოარჩიე სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულია თემასთან - „სიცივე“.

ტექსტი:

„ქარი მძლავრად ქროდა. ცა მოიღრუბლა. ბავშვები შიშით გასცქეროდნენ ყინულივით თეთრ ქუჩას…“

შესაძლო პასუხი: სიცივე, ყინული, ქარი, მოიღრუბლა, თეთრი, შიში.

მოსწავლე სწავლობს ლექსიკური ველის ამოცნობას და მნიშვნელობის ჯგუფებად დაყოფას.

სავარჯიშო 7: ფრაზეოლოგიზმების ინტერპრეტაცია

ინსტრუქცია: აირჩიე ერთი ფრაზეოლოგიზმი, დაწერე მისი მნიშვნელობა და შემდეგ ერთი მაგალითი.

მაგალითი:

→ ცხვირი არ ჩამოუშვია

– სიტყვიერი მნიშვნელობა: არ დანებდა, არ დაღონდა

– ტექსტი: „მიუხედავად მარცხისა, ნიკას ცხვირი არ ჩამოუშვია და შეჯიბრებაზე დაბრუნდა.“

დასკვნა: სიტყვის სემანტიკის სწავლება მხოლოდ ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალება არ არის. ის არის მოსწავლეებში აზროვნების, ტექსტის გააზრებისა და სტილისტური მგრძნობელობის განვითარება. მოსწავლის ენობრივი კომპეტენცია ყალიბდება თანმიმდევრული, ასაკზე მორგებული სტრატეგიების მეშვეობით, რომელიც ეტაპობრივად აყალიბებს ლექსიკურ ველთან ურთიერთობის უნარს.

სწავლება, რომელიც ეფუძნება სიტყვათა აზრობრივ კავშირებს, კონტექსტს, ემოციურ შეფერილობასა და ტექსტურ ფუნქციას, ქმნის არა მხოლოდ ენის, არამედ თვითაზროვნების სტრუქტურასაც.

სიტყვის სემანტიკის სწავლება მოიცავს:

მნიშვნელობის ანალიზს: სიტყვების ძირითადი (დენოტაციური) და დამატებითი (კონოტაციური) მნიშვნელობების შესწავლას.

კონტექსტუალურ გამოყენებას: სხვადასხვა კონტექსტში ერთი და იგივე სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობების განსაზღვრას.

პოლისემიას და ჰომონიმიას: სწავლება სიტყვების მრავალმნიშვნელოვნებისა (პოლისემია) და ჟღერადობით ერთნაირი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვების (ჰომონიმია) შესახებ.

ასოციაციებს: როგორ იწვევს სიტყვა კონკრეტულ ემოციებს, ასოციაციებს ან კულტურულ მნიშვნელობებს.

სიტყვათშექმნის საშუალებებს: როგორ წარმოიქმნება ახალი სიტყვები და მნიშვნელობები ენაში.

სიტყვის სემანტიკის ძირითადი ფუნქციაა:

აზრის გადმოცემა: იგი ეხმარება მოსწავლეს ზუსტად და მრავალფეროვნად გამოხატოს აზრები, სენტიმენტები და ინფორმაცია.

კომუნიკაციის ეფექტურობა: უზრუნველყოფს სწორ გაგებასა და ურთიერთგაგებას მეტყველებაში.

ენობრივი განვითარება: ხელს უწყობს ენის მუდმივ განვითარებასა და გამდიდრებას ახალი მნიშვნელობებითა და ასოციაციებით.

კულტურული იდენტობის გამოხატვა: ასახავს ენისა და საზოგადოების კულტურულ თავისებურებებს, ტრადიციებსა და ღირებულებებს.

სიტყვის სემანტიკის სწავლება ეხმარება მოსწავლეს ღრმად გაიაზროს ენა, სწორად გამოიყენოს სიტყვები და გაითავისოს მათი მრავალმნიშვნელოვნება თუ ემოციური შეფერილობა, რაც კომუნიკაციას ხდის უფრო მდიდარსა და ეფექტურს.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე, ნ. (2012). „პარონიმული ატრაქცია და მისი შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში“. სადისერტაციო ნაშრომი, ბათუმი. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_3504_1.pdf

არაბული, ა. (2008). ქართული მეტყველების კულტურა. https://interesi.wordpress.com/wp-content/uploads/2018/03/e1839be18394e183a2e183a5e18395e18394e1839ae18394e18391e18398e183a1-e18399e183a3e1839ae183a2e183a3e183a0e18390.pdf

გამყრელიძე, თ., ზ. კიკნაძე, ი. შადური, და ნ. შენგელაია (2008). თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი. http://science.org.ge/old/books/Gamkrelidze%20book.pdf

მარგალიტაძე, თ. (2021). ლექსიკოგრაფიის შესავალი. თბილისი. https://digitallibrary.tsu.ge/book/2024/Apr/books/margalitadze-leksikographiis-shesavali.pdf

Nation, I. S. P. (2001). Learning Vocabulary in Another Language. Cambridge: Cambridge University Press. https://catdir.loc.gov/catdir/samples/cam031/2001269892.pdf

Thornbury, S. (2002). How to Teach Vocabulary. Harlow: Longman. https://www.scirp.org/reference/referencespapers?referenceid=2635931

ფოჩხუა, ბ. (1974). ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი.

References

Abashidze, N. (2012). "Paronymic Attraction and Its Comparative-Typological Study in French and Georgian Languages." Dissertation, Batumi. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_3504_1.pdf [In Georgian]

Arabuli, A. (2008). Georgian Speech Culture. https://interesi.wordpress.com/wp-content/uploads/2018/03/e1839be18394e183a2e183a5e18395e18394e1839ae18394e18391e18398e183a1-e18399e183a3e1839ae183a2e183a3e183a0e18390.pdf [In Georgian]

Gamkrelidze, T., Z. Kiknadze, I. Shaduri, and N. Shengelaya (2008). A Course in Theoretical Linguistics. Tbilisi. http://science.org.ge/old/books/Gamkrelidze%20book.pdf [In Georgian]

Margalitadze, T. (2021). Introduction to Lexicography. Tbilisi. https://digitallibrary.tsu.ge/book/2024/Apr/books/margalitadze-leksikographiis-shesavali.pdf [In Georgian]

Nation, I. S. P. (2001). Learning Vocabulary in Another Language. Cambridge: Cambridge University Press. https://catdir.loc.gov/catdir/samples/cam031/2001269892.pdf

Pochkhua, B. (1974). Lexicology of the Georgian Language. Tbilisi. [In Georgian]

Thornbury, S. (2002). How to Teach Vocabulary. Harlow: Longman. https://www.scirp.org/reference/referencespapers?referenceid=2635931

თამარ ნარიმანიშვილი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
აგრონომიის აკადემიური დოქტორი,
ასისტენტ პროფესორი,
ელფოსტა: t.narimanishvili@gmail.com

მოსწავლეთა მოტივაციის ხერხები და STEM ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკაში გამოყენება

მოკლე შინაარსი

თანამედროვე განათლების მთავარი ამოცანაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. აღნიშნულ მიზანს განსაკუთრებულად ემსახურება STEM ინტეგრირებული სწავლება, რომელიც აერთიანებს მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ინჟინერიასა და მათემატიკას. STEM მიდგომა ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, კვლევისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. სტატიაში განხილულია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ძირითადი ხერხები და STEM სწავლების პრაქტიკული გამოყენების მაგალითები, რომლებიც აძლიერებს სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა ინტერესს.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, STEM, ინტეგრირებული სწავლება, ინოვაციური სწავლება, მოსწავლეთა ჩართულობა.

Tamar Narimanishvili,
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
Academic Doctor of Agronomy,
Assistant Professor,
Email: t.narimanishvili@gmail.com

STUDENT MOTIVATION AND STEM-BASED EDUCATIONAL PRACTICES

Abstract

The main goal of modern education is to create a learning environment that promotes students' motivation, creativity, and critical thinking. STEM-integrated learning, which combines science, technology, engineering, and mathematics, plays a crucial role in achieving this aim. The STEM approach enhances the practical application of knowledge, as well as research and problem-solving skills. This paper discusses key methods for increasing students' motivation and presents practical examples of implementing STEM education in the classroom, which strengthen learning effectiveness and student engagement.

Keywords: motivation, STEM, integrated learning, innovative teaching, student engagement.

Keywords: STEM teaching, the ways to increase motivation.

შესავალი: თანამედროვე განათლება მიმართულია არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემაზე, არამედ მოსწავლეების აქტიური ჩართულობისა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისაკენ. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ითვლება სწავლების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ფაქტორად. ამ კონტექსტში, STEM (Science, Technology, Engineering, Mathematics) ინტეგრირებული სწავლება წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს თეორიას პრაქტიკასთან, ამყარებს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლების პრინციპებს და უზრუნველყოფს რეალურ სამყაროში მიღებული ცოდნის გამოყენებას. ბუნებისმეტყველების სწავლების ეფექტიანობის გაზრდა თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკაში ითხოვს ახალ მიდგომებს. დაწყებითი სწავლების საფეხურზე ბუნებისმეტყველების სწავლება უნდა ეფუძნებოდეს მოტივაციის ამაღლებას, დაკვირვებაზე და გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას. ამ ასაკის ბავშვებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხილული, პრაქტიკული და თამაშზე დაფუძნებული მიდგომები. უმცროსკლასელ მოსწავლეებთან ჩატარებული ყველა აქტივობა მათში სწავლის სიყვარულსა და სამეცნიერო შემეცნებით პროცესში ჩართვის სურვილს უნდა

აღძრავდეს; უვითარებდეს მათ კითხვის დასმის უნარ-ჩვევას, რომ კრიტიკულად მოაზროვნე და პრობლემის გადაჭრის უნარის მქონე პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. STEM მიდგომა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გააცნობიერონ, რომ მათ მიერ შესწავლილი უნარები უნდა გამოიყენონ რეალურ სამყაროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად. STEM სწავლების მიმართულებით მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება მოითხოვს ისეთი მიდგომების გამოყენებას, რომლებიც მათში გააღვიძებს ინტერესს, ჩართულობას და შემოქმედებითობას. STEM სწავლება არ არის მხოლოდ ცალკეული საგნების სწავლება, არამედ ინტეგრირებული მიდგომა, სადაც:

ბუნებისმეტყველება ხელს უწყობს მოსწავლეს შეისწავლოს მოვლენები (მაგ. ხელოვნური და ბენებრივი ეკოსისტემა, მცენარეთა ზრდა-განვითარება, ცხოველთა სასიცოცხლო ციკლი).

ტექნოლოგია ეხმარება თეორიული მასალის ათვისებაში გამოიყენოს ციფრული ხელსაწყოები (Scratch და სხვ.).

ინჟინერიის გამოყენებით ბავშვები ქმნიან მოდელებს, კონსტრუქციებს, პროექტებს.

ახდენენ მონაცემების შეგროვებას, გაზომვას, გამოთვლას. STEAM მეთოდოლოგიით სწავლება გულისხმობს ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებში შეძენილი ცოდნით პროდუქტის (მოწყობილობა, მოდელი და ა.შ.) შექმნას. პროდუქტის შექმნასთან ერთად, სწავლება ორიენტირებულია პროცესზე – როგორ იყენებენ მოსწავლეები (მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში, ინჟინერიაში, ხელოვნებასა და მათემატიკაში) შეძენილ ცოდნას საბოლოო მიზნის მისაღწევად.

STEM ინტეგრირებული სწავლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს.

მოტივაცია სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან განსაზღვრავს მოსწავლეთა აქტიურობას, ინტერესს და დამოუკიდებელ აზროვნებას. მოტივაცია იყოფა ორ ძირითად ტიპად:

1. შიდა მოტივაცია – მოსწავლე სწავლობს სიამოვნების, ინტერესისა და საკუთარი შესაძლებლობების განვითარებისთვის.

2. გარე მოტივაცია – მოსწავლე სწავლობს გარეგანი სტიმულების გამო, მაგალითად ჯილდოს, შეფასების ან საზოგადოების , მშობლების აღიარების მიღების მიზნით.

ფ.სკინერის – ბიჰევიორისტული მიდგომა ხაზს უსვამს გამაგრებით სტიმულებზე დაფუძნებულ მოტივაციას. მისი ძირითადი იდეაა: სწორი ქცევის განმეორება სტიმულით უნდა წახალისდეს.

STEM–ში სკინერის თეორიის გამოყენების მაგალითი შეიძლება იყოს:

მოსწავლეები წარმატებით ასრულებენ რომელიმე პროექტს, მასწავლებელი აღიარებს მათ კრეატიულობას და პროექტის შედეგს საჯაროდ აჩვენებს. ასეთი პოზიტიური გამაგრება ზრდის მოსწავლეთა ინტერესს და აქტიურობას მომავალ პროექტებში.

თვით-მოტივაცია და სოციალური ურთიერთობებით კმაყოფილება ეხმარება მოსწავლეს და ხაზს უსვამს შიდა მოტივაციის მნიშვნელობას. ამ თეორიის მიხედვით, მოსწავლეები ყველაზე მეტად მოტივირებულები არიან, როცა უზრუნველყოფილია სამი ძირითადი პირობა:

1. ავტონომია – მოსწავლე თავისუფალია პროექტის არჩევასა და მუშაობის გზის არჩევაში.

2. კომპეტენცია – მოსწავლე გრძნობს, რომ შეუძლია წარმატების მიღწევა, პრობლემების გადაჭრა.

3. შეგრძნება გუნდურობის – მოსწავლე თავს გუნდსა და კლასის წევრად აღიქვამს.

STEM–ში გამოყენების მაგალითი: მოსწავლეებს ეძლევათ თავისუფლება აირჩიონ თემები კვლევითი პროექტებისთვის, რითაც ისინი გრძნობენ კონტროლს საკუთარი მუშაობის პროცესზე (მაგალითად, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება თვითონ აირჩიონ სასურველი თემა, იმუშაონ ჯგუფში). გუნდში მუშაობისას მოსწავლეები ერთმანეთისგან სწავლობენ, რაც აძლიერებს თანამშრომლობით გარემოს.

აღნიშნული თეორიების კომბინაცია პრაქტიკაში ერთმანეთთან ერწყმის და ეფექტურად გამოიყენება STEM-ს სწავლებაში: გარე სტიმულები (Skinner) – სკოლის ჯილდოები, პროექტის შედეგის საჯარო ჩვენება, კლასში აღიარება. შიდა

მოტივაცია (Deci, Ryan) – მოსწავლეების ავტონომია, კომპეტენციის განცდა, ჯგუფური თანამშრომლობა. ეს კომბინაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, სწავლის ხარისხის ზრდას და ინოვაციური პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას.

STEM სწავლების არსი და მნიშვნელობა

STEM სწავლება მიზნად ისახავს ცოდნის ინტეგრირებას მეცნიერებიდან, ტექნოლოგიიდან, ინჟინერიიდან და მათემატიკიდან ერთიან პროცესში. მისი ძირითადი კომპონენტები მოიცავს:

პრაქტიკული აქტივობებს - ექსპერიმენტები, მოდელირება, პროექტები

პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებას – რეალური ცხოვრების პრობლემების ანალიზი და გადაჭრა;

კრიტიკული აზროვნებას და კვლევას – მოსწავლეების წახალისება დასკვნების გაკეთება, ლოგიკური აზროვნების განვითარება.

STEM მიდგომა ხელს უწყობს არა მხოლოდ ცოდნის გამოყენებას, არამედ ხელსაყრელ გარემოს ქმნის მოსწავლეთა ინტერესის გასაზრდელად, ზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას და საფუძველს უქმნის შემდგომი კვლევებისა და ტექნოლოგიური უნარების ჩამოყალიბებას.

მოტივაციის ამაღლების პრაქტიკული ხერხები:

მოტივაციის გაძლიერებისთვის სკოლებში შესაძლებელია გამოყენებული იყოს შემდეგი პრაქტიკული მეთოდები:

1. პროექტებზე დაფუძნებული სწავლება – მოსწავლეები დამოუკიდებლად ან ჯგუფურად ასრულებენ პროექტებს, რომლებიც დაკავშირებულია რეალურ ცხოვრებასთან.
2. ინტერაქტიული სწავლება – კომპიუტერული სიმულაციები, რობოტიკა, Minecraft Education, ვიზუალური მოდელირება.
3. გუნდური სამუშაოები და პრეზენტაციები – აძლიერებს თანამშრომლობას, კომუნიკაციას და შემოქმედებით აზროვნებას.
4. სწავლება თამაშების ელემენტებით (Gamification) – რეალობის თამაში, როლური თამაშები, შეფასების ელემენტები, რაც ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას.

5. ინკლუზიური შეფასება – ინდივიდუალური პროგრესის აღიარება, გაკვეთილზე აქტიური მონაწილეობის სტიმულირება.

ეს მეთოდები არა მხოლოდ ამაღლებს მოტივაციას, არამედ ზრდის სწავლების ეფექტიანობასა და ცოდნის ჩამოყალიბების ხარისხს.

დასკვნა: STEM ინტეგრირებული სწავლება წარმოადგენს კარგ საშუალებას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის. მისი გამოყენება სკოლებში ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლეები: აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში; ავითარებენ კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას; პრაქტიკულად იყენებენ მიღებულ ცოდნას.

STEM–ს სწავლების ინტეგრაცია ახდენს არა მხოლოდ მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, არამედ განსაზღვრავს მათი მომავალი პროფესიული და შემოქმედებითი განვითარებისთვის აუცილებელ უნარებს.

თანამედროვე მიდგომების უპირატესობები ბუნებისმეტყველების სწავლებაში დაწყებით საფეხურზე:

ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას: ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარებს: ხელს უწყობს ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას: აძლიერებს პრაქტიკულ უნარებს: აკავშირებს სწავლას რეალურ სამყაროსთან: ხელს უწყობს თანამშრომლობის უნარების განვითარებას.

სწავლა-სწავლებაში STEAM-ის ჩასართავად საჭიროა, მასწავლებელმა გამოიყენოს მრავალფეროვანი დავალებები. ზემოთ მოყვანილი აქტივობები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის ისეთ გამჭოლ კომპეტენციებს, როგორიცაა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, მოსწავლეები არ სხედან ფაქტების კონსტატაციის ჩარჩოში. ამგვარი აზროვნებით მოსწავლეს შეუძლია ორიენტირება ახალი ინფორმაციის ნაკადში, თვითმყოფადის გამორჩევა, უვითარდება წარმოსახვა, ინტერპრეტირების უნარი.

STEAM-აქტივობები მოსწავლეს ასევე უვითარებს მეწარმეობის კომპეტენციებს, ხელს უწყობს ეკონომიკური იდეების რეალიზებისთვის ხელსაყრელი პირობების ადვილად დანახვასა და რეაგირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაღათრიშვილი, ნათელა და ცისია გურაბანიძე. 2023. „გზამკვლევი STEAM სწავლებისთვის“. მასწავლებელი.ge. 20 ივლისი. https://mastsavlebeli.ge/?p=35598.

მჭედლიშვილი, დ. 2019. STEM ინტეგრირებული სწავლება და ინოვაციური მიდგომები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქემოკავა, ნ. 2020. მოტივაციის მნიშვნელობა სკოლაში. თბილისი: განათლების კვლევების ინსტიტუტი.

Beers, S. Z. 2011. „21st Century Skills: Preparing Students for THEIR Future“. Tech Directions 70 (2): 12–14.

Deci, E. L., და R. M. Ryan. 2000. „Self-determination theory and the facilitation of intrinsic motivation, social development, and well-being“. American Psychologist 55 (1): 68–78.

National Research Council. 2011. Successful K-12 STEM Education: Identifying Effective Approaches in Science, Technology, Engineering, and Mathematics. Washington, DC: The National Academies Press.

References

Bagatrišvili, Natela, and Cisia Gurabanibe. 2023. “Gzamk'vlevi STEAM sc'avlebistvis” [Guide for STEAM Teaching]. Mastsavlebeli.ge. July 20. https://mastsavlebeli.ge/?p=35598. (in Georgian)

Beers, S. Z. 2011. “21st Century Skills: Preparing Students for THEIR Future.” Tech Directions 70 (2): 12–14.

Deci, E. L., and R. M. Ryan. 2000. “Self-determination theory and the facilitation of intrinsic motivation, social development, and well-being.” American Psychologist 55 (1): 68–78.

Kemokava, N. 2020. Motivaciis mnišvneloba sk'olaši [The Importance of Motivation in School]. Tbilisi: Ganatlebis k'vlevebis inst'it'ut'i. (in Georgian)

Mčedlišvili, D. 2019. STEM int'egrirebuli sc'avleba da inovaciuri midgomebi [STEM Integrated Education and Innovative Approaches]. Tbilisi: Universit'et'is gamomcemloba. (in Georgian)

National Research Council. 2011. Successful K-12 STEM Education: Identifying Effective Approaches in Science, Technology, Engineering, and Mathematics. Washington, DC: The National Academies Press.

ლალი ბერიძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, საქართველო,
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ელფოსტა: laliberidze@gmail.com

მხატვრული ტექსტი, როგორც სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების საშუალება უცხოური ენის გაკვეთილზე: ქრისტა რაინიგის იგავის ანალიზის საფუძველზე

მოკლე შინაარსი

სტატია ეხება თანამედროვე სწავლა-სწავლებისადმი აქტუალური მიდგომის- ე.წ. „რბილი უნარების“ - ანუ სოციალურ-ემოციური კომპეტენციების ჩამოყალიბებაში უცხოური ენის საგნობრივი ცოდნის მნიშვნელობას და და კერძოდ, მხატვრული ტექსტის გამოყენების როლს. აკადემიურ და პროფესიულ სფეროში დასახელებულ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ამ მიზნით ინტეგრირებული და საგანთაშორისი აქტივობების უამრავი მაგალითია ცნობილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ეს საკითხი ციფრულ ეპოქაში, როცა ხელმისაწვდომი გახდა ლიტერატურული ნაწარმოებები, მოკლე პროზა, პოეზია. შესაძლებელი გახდა სასწავლო რესურსების მოძიებაც და ახლის შექმნაც, რაც მნიშვნელოვანია საბოლოო მიზნის - შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარების რთული გზის წარმატებით გავლისათვის. საკითხისადმი ინტერესი იმანაც გააძლიერა, რომ უცხოური ენის არსებულ სახელმძღვანელოებში მხატვრული ტექსტები მცირე რაოდენობით ან საერთოდ არაა შეტანილი.

უცხოური ენის მასწავლებლისათვის ორმხრივად საინტერესო გახლდათ ენის შემსწავლელთათვის სოციალურ-ემოციური ასპექტისადმი ყურადღების გამახვილების მიზნით მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის გამოყენება. ნამდვილად არაა სადავო ის, რომ მხატვრული ლიტერატურა ყველაზე უკეთ ასახავს ადამიანურ ურთიერთობებს, ემოციურ მდგომარეობას, ღირებულებითი და სოციალური კონფლიქტების დინამიკას.

ამდენად, უმაღლესი განათლების წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მისდამი წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, სწორედაც რომ იდეალური საშუალებაა სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარებისათვისაც. ეს კი სავსებით ემთხვევა თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლის მისიას, ჩამოაყალიბოს მოქალაქე და სავსებით შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით და ენის სწავლების სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს უცხოური ენის სწავლა-სწავლების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: რბილი უნარები, უცხოური ენის სწავლება, მხატვრული ტექსტი, ინტერპრეტაცია, კრიტიკული აზროვნება.

Lali Beridze,
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
Doctor of Philology, Associate Professor,
Email: laliberidze@gmail.com

LITERARY TEXT AS A MEANS OF DEVELOPING SOCIAL-EMOTIONAL SKILLS IN FOREIGN LANGUAGE CLASSES: BASED ON THE ANALYSIS OF CHRISTA REINIG'S PARABLES

Abstract

The article deals with the role of subject knowledge and, in particular, the use of literary texts in the formation of socio-emotional competencies, a relevant approach to modern learning - the so-called "soft skills".

The issue is given great importance in the academic and professional spheres, and many examples of integrated and interdisciplinary activities for this purpose are known. This issue has become especially important in the digital era, when literary works, short prose, poetry have become available, and it has become possible to search for and create new learning resources, which is important for successfully completing the difficult path of developing creative and critical thinking, the ultimate goal. Interest in the issue has also been strengthened by the fact that literary texts are included in small quantities or not at all in existing foreign language textbooks.

For me, as a foreign language teacher, it was mutually interesting to use the interpretation of a literary text to draw attention to the socio-cultural aspect for language learners. It is truly indisputable that literary works best

reflect human relationships, emotional states, value conflicts and social dynamics, and given the requirements for higher education, they are also an ideal means for the development of socio-emotional competencies. This fully coincides with the mission of a modern higher education institution to form future citizens and fully complies with the requirements for learning and teaching a foreign language set out in the national curriculum and language teaching standards.

Keywords: Soft Skills, Foreign Language Teaching, Literary Text, Interpretation, Critical Thinking.

შესავალი: თანამედროვე გაგებით უცხოური ენის შესწავლა ენობრივი უნარების განვითარებასთან ერთად კულტურათა დიალოგისა და ინტერკულტურული განათლების ელემენტების შესწავლას და ასევე, კულტურულ-კოგნიტური და სოციალურ-ემოციური კომპეტენციების ჩამოყალიბებას გულისხმობს. უცხოური ენის სწავლების მიზანი სცდება ლინგვისტურ კომპეტენციებს და მოიცავს მოსწავლის, როგორც ინდივიდის სრულფასოვან განვითარებას. გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, უცხოური ენის ცოდნა დღეს მოითხოვს ენობრივი, კულტურული და სოციალურ-ემოციური კომპეტენციების ორგანულ სინთეზს. სოციალურ-ემოციური უნარების, ე.წ. „რბილ უნარების“, განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ სფეროში. საყოველთაო განათლების მიზნებში დასახელებული სოციალურ-ემოციური უნარების - ემპათიის, ტოლერანტობის, კომუნიკაციის, კულტურათაშორისი ურთიერთობების გაცნობიერება და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. იგი გახდა სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ეს, რა თქმა უნდა, უპირველესად ეხება უცხოური ენის სწავლებას.

ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ლიტერატურა, რომელიც აუდიტორიას უცხოური ენის მხატვრულ ფორმებს აცნობს არამედ შემსწავლელის წინაშე აყენებს ღირებულებებთან, შიშებთან, იდეალებთან და შიდა კონფლიქტებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. მხატვრული ტექსტი ახლებური პერსპექტივით ხსნის ადამიანურ

მდგომარეობებს და მკითხველს აქცევს პერსონაჟთა ბედის თანაზიარად - რაც სწავლის პროცესს ემოციურად მდიდარს, ღირებულებით დატვირთულსა და ამავე დროს მკითხველს ერთგვარ გამტარად აქცევს. უცხოური ენის გაკვეთილზე ლიტერატურის ინტეგრაცია სწორედ ამ ემოციური და ინტელექტუალური ზრდის გასაღებია.

შინაარსი: უცხოური ენის თანამედროვე სახელმძღვანელოებში ნაკლებად ან საერთოდ ვერ შეხვდებით ლიტერატურულ ტექსტებს. იმ ტექსტებს კი, რომლებიც აქა - იქ გაიელვებენ ხოლმე, თან ახლავს მხოლოდ ტექსტის შინაარსის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები და დავალებები, რომლებიც გათვლილია წაკითხულის შინაარსის გაგებასა და ახალი ლექსიკურ-გრამატიკული მასალის დასაუფლებლად. ტექსტის შემდგომი ეტაპის სავარჯიშოები ხშირად წერილობითი და ზეპირი მოსაზრებების გამოხატვასაც ეხება, მაგრამ თავად ტექსტის მხატვრულ მხარეს ან შინაარსის ინტერპრეტაციას სახელმძღვანელო მიზნად არ ისახავს.

აქედან გამომდინარე, კულტურული, ქვეყანათმცოდნეობითი ინფორმაციის მიწოდებისათვის და სოციალურ-ემოციური უნარების გამომუშავებისათვის სახალისო და შინაარსიანი აქტივობებით სასწავლო კურიკულუმის გასამდიდრებლად მასწავლებელს სჭირდება დამატებითი სასწავლო რესურსების გამოყენება.

„საყურადღებოდ მიგვაჩნია მხატვრული ტექსტის, როგორც უცხო კულტურის აღქმის, მისი დაფასების და მიმღებლობის, საკუთარი კულტურის ხელახალი ამოცნობის და საკუთარი კულტურის უცხო კულტურასთან შედარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება. ლიტერატურულ ტექსტებში ხომ ენის მიერ გარესამყაროს ხატი აირეკლება და სწორედ მათ „შესწევთ უნარი ჩაახედოს მკითხველი ენის მატარებელი კულტურული მეხსიერების უხილავ დეტალებში, რომელთა შესწავლა ნიშნავს, რომ შემსწავლელს შეუძლია უცხოს თვალით დააკვირდეს უცხოურ ენაზე შექმნილ ვერბალურ კომუნიკაციას“ (აქუბარდია, 2015). ეს ფაქტორი სულ სხვაგვარ დამოკიდებულებას ქმნის ენის შესწავლისადმი, სხვაგვარ კვალს ტოვებს შემსწავლელის გონებაში, ვიდრე უბრალო ავთენტური ტექსტის განხილვა შეძლებდა.

სწავლის პროცესში შემსწავლელი ახდენს საკუთარი და უცხო ტრადიციის, კულტურის, შეხედულებების დაპირისპირებას, აღქმასა და დიფერენციაციას, საკუთარის პერსპექტივიდან დროებით დისტანცირებას, რათა მოახერხოს უცხოს პერსპექტივის გააზრება და ახალი ინფორმაციის უცხო პრიზმაში მართებულად გარდატეხა და გააზრება (Freitag 2007:148-149 (ციტირებულია: აქუბარდია 2015).

მხატვრული ტექსტი როგორც საგანმანათლებლო რესურსი

მხატვრული ტექსტი საშუალებას აძლევს ტექსტის მკითხველს გარდა ტექსტის კითხვის და გაგების კომპეტენციებისა, განივითაროს ასევე სწორი მეტყველების, ანალიზისა და საკუთარი შეხედულებების წერით და ზეპირად გადმოცემის უნარები. კრიტიკული აზროვნების განვითარება ხომ სწორედ იმისთვის გვჭირდება, რომ მოსწავლემ შეიძინოს უცხოურ ენაზე არგუმენტირებულად მსჯელობისა და კრეატიული წერის უნარები. და თუ ეს მსჯელობა მხატვრული ტექსტის ანალიზს ეყრდნობა, შემსწავლელი არამარტო შესასწავლი ენის კულტურას ეცნობა, არამედ ეზიარება ავტორის მიერ ხაზგასმულ ღირებულებებს და ახდენს საკუთარი შინაგანი სამყაროს ადაპტირებას ახალი გამოწვევების ან ახალი ცნებების მიმართ, უყალიბდება პოზიცია ამა თუ იმ შეხედულების მიმართ.

ზემოთ აღვნიშნეთ სახელმძღვანელოებში მხატვრული ტექსტების სიმწირის შესახებ და ეს არაა შემთხვევითი - ენების შესწავლის ზოგადევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით, რომელიც უცხოური ენების სწავლა-სწავლების ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა, არც ერთი ენობრივი დონის მოთხოვნებში არაა გათვალისწინებული ლიტერატურული ტექსტების ჩართვა უცხოური ენის სასწავლო კურიკულუმში. ეს, თავის მხრივ, განპირობებულია იმით, რომ უცხოური ენების სწავლების თანამედროვე დიდაქტიკის მიხედვით ენის შესწავლის მიზნებია : გაგებინების, კომუნიკაციის უნარის განვითარება და წინა პლანზეა წამოწეული ენის გამოყენება. აქტუალურია ისეთი კონცეფციები, როგორიცაა ენის სწავლების პრაგმატულ-ფუნქციური კონცეფციით გათვალისწინებული საუბრის დისკურსი. ეროვნული სასწავლო გეგმა და მასწავლებლის

სტანდარტი სავსებით ითვალისწინებს სარეკომენდაციო საბჭოს საერთაშორისო მოთხოვნებს და ეყრდნობა მათ კონცეფციას. მაგრამ ისიცაა განსახილველი, რომ თანამედროვე უცხოური ენის გაკვეთილზე ენობრივი კომპეტენციების გვერდით ამავე დროს ახალი გამოწვევაა კულტურულ - ემოციური კომპეტენციის განვითარება და ეს დასახელებულ დოკუმენტებში - „ კულტურათა დიალოგის“ სახელით მოიხსენება. ეს განიმარტება იმ აუცილებლობით, რომ უცხოური ენის შემსწავლელი უცხოური ენის სწავლით შესასწავლი ქვეყნის კულტურულ სამყაროშიც აბიჯებს. ამას სასწავლო კურიკულუმი და სახელმძღვანელოები გარკვეულწილად ითვალისწინებს და მათში მოცემულია შესასწავლი ენის შესაბამისი ქვეყნის კულტურის შესახებ განსაზღვრული თემატიკის სასწავლო მასალა. მაგრამ პრაგმატული ტექსტებით, რომელსაც ენის დაწყებით საფეხურზე სახელმძღვანელოები სთავაზობს ენის შემსწავლელს, ნაკლებად შესაძლებელია იმ მიზნების მიღწევა, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა აყენებს მასწავლებლის წინაშე. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ემოციურ-სოციალური უნარების განვითარებისათვის, რაზეც ჩვენ ამ სტატიაში გვაქვს საუბარი, მასწავლებელს დასჭირდება დამატებითი სასწავლო რესურსი მხატვრული ტექსტის სახით.

ენის შესწავლის ძირითად მიზნებს თუ გავიხსენებთ, კომუნიკაციისა და ურთიერთგაგებინების კომპეტენციისათვის სწორედაც რომ საჭიროა პიროვნებაში, ამ შემთხვევაში ენის შემსწავლელში სათანადო პიროვნული თვისებების - ემპათიის, კონფლიქტისგან თავის დაღწევის, სწორი თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბება, მისი წიგნიერებისა და საკაცობრიო ღირებულებებით შეიარაღება. სწორედ აქ გვეხმარება ლიტერატურა.

ამ მოსაზრებას ჯერ კიდევ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი აყალიბებდა. ჰუმბოლდტის მიხედვით, ენა ადამიანზე და ადამიანი ენაზე ურთიერთშეზრდილები არიან, თითოეული ენა, ფაქტობრივად, ეს არის ცნებათა მთელი ქსოვილი, ანუ ადამიანთა ერთი ნაწილის მსოფლხედვა.

“Die Erlernung einer fremden Sprache sollte daher die Gewinnung eines neuen Standpunkts in der bisherigen Weltansicht seyn und ist es in der That bis auf einen gewissen Grad, da jede Sprache ganze Gewebe der Begriffe und die Vorstellungsweise eines Theils der Menschheit enthält. Nur

weil man eine fremde Sprache immer, mehr oder weniger, seine eigene Welt-, ja seine eigene Sprachansicht hinüberträgt, so wird dieser Erfolg nicht rein und vollständig empfunden“ (Humboldt 1907:60 (ციტირებულია: აქუბარდია 2015).

ნებისმიერ ენაში ყალიბდება ენობრივი კოდი, რომელიც განაგებს პიროვნების შეხედულებებს ზოგადად სამყაროსა და როგორც მშობლიური, ასევე შესასწავლი ენის და კულტურის მიმართ. ენა ხდება პიროვნების განუყოფელი ნაწილი, სულიერებისა და ენის სიღრმისეული შრეების მასაზრდოებელი და, რა თქმა უნდა, ინტელექტისა და ინფორმაციის შეძენის საშუალება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტერატურის როლი უცხოური ენის შესწავლაში მხოლოდ ლინგვისტურ ასპექტში არ განიხილება, ლიტერატურა აუმჯობესებს ენის შინაგან გრძნობას, განავითარებს გემოვნებას, ამდიდრებს ლექსიკას და ასწავლის ტექსტის წაკითხვისა და გაგების სტრატეგიებს. მხატვრული ტექსტი ადამიანური ურთიერთობების, ემოციური მდგომარეობების, ღირებულებითი კონფლიქტების და სოციალური დინამიკის ამსახველი მნიშვნელოვანი წყაროა. სწორედ ამიტომ, იგი იდეალური საშუალებაა ენის გაკვეთილზე სოციო-ემოციური კომპეტენციების ანუ ემპათიის, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, კონფლიქტების გადაჭრის და საკუთარი ემოციების რეგულაციის განვითარებისათვისაც. დაწყებით საფეხურზე ენის სწავლებისას, როდესაც ტექსტების სირთულე და მოცულობა შეზღუდულია, მისაღებია მოკლე, მარტივი, ადაპტირებული ტექსტების, ლიტერატურული მინიატურების ან დიალოგური ტიპის ნაწყვეტების გამოყენება. ეს ხელს უწყობს ენასთან ემოციური კავშირის ჩამოყალიბებას და იწვევს მეტ ინტერესს სწავლის პროცესისადმი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული, როგორც უცხოური ენა, ოთხი სემესტრის განმავლობაში ისწავლება კვირეული სამსაათიანი დატვირთვით. უმეტესად შემსწავლელები არ ფლობენ ენას უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მოდიან სტუდენტები გერმანული ენის A1 ან A2 დონეზე ფლობით. ასეთი სტუდენტები არაჰომოგენურ ჯგუფში მუშაობის სირთულის მიუხედავად,

ხშირად დამხმარე ძალად იქცევა ხოლმე ახალი მასალის ახსნისა თუ განმტკიცების ეტაპზე. მხატვრული ტექსტს თანდათანობით დასაწყისიდანვე ვიყენებთ ლექსების, ენის გასატეხებისა და მცირე ტექსტების სახით. მომდევნო საფეხურზე ვარჩევთ ასევე მოკლე ტექსტებს. ამ საფეხურზე ენის სწავლებისას მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მარტივი ლიტერატურული ტექსტების გამოყენება, როგორიცაა საბავშვო ლიტერატურა, მარტივად ადაპტირებული მოთხრობები, დიალოგები ან თუნდაც მხატვრული ფრაზები და იგავები. ასეთი ტექსტები მოითხოვს მინიმალურ ლექსიკურ რესურსს, თუმცა შინაარსობრივად ღრმაა და იძლევა დისკუსიის, ემოციური რეაგირების და აზროვნების შესაძლებლობას. სტუდენტებთან ერთად ვაფასებთ ტექსტის პერსონაჟების ქმედებას, ვთავაზობთ აქტივობებს, როცა მათ ევალებათ ტექსტის სათაურის მიხედვით შინაარსის შესახებ ვარაუდის გამოთქმა, კითხვის პროცესში შეწყვეტილი მონაკვეთის ალტერნატიული დასრულება, ტექსტის სხვადასხვა პერსპექტივიდან მოყოლა და სხვ. შემდეგი დავალება ემოციების ამოცნობა, მათი გადმოცემის ლექსიკური ფორმების ძიებაა. ხშირად ტექსტზე საუბარი მშობლიურ ენაზეც გვიხდება, რადგან ენის შესწავლის საწყის ეტაპზე არსებული გერმანული ენის ლექსიკური მარაგი ტექსტის დეკოდირებისა და პერსონაჟების შეფასებისას შემსწავლელთათვის ზოგჯერ სიძნელეს წარმოადგენს, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ მინიმალურ ენობრივ უნარებთან ერთად ე.წ. „რბილი უნარების“ განვითარებისათვის და სამიზნე ენაზე კითხვის გასაგრძელებლად მოტივაციის ჩამოყალიბებისთვის მხატვრული თარგმანის და მშობლიური ენის გამოყენება ნამდვილად გამართლებულად მიგვაჩნია.

რა თქმა უნდა, უცხოური ენის გაკვეთილზე სოციალურ-ემოციური კომპეტენციების გამომუშავება პიროვნულ ზრდასთან ერთად უცხოურ ენაზე ეფექტურ კომუნიკაციასაც განაპირობებს. ენის შემსწავლელთა მიერ ენის ფუნქციური გამოყენება თემატურად დალაგებულ დიალოგებში კი ვერ უზრუნველყოფს მასწავლებლის წინაშე მდგარი აუცილებელი მოთხოვნების გამკლავებას და სასწავლო მიზნების მიღწევას-პიროვნულ ზრდას და ენის სრულყოფილ ფლობას.

ლიტერატურული ტექსტების გაკვეთილზე შეტანა უსათუოდ მოითხოვს მათ მეთოდურ დიდაქტიზირებას, რაც გულისხმობს ტექსტის ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურების შესწავლის ეტაპებს და მასწავლებლის მხრიდან სწორად არჩეულ კითხვის სტრატეგიას საბოლოო შედეგის - ტექსტის გაგების მისაღწევად. ლიტერატურულ ტექსტებში პერსონაჟების ქცევისა და ემოციების განხილვა, მათი მოტივაციის გაანალიზება, განსხვავებული თვალსაზრისების გაცნობიერება კი ამ ორივე ასპექტს აერთიანებს. გაკვეთილზე პერსონაჟის ქმედების განხილვისას მოსწავლე იწყებს ფიქრს სხვათა ემოციებზე და განიცდის პერსპექტივის შეცვლას-ეს კი პირდაპირ უკავშირდება ემპათიის განვითარებას. ამავე დროს, ერთობლივი ტექსტური ანალიზი ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას და კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას. დამემოწმებით, ეს ყოველივე მხოლოდ ავთენტური, პრაგმატული ტექსტებით, დამატებითი სასწავლო რესურსების გარეშე ნაკლებად შესაძლებელია.

ქრისტა რაინიგის იგავის - „მორიელი“ - ანალიზი: სტერეოტიპი, თვითშეფასება და ემოციური ზრდა

მეორეკურსელ სტუდენტებთან (სასწავლო დისციპლინა გერმანული ენა 4) ჩავატარეთ ორკვირიანი სასწავლო პროექტი- „სტერეოტიპები და ადამიანის იდენტობა“ საფუძვლად მხატვრული ტექსტი - ქრისტა რაინიგის იგავი „მორიელი“ შევარჩიეთ. იგავი იძლევა განსაკუთრებულ შესაძლებლობას, ვუპასუხოთ კითხვას - როგორ ყალიბდება ადამიანის იდენტობა სტერეოტიპებით გაჯერებულ საზოგადოებაში და როგორ აისახება ეს პიროვნების სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე. იგავის მთავარი გმირი, რომელსაც მთხრობელი „მორიელს“ უწოდებს, ემორჩილება იმ ნეგატიურ წარმოდგენებს, რასაც საზოგადოება მასზე ქმნის - განსაკუთრებით მის გარეგნობასთან დაკავშირებულ ნიშნებზე დაყრდნობით. იგი ცდილობს, დაიხსნას თავი იმ იმიჯისგან, რომელიც საზოგადოებამ შეუქმნა, რის შესაბამისადაც მას საკუთარი თავის თვითშეფასება ჩამოუყალიბდა. სტუდენტებს დაევალათ ტექსტის წაკითხვა და დასახმარებლად მიეცათ ამავე იგავის ჩემ მიერ შესრულებული ქართული თარგმანი.

მოკლედ ტექსტის შინაარსის შესახებ

როგორც მოთხრობაში ჩანს, მორიელი დამჯერი და მეგობრული ბუნებისაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში დამკვიდრებულია სტერეოტიპები მისი გარეგნული ნიშნების შესახებ. ეს კი აიძულებს მას თავი უარყოფით ადამიანად იგრძნოს და ჩააგონოს თავს, რომ გარდაუვალია ამ ხასიათის თვისებების დაძლევა და ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული. ამიტომ ის შიშობს, რომ ადამიანთა საზოგადოებაში ხასიათის ეს თვისებები გამოხატოს, ის მთლიანად ემიჯნება საზოგადოებას და არც უნდა გამოჩენა, რადგან დარწმუნებულია თავის წარუმატებლობაში.

იგავის პერსონაჟი კიდევ ერთხელ არწმუნებს თავს ამაში, როცა სარკეში კიდევ ერთხელ გადაამოწმებს თავის გარეგნობას და თავადვე განმარტავს, რომ ის არაა კარგი პიროვნება და მისგან კარგს არ უნდა ელოდნენ. ამ გადამოწმების შემდეგ ის თავის თავზე კიდევ ერთხელ და გადაჭრით იღებს გადაწყვეტილებას, რომ არაფრის შეცვლა არ შეიძლება და იკეტება თავის ოცნების სამყაროში, რომელსაც წიგნები ჰქვია. თუმცა ეს არ შველის მას, წინასწარი აზრი საკუთარი თავის მიმართ არ ეცვლება. მაინც დგება რეალობა, როცა ის ვერ გაურბის საზოგადოებაში გასვლას და მის პირისპირ დგომას. სწორედ აქ ხდება იმ სურათის გადახედვა, რომელიც მას ჩანერგილი აქვს. მას ექვს სხვადასხვა სიტუაციაში მოუწია თავის გამოცდა. ავტორი აღწერს ყოფითი სიტუაციებს-ფულის გადაცვლის დროს ხანდაზმულ, ახლომხედველ ქალბატონთან, რომელსაც არ ატყუებს და ამრიგად აირიდებს საკუთარი თავისგან მოსალოდნელ ცუდ საქციელს, შემდეგ მას უწევს არნახული ძალისხმევით მოითმინოს უცნობის სითავხედე ტრამვაიში, რომელიც მორიელის მხრიდან თითქოს მოულოდნელი უნდა ყოფილიყო, არც ცნობისმოყვარეობის გრძნობას ნებდება გზაში დაკარგული საფულის პოვნის დროს. კიდევ ერთი გამოცდა უწევს მას - უძლებს ცდუნებას, გახსნას გზა საკუთარი ოცნების სამყაროში, ვერ იპარავს სასურველ წიგნს, თუმცა ხიბლი სასურველი წიგნის ფლობისა დაუძლეველია: „რამდენი ხანია ვეძებ ამ წიგნს და სხვამ მომასწროო ყიდვა“ - წამოილაპარაკა ერთ-ერთმა მყიდველმა და მორიელმა მაშინვე დაუთმო მას წიგნი. ამასაც გაუძლო, ის სხვა უფრო იაფ წიგნს

ყიდულობს და ამით კმაყოფილდება, ახლა მისთვის ეს მტკიცებულებაა იმისა, რომ მის მიერ შექმნილი საკუთარი თავის ხატი სულაც არაა მარადიული და უცვლელი. მისი საქციელით გულაჩუყებული გამყიდველი მას ნაკლებ ფასად მიჰყიდის იმ წიგნს, რომელიც მას სულითა და გულით უნდოდა და მოპარვა ვერ იკადრა, თუმცა ჯიბეში თავისუფლად ეტეოდა. ის თავს იმაგრებს, რომ არ ატირდეს და ბაძავს იმ კლიენტს, რომელმაც სასურველი წიგნი ორივე ხელით ჩაიკრა გულში. თავადაც ასე იქცევა, როცა მას მადლიერი გამყიდველი ეუბნება, რომ სიყვარული შობს სიყვარულს. პირველად უწევს მას სოციალურ გარემოში რაიმეს გაკეთება და ის უკვე ვეღარ აკონტროლებს თავს. რაკი მას ორივე ხელი დაკავებული აქვს, მადლობის ნიშნად თავის ნესტარს უწვდის გამყიდველს და სასიკვდილო ჩხვლეტაც გარდუვალია. ეს ტრაგიკული სვლა გარკვეულწილად კანონზომიერს ხდის მის თვითშეფასებას და მორიელის ნამდვილ ბუნებას. ამით მთავრდება მისი ექსპერიმენტი, რომლის მიზანიც იყო გაერკვია - ვინ იყო პერსონაჟი სინამდვილეში. ასრულდა წინასწარი განსაზღვრულობა, ასტროლოგიურად განპირობებული და გარდაუვლად მიჩნეული, რაც მას ჩანერგილი ჰქონდა გონებაში.

ტექსტის ინტერპრეტაცია ასეთი თანმიმდევრობით განვახორციელეთ

შესავალი-სათაურის შესახებ ვარაუდების გამოთქმა. სიტყვა მორიელი აუცილებლად იწვევს მკითხველში უარყოფით ემოციას. არც ტექსტის ანალიზის დროს იყო ეს გამორიცხული, ამიტომ ვარაუდები საინტერესო და მრავალფეროვანი გამოდგა. შემდეგ სტუდენტებს მიეცათ დავალება, იგავში მოცემული პერსონაჟის კონკრეტული ვიზუალური მახასიათებლები და სტერეოტიპულად განმარტებული ცნებები ამოეკრიბათ სამსჯელოდ.

ტექსტის ინტერპრეტაციის პირველი ნაბიჯის შედეგები ასე დალაგდა ცხრილში.

გარეგნული ნიშანი	სტერეოტიპული ინტერპრეტაცია
ახლოს ჩამჯდარი თვალები	ეშმაკობა და მზაკვრობა

გადაბმული წარბები	გულფიცხობა
წაწვეტებული, გრძელი ცხვირი	დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობა
მჭიდროდ მიკრული ყურის ბიბილოები	დანაშაულისადმი მიდრეკილება

ეს სოციალური კოდები მოქმედებს გმირის თვითშეფასებაზე და იგი იწყებს საკუთარი თავის უარყოფით შეფასებას - ამგვარად, სტერეოტიპი საზოგადოებაში მიღებული აზრის ზეწოლის მიღმა შინაგან, ავტო-სტერეოტიპად იქცევა. ის თავს ცუდ ადამიანად მიიჩნევს, უშედეგოდ ცდილობს სოციალური მოლოდინების დაკმაყოფილებას და საბოლოოდ ცდილობს, მოერიდოს საზოგადოებას.

ამ დავალების დროს სტუდენტებმა ისაუბრეს პირად გამოცდილებაზე და მსგავსი სიტუაციების შესახებ, რაც მათ საზოგადოებაში მიღებული სტერეოტიპების გამო შეექმნათ. ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ენობრივი ერთეულები, რომლებიც ტექსტის წაკითხვამდე მიეცათ სამუშაოდ. ისინი იყენებდნენ იმ წინადადებებს, რომლებიც ტექსტში მოცემული ლექსიკისა და გრამატიკული ერთეულების ვარჯიშის დროს გამოვიყენეთ. საუბრობდნენ ქართულადაც და ცდილობდნენ, ესწავლათ ახალი სიტყვები, რომლებიც მათ აზრის გადმოცემას გაუადვილებდათ.

შემდეგი ნაბიჯი გახლდათ საკითხი - **მორალური გამძლეობა საზოგადოებრივ სივრცეში.** აქ საუბარი ეხებოდა უკვე ექვს სიტუაციას, რომელიც პერსონაჟს იგავის მიხედვით გადახდა. საზოგადოებიდან თვითგარიყული გმირი იძულებულია, მაინც დაუბრუნდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას და ექვს სიტუაციაში ხდება გამოწვევა: თითოეული მათგანი ტესტია მისი თვითშემეცნების, მორალური გადაწყვეტილების მიღების და სტერეოტიპთან დაპირისპირების თვალსაზრისით. სტუდენტებმა სიტუაციები, მოსალოდნელი და რეალური ქცევების ცხრილის სახით შეაჯამეს დაფაზე:

სიტუაცია	მოსალოდნელი ქცევა	მორიელის რეაქცია

ახლომხედველი ქალი თხოვს ფულის გადაცვლას	სხვა ადამიანის უმწეობის სათავისოდ გამოყენება	არ ატყუებს, არ გამოიყენა ფულის მზაკვრულად გაორმაგების შანსი.
ტრამვაიში შეურაცხყოფა-ვიღაცა უცხომ ფეხს დაადგა და აქეთ გალანძღა	საკადრისი აგრესიული პასუხი და უკმაყოფილების გამოხატვა	იკავებს თავს, მგზავრს ამ საქციელს თხოვნად ან მობოდიშებად უთვლის.
საფულის პოვნა	მითვისება- „რასაც ვიპოვი, მე მეკუთვნის“	გვერდს უვლის „ასაღებად ხომ არ დახრილა და თვალის შესავლებადაც აღარ მიუხედავს უკან“.
ძვირად ღირებული წიგნის შოვნა	მოპარვა-წიგნის მაღაზიაში ქურდობა მცირე ცოდვად ჩაითვლებოდა	წიგნი თაროზე ცივად დააბრუნა.
ზუსტად ამ წიგნს ეძებს სხვა მყიდველი	წიგნის დამალვა ეგოიზმი: ყველა უპირველესად საკუთარ თავზე ფიქრობს	მორიელი უთმობს წიგნს სხვა წიგნის მოყვარულს
მადლობის გამოხატვის მცდელობა	პოზიტიური ჟესტი ტრაგიკულად სრულდება	შხამიან ნესტარს ჰკარგავს

სტუდენტების მსჯელობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა:

პრობლემა- საზოგადოებასა და ინდივიდს შორის დაძაბული ურთიერთობა: „რატომ არ გადიხარ ხალხში? ეკითხებოდნენ მას“-

ზედმეტად დაბალი თვითშეფასება, საკუთარი თავის უპატივცემულობა: მთავარი გმირი ითავისებს სტერეოტიპებს და თავად ქმნის საკუთარ სტერეოტიპებს. გაუცხოება და სხვათა აზრის გაიდეალება: „შეათვალიერა სარკეში და პირის ირგვლივ ნაკვთები ისე უხეში მოეჩვენა! - არვარგი კაცი ვარო, ჩაილაპარაკა.“

საჯარო სივრცეში დაბრუნება: სტერეოტიპები და კლიშეები იწვევენ იდენტობის კრიზისს. წინასწარი შეხედულებების გონიერი გადამოწმება არ ხდება. იგავის ბოლოს მთავარი გმირი, რომელსაც ავტორი „მორიელს“ უწოდებს ან მოიხსენიებს პირის ნაცვალსახელით -„ის“, იძულებულია საკუთარი იზოლაცია დათმოს და დაეჭვებული და შეშინებული („იმედია, რამე ფათერაკს არ გადავეყრები“) ბედავს საზოგადოებაში გასვლას. ის ცდილობს, კარგად მოიქცეს, და ეწინააღმდეგება საკუთარ ხასიათსა და ბუნებას. მისთვის მთავარია, მოერგოს საზოგადოებას, მისთვის მიღებული საქციელით დაიმკვიდროს თავი გარემოში და სტერეოტიპებისგან განსხვავებული ქცევით დაამტკიცოს, რომ შეუძლია იყოს ამ გარემოს ჩვეულებრივი წევრი.

ყველა ქმედება თითქოს ადასტურებს გმირის შინაგან კეთილშობილებას — მაგრამ ეს „სისწორე“ ემყარება არა თავისუფალ არჩევანს, არამედ შიშზე დაფუძნებულ შინაგან კონტროლს: მას არ უნდა ცუდად მოიქცეს, რათა არ დაემთხვეს იმ ხატს, რაც საზოგადოებამ მისთვის უკვე განსაზღვრა.

დასკვნა: თვითშეფასების რღვევისა და სოციალური შხამის ტრაგედია. მოთხრობის ძირითადი სათქმელი ნათლად ჩანს სწორედ მის დასასრულში - მორიელი არც სჯობს თავის თანამოქალაქეებს და არც ნაკლებია მათზე, მაგრამ საზოგადოების დამამცირებელი შეფასებების და სტერეოტიპების წყალობით, ის განაპირებული და მარტოსულია. ის გრძნობს საზოგადოების ფლიდობას, მოჩვენებით სიწმინდეს და პირფერობას, რაც სინამდვილეში მორალურად მიუღებლად მიაჩნია თავად საზოგადოებას. ყოფით ცხოვრებაში ვლინდება ადამიანების ცხოვრების ბნელი მხარე. ამასობაში თავისი არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი მორიელის მცდელობა, საზოგადოების მოთხოვნებს როგორმე შეეფერებოდეს მისი საქციელი, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის მაინც მარტოსული და განსხვავებულია. ცივი და ანგარიშიანი საზოგადოება არ ან ვერ

აფასებს ღია და გულახდილ გრძნობებს, თუმცა ამჯერად პერსონაჟი ზედმეტად კარგადაც იქცევა და მორალურად გამართლებული საქციელით ეწინააღმდეგება სტერეოტიპს. თუმცა ეს მაინც არ არის მისი საკუთარი პოზიცია, ის უბრალოდ ებრძვის თითქოს მოსალოდნელ ქცევას. ეს სიფრთხილეა, რომელიც ექვემდებარება საზოგადოებრივ ნორმას. ამ სიფრთხილის დაკარგვას მიჰყავს ის საბოლოო კრახამდე, რასაც თავისი რამდენიმე მცდელობის ილუზორული წარმატებულობის შემდეგ ყალბი თავდაჯერებულობა განაპირობებს. როცა ის ბოლოს ემოციურად და მთელი გულით ცდილობს, მადლიერება გამოხატოს, სწორედ მაშინ ეს მცდელობა ტრაგიკულად მთავრდება. ის უდანაშაულო დამნაშავეა - უნებლიედ სწორედ იმ ადამიანს კლავს, რომელიც ერთადერთია, ვინც თავაზიანად შეხვდა - „რაკი ორივე (ხელი) დაკავებული ჰქონდა, დასამშვიდობებლად ნესტარიღა გაუწოდა. წიგნის გამყიდველი იქვე ჩაიკეცა და სული განუტევა.“ ასე ტრაგიკულად მთავრდება იგავი. ტექსტის შემდგომი დისკუსიის შემდეგ გამოიკვეთა აზრი:

- ეს ტრაგიკული ფინალი შეგვახსენებს, რომ თვითკონტროლის ზედმეტი ძალდატანება, მუდმივი მცდელობა, როგორმე დააკმაყოფილო სხვისი მოლოდინი და შიშზე დააფუძნო თვითშეფასება, საბოლოოდ ანგრევს შინაგან სიმშვიდეს.
- ვინც გამუდმებით ეკითხება თავს, შეესაბამება თუ არა მისი ქცევა საზოგადოების მოთხოვნებს, კარგავს დროთა განმავლობაში თავის იდენტობას, პიროვნულობას. იდეალური წარმოდგენები საზოგადოების მიერ ვერ აიხსნება და ირეალურად აღიქმება. თითოეული ატარებს მორიელის ნესტარს, რაც ნიშნავს, რომ თითოეულს აქვს თავისი წილი შხამი საზოგადოებიდან მიღებული.

იგავი აყალიბებს ძლიერ გზავნილს: ადამიანი, რომელიც საკუთარ ბუნებრივ რეაქციებს ყოველთვის სხვა ადამიანების კრიტერიუმებს უქვემდებარებს, კარგავს საკუთარ იდენტობას და სწორედ იქ არის ტრაგედია. უნდა ითქვას, რომ ბევრი ჩააფიქრა და საკუთარ ცხოვრებაში ჩაიხედა იგავმა. თითოეულმა მონაწილემ აღნიშნა, რომ შეეცვალა აზრი საზოგადოებისა და „მე-ს“ ურთიერთობაზე.

დავამატებდით იმას, რომ თვითონ საზოგადოებაც, სამწუხაროდ, გათითოკაცებულია და თითოეულის შხამით ივსება შხამის საერთო სალაროც. პრობლემა განმეორებადია, რადგან პიროვნებასა და საზოგადოებას შორის დაპირისპირება ყველა ეპოქას ახასიათებს და ამდენად, ყოველთვის აქტუალურია. საზოგადოებრივი შეხედულებების მიხედვით შექმნილი პირადი ხატი იცვლება საზოგადოების განვითარებასთან ერთად და დროისა და მოთხოვნების შესაბამისად განსხვავებულია. რაკი თითოეული ერთობა, თემი, ზოგადად, საზოგადოება გვიქმნის ნორმებს და მოთხოვნებს, რომელთაც უნდა მოვერგოთ, თუკი გვინდა, რომ მისაღები გავხდეთ მკაცრი მსაჯულის-საზოგადოებისათვის. სამაგალითო შვილი, სამაგალითო მოსწავლე, სტუდენტი, თანამშრომელი, მეზობელი და ა.შ... ჩვენ ვირგებთ სხვადასხვა როლს და რამდენადაც ჩვენი „მეორე ბუნება“ განსხვავდება მიღებული ნორმისგან, იმდენად ბევრი ნიღაბის მორგება გვიწევს.

სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების დიდაქტიკა და სტრატეგიები - სხვადასხვა სასწავლო ჯგუფთან ამ ტექსტზე მუშაობის შემდეგ თავს უფლებას ვაძლევთ, გამოვთქვათ რამდენიმე რეკომენდაცია. ქრისტა რაინიგის იგავი „მორიელი” არის შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ენის სწავლების დონის შესაბამისად ენობრივად ადაპტირებული ტექსტების საშუალებით რთული ფსიქოლოგიური და სოციალური თემების შეტანა უცხოური ენის გაკვეთილზე. შეიძლება დაიგეგმოს შემდეგი ტიპის აქტივობები:

1. **ემოციური ანალიზისთვის** - დავალება, ამოიცნონ მთავარი გმირის შიშები, იმედგაცრუებები და შიდა კონფლიქტები; ემოციების რუკა, სადაც გმირის თითო ქმედებას შეესაბამება კონკრეტული ემოციური მდგომარეობა. სტერეოტიპების ამოცნობა და განხილვა: დიალოგი ან დისკუსიის მომზადება, სადაც მოსწავლეები განიხილავენ სტერეოტიპების გავლენას ადამიანზე; თემატური კითხვები: შეიძლება თუ არა გარეგნობა განსაზღვრავდეს პიროვნებას? როგორ იქმნება ავტოსტერეოტიპი?

როლური თამაშები: მოსწავლეები წარმოადგენენ სხვადასხვა სცენას მოთხრობიდან და არჩევენ ალტერნატიულ ქცევებს

მორიელისთვის; ჯგუფური განხილვა: გადაარჩენდა თუ არა სხვა ქმედება ტრაგიკულ ფინალს?

2. **მეცნიერული ტერმინოლოგიის ინტეგრაცია:** სტუდენტები სწავლობენ სიტყვებს, როგორიცაა მაგალითად Vorurteile, Selbstwertgefühl, Isolation, Empathie, sozialer Druck (ცრურწმენები, თვითშეფასება, იზოლაცია, თანაგრძნობა, სოციალური ზეწოლა), რაც არა მარტო ენობრივი, არამედ ღირებულებითი სწავლებაა. უღრმავდებიან დედა ენაზე ამ ცნებებს და მსჯელობენ მათზე.

3. **თვითრეფლექსია:** დავალება-მიწერონ წერილი მორიელის სახელით საზოგადოებას ან საკუთარ თავს; ანალიტიკური ესსე: რას ვაკეთებ მე, რომ არ ჩავვარდე მსგავს მორალურ ცდუნებებში?

რა თქმა უნდა, ამ ტექსტის განხილვა ენის ფლობის საშუალო და მაღალ საფეხურზე გაცილებით უფრო ადვილია და უფრო მრავალფეროვნად შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ საწყის საფეხურზე შესაძლებელია მისი ადაპტირებაც. რა შედეგებს მივაღწიეთ დასახელებული პროექტის განხორციელების შემდეგ?

მიზნობრივი შედეგები: სტუდენტებმა ამოიცნეს ემოციური და ფსიქოლოგიური ელემენტები ტექსტში; შეაფასეს სტერეოტიპების გავლენა ინდივიდზე; მათ განუვითარდათ ემპათია განსხვავებული გამოცდილების მქონე პერსონაჟისადმი; ისაუბრეს იდენტობის შესახებ ენობრივი აქტივობების მეშვეობით, რამაც თავის მხრივ დისკუსიისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარებას შეუწყო ხელი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მხატვრული ტექსტის გამოყენება უცხოური ენის გაკვეთილზე ლინგვისტური კომპეტენციის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას. განსაკუთრებით აქტუალურია ეს დღეს, როდესაც განათლების მიზანი მრავალმხრივი, სოციალურ რეალობაზე ორიენტირებული ინდივიდის ჩამოყალიბებაა. მარტივი და შინაარსობრივად მდიდარი ტექსტების გააზრებული გამოყენება ენის გაკვეთილებზე შეიძლება იქცეს იმ ხიდად, რომელიც აკავშირებს ენის შესწავლას ადამიანურ ფასეულობებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

აქუბარდია, ე. (2015). მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის მეთოდიკა გერმანული ენის სწავლების პროცესში უმაღლეს სასწავლებლებში. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ბასილია, ნ. (n.d.). „ცოდნა და ღირებულებები თუ სოციო-ემოციური უნარები?". მასწავლებელი. https://mastsavlebeli.ge/?p=24299.

ბიწაძე, ი. (n.d.). „მოსწავლის სოციალურ-ემოციური განვითარება ლიტერატურული კლუბის მუშაობის ფარგლებში". ახალი განათლება. https://shorturl.at/F5cYE

Bischof, M., V. Kessling, და R. Krechel (1999). Landeskunde und Literatur. München: Langenscheidt.

Christa Reinings Parabel Der Skorpion Interpretation (n.d.). mein-lernen.at. https://mein-lernen.at/deutsch/literatur/christa-reinings-parabel-der-skorpion-interpretation/

Durlak, J. A., R. P. Weissberg, A. B. Dymnicki, R. D. Taylor, და K. B. Schellinger (2011). „The Impact of Enhancing Students' Social and Emotional Learning: A Meta-Analysis of School-Based Universal Intervention". Child Development 82, no. 1: 405–432.

ეროვნული სასწავლო გეგმა (n.d.). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. https://mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo

Freitag, B. (2007). „Interkultureller Literaturunterricht mit British Fictions of Migration: Perspektivenvielfalt in einer Unterrichtsreihe zu: „Young British Asians". In Fremdverstehen und iterkulturelle Kompetenz, რედ. L. Bredella და H. Christ. Tübingen: Gunter Narr.

გოდუაძე, მ. (n.d.). „სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება – „მე" კონცეფცია და თვითშეფასებ". მასწავლებელი. https://mastsavlebeli.ge/?p=29637.

Humboldt, W. von (1907). „Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues und ihrem Einfluss auf die geistige Entwickliung des Menschengeschlechtes." In Wilhelm von Humboldts Werke, ტ. 7, რედ. A. Leitzmann. Berlin.

კაპანაძე, ე. (n.d.a). „სოციალურ-ემოციური უნარები და მათი აქტუალურობა ციფრულ ეპოქაში".

კაპანაძე, ე. (n.d.b). „სოციო-ემოციური უნარები და მათი აქტუალურობა ციფრულ ეპოქაში". მასწავლებელი.

https://mastsavlebeli.ge/?p=36513. (შენიშვნა: ვინაიდან ორივე ჩანაწერი კაპანაძისგანაა ერთი და იმავე სათაურით, მათ მივანიჭეთ "n.d.a" და "n.d.b")

Kreativität in der Ausbildung (n.d.). netzwerkq40.de. https://netzwerkq40.de/blog/kreatives-denken-und-handeln-in-der-ausbildung-foerdern/

Krumm, H.-J. (1990). „Vom Lesen fremder Texte". Fremdsprache Deutsch 90: 20–23. Stuttgart: Klett.

OECD (2015). Skills for Social Progress: The Power of Social and Emotional Skills. Paris: OECD Publishing. https://doi.org/10.1787/9789264226159-en.

Reinig, C. (1968). „Scorpion". https://www.leesuur.nl/verhaal/christa-reinig-2/skorpion--deutsch-

References

Akubardia, E. (2015). Methodology of Working on Fiction Texts in the Process of Teaching German in Higher Education. Tbilisi: TSU Publishing.

Basilia, N. (n.d.). "Knowledge and Values or Socio-Emotional Skills?" Mastsavlebeli. https://mastsavlebeli.ge/?p=24299.

Bischof, M., V. Kessling, and R. Krechel (1999). Landeskunde und Literatur. München: Langenscheidt.

Bitsadze, I. (n.d.). "Student's Socio-Emotional Development within the Literary Club Work." Akhali Ganatleba. https://shorturl.at/F5cYE

Christa Reinings Parabel Der Skorpion Interpretation (n.d.). mein-lernen.at. https://mein-lernen.at/deutsch/literatur/christa-reinings-parabel-der-skorpion-interpretation/

Durlak, J. A., R. P. Weissberg, A. B. Dymnicki, R. D. Taylor, and K. B. Schellinger (2011). "The Impact of Enhancing Students' Social and Emotional Learning: A Meta-Analysis of School-Based Universal Interventions." Child Development 82, no. 1: 405–432.

Freitag, B. (2007). "Interkultureller Literaturunterricht mit British Fictions of Migration: Perspektivenvielfalt in einer Unterrichtsreihe zu: 'Young British Asians.'" In Fremdverstehen und iterkulturelle Kompetenz, edited by L. Bredella and H. Christ. Tübingen: Gunter Narr.

Gogodze, M. (n.d.). "Teaching Socio-Emotional Skills – 'Me' Concept and Self-Esteem." Mastsavlebeli. https://mastsavlebeli.ge/?p=29637.

Humboldt, W. von (1907). "Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues und ihrem Einfluss auf die geistige Entwickliung

des Menschengeschlechtes." In Wilhelm von Humboldts Werke, vol. 7, edited by A. Leitzmann. Berlin.

Kapanadze, E. (n.d.a). "Socio-Emotional Skills and Their Relevance in the Digital Age."

Kapanadze, E. (n.d.b). "Socio-Emotional Skills and Their Relevance in the Digital Age." Mastsavlebeli. https://mastsavlebeli.ge/?p=36513.

Kreativität in der Ausbildung (n.d.). netzwerkq40.de. https://netzwerkq40.de/blog/kreatives-denken-und-handeln-in-der-ausbildung-foerdern/

Krumm, H.-J. (1990). "Vom Lesen fremder Texte." Fremdsprache Deutsch 90: 20–23. Stuttgart: Klett.

National Curriculum (n.d.). Ministry of Education and Science of Georgia. https://mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo

OECD (2015). Skills for Social Progress: The Power of Social and Emotional Skills. Paris: OECD Publishing. https://doi.org/10.1787/9789264226159-en.

Reinig, C. (1968). "Scorpion." https://www.leesuur.nl/verhaal/christa-reinig-2/skorpion--deutsch-

დავით ახლოური
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გორი, საქართველო,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი,
ელფოსტა: datoakhlouri@gmail.com

ყანჩავეთის გეთსამანიის ღვთისმშობლის ეკლესია და მისი საგანძური

მოკლე შინაარსი

ქსნის ხეობა, დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, სამი მუნიციპალიტეტის სოფლებს მოიცავს; ყელის ტბის სათავეებიდან ოძისამდე - ახალგორის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება, ოძისი - დუშეთის მუნიციპალიტეტს, ხოლო ოძისის სამხრეთით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებია.

ამ უძველეს, ისტორიულ ხეობაში საუკუნეების მანძილზე ორი მძლავრი სათავადო არსებობდა, ქსნის საერისთავო და სამუხრანბატონო, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქსნის ხეობა ოდითგანვე გამორჩეული იყო უნიკალური ხუროთმოძღვრული ძეგლებით, რომელთაგან რამდენიმე მსოფლიო მნიშვნელობისაა, მათ შორის აღსანიშნავია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოკუპირებულ ახალგორის მუნიციპალიტეტში მდებარე ყანჩავეთის გეთსამანიის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც კაბენის სახელწოდებითაც იყო ცნობილი, სადაც ჩვენი ეროვნული საგანძური ინახებოდა ხელნაწერი წიგნებისა და ტაძრისთვის შეწირული სხვა ძვირფასი ნივთების სახით.

ნაშრომში მოძიებული და გაანალიზებულია ყანჩავეთის კაბენის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები, საგაზეთო პუბლიკაციები, ფოლკლორული ხასიათის ჩანაწერები, სადაც თვითმხილველთა მიერაა აღწერილი ღვთისმშობლის ეკლესიის

იერ-სახე, წარსული და იქ ნანახი ჩვენი ქვეყნის ფასდაუდებელი განძი, რომლის ერთი ნაწილიც, დღეს, სამწუხაროდ, დაკარგულია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული წყაროთმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს ძეგლს „ყანჩაეთის ჟამნგულანს“, რომელიც კაბენის ღვთისმშობლის გეთსამანიის მონასტრისთვის ქართლის მთავარეპისკოპოსს ევდემონს შეუწირავს.

კაბენის უნიკალური საგანძურიდან ასევე აღსანიშნავია პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული XIII-XIV საუკუნეების სვინაქსარი (წმინდანთა ცხოვრების მოკლე აღწერილობა), რომელიც რუსეთში მიხეილ საბინინს წაუღია.

ყანჩავეთის მონასტრის ხელნაწერი ნივთები და შემოწირულობები ვრცლადა აქვს აღწერილი ექვთიმე თაყაიშვილს, რასაც ჩვენს ნაშრომში სათანადო ადგილი ეთმობა. სტატიაში ასევე საუბარია კაბენის ქონებასა და მამულებზე, ყანჩავეთში არსებულ სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებსა და მამა ბასილის ეკვდარზე.

საკვანძო სიტყვები: ყანჩავეთი, კაბენი, ჟამნგულანი, სვინაქსარი, ეკვდარი, რატიშვილთა სამფლობელო, ეკლესიის მამულები, ეროვნული საგანძური.

David Akhlouri
Gori State University,
Gori, Georgia,
Doctor of History, Professor,
Email: datoakhlouri@gmail.com

The Church of the Virgin Mary of Qanchaveti and Its Treasury

Abstract

The Ksani Valley, within its present administrative boundaries, encompasses villages belonging to three municipalities: from the sources of Lake Keli to Odzisi — the Akhalgori Municipality; Odzisi itself — the Dusheti Municipality; and the settlements situated south of Odzisi — the Mtskheta Municipality.

Throughout centuries, this ancient and historically significant valley

was home to two powerful feudal domains — the Duchy of Ksani and the Samukhranbatono Principality — both of which played an essential role in the political and cultural life of Georgia.

The Ksani Valley has long been distinguished by its unique architectural monuments, some of which possess global historical significance. Among these is the Church of the Virgin Mary of Qanchaveti, also known as Kaveni, located in the Akhalgori Municipality — a territory occupied since the August 2008 war. This church once served as a repository of invaluable elements of Georgia's national heritage, including manuscript books and other precious items donated to the temple.

The present study collects and analyzes historical sources, periodical publications, and folklore-based records concerning Qanchaveti (Kaveni). These materials include eyewitness accounts describing the church's architectural appearance, its historical background, and the priceless artifacts once preserved there — many of which, regrettably, have been lost over time.

Special attention is devoted to one of the most important monuments of Georgian historiography — the "Chronicle of Qanchaveti" (Jamngulani), which contains forty-eight historical annotations written between 1444 and 1754. The Jamngulani was donated to the Gethsemane Monastery of the Virgin Mary of Kaveni by Eudemus, Archbishop of Kartli, a member of the noble Ratishvili family — the hereditary owners of Qanchaveti and descendants of the Dukes of Ksani.

Among Kaveni's unique treasures is also a Synaxarion (a concise collection of the lives of saints) dating from the 13th–14th centuries, now preserved in the Manuscripts Department of the Public Library in Saint Petersburg. This manuscript was taken to Russia by the Georgian scholar and clergyman Mikheil Sabinin.

The manuscript items and donations associated with the Qanchaveti Monastery were thoroughly described by the distinguished scholar Ekvtime Taqaishvili, whose work is given due consideration in the present study. The article further discusses the church's estates and properties, the remaining fortification structures within Qanchaveti, and the Chapel of Father Basil.

Keywords: Qanchaveti, Kabeni, Jamngulani, Synaxarion, chapel, Ratishvili domain, ecclesiastical estates, national heritage.

შესავალი: ყანჩავეთი (ყანჩაეთი) ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელია, მდებარეობს ხარულის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, ქსნის მარჯვენა შენაკად მდინარე ყანჩაურისხევის ნაპირებზე. ახალგორიდან 6 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე. მიეკუთვნება

ახალგორის მუნიციპალიტეტის ბოლის თემს.

ყანჩავეთში მიკვლეულია ადრეანტიკური ხანის სამარხი, საიდანაც ჩვენამდე 38 დასახელების 79 ნივთმა მოაღწია, აქედან 33 ნივთი ვერცხლის იყო, 31 - ბრინჯაოს და 13 - რკინის. მათ შორის მიცვალებულის ტუჩებზე და თვალებზე დასაფარებელი ვერცხლის ფირფიტები, სამკაულები, სარიტუალო ნივთები, ცხენის აკაზმულობის ნაწილები, ლითონისა და თიხის ჭურჭელი, ცხოველის ძვლების ფრაგმენტები... როგორც ი. გაგოშიძე შენიშნავს, ყანჩავეთის სამარხის ნივთები ნაკლულია, მისი აღმომჩენის კ. ტატუნაშვილის ინფორმაციით, სამარხში ოქროს ორი ბეჭედიც აღმოჩენილა, რომლებიც შემდგომში დაკარგულა. „ერთ-ერთი ბეჭედი უფრო ღია ფერის ოქროსი იყო („მოთეთრო ოქრო“) და ფარაკზე ირემი ყოფილა გამოსახული, მეორე, უფრო ყვითელი ოქროს ბეჭდის ფარაკზე კი მჯდომარე მამაკაცი და მის წინ ზეზე მდგარი ხელებგაშლილი ქალი („ბიჭი იჯდა და მის წინ ქალი ხელებგაშლილი თამაშობდა“) (გაგოშიძე, 1964: 13-14).

ყანჩავეთი მოხსენიებულია ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთაში“, საიდანაც ცნობილია, რომ დავით VIII-ის წინააღმდეგ მებრძოლ შალვა ქვენიფნეველს ვახტანგ მესამემ უბოძა „თრუსუ, ღუდა, გაგასძენი, მლეთე, არახუეთი, ხანდო, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორნანი, დიღუამი, გავაზი, აწერისხევი, ბეხუშე“ (შ. მესხია, 1954: 236). ვ. ღუნაშვილის დასკვნით, შალვა ქვენიფნეველის საერისთავოს ტერიტორიის გაზრდა უნდა მომხდარიყო დავითის ერთგულ თანამებრძოლთა (ჭილა აბაზასძე) და სახელისუფლებო ტერიტორიების ხარჯზე (ღუნაშვილი, 2007: 55).

თავის მოგზაურობის ჩანაწერებში ყანჩავეთისხევს და სოფელ ყანჩავეთს ახსენებს გიულდენშტედტი: „ქსანზე, მდ. ყანჩავეთის ხევზე, ახალგორთან ქანებია, ქვიშიანი, კირქვა ნამარხებით; იქვე მთა ლორწობანზე, რომელიც ყველაზე მაღალია ამ მიდამოში, არის 2 გოგირდიანი წყარო“ (გიულდენშტედტი, 1964: 29). „ქსანზე ზევიდან ქვევით არის კიდევ სოფლები: 1. ლარგვი, მონასტერი 2. ლეგაშენი (ლაგოშეთი - დ.ა.) 3. საქორეთი 4. ქვენი, ციხე 5. იპნევი

(იფნევი - დ.ა.)[1] 6. იკოთი 7. წირქოლი ციხე 8. ირეტვა (ერედა?) 9. ყანჩავეთი... (გიულდენშტედტი, 1962: 275).

ქსნის ხეობის ბარის სხვა სოფლებისგან განსხვავებით, ყანჩავეთი უშუალოდ არაა მოხსენიებული 1669 წლის წილკნელის სამწყსოს დრამისა და საწირავის გარიგების გუჯარში, თუმცა სიგელის ბოლოს საუბარია რატიშვილის მიერ წილკნელი ეპისკოპოსის რომანოზის ქსანზედ საწირავად დაპატიჟებაზე. ცხადია, რატიშვილები თავიანთ სამფლობელოში ყანჩავეთში მიიწვევდნენ ეპისკოპოსს, რომელიც წუხს, რომ ბარგი ქსანში „ჩაუცვივდა“ და დაეკარგა „ერთი ხელი წირვის იარაღი, ბევრი სხვა რ(ა)მ საქონელი და წილკნის ღ(ვ)თისმშობლის სამწყსოს... გუჯარი“, რის გამოც იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილა: „დიაღ, დიდს შეიწროებაში ჩავარდი იმ გუჯრის დაკარგვისათვინ. დიაღ, დიდი ხნის ნაკურთხი ეფისკოპოზი ვიყავ. ჩემი ეკლესი(ი)სა სამწყსოს ა(მ)ბავი და რიგი კარგად ვიცოდი: აზნაურიშვილს რა ედვა, მსახურს რა ედვა, ან სახუცო, ან დრამა რა ედვათ. ბევრი ნაკლებიც დავწერე აგრემც... რაც ამ გუჯარში დიდკაცი, აზნ<აურშ>ვი<ლი>, მსახ<უ>რ<>, ღვდელი სწერია იმათი ცოდვისათვის მე გავიკითხო თუ მომატებული და იმ ძველ გუჯარში რაც ეწერ(ა) იმაზედ ნაკლები არ დავწერე, ჩემის მაკურთხევლის კა (თალიკ)ოზის დომენტისაგან შეჩვენებული ვიყო მე, წილკნელი რომანოზ“ (ჯავახიშვილი, 1974: 38). საგულისხმო წყაროა. ეპისკოპოსი ხაზს უსვამს თავის სამართლიანობას, უფრო მეტიც - „გუჯარში ბევრი ნაკლებიც დავწერეო“. შესაბამისად, სავარაუდოა, მისი კუთვნილი ბარგის ქსანში ჩავარდნაში სხვათა ხელიც ერია...გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი მდიდარი წარსული მქონე სოფლის ადრინდელი მოსახლეობის შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება, იგი არაა მოხსენიებული არც XVIII-ის საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში, არც იოანე ბატიონიშვილის ქართლ-კახეთისა და საუფლისწულოს აღწერებში და არც 1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერის მონაცემებში. მაგალითად, ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ

---

[1] წყაროში სახელწოდება „ქვენიფნევი“ ორ სხვადასხვა კომპოზიციადაა წარმოდგენილი - „ქვენი, ციხე“ და „იპნევი“.

აღწერილობებში ტექსტის ბოლოს ტექსტისავე ხელით მიწერილია: „ყანჩაეთიდან რატიშვილის ყმა“, მაგრამ ჩამოთვლილი არაა ეს ყმები, მიუხედავადად იმისა, რომ ოთხნახევარი მეტრი თავისუფალი ადგილია დარჩენილი (ახლოური, 2021: 11).

მეთოდები: საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ქსნის ხეობის შესახებ არსებული წყაროებისა და ისტორიული პუბლიკაციების კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ყანჩავეთის ღვთისმშობლის ეკლესიის წარსული, მამულები, შემოწირულობები, ხელნაწერი წიგნები... დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება გავაანალიზოთ მონასტერში დაცული ეროვნული საგანძურის ფასეულობა და მისი ადგილი ქართულ კულტურაში. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

მიზანი: ნაშრომის მიზანია საზოგადოება გაეცნოს ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის ისტორიულ სოფელ ყანჩავეთს, იქ არსებულ ეკლესია-მონასტრებს. ძირითადი ყურადღება ეთმობა ქსნის ხეობის ერთ-ერთ უნიკალურ, გამორჩეულ ძეგლს ღვთისმშობლის კაბენის ეკლესიას, მის თავგადასავალს, წარსულ დიდებასა და ახლანდელ სავალალო მდგომარეობას. ქართული საზოგადოება უნდა აცნობიერებდეს, რა საგანძური შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა, რა დაგვიტოვეს და რას ვუტოვებთ მომავალ თაობებს. უნდა ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი, გაუყალბებელი ისტორია.

მსჯელობა: ყანჩაეთის კაბენის მონასტერი საეკლესიო ცენტრი იყო. როგორც ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „წირქოლს ზეით, ჩრდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი, ყანჩაეთს, კეთილად ნაშენი, შუენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ“ (ბატონიშვილი, 1973: 359). მართალი იყო ვახუშტი, როცა ამბობდა, რომ მონასტერი ულამაზეს ადგილზე მდებარეობს და მყარადაა ნაგებიო - წერდა ექვთიმე თაყაიშვილი, თუმცა იქვე დასძენდა, რომ XVIII საუკუნის შუა ხანებში ჯერ კიდევ მღვდლის დაქვემდებარებაში მყოფი ტაძარი, ახლა ყანჩაეთის სამრევლო ეკლესიას ეკუთვნის, დაზიანებულია

და უყურადღებოდ მიტოვებულიო.

ექვთიმეს აღწერით, ძეგლი, რომელიც სილამაზით არ ჩამოუვარდებოდა საქართველოს საუკეთესო ეკლესია-მონასტრებს, მოგვიანებით, მკვეთრად იყო სახეცვლილი სხვადასხვა მინაშენებით... ტაძარი გარედან მოპირკეთებული გახლდათ სუფთად თლილი მოყვითალო ქვებით. აღმოსავლეთ ფასადის მდიდარი დეკორაციები გუდარეხის, სამთავისის, იკორთის, ახტალის და XI- XIII საუკუნეების სხვა ქართული ტაძრების დეკორაციების ანალოგიას წარმოადგენდა. მთავარი სარკმლის ქვეშ მდგარა ეპისკოპოსის სკამი, იქვე იყო სამსხვერპლო და სადიაკვნე ოთახები. ჟამთა სიავის გამო მთლიანად განადგურებულა „უნატიფესი ჩუქურთმებით“ დაფარული ეკლესიის კანკელი, რომელიც შემდგომში ძველი ნატეხებისა და რიყის კენჭებისგან აღუდგენიათ, შეულესიათ და შეუთეთრებიათ. ასევე მრავალჯერ ყოფილა განადგურებული დაბოლოს „ძალზე უხეიროდ“ აღდგენილი საკურთხევლის შუაში მდგარი ტახტრევანი. ეკლესიის სხვადასხვა ნაწილში შეიმჩნეოდა მოხატულობის კვალი, უკეთ ყოფილა შემორჩენილი ღვთისმშობლის ყრმით, იოანე ნათლისმცემლისა და ქერუბიმების ფრესკები.

1848 წელს კაბენში გაცილებით მეტი ფრესკა უნახავს მარი ბროსეს, რომლებიც უყურადღებობის გამო განადგურებულა... ასევე, ექვთიმეს ტაძარში აღარ დახვედრია გზის ხისგან დამზადებული ეკლესიის მოდელი, რომელსაც თავისი ოსტატური დამუშავებითა და შესრულებით აღუფრთოვანებია ბროსე. ცარიელი დახვედრია ძველი კიდობანიც, სადაც ხელნაწერი წიგნები ინახებოდა. „სამწუხარო არაა, რომ ეს უდარდელობა ღუპავს და ანადგურებს ნელ-ნელა ძველ ძეგლებს, რომლებსაც თვლიან უმნიშვნელოდ, რადგან მის შინაარს არ იცნობენ“ - წუხდა ბროსე მისი თანამედროვე ქართველთა დაუდევრობის გამო (Такаишвили, 1915: 114-115).

1974-1990 წლებში საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველო ხუროთმოძღვრული ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაციისა და ფიქსაციის მიზნით ინტენსიურ საველე ექსპედიციებს აწარმოებდა საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის ქსნის ხეობაში, სადაც საექსპედიციო პერიოდი მოიცავდა

1981-1985 წლებს. შედეგები გამოქვეყნდა ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილ კრებულში, რომლის მიხედვით, კაბენი IX საუკუნით უნდა დავათარიღოთ, გარშემოსასვლელი - X საუკუნით, გადაკეთებულია XIII საუკუნეში, ამავე პერიოდისაა ტაძრის ფერწერაც. აღნიშნული მოსაზრების საფუძველს გვაძლევს ეკლესიის სამხრეთ ფასადზე შემორჩენილი ადარნასე მეფის ასულის ლატავრას მოსახსენებელი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი: „ნეტა (რ) ად(არნასეს ასულს) ლატავრ (რს) თო... ეს(წმინდაი ეკლესიაი)“ (დადიანიძე, 2008: 189-190).

კაბენი აუგიათ ტყით დაფარულ მთის ფერდზე. თავდაპირველად, IX საუკუნეში აქ მდგარა მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესია. X საუკუნეში ძეგლს გაუკეთდა გარშემოსასვლელი, ხოლო XIII საუკუნის პირველ ნახევარში წინ წამოსწიეს აღმოსავლეთი ფასადი და დანარჩენი სამი კედლის გაჭრის შედეგად შიდა სივრცე შემოსასვლელის სივრცეს შეერწყა. ახალ მშენებელს წინ წამოუწევია სამხრეთი ნაწილიც, აუშენებია ახალი კრიპტა და მოუშლია დასავლეთი ფასადი. ტაძრის ახალ არქიტექტურულ კომპოზიციაში შენარჩუნებული იქნა სამხრეთ-დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის ძველი ნაგებობების კუთხეები, რომელიც გამოიყენეს გუმბათის წყვილ ბურჯებად. ამ ბურჯებიდან თაღები გარშემოსასვლელის დასავლეთ კედლამდეა გადაყვანილი. დასავლეთ მხარეს გამართულია ახალი კარიბჭე. „მიშენებული უნდა იყოს ჩრდილოეთი ფასადის დასავლეთი მხარის სამრეკლოც. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ სამრეკლოს მიადგეს მცირე ზომის კარიბჭე. ეკლესიის ინტერიერმაც რიგი ცვლილებები განიცადა. ძველი გუმბათის ყელი აამაღლეს, სარკმლები გააფართოვეს, ჩუქურთმიანი კარნიზით დააგვირგვინეს და ძველთან შედარებით უფრო წოწოლა სახურავი დაახურეს. ახალი გუმბათოვანი ნაგებობა ღრმამკლავებიან ჯვრის გეგმას იძლევა, გუმბათი დასავლეთით უკვე წყვილ ბურჯზეა დაყრდნობილი, აღმოსავლეთით კი, საკურთხევლის პილონებზე. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ტრომპების საშუალებით ხდება“ (დადიანიძე, 2008: 190-191). ეკლესიის ნალისებური აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით ნალისებურივე ფორმის ნიშებია, მათ თავზე, აფსიდის ცენტრში

თაღოვანი სარკმლებია გაჭრილი... საკურთხევლის წინ ქვის კანკელი ორნამენტებითაა შემკული. აბსიდის გვერდებზე მცირე ზომის სათავსოებია. საკურთხეველში და კედლებზე მხატვრობის კვალია შემორჩენილი, ეკლესიის ფასადები თლილი ქვითა და იმ დროის შესაფერისი მდიდარი შუქურთმებითაა გაფორმებული. ასევე მოჩუქურთმებულია სარკმლის ჩარჩოს თავზე ჯვრის რელიეფური გამოსახულება და კარნიზი, სარკმლის ქვემოთ შეწყვეტილი რომბებია. უფრო სადაა და მარტივად გადაწყვეტილი სამხრეთი ფასადი.

ე. თაყაიშვილის მინიშნებით, ტაძრის დასავლეთით იდგა დიდი, ოთხკუთხა ქვის ნაგებობა, ბერების სატრაპეზო, 16 არშინის (ერთი არშინი უდრიდა 71,12 სანტიმეტრს) სიგრძისა და 11 არშინის სიგანის. ტაძრის ფართო ეზო გარშემორტყმული იყო ქვის გალავნით, რომელიც წარსულში მონასტერს ამაგრებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ექვთიმე კაბენის თავდაპირველი მშენებლობის თარიღად, „მისი სტილისა და მორთულობის მიხედვით“, XII-XIII საუკუნეებს ვარაუდობდა (Такаишвили, 1915: 116).

კაბენის ღვთისმშობლის ეკლესიის განახლებაზე საუბარია „ძეგლი ერისთავთაში“: „მოშლილიყო დიდი იგი საყდარი იკორთას და კუალად ყანჩაეთის მეორე აღმაშენებელ იქმნეს ტაძარსა დედისა ღუთისასა“ (მესხია, 1954: 236). მიწისძვრისაგან დანგრეული ტაძარი XIV საუკუნის მეორე ნახევარში იოანე ერისთავს განუახლებია[1]. ძეგლის ავტორი სწორედ მას მოიხსენიებს „მეორედ აღმაშენებელს“.

ყანჩავეთში მდებარეობს ასევე გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია და ამავე პერიოდის წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი, რომლის კედლები შემორჩენილია 1-2 მეტრ სიმაღლეზე, ჩრდილოეთით მინაშენების ფრაგმენტებია, ეკლესია გარშემოვლებული იყო გალავნით.

ყანჩავეთის დასავლეთით გვიანი შუა საუკუნეების ხადის ციხეა, რომელიც აუგიათ სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ოთხი სართულის დონეზე

---

[1] 1991 წელს გეთსამანიის ტაძარი კიდევ ერთხელ დააზიანა მიწისძვრამ. 2000 წელს კი გუმბათი ჩამოიქცა.

შემორჩენილია კოშკი. ხადის ციხე მოხსენიებულია ვახუშტის აღწერაში: „ჩრდილოეთ ყანჩიეთისა, ზებეყურის მთის ძირს, არს ხადის ციხე, მაგარი. ზებეყურის მთა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი“ (ბატონიშვილი, 1973: 359).

დავუბრუნდეთ ისევ კაბენის ღვთისმშობელს; მონასტერში არაერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი წიგნი და მდიდარი ბიბლიოთეკა ყოფილა, რომელსაც ქმნიდნენ იქ მოღვაწე გამოჩენილი მწიგნობრები.

ქართული წყაროთმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია „ყანჩაეთის ჯამნგულანი“. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის განმარტებით, „გულანი“ კოდექსს ნიშნავს, რომელიც აერთიანებს საღვთისმსახურო წიგნებს, ხოლო შემოკლებული რედაქცია „ჟამნი“ კი მოკლე ისტორიული ცნობების შემცველია. „ჟამნგულანი“ 48 ისტორიული ხასიათის მინაწერს აერთიანებს. „იწყება 1444 წლით და მთავრდება 1754 წლით... XVII საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგდროინდელი ამბები თვითმხილველთაგანაა შეტანილი, ადრინდელი კი ალბათ გადაწერილია სხვა ორიგინალიდან“ (ხოცუაშვილი, 2011: 42). „ჟამნგულანი“ 577 ფურცლისგან შედგება (60 რვაფურცლიანი რვეული და მინიატურები). ე. თაყაიშვილის აღწერით, ხელნაწერის ზომა 24,5 X 18,5 სმ.-ია. ისტორიული მინიატურების გარდა შეიცავს დეკორაციულ თავსართსა და ბოლოსართს, სადაც ანდერძებია ჩაწერილი. ხელნაწერი ჩასმული ყოფილა ტყავგადაკრულ, ტვიფრულ ხის ყდაში, რომელსაც აბრეშუმის საფარი იცავდა. ილუსტრაციებზე გადაკრული ჰქონია თხელი ქსოვილი. მოგვიანებით ხელნაწერისთვის ქსოვილი მოუცილებიათ და ჩაუსვამთ მუყაოს მაგარ ყდაში. სამწუხაროდ, დარღვეულია ილუსტრაციების პირვანდელი განლაგება, ზოგიერთი მათგანი დაკარგულია, რაზეც ქვემოთაც გვექნება საუბარი... ხელნაწერის დამკვეთი იყო ევდემოზ რატიშვილი, იგი მისი დავალებით დაუმზადებიათ საბა მღვდელსა და ზაქარია მწერალს: „ქკ-სა ტპა: (1693) უფალო, შეიწყალე ცოდვილი ზაქარია, რომელმა ესე ჟამნგულანი რაიცა უძლურებასა ეძლო მოვიჭირვე კარგად გაკეთება ბრძანებითა მთავარეპისკოპოსისა რატიშვილის ევდემოსისათა, რომლისა კეთილმცა არს სახსენებელი რომელ იყო ტკბილ სიტყვთა, მშვიდი გულითა და ასე საკვირველ იქმნა“... ქსნის

ერისთავთა განაყარ რატიშვილთა საგვარეულო სახლის წარმომადგენელი ევდემოზი მინაწერებში მოიხსენიება ურბნელ და მანგლელ ეპისკოპოსად, ასევე ქართლის მთავარეპისკოპოსად: „ღმერთო შეიწყალე ცოდვილი მთავარეპისკოპოსი, რომლის ბრძანებით აღიწერა ჟამნგულანი ესე, პირველად ვიყავ ურბნელი, მერმე მანგლელი და მერმე მთავარეპისკოპოზი ქართლისა“ (1674 წელი). ევდემოზს „ჟამნგულანი“ კაბენის ღვთისმშობლის გეთსამანიის მონასტრისთვის შეუწირავს. შემდგომში იგი დაკარგული უპოვია არაგვის ერისთავ გრიგოლ პაპუაძეს და ისევ ევდემონისათვის გადაუცია. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ფაქტი ყანჩავეთის მონასტრისთვის, წყაროში ნათლადაა მითითებული: „ეს ჟ~გულანი დამეკარგა, არაგვის ერისთავის შვილმა გრიგოლ იშოვნა, კაბენის გესამანიისა ღ~თის მშობლის შეწირული იყო. მე ყ~დ უღირსმა მ~თვარ ებისკოპოზმა ევდემოზ ფეშკაში მივართვი და ისრევ გისამანიასა ღ~თის მშობელს შევსწირე და ესე აღთქმა დავუდევ გრიგოლს ხარებობას დღეს კაბენს წინამძღუარი ვინც იქნებოდეს და დეკანოზი ჟამსა სწირევდეს, გრიგოლის მ~მას პაპუასა, მისს მეუღლეს დარეჯანს, მათს შვილთა ზურაბს და ვამიხს და გრიგოლი ხარჭაშნელს მოიხსენებდეს, თუ ეს დააკლონ ს~სუფეველმსაც დააკლდებიან. და ჩ~ნთა ც~დვთა ნაცვლად იგინიმც განიკითხვიან, რ~ლმნც წინამძღუარმა და დეკ~ნოზმა წელიწადში ერთი წირვა და აღაპი დააკლოს: ქ~კსა: ტპვ:-„ (1698) (თაყაიშვილი, 2022: 447). ევდემოზმა, იმავე წელს, ძვირფასი წყარო ხელახლა შესწირა კაბენს, რომელიც თედო ჟორდანიას 1889 წელს მოუნახულებია (ჟორდანია, 1897: 381). 1879 წელს „ჟამნგულანი“ ქაშუეთის ეკლესიაში უნახავს ექვთიმე თაყაიშვილს, სადაც მღვდელ მარკოზ ტყემალაძეს დროებით ჩაუტანია. ექვთიმემ იგი 1916 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა (ხოცუაშვილი, 2011: 42).

მარი ბროსეს ვერსიით, სახელწოდება „კაბენი“ კაბერთან უნდა იგივდებოდეს, რაც ნაკლებ დამაჯერებლად მიაჩნია ვ. ხოცუაშვილს. ქსნის ხეობის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს „გეთსამანიაზე“ (როგორც მოიხსენიებდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს ადგილობრივი მოსახლეობა) და ასკვნის: „გეთსამანია მდებარეობს იერუსალიმში, მეთოლოგიური კადრობის ქვემო ხიდის გადაღმა, გორაკის ძირში.

აქ არის ერთი პატარა ბაღი, რომელსაც დღემდე შემორჩა შვიდი გატრუსული ზეთის ხილი, იერუსალიმში ჩასულ მლოცველებს სწამთ, რომ ეს ხეები შემორჩენილია იმ დროიდან, როცა აქ ქრისტე ჯვართ აცვეს. გეთსამანია ებრაულია და ქართულად „ზეთის ხილის საწურავს“ ნიშნავს. იგი ქართული ოთხთავის ლექსიკონში გეოგრაფიულ სახელწოდებად არის შეტანილი (შ. ნუცუბიძე). მცხეთაში არსენას ძეგლის პირისპირ პატარა ადგილს გეთსამანიას უწოდებენ (გ. ლეონიძე). აქ მდგარა გეთსამანიის ტაძარი, რომელიც შაჰ-აბასს დაუნგრევია (პ. იოსელიანი). მცხეთამ არაერთი პალესტინური სახელი შემოგვინახა, მაგრამ ყანჩაეთის კაბენმა რით დაიმკვიდრა გეთსამანიის სახელი, ძნელი სათქმელია. ხალხმა რომ საუკუნეთა მანძილზე ატარა იგი, ეს კი საგულისხმოა და კაბენის გარკვეულ უპირატესობაზე მიგვანიშნებს იერუსალიმის ქართული კულტურის წინაშე“ (ხოცუაშვილი, 2011: 42).

ექვთიმე თაყაიშვილს ქსნის ხეობაში მოგზაურობის დროს აღწერილი აქვს ყანჩავეთის პატარა სამრევლო ეკლესიაში დაცული ხატები და ხელნაწერები, რომლებიც ადრე კაბენის მონასტერს ეკუთვნოდა:

1) ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული ფერწერული ხატი - ღვთისმშობელი ყრმით (49 X 39 სმ.), მორთული მოოქროვილი ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით, ფირუზებითა და ლალებით. მხედრული წარწერა გვამცნობს, რომ იგი 1821 წელს მონასტრისთვის მაიორ გაბრიელ რატიშვილს[1] შეუწირავს:

---

[1] გაბრიელ რატიშვილი (1770-1842) ცნობილი მოღვაწე იყო. რატიშვილების თავადურმა გვარმა ძველ ქართულ მწერლობას ორი ისტორიული პიროვნება შესძინა - ევდემოზი და გაბრიელი (ქენქაძე, 2016: 364). გაბრიელს თავი უსახელებია ნიახურას ველზე ომარ-ხანის წინააღმდეგ 1800 წლის 7 ნოემბერს გამართულ ბრძოლაში. იგი იყო უფლისწულ იოანე ბატონიშვილის მრჩეველი და ეშიკაღაბაში. როცა რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა ბატონიშვილების: იოანეს, ბაგრატისა და მიხეილის ხილვა მოინება, გაბრიელი, როგორც იოანეს ადიუტანტი, უფლისწულებთან ერთად პეტერბურგში გაემგაზავრა. პავლე 1801 წლის 11 მარტს მოკლეს შეთქმულებმა, მისი ადგილი ალექსანდრე პირველმა დაიკავა. რუსეთის ახალმა იმპერატორმა გაბრიელს კოლეჟსკი ასესორის ჩინი და სამი ბრილიანტის ბეჭედი უბოძა. თუმცა ქართველი თავადი რუსთა სატახტო ქალაქში დიდხანს

„ყანჩაეთის გესამანიის. ღ~ის მშობელო. მიიღე. კნინი. ესე. ნაშრომი მონისა. შენისა სოვეტნიკის და მაიორის. თავადის გაბრიელ რატიევის მიერი. რომლისა ვიშრომე საფასითავე შენითა რათა მეოხ მეყო მეუღლითურთ ჩემით ჯიმითის მოურავის ასული თამარით და მწე. ექმნე. ძეთა. ჩემთა. ჩყკა.“

2) 1830 წელს ტაძრისთვის კაკლის ხეზე დახატული ხატი ვერცხლის პერანგით (49 X 39 სმ.) მიურთმევია დიღმის მოურავს სოლომონ რატიშვილს. „ქ. შევამკე. ხატი. ესე. ყ~დ წისა. ღ~ის მშობელისა. ყანჩავთისა კაბენისა. ტაზრისა (sic). მოსასოებელმან. მონამან. დიღმის მოურავმან სოლომან რატიევმან საოხად სულისა. ჩემისა. და დასაცაველად ძეთა და ასულთა და მეუღლისა ჩემისათა წელსა, ჩყლ. იანვრის. ა-სა“.

3) წმინდა გიორგის ხატი (37 X 30,5 სმ.). ცხენზე ამხედრებული წმინდანი კლავს გველეშაპს. გამოსახულება შესრულებულია გაბრიელ რატიშვილის დაკვეთითა და ეკლესიის თანხით: „ქ. ყანჩვეთს. გესამანიის. ღ~თის. მშობელო. შენის. მთავარ. მოწამის. გიორგის. ხატი. შენის თეთრით. და. ჩემის. შრომით. გავაკეთე. სოვეტნიკმა. თ~ა. გაბრიელ. რატიევმა. რათა. მეოხ. მეყო მოწამითურთ. შენით. წელსა. ჩყკა (1821 - დ.ა.)“.

4) ვერცხლის ჯვარი (37 X 15,5 სმ.). მხედრული წარწერიდან ირკვევა, რომ იგი 1813 წელს ეკლესიის ხარჯით დაამზადეს მათე წინამძღვრიშვილმა, გოგია და დავით ჯარმელიშვილებმა. ეს გახლდათ გადასატანი ჯვარი, ბორაყი (ხატის დროშა, გასანათლავი ბაირაღი, რომელსაც ჰქონდა ხელკეტი, საკადრები, ქსოვილის

არ დარჩენილა. 1802 წელს, მშობლების მოხუცებულობის მიზეზით იგი კვლავ სამშობლოში ბრუნდება. გაბრიელის 1801-1802 წლებში დაწერილი ისტორიული თხზულება: „მცირედი რამე მოთხრობა როსიისა“, მის ავტორს წარმოგვიდგენს პირველ ქართველ მწერლად, რომელმაც თავის ნაწარმოებში მკაფიოდ დაგვანახა XVIII საუკუნის რუსეთის ცხოვრება. როგორც ილია ჭავჭავაძე წერს: „გაბრიელ რატიშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს 1800-იანი წლების ქართველ მწერალთან, რომელმაც, მართალია, XIX საუკუნეშიც გადმოაბიჯა, მაგრამ ახალი საუკუნის ვერაფერი გაეგო, იგი მთლიანად ძველ ქართულ მწერლობის ტრადიციაზე იყო დამოკიდებული“ (ჭავჭავაძე, 1863: 14).

ნაჭრები, ბუშტი, შუბის წვერი და ზანზალაკი (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, 2011), რომელიც დროშის ფუნქციას ასრულებდა: „ქ. ყაჩეთის გესამანის მღთის შობლისა ბორაყი ხატის ფულით გავაკეთებინე მე წინამძღვრისშვილმა მათემა და ჯარმელიშვილმა გოგიამა ჩვენი სულის საცხონებლათ და შვილისა სადღეგრძელოთ კიდევ ჯარმელისშვილმა დავითამა შევეწიე ბორაყის მინთული (sic) სული(ს) საცხონებლათ და ჩემს სადღეგრძელოთ. წელსა კ~ს ფა.“

5) ვერცხლის ჯვარი (40 X 23 სმ.), იგივე ნაკეთობითა და დიზაინით, როგორც წინა აღწერაშია.

6) ვერცხლის პატარა ჯვარი, ჯვარცმის და წმინდა გიორგის გამოსახულებებით, წარწერის გარეშე.

7) სახარება (24 X 17 სმ.) წმინდა წერილებით.

ექვთიმე თაყაიშვილმა ყანჩაეთის ტყავის სახარებასა და მის მინაწერებს ვრცელი წერილი მიუძღვნა, რომელიც 1909 წელს გამოაქვეყნა კრებულში „ძველი საქართველო“: „1908 წელს ზაფხულში ქსნის ხეობაში მოგზაურობის დროს გავშინჯეთ სოფ. ყანჩაეთში ტყავის სახარება, რომელიც ეხლა ინახება სოფლის პატარა ეკლესიაში, ხოლო წინეთ ჰკუთნებია ძველ კაბენის მონასტერს ყანჩაეთის მახლობლათ. ეს მონასტერი ეხლა გაუქმებულია და ნელ-ნელა ინგრევა უპატრონობის გამო“ (თაყაიშვილი, 1909: 61-74; თაყაიშვილი, 2022: 462). ექვთიმეს აღწერით, სახარება დაწერილი იყო მშვენიერ ეტრატზე ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად, თითოეული სვეტი 23 სტრიქონისაგან შედგებოდა, ყდა ხისა ჰქონდა, რომელზედაც ტყავი იყო გადაკრული, ტყავზე, ტბეთის სახარების მსგავსად, მიჭედილი ყოფილა ქანდაკებიანი ვერცხლის ფურცლები, სავარაუდოდ, მაცხოვრის ჯვარცმისა და ჯოჯოხეთში ჩასვლის ჭედური გამოსახულებებით. მოგვიანებით, ვერცხლის შესამოსელი მოუხსნიათ. დარჩენილი ყოფილა ვერცხლის პატარა ლურსმნები, რომლითაც ხელოვნური ფირფიტები იყო მიმაგრებული. სათაურები წითელი მელნით იყო შესრულებული, ტექსტი - შავით. ხელნაწერი შედგებოდა 31 რვეულისგან, თითო რვეული - 8 ფურცლისგან. მთელი წიგნი 259 ფურცელს მოიცავდა. ხელნაწერი შემკული იყო ოთხივე მახარებლის კარგად შესრულებული ფერადი ნახატებით. ნახატებზე სახელების წარწერები ბერძნულ

ენაზე ყოფილა, მახარებლების თანამიმდევრობა ტრადიციისამებრ იყო დაცული, ჯერ მათეს, შემდეგ მარკოზის, ლუკას და ბოლოს იოანეს.

სახარება იწყებოდა ევსების კვიპრიანესადმი მიწერილი წერილით. თითოეულ სახარებას წინ უძღოდა თავების ნუსხა, შემდეგ მახარებლის სურათი და ტექსტი. ბოლოს დართული ჰქონდა „ზანდუკი სახარებისა, საძიებლისა და საწელიწადო“. ზანდუკი და საძიებელი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით ყოფილა ნაწერი. გადამწერი და გადაწერის დრო მითითებული არ იყო, მაგრამ ხელნაწერის, მასალისა და ნახატების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სახარება დაწერილი უნდა ყოფილიყო არა უადრეს XII საუკუნისა და არა უგვიანეს XIII საუკუნის ბოლო პერიოდისა. საძიებლის ბოლოს ერთვოდა თანადროული მხედრული წარწერა:

„ქ: ოთხთავი: ესე წ~დაი განმანათლ-

ებელი; ადამის ტომთაი: მე ბასილი:

~აა: მ~სმან (აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმან)[1] : შევმოსე და მოვჭედეც:

ლცვა ყ~კთ ჩემთ~ს: ღ~ისათუინ“...

სახარების ცარიელი ადგილები და არშიები დაფარულია იმ ადამიანების ჩანაწერებით, ვისაც კაბენისთვის შემოწირულობა გაუღია. ეს ჩანაწერები ისტორიული დოკუმენტებია, შემომწირველთა ხელნაწერებითა და ბეჭდებით. ჩანაწერები XV-XIX საუკუნეებით თარიღდება, სულ 14 ასეთი სიგელია, 1814 წლის ბოლო ჩანაწერში ჩამოთვლილია კაბენის მონასტრისთვის შეწირული ქონება:

„ქ. რაც კაბენს მამული აქვს შეწირული სულ ამას ქვევით სწერია, ან ვისაც უჭირავს და ან რამდენის დღისა არის.

ქ. ერედას ვენახი. ქ. ბახუანთ წინ ერთი დღისა ნავენახობი, ამას

---

[1] თაყაიშვილი ეთანხმება თედო ჟორდანიას მოსაზრებას, რომელმაც „~აა: მ~სმან“ - შიო აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი იგულისხმა. ჟორდანიამ ასევე ყურადღება მიაქცია ყანჩავეთის სახარების მინაწერებს, მაგრამ სრულად არ გაუანალიზებია. როგორც ექვთიმე აღნიშნავს, მინაწერებიდან მხოლოდ სამი აქვს მოყვანილი და ისიც, ზოგ შემთხვევაში შეცდომებით (ჟორდანია, 1897: 172, თაყაიშვილი, 2022: 462 სქოლიო).

მაგიერი მღვდელს უჭირავს, მათეს ვენახის გვერდზე, გაუცვლია სხვაზედა.

ქ. ბახუანთ ბაღებს ზევით ერთი დღის მიწა ოთარას ბიჭს უჭირავს.

ქ. ბუღლათ კარს ერთი დღისა გორთამაშვილს უჭირავს.

ქ. სარუკაანთკარს გოგია ჯარმელიშვილს[1] უჭირავს ერთი დღისა.

ქ. მათეს ვენახის გვერდზე გოგია ჯარმელიშვილს უჭირავს დღიურია.[2]

ქ. ხეხილს (ზეზილს?) ვენახის გვერდზე ერთი დღიური ოთარას ბიჭს უჭირავს.

ქ. ხახუტს ვენახის თავზე სამი დღის მიწა მათეს უჭირავს.

ქ. ამ ხახუტს ვენახს აძევს სამი კოკა ტკბილი.

ქ. ვეძას ქედზე ორი დღის შასა (შეიძლება ამ სიტყვაში იგულისხმებოდეს „ფშანი“ - ჭაობნარი - ე.თ., სქოლიო) და ხეხილს უჭირავს.

ქ. ერთი დღისა მღვდელს უჭირავს მათეს წისქვილის გამოღმა, პავლეშვილის მიწა არის.

ქ. აქა ერთი დღიური თევდორეს ბიჭს უჭირავს.

ქ. გოგიას ბაღს ზემოთ ოთარას ბიჭს უჭირავს ნახევარ დღიური.

ქ. ასანაანთ ხევში (ასანაანთ ხევი შით ყანჩაეთის სოფელს ჩამოუდის - ე.თ., სქოლიო) ხეხილს უჭირავს ერთი დღისა.

ქ. კაბენს პავლეშვილის მიწა გოგია ჯარმელიშვილს უჭირავს ორი დღის.

ქ. ჯიღნაანთ კარი საკომლო არის ლუა ტატუნაშვილს და მის ძმას დათუასა აქვს.

ქ. თეზიაშვილის მიწის პირზედ ერთი დღის ნავენახობი

---

[1] გოგია ჯარმელიშვილს კაბენისთვის, მათე წინამძღვრიშვილთან (1814 წლის სიგელში მათეცაა ნახსენები) და დავით ჯარმელიშვილთან ერთად, 1813 წელს ეკლესიის თანხით დაუმზადებიათ გადასატანი ვერცხლი ჯვარი, სავარაუდოდ, ეს ტაძრის მიმართ გამოხატული ყურადღება და თაყვანისცემა იყო, იმის საპასუხოდ, რომ ეკლესიის მამულებს ამუშავებდნენ.

[2] იგულისხმებოდა მიწის ის რაოდენობა, რასაც გუთნეული ერთ დღეში მოხნავდა.

მღვდელს უჭირავს.

ქ. მეიდანი და გარშემო სრულიად მღვდელს უჭირავს.

ქ. კიდევ მღვდელს უჭირავს შეუქლის სპილენძაურის (სპილენძაურის ხევი ყანჩაეთის დასავლით არს - ე.თ., სქოლიო) თავზედ დღიური.

ქ. ვაზირაულში ორი დღისა, ქელიანდ (ეხლა ქვია გელიანთ ახო - ე.თ., სქოლიო) ქედზე გლახა გოგაძეს უჭირავს ერთი დღისა.

ქ. ამასთან გზის ქვევით შეუქლის მიწის თავზე ლუას (სავარაუდოდ, ტატუნაშვილს - დ.ა.) უჭირავს დღიური.

ქ. ყუდრევისაკენ მიწა ახო (ახლად გაჩეხილი ტყე, სადაც პირველად მოხნავენ - ე.თ., სქოლიო) გოგია ჯარმელიშვილს უჭირავს, დღიური.

ქ. ზახორს ხარებაანთ კარს ერთი დღიურია, რასაც კალოს პირი ჩამოიტანს.

ქ. წირს ქინგვაძის მიწებს აქეთ გზას ქვევით ხევისაკენ დღიური ორი არის.

ქ. კასბურებს უჭირავთ ორი დღისა ნავენახობი თელოვანს შარაფ-ხანებშია“.

ნუსხა მღვდლის თანდასწრებითა და „სოფლის კაცთ კითხვით“ შეუდგენიათ გაბრიელ რატიშვილსა და მის ბიძაშვილებს: სოლომონს და დავითს, იმისათვის, რომ ეკლესიას თავისი მამული არ დაჰკარგვოდა, იქვე მითითებულია, რომ ვინც მოხსნავდა (მოხნავდა) ღალა უკლებლივ ეკლესიისთვის უნდა მიერთმია, ვინც მოიპარავდა, ის შერისხული იყო - გაუწყრეს ღვთისმშობელი და ძე მისი ქრისტეო. იქვე ეკლესიის კიდევ ერთ ვალდებულებაზეა საუბარი:

„ქ. დემურაანთ აძევს ორი ლიტრა სანთელი და ერთი ჩარექი საკმელი ყოველ წელიწადსა“ (თაყაიშვილი, 2022: 471-472).

როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ ყანჩავეთის და ზოგადად, ქსნის ხეობის, არამედ ლეხურის ხეობაში არსებული მიწებიც ყოფილა კაბენის მონასტერზე განპირობებული. ვ. ქენქაძის მართებული დასკვნით: „როგორც მთავარ და მნიშვნელოვან კულტურულ-რელიგიურ ცენტრს, კაბენს დიდი ადგილ-მამულები გააჩნდა შეწირულობის ხარჯზე. მიწათმოქმედების, მევენახეობისა და მესაქონლეობის გზით ეკლესიის სახელზე გვარიანი შემოსავალი გროვდებოდა, რომლის დიდი ნაწილი იქ მოღვაწე

ბერებსა და მათ შემოქმედებით საქმიანობას ხმარდებოდა“ (ქენქაძე, 2016: 362).

ექვთიმე კაბენში არსებულ საგანძურს შორის, ცხადია, მოიხსენიებს ყანჩაეთის ჟამნგულანსაც, რომელზეც ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ. ექვთიმეს ცნობით, ხელნაწერს მოჰყვებოდა კარგად შესრულებული რამდენიმე ნახატი (ზოგიერთი ამოუჭრიათ). ბოლო ნახატი ჟამგულანის დამკვეთის ევდემოზ რატიშვილის ოდნავ დაზიანებული პორტრეტი იყო, მთავარეპისკოპოსის სამოსელში. ევდემოზი ხელნაწერს ღვთისმშობელს გადასცემს. ღვთისმშობელი ტახტზეა დაბრძანებული, კალთაში ყრმა იესოსთან ერთად. მარცხენა ხელი იესოს მხარზე უდევს, მარჯვენა ხელით ევდემოზს ხელნაწერ წიგნს ართმევს, რომელსაც ქრისტე აკურთხებს. „ჟამნგულანში“ განთავსებულია ევდემოზის ლექსებიც, რომლებიც, ექვთიმეს შეფასებით, ავტორის პოეტურ ნიჭიერებას ავლენენ. ქართლის მთავარეპისკოპოსი ხელნაწერის შემამკობლადაცაა მოხსენიებული.[1]

...დიდებულია თითოეული ისტორიული ჩანაწერი „ჟამნგულანისა“ და ფასდაუდებელია მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესასწავლად, მაგრამ, გამორჩეულ ყურადღებას იქცევს მარად დასაფიქრებელი სიტყვები: „საქართველოს: დარბაისელნი: მუხრანის: ბატონი: არაგვისა: ერისთავი: ქსნის: ერისთავი: ამილახვარი: ესენიც: ერთმანეთისა: მტერნი: და მოქიშპნი: იყვნენ: არც: ერთმანეთს ასვენებდნენ: და არც: ქვეყანასა: და: ამით მტერმა: უფრო: ძალა: წამოატანა: და: დაჩაგრა: თორემ: თუ: ამათ: ერთი: პირი: ქონებოდათ: ვერცარას: უზამდენ: ვერცარას: სხვა: მტერი: წაართმევდათ: რამე: ამათი: საქმე: ნიადაგ: ასე: ერთმანეთის: მესისხლეობით: გათავებულა: და: წამხდარა: მაგრამ: ამ საქმეს: არც (მოკლებიან): და: არც: მოუშლიათ“ (თაყაიშვილი, 2022: 459-460)...

ყანჩავეთზე საუბრისას, ექვთიმე გვითითებს ფაზია რატიშვილის საფლავის ქვაზეც. ფაზია 1756 წლის 26 ოქტომბერს გარდაცვლილა. ქვაზე მხედრული წარწერაა: „ქ: ეჰა. ბრძანებითა.

---

[1] ევდემოზი გარდაიცვალა 1710 წელს, 87 წლის ასაკში. დაკრძალულია სამთავროში.

უფლისათა. წინასწარ. განჩინებულმან. კმამან. მიწა. ხარისამან. გარეშიმიცვა. და უჩინო. მყო. მოკუდაობითა. ამან. კმამან. დღეს. უნდოსა. საფლავსა. შინა. მიწად. გარდამაქცია. და შვიდისა. ტერფისა. საზომსა. უქმსა. ადგილსა. შეკრვით. მიმამდებარე. მთხრებლად. საუკუნოდ. ჩვენ. რატიშვილი. ფაზია. აწ. ბნელსა და დამარღველსა. საფლავსა. შინა. უჩინო. ვიქმენ. ვითარ. კუალი. ნავისა. რ~ლ. მიწით. შობილი. მიწადვე. მივიქეც. აწ. გევედრები. ყ~თა. მხილველთა. და აღმომკითხველთა. შენდობის. ყოფისათვის. აღვესრულე. თვესა. ოკდომბერსა. კვ. ქ~კს. უმდ:"... (Такаишвили, 1915: 115-116).

ყანჩავეთის მონასტერში არსებული უნიკალური ხელნაწერებიდან ერთ-ერთი მათგანი პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში უნახავს პროფესორ ვაჟა კიკნაძეს. ხელნაწერი ანუ სვინაქსარი (წმინდანთა ცხოვრების მოკლე აღწერილობა), გადაუწერიათ XIII- XIV საუკუნეებში. XIX საუკუნის ბოლოს ცნობილ მოღვაწეს, ქართულ სიძველეთა მოამაგეს მიხეილ საბინინს ხელნაწერი პეტერბურგში წაუღია და საიმპერატორო ბიბლიოთეკისთვის გადაუცია. „ეს წმინდა სვინაქსარი მოვიპოვე ქართლს, ყანჩავეთს 1898 წელს, ოდეს მრავალმთის უდაბნოს წმ. დავითისა ვიყავი" - წერდა საბინინი. როგორც ვ. კიკნაძე აღნიშნავს, სვინაქსარი შეიცავს „მსოფლიო წმინდანთა ცხოვრების მოკლე, სვინაქსარულ ვერსიებს, ასევე, ქართველ წმინდანთა ბიოგრაფიებს. ხელნაწერის აშიებზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მინაწერიც (აღაპი) არის დაცული" (კიკნაძე, 2011: 38). მათ შორის ექვთიმე ათონელის ბიოგრაფიის სვინაქსარული ვერსია, რომელიც განსხვავდება ივანე ჯავახიშვილის მიერ შესწავლილი სხვა ცნობილი ვერსიებისგან. დახასიათებულია ერთ-ერთი მოციქული სიმონ მოშურნე (ზილოტი), რომელიც საქართველოში კარგად ცნობილი სიმონ კანანელი იყო. სვინაქსარის აღაპებიდან ორი ქსნის ერისთავების ყოფილა, ერთი მათგანი დათარიღებულია 1422 წლით, მეორე აღაპი კი, ვ. კიკნაძის აზრით, XVI საუკუნის უნდა იყოს. აღაპებში მოხსენიებულია გვარები: რატიშვილი, კასბური, ვაშბას-ძე, ცისკარაიძე... ცალკეულ გვერდებზე განირჩევა XIV- XV საუკუნეების არქაული მხედრულით მინაწერი სახელები: „დემეტრე", „ფრიად ცოდვილი მიქელი", „ლუარსაბ და

ქრისტეფორე“...

შედეგები და დასკვნები. ქსნის ხეობაში რომ მდიდარი იყო ეკლესია-მონასტრებში არსებული საგანძურით, ამის შესახებ გაზეთ „კვალის“ 1895 წლის 15 ოქტომბრის მეთაურ წერილშიც მოგვითხრობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, მღვდელი ილარიონ ჯაში:[1] „თუ რამდენათ არის ქსნის ხეობა შესანიშნავი ისტორიულათ, ეს მგონია, თვით ჩვენმა მეისტორიებმაც კარგათ იციან. მაგრამ, სამწუხაროთ, ამ მხარესთვის აქამომდე არავის მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება“ - აღნიშნულია წერილის შესავალში, სადაც ყანჩავეთის კაბენზე და იქ ნანახ სიძველეებზეცაა საუბარი: „ათი წლის წინეთ მინახავს ამ მონასტერში ხის კიდობანი (რაზეც ბროსე და თაყაიშვილიც საუბრობდნენ - დ.ა.), სავსე ძველი წიგნებით, და ქაღალდებით, ოთხი წლის წინათ კი სულ მთლათ ცარიელი ვნახე. ამ კიდობნის ამბავი კარგათ უნდა იცოდეს მღვდელმა ალექსანდრე ტატუნაშვილმა, რომელიც ყანჩევეთიდან არის. რკინის გზის მღვდელს ნიკიფორე მამამთავრიშვილს უთქვამს ჩემთვის, რომ ალ. ტატუნაშვილმა ბევრი ქაღალდები ამოარჩია კიდობნიდანო და ერთი სახარება ტყავზე ნაწერიო, ყანჩავეთის სამრევლო ეკლესიაში მინახავს ორი წიგნი ტყავზე ნაწერი. ერთი მათგანი ნახატებიანი და (მ)შვენიერი რამ არის“ (ჯაში, 1895: 1-3).

სოფელ ყანჩავეთს ეძღვნება 1879 წლის 14 სექტემბერს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი კორესპონდენცია - „ქსნის-ხეობიდამ, 11 სექტემბერს“ „მნახველის“ ფსევდონიმით.

„ქსნის ხეობაზედ არის სოფელი, რომელსაც სახელათ ეწოდების ყანჩავეთი, რომელიც გახლავთ თავადი რატიანთი“ - ვკითხულობთ შესავალში. ავტორი პირველ რიგში კაბენის მონასტერზე ამახვილებს ყურადღებას: „ამ სოფელში გაღმა ყოფილა ძველთაგანვე მონასტერი კაბენის მღვთის-მშობლისა. ეკკლესია გახლავთ ერთის გუმბეთით: სიგრძე იქნება ოთხი საჟენი და სიგანე ექვსი; სამის სამწირველოთი; შიგ საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ მიდგმულია კელიები (სენაკები) სიგრძით

---

[1] ილარიონის მამა ლარგვისის სამრევლო ეკლესიის მედავითნე-დიაკვანი იყო და აქედან გამომდინარე, ბევრი რამ იცოდე ქსნის ხეობაში არსებული საგანძურის შესახებ.

უმეტეს ოთხი არშინისა.

მხატვრობა აღარ ეტყობა, შესანიშნავათ მარტო ნათლის-მცემლის თავი და იროდიადას უჭირამს ქარტა და ზედ წარწერილი, ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ წავიკითხე“ (მნახველი, 1879: 2).

„დროების“ კორესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს ეკლესიაში მარჯვენა მხარეს არსებულ სამ მღვიმეზე: „ბოლოს არის სამი მღვიმე, ერთი ერთმანეთზედ მობმული რკინის კარებით, თუმცა ეხლა შებმული არა არის და გარე იმ მღვიმეში არის ჩაყუდებული; მღვიმე არის ბნელი და თუ არ წაძვრა დგომით არ შეისვლება, და სანთლით ინახება.

ერთს მღვიმეში ასვენია ბერი, მარჯვენა ხელი ისევ შეუშლელი, თითები ჯვარის სახით გაკეთებული, საბუხრეც ისევ ზედვე აქვს და ყელი მოშორებული, და თავზედ ცოტ-ცოტა თმები. კუნკულიც იქვე თავთან გდია; სტიხარი გულთან ისევ ისე აქვს; საყელო აქეთ იქით გადაწეული; მუცელი მარცხენა მხარეს ამოგლეჯილი, ნაწლევები შემხმარი და წელქვემოთ ჭილობი აქვს შემოხვეული, გეგონებათ ახალი არისო; ფეხები პატრუქით გაბმული[1] ...მეორე მღვიმე არის ძვლებით სამსე. მესამე მღვიმეში არის აქეთ-იქით გათლილი ფიცრები და ზემოდანაც ფიცარია და იქითაც ეტყობა მიცვალებულის მნიშვნელობა, მარტო ძვლები და ასოები ისევ ისე; თავზედ რაღაც დალიანდაგებული აფარია, მწვანე ქობა ეხლაც ეტყობა“ (მნახველი, 1879: 2).

„მნახველს“ სოფლის უხუცესებისათვის უკითხავს ამ ბერების შესახებ, მაგრამ მათი ამბის მცოდნე, აღარავინ ყოფილა: „იმ სოფლის მოხუცებულებმა სთქვეს მომსწრენი არავინა ვართო ამ ბერების დახოცვისაო და აღარც არავინ ყოფილაო“.

ყანჩავეთის კაბენის სიძველეებზე და იქ ნანახ ჭილოფში შეხვეულ გვამზე ყურადღებას ამახვილებს ისტორიკოსი თედო ჟორდანიაც: „გეთსამანიის ტაძარი არის აწ თითქმის დარღვეული დიდის ხელოვნებით ნაგები კაბენის ეკლესია ქსნის ხეობაში,

---

[1] „დროების“ ავტორისაგან განსხვავებით, ექვთიმე გვითითებს ბერის ვინაობას, რომელსაც მოსახლეობა წმინდანად მიიჩნევდა - სადიაკვნოს მცირე ნაწილში არსებული სამარხი ბასილ რატიშვილს ეკუთნოდა (Такаишвили, 1915: 114).

რატიშვილთა სასაფლაო. გიორგი რატიშვილმა და ადგილობრივმა მღვდლებმა მაჩვენეს ეს ეკვდერი და შიგ შემყვნენ სანთლებით. ერთს სასაფლაოში ესვენა ჭილოფში შეხვეული გვამი: როდესაც ჭილოფი ავხადეთ, აღმოჩნდა, რომ სადაც ჭილოფი ეფარა ის ნაწილები გვამისა სრულიად შეუშლელი იყო, თითქმის ფერიც არ ჰქონდა შეცვლილი ხორცს, ხოლო რომელიც ჭილოფით დაფარებული არ იყო, ის ნაწილები სხეულისა (თავი და ერთი მხარე ხელისა) გახრწნილა, მაგრამ თავის ქალას შესანიშნავი სითეთრე ჰქონდა“ (ჟორდანია, 1997: 171). იქვე ახლოს, კუთხეში დებულა შავ-მაუდ გადაკრული და აბრეშუმის თეთრ სარჩულიანი ბერის ქუდი, რომლის სარჩულზეც „დიდის გულდადებით“ და „საკვირველი ხელოვნებით“ ყოფილა ამოკემსილი სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები, „ფრიად მწვრილად“. თავის დროზე ეკვდერი დაკეტილი ყოფილა, როდესაც პირველად გაუხსნიათ, ჭილოფში გახვეული ბერის გვამი მთლიანად გაუხრწნელი დახვედრიათ. ეკვდარის ახდას დასწრებია გიორგი რატიშვილი, რომლის გადმოცემით, ბერის გულზე დადებული უნახავთ ეტრატის ფურცელი - „შენდობის წიგნი“. წერილი იწყებოდა ფრაზით: „შვილო ბასილ!“ ეტრატი ხელმოწერილი ყოფილა „წილკნელის იოსების“ მიერ. თ. ჟორდანიას მოსაზრებით მამა ბასილს „შენდობას აძლევდნენ პირველის წილკნელის იოსებ ასურელ მამის სახელით“. მოგვიანებით ეკვდერი ისევ დაუხურავთ, მაგრამ ხალხის ინტერესი ბერის „შეუშლელი გვამის“ მიმართ დიდი ყოფილა, ხშირად მიდიოდნენ თურმე სანახავად და ეკვდერს ღიად ტოვებდნენ, რა მიზეზითაც, გვამის გახრწნილი ნაწილი ტურა-მელათაგან უნდა ყოფილიყო დაზიანებული... რთული აღსაქმელია ეკვდერის ამბის ფინალიც: „მწყემსები თურმე ბურთაობდნენ ზემოხსენებულ ბერულ ქუდით. ესრეთია ჩვენი დრო გონებრივ-ზნეობრივი განადგურებისა, გადაგვარებისა და გაველურებისა“ (ჟორდანია, 1997: 172). ავტორს ყანჩავეთისადმი მიძღვნილ სტატიაში მისი თანამედროვეების ზნეობრივი დაცემის კიდევ ერთი ფაქტი მოჰყავს: „ცხინვალს ახლო მთაში არის ქალების მონასტერი წ(მინდ)ა საბასი, კლდეში გამოკვეთილი; ზემო სართულში გამოკვეთილია პატარა ეკლესია, სადაც დაცულია ყუთში ჩადებული სრულიად შეუშლელი ნაწილი - ფეხი წმინდანისა. მონასტერი და ეკლესია ღიად დაგდებულია,

უთვალყუროდ. მე ჩემის თვალით ვნახე 1883 წელს, ზაფხულს, რომ წმინდანის ფეხიდამ დანით ამოუჭრიათ ნაწილები და წაუღიათ, ზოგს-კი ხელით უგლეჯია. ესეც ნიშანი ჩვენის სულიერად გახრწნისა და დაცემისა!“ (ჟორდანია, 1997: 172).

„დროების“ პუბლიკაციაში „მნახველი“ ასევე ყურადღებას ამახვილებს ყანჩავეთის ეკლესიის ხატებზე, მისი ცნობით: „ერთი წმინდის გიორგისა და ერთი მღვთის-მშობლისა, ძვირფასათ შეჭედილი ასვენია ამ სოფლის შტატის ეკკლესიაში“. ეკლესიას ჰქონია თავისი მარანი, სამი „დესიატინა“ ვენახი, რომელსაც მებაღე უვლიდა, შემოსავალს კი სოფელი იყოფდა და ღვინოს დღეობას მიირთმევდნენ.

საინტერესოა სოფლის ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი მითი, რომელიც „დროების“ ავტორს მოხუცებული ქალისაგან მოუსმენია: „ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა მითხრა, რომ ამ მონასტერს ერთი ძვირფასი თვალი აქვსო და იმან უნდა განაახლოს მონასტერიო, და ის თვალი თურმე ორ კაცს აქვს დამალული იმავე ეკკლესიაშიო“ (მნახველი, 1879: 2).

დამალული თვალის რა ვთქვათ, მაგრამ იმის კი გვჯერა, რომ ღვთისმშობლის გეთსამანიის დიდებული ტაძრის მადლი მარად დაიცავს ჩვენს ქვეყანას და საქართველო იქნება ისევ ერთიანი და ძლევამოსილი.

გამოყენებული ლიტერატურა

ახლოური, დავით. 2021. ქსნის ხეობის ისტორია. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საარი“.

ბატონიშვილი, ვახუშტი. 1973. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გაგოშიძე, იულონ. 1964. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბილისი: მეცნიერება.

გიულდენშტედტი, იოჰან ანტონ. 1962. მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა. თბილისი: საქართველოს

სსრ მეცნიერებათა აკადემია.

გიულდენშტედტი, იოჰან ანტონ. 1964. მოგზაურობა საქართველოში. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

დადიანიძე, ცინაცია. 2008. შიდა ქართლი: ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა. ტ. IV. თბილისი: [გამომცემლობა].

თაყაიშვილი, ექვთიმე. 1909. საქართველოს სიძველენი. ტ. II. თბილისი: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.

თაყაიშვილი, ექვთიმე. 2022. თხზულებანი. ტ. 11. თბილისი: არტანუჯი.

კიკნაძე, ვასილ. 2011. „ყანჩაეთის მონასტრის ხელნაწერი პეტერბურგში“. ჩვენი უნივერსიტეტი, №8 (დეკემბერი).

მესხია, შოთა. 1954. „ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე)“. კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30. თბილისი: მეცნიერება.

მნახველი (ფსევდონიმი). 1879. „ქსნის-ხეობიდამ“. დროება, №190 (14 სექტემბერი).

ჟორდანია, თედო. 1897. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი II. თბილისი: [გამომცემლობა].

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011. სამეცნიერო ხელმძღვანელი ელდარ ნადირაძე. თბილისი: მერიდიანი.

ქენქაძე, ვახტანგ. 2016. ქსნის ერისთავების საქართველო. თბილისი: არტანუჯი.

ღუნაშვილი, ვახტანგ. 2007. ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია (VI საუკუნის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით). გამოცემა მეორე. თბილისი: [გამომცემლობა].

ჭავჭავაძე, ილია. 1863. „გაბრიელ რატიშვილი“. საქართველოს მოამბე, №11.

ხოცუაშვილი, ვალერი. 2011. „ყანჩაეთის 'ჟამნგულანი'“. ჩვენი უნივერსიტეტი, №6 (ივნისი).

ჯავახიშვილი, ივანე. 1974. საქართველოს ეკონომიური

ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.). წიგნი II. თბილისი: მეცნიერება.

ჯაში, ი. 1995. „ჩვენ ისტორიკოს-მეცნიერთა საყურადღებოთ“. კვალი, №44 (15 ოქტომბერი).

Такаишвили, Эквтиме. 1915. Археологические экскурсии, разыскания и заметки. Вып. V. Тифлис: [Типография].

References

Axolouri, Davit. 2021. Ksnis xeobis ist'oria [History of the Ksani Valley]. Vol. II. Tbilisi: Gamomcemloba Saari. (in Georgian)

Bat'onišvili, Vaxušti. 1973. Aghts'era samep'osa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia]. In: Kartlis tskhovreba [Life of Kartli], Vol. IV, edited by S. Qaukhchishvili. Tbilisi: Sabch'ota Sakartvelo. (in Georgian)

Ch'avch'avadze, Ilia. 1863. "Gabriel Rat'išvili." Sakartvelos moambe, no. 11. (in Georgian)

Dadianidze, Tsinatsia. 2008. Shida Kartli: Akhalgoris munitsip'alit'et'is ark'it'ekt'uruli memkvidreoba [Shida Kartli: Architectural Heritage of Akhalgori Municipality]. Vol. IV. Tbilisi: [Publisher]. (in Georgian)

Gagošidze, Iulon. 1964. Adreantik'uri khanis dzeglebi Ksnis xeobidan [Monuments of the Early Antique Period from the Ksani Valley]. Tbilisi: Metsniereba. (in Georgian)

Giuldenšt'edt'i, Johann Anton. 1962. Mogzauroba sakartveloši [Travels in Georgia]. Vol. I, edited by G. Gelašvili. Tbilisi: Sakartvelos SSR Metsnierebata Ak'ademia. (in Georgian)

Giuldenšt'edt'i, Johann Anton. 1964. Mogzauroba sakartveloši [Travels in Georgia]. Vol. II, edited by G. Gelašvili. Tbilisi: Sakartvelos SSR Metsnierebata Ak'ademia. (in Georgian)

Gunašvili, Vakht'ang. 2007. Ksnis saeristavos p'olit'ik'uri ist'oria (VI sauk'unis 70-iani ts'lebidan 1777 ts'lis chatvlit) [Political History of the Ksani Duchy (from the 70s of the 6th Century to 1777)]. 2nd ed. Tbilisi: [Publisher]. (in Georgian)

Javaxišvili, Ivane. 1974. Sakartvelos ek'onomiuri ist'oriis dzeglebi (XIII-XIX ss.) [Monuments of the Economic History of Georgia (13th-19th Centuries)]. Book II. Tbilisi: Metsniereba. (in Georgian)

Jaši, I. 1995. "Chven ist'orik'os-metsnierta saq'uradghebot" [For the Attention of Our Historians]. Kvali, no. 44. (in Georgian)

Kartuli mat'erialuri k'ult'uris etnograp'iuli leksik'oni [Ethnographic Dictionary of Georgian Material Culture]. 2011. Edited by Eldar Nadiradze.

Tbilisi: Meridiani. (in Georgian)

Kenq'adze, Vakht'ang. 2016. Ksnis eristavebis sakartvelo [Georgia of the Duchy of Ksani]. Tbilisi: Art'anuji. (in Georgian)

Khot'suašvili, Valeri. 2011. "Qanchaetis 'Zhamngulani'." Chveni universit'et'i, no. 6. (in Georgian)

K'ik'nadze, Vasil. 2011. "Qanchaetis monast'ris xelnats'eri P'et'erburgši" [The Manuscript of the Qanchaeti Monastery in Petersburg]. Chveni universit'et'i, no. 8. (in Georgian)

Meskhia, Shota. 1954. "Dzegli eristavta" [Monument of the Eristavs]. In: Masalebi sakartvelosa da k'avk'asiis ist'oriisatvis, no. 30. Tbilisi: Metsniereba. (in Georgian)

Mnaxveli. 1879. "Ksnis-xeobidam" [From the Ksani Valley]. Droeba, no. 190. (in Georgian)

T'aq'aišvili, Ekvtime. 1909. Sakartvelos sidzeleni [Antiquities of Georgia]. Vol. II. Tbilisi: Sakartvelos saist'orio da saetnograp'io sazogadoeba. (in Georgian)

T'aq'aišvili, Ekvtime. 2022. Txzulebani [Works]. Vol. 11. Tbilisi: Art'anuji. (in Georgian)

Takaishvili, Ekvtime. 1915. Arkheologicheskie ekskursii, razyskaniya i zametki [Archaeological Excursions, Researches and Notes]. Vol. V. Tiflis. (in Russian)

Žordania, Tedo. 1897. Kronik'ebi da sxva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa [Chronicles and Other Materials of the History and Literature of Georgia]. Book II. Tbilisi. (in Georgian)

ნინო მეგენეიშვილი
კ.კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თბილისი, საქართველო,
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ელფოსტა: ninomegeneishvili@gmail.com

ცნობები კამალდულთა ორდენის შესახებ (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების მიხედვით)

მოკლე შინაარსი

საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული ისტორიული და ლიტერატურული წყაროები საინტერესო ცნობებს შეიცავს როგორც საქართველოსთვის, ისე მის ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებული ქვეყნებისთვისაც. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ფონდში "Varia" ინახება არაქართულენოვანი ნუსხები, მათ შორის, ლათინური ხელნაწერები, რომელთაგან ოთხი - Var-20, 21, 26, 46-2 უკავშირდება კამალდულთა კათოლიკურ სამონასტრო ორდენს.

კამალდულთა საძმო დაფუძნდა 1012/1025 წლებში, იტალიის ქ.არეცოსთან დაბა კამალდოლში, რავენის წმ. აპოლინარის მონასტრის წინამძღვრის, წმ.რომუალდის მიერ (951-1027 წწ.). ვინაიდან თავის მონასტერში სასურველ ასკეტურ სიმკაცრეს ვერ მიაღწია, წმ. რომუალდმა დააარსა კამალდულთა სავანე, სადაც შემოიღო მკაცრი მარხვა, მდუმარება, ძაძის ტარება, მღვიძარება და სხვ. საძმო მონაწილეობდა საეკლესიო კრებებზე, მათ შორის, ცნობილ ბაზელისა და ფერარა-ფლორენციის კრებებზეც.

საქართველოში ლათინურენოვან ხელნაწერთა სიმრავლე უკავშირდება მისიონერთა მოღვაწეობას. კოსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ, დასავლეთიდან გახშირდა მისიონერული მოძრაობები საქართველოში, მომრავლდა კათოლიკე მრევლი, აიგო კათოლიკური ეკლესიები. ვინაიდან კათოლიკე მისიონერთა საღვთისმსახურო და სასაუბრო ენა ლათინური იყო, საქართველოში აღმოჩნდა საბუთები და ნაშრომები ლათინურ ენაზე. რამდენიმე ნუსხა (XVI-XVIII სს.),

რომელთა შესახებ საუბარია სტატიაში, შეიცავს ისტორიული ხასიათის ჩანაწერებს. კერძოდ, საფრანგეთის [პარიზის], პოლონეთისა და ლიეტუვის კამალდულთა მონასტრებთან დაკავშირებულ საბუთებს: 1717-1754 წლების სამონასტრო აქტებს, წინამძღვრებისა და საძმოს წევრთა ჩამონათვალს (Var-20), "სამონასტრო კაპიტულუმის აქტებს", წესებს საძმოში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფ პირთათვის და მათ ჩამონათვალს (Var-46-2), ასკეტიკურ-საღვთისმეტყველო ტექსტებს ახალმოქცეულთათვის, შედგენილს კამალდულელი გილიელმუს განდეგილის მიერ (Var-26), იოანე ოქროპირის ქადაგებებს: "Quod nemo potest ledi nisi a seipso" და "De compunctione cordis" (Var- 21), რომლის მთარგმნელიცაა ამბროსიუს ტრავერსარიუსი (1386-1439), კამალდულთა გენერალი, პაპ ევგენი IV-ის ლეგატი ფერარა-ფლორენციის კრებაზე.

საკვანძო სიტყვები: კამალდულთა ორდენი, ხელნაწერი, სამონასტრო აქტები, მისიონერული მოძრაობა.

Nino Megeneishvili
Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts Tbilisi,
Georgia Senior Researcher
Email: ninomegeneishvili@gmail.com

INFORMATION ABOUT THE CAMALDOLESE ORDER (BASED ON THE MANUSCRIPTS PRESERVED AT THE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS)

Abstract

The Georgia archives preserve historical and literary sources, valuable for Georgia and countries related to its history and culture. Among the Latin codices of its National Center of Manuscripts, four codices (Var-20, 21, 26, 46-2) are related to the Camaldolese Monastic Order.

The Camaldolese Order was founded in 1012/1025 in Camaldol, near Arezzo, by St.Romuald (951-1027). To achieve the desired ascetic strictness St.Romuald founded the Camaldolese monastery and introduced strict fasting, silence, sackcloth, etc. The Order participated in ecumenical councils.

The multiplicity of Latin manuscripts in Georgia is supposedly related

to missionaries. After the fall of Constantinople, European missionaries became frequent in Georgia, Catholic congregations increased, Catholic churches were built, and the period was estimated as the best age for Catholicism here. Since the liturgical and spoken language of missionaries was Latin, there were preserved documents written on it. The manuscripts (XVI-XVIII cc.), planned to be studied, include historical documents related to the France [Paris], Polish and Lithuanian Camaldolese monasteries: monastic acts of 1717-1754, lists of abbots and members (Var-20), "Actum Capituli", regulations for monks of high position and their lists (Var-46-2), collection of ascetic-theological texts for novices by Guilielmus Eremita Camaldolese (Var-26), sermons by John Chrysostom: "Quod nemo potest ledi nisi a seipso" and "De compunctione cordis" (Var-21), translated by Ambrosius Traversarius, prior general of the Order, legate of Pope Eugene IV.

Keywords: Camaldolese Order, manuscript, monastic acts, missionary movement.

შესავალი. საქართველოსა და დასავლეთის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა ანტიკური ხანიდან იწყება. მითოლოგიური თქმულებები ამის ერთ-ერთი ფაქტობრივი მტკიცებულებაა. ქრისტიანობის გავრცელებით იწყება საქართველოსა და ევროპის ურთიერთობის ახალი ეტაპი. საქართველომ და ბიზანტიამ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ერთ-ერთმა პირველებმა აღიარეს, აქედან კი ეს ურთიერთობა იდეოლოგიურ საყრდენად იქცა.

შუა საუკუნეებში გაცხოველდა საქართველოს ურთიერთობა ევროპის პოლიტიკურ და შემოქმედებით ელიტასთან, რასაც ადასტურებს საქართველოსა და უცხოეთის ფონდებში დაცული წერილობითი ძეგლები და ფაქტობრივი მონაცემები. საქართველოსა და ევროპის ურთიერთობის ანარეკლია ისიც, რომ კ. კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაქართულენოვან ხელნაწერთა კოლექციაში – ფონდი Varia – დაცულია 26 ლათინური ხელნაწერი. საქართველოში ლათინური ხელნაწერების, მათ შორის კამალდულთა ორდენის შესახებ, შემოსვლა უნდა უკავშირდებოდეს ევროპელ მისიონერებს, თუმცა ინფორმაცია, როგორ მოხვდა ეს ხელნაწერები საქართველოს ხელნაწერ ფონდებში, უცნობია. ხელნაწერებზე [Var-20, 26, 46-2] დასმულია საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოების ბეჭედი,

ერთ ხელნაწერზე [Var-21] - კი არა.

ცნობები კამალდულთა ორდენის ხელნაწერების შესახებ მწირია, მწირია ამგვარი შინაარსის კვლევები უცხო ენებზეც. საქართველოში ეს ორდენი უცნობია, არ ყოფილა შესწავლილი ზემოაღნიშნული ლათინური ხელნაწერებიც. ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში ამ ორდენის მიმდევარი მისიონერები მოღვაწეობდნენ, წყაროებით არ დასტურდება. ამიტომ საინტერესოა, საიდან მოხდა კამალდულთა ორდენთან დაკავშირებული ხელნაწერები ქართულ ფონდებში, მით უფრო, ქართულ საფონდო სივრცეში დაცული ხელნაწერი მოიცავს როგორც ისტორიული შინაარსის ჩანაწერებს, ასევე ჰომილეტიკური და ჰიმნოგრაფიული შინაარსის ხელნაწერებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ფონდში დაცული ისტორიული შინაარსის ჩანაწერები უნიკალურია საფრანგეთის, პოლონეთისა და ლიეტუვას კათოლიკური ეკლესიის კამალდულთა ორდენისთვის.

სტატიაში მსჯელობა კამარდულთა ორდენის შესახებ ეყრდნობა კ.კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ოთხ ხელნაწერს - Var-20, 21, 26, 46-2.

მეთოდი: საკვლევი მასალის სპეციფიურობიდან გამომდინარე სტატიაში ანალიზი ეყრდნობა ხელნაწერთა კვლევის მულტიდისციპლინურ მიდგომას - კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიურ და შედარებით ისტორიულ მეთოდს, ასევე როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ყურადღება გამახვილებული იქნება დასახელებული ხელნაწერების დაცულობის აღწერაზე.

შედეგები: საქართველოს სხვადასხვა სიძველეთსაცავში დაცული მდიდარი მასალა გვიდასტურებს საქართველოს ადგილს მსოფლიო კულტურათა შორის. მრავალფეროვნებით გამოირჩევა შუა საუკუნეების მსოფლიო კულტურა და, შესაბამისად, თემატურად მრავალფეროვანია მოღწეული ხელნაწერებიც. შუა საუკუნეებში მიმდინარე მასშტაბური პოლიტიკური რყევები აისახა შემოქმედებით სამყაროზეც. XV საუკუნის 50-იანი წლებიდან ბიზანტიის იმპერია დასრულდა, შესაბამისად, დასრულდა მისი კულტურული გავლენა დანარჩენ სამყაროზე. ბიზანტიური გავლენების დემონტაჟი ბევრად ადრე იყო

შესამჩნევი, როცა დაიწყო იმპერიული ძლიერების რყევა. XIII საუკუნიდან გაცხოველდა დასავლეთის დაინტერესება საქართველოთი და ამიერკავკასიით, გახშირდა დომინიკეანელი, ფრანცისკანელი, თეათინელი, კაპუცინი მისიონერების ვიზიტები საქართველოში.

დაიწყო კათოლიკური შინაარსის ლიტერატურის შექმნა – ბეჭდური და ხელნაწერი წიგნების სახით. ქართულ ხელნაწერთა ფონდში ინახება ასეულობით ერთეული პაპისტური შინაარსის ლიტურგიკული, ბიბლიოლოგიური, საზოგადოდ, თეოლოგიური შინაარსის ლიტერატურა: მისსალი [ხეც Q-505, ცენტრ. არქივი-609], ტიბიკონი [ხეც Q-507, Q-538], ლოცვანი [ხეც: S-518, H-727, Q-512, Q-522, Q-531, Q-532, Q-534, Q-535, Q-537, Q-540, Q-705; K[1] -605, K-614, K-615, K-616; გსიემ[2] -37, ცენტრ. არქივი-605, ცენტრ. არქივი-606, სჯიემ[3] -107], გალობანი [ხეც: Q-517, Q-519, Q-523, Q-530; სჯიემ-120], სადღესასწაულო [ხეც: Q-520, Q-526, Q-549, ცენტრ. არქივი-603, ცენტრ. არქივი-604], წირვის წესი [ხეც: S-5153, Q-705; K-688; გსიემ-88], სახარება [K-600 (დიდედას სახარება), გსიემ-86], საკითხავები ბიბლიიდან [ხეც: Q-527], ჰომილეტიკური კრებული [K-657], კატეხიზმო [ხეც: S-4983; K-687], კონდაკი [ხეც: H-30; ცენტრ. არქივი-680], ქადაგებანი [სჯიემ-193] და სხვა. (ნიკოლაძე, 1964; ბრეგვაძე და კახაბრიშვილი, 2002; ქავთარია, აბულაძე და ჭანკიევი, 1987). ფაქტია, ლათინური ხელნაწერების არსებობა ქართულ სამწიგნობრო ფონდებში სწორედ კათოლიკე მისიონერებს უნდა უკავშირდებოდეს, მაგრამ კამალდულთა ორდენის ლიტერატურის არსებობა იმის ფონზე, რომ საქართველში არათუ მათ მიმდევრებზე, არამედ მათ შესახებ არაფერია ცნობილი, შესაძლოა ის ჩენს ქვეყანაში შემოსული ვაჭრის, დიპლომატის, უბრალოდ მოგზაურის პირადი საკუთრება ყოფილიყო.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ოთხი ხელნაწერის გარდა ამ ორდენის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში არც

---

[1] ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

[2] გორის ს. მაკალათიას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

[3] სამცხე-ჯავახეთის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

არაფერია დაცული და არც სხვა ინფორმაციაა დადასტურებული. როგორც ისტორიულ წყარო [var-20, 21, 26, 46-2] საქართველოსთვის ნაკლებად შეიცავს ღირებულ ინფორმაციას, მაგრამ უმნიშვნელოვანესია საფრანგეთის, პოლონეთისა და ლიეტუვას ისტორიისთვის.

მოღწეული ხელნაწერებიდან სამი [var-20, 26, 46-2] XVIII საუკუნით თარიღდება, ერთი [var-21] კი - 1556 წლით. ორი ხელნაწერი არის საღვთისმეტყველო შინაარსის - [var-21, 26], ორი [var-20, 46-2] - ისტორიული შინაარსის, კერძოდ, საფრანგეთის [პარიზის], პოლონეთისა და ლიეტუვას კამალდულთა მონასტრის აქტები. თუ როგორ და რატომ მოხვდა საქართველოში დასახელებული ხელნაწერები უცნობია.

მსჯელობა: საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული ისტორიული და ლიტერატურული წყაროები მეტად ფასეულია როგორც საქართველოსთვის, ისე მის ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებული ქვეყნებისთვისაც. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ფონდში "Varia", ინახება არაქართულენოვანი ნუსხები, მათ შორის, XI-XIX საუკუნეებით დათარიღებული 26 ლათინური ხელნაწერები, რომლებშიც დაცულია საერო და სასულიერო შინაარსის წერილობითი ძეგლები. ხელნაწერები გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით. ლათინურ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია ოთხი ხელნაწერი [Var-20, 21, 26, 46-2], რომლებიც ამა თუ იმ თვალსაზრისით უკავშირდებიან საქართველოში ნაკლებად ცნობილ კამალდულთა კათოლიკურ სამონასტრო ორდენს.

საინტერესოა, როგორი იყო კამალდულთა ორდენი, როდის შეიქმნა და რა იყო ამის მიზეზი. ორდენის დასახელება ეტიმოლოგიური შინაარსისაა და უკავშირდება წარმოშობის ადგილს. კამალდულთა საძმო დაფუძნდა იტალიაში 1012-1025 წლებში ბენედიქტელთა ორდენის წევრის, რავენის წმ. აპოლინარის მონასტრის წინამძღვრის წმინდა რომუალდის მიერ [951-1027 წ.წ.] ტოსკანაში ქ. არეცოსთან ახლომდებარე დაბა კამალდოლში. წმინდა რომუალდი რავენაში, დიდგვაროვან ოჯახში დაიბადა. წმინდა რომუალდი დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა, როგორც ღვთისმსახურს ემსახურა უფლისთვის, თუ საერო ცხოვრებაში დარჩენილიყო. მას შემდეგ, რაც მამამისმა

ნათესავი მოკლა დუელში, რომელსაც რომუალდი იძულებით ესწრებოდა, ის რავენასთან ახლოს, წმინდა აპოლინარის მონასტერში წავიდა და ორმოცი დღის განმავლობაში მარხვასა და მონანიებაში ატარებდა. მოგვიანებით იმავე მონასტერში ბერად შედგა. შემდეგ ის ვენეციაში განდეგილი მარინუსის მიმდევარი გახდა. დროთა განმავლობაში მან დააარსა განდეგილთა ორდენი, რომელმაც სახელი მიიღო დაფუძნების ადგილის კამალდულის მიხედვით. ახალი ორდენის დაფუძნების მიზეზი კი გახდა ის, რომ წმინდა რომუალდმა ვერ მიაღწია სასურველ ასკეტურ სიმკაცრეს ბენედიქტიანელთა ორდენის მონასტერში, ამიტომ დააფუძნა სავანე, სადაც ძირითადი მახასიათებლები მოიცავდა ძალიან მკაცრ მარხვას, დუმილის აღთქმას, ღამით ლიტურგიის წაკითხვის პრაქტიკასა და მიწიერი ცხოვრების უკიდურეს უარყოფას, მათ შორის უხეში, დაუმუშავებელი ბეწვის პერანგის ტარებას. წევრები იზოლირებულად ცხოვრობდნენ პატარა ქოხებში და ფიზიკურად შრომობდნენ. რომუალდის ორდენი დასავლეთში ბენედიქტინების ორდენის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი საძმო იყო. თავად წმინდა რომუალდი ასკეტურად ცხოვროობდა, სიცოცხლეში არასდროს გამოუყენებია საწოლი, ყოველთვის ეძებდა მკაცრი მონანიების შესრულების გზებს. მისი ბიოგრაფია 15 წლის შემდეგ მისმა მოწაფემ, ეკლესიის წმინდა მასწავლებელმა დაწერა: „მისი სიდიადე მონასტრული ცხოვრების მისებური ინტერპრეტაციის მკაცრ ხასიათშია. მიდგომა, რომელიც საკმაოდ უნიკალური იყო. თავისი არსების სიღრმეში რომუალდი ასკეტი, ბერი იყო; შესაძლოა არა ისეთი მშვიდი და თავშეკავებული ბერი, როგორც წმინდა ბენედიქტე. რომუალდი არც ის ორგანიზატორი იყო, რომელმაც გონივრული კანონმდებლობით ადამიანებზე საოცარი გავლენა მოახდინა. ის გვახსენებს აღმოსავლეთის უდაბნოებში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც მკაცრი წესებითა და ცხოვრებით ცოცხალ მაგალითს აძლევენ.“ წმინდანს უყვარდა თქმა: „უმჯობესია ერთი ფსალმუნი ილოცო ერთგულებითა და სინანულით, ვიდრე ასი ყურადღების გაფანტვით“. მისი სიმბოლო იყო ყავარჯენი და კიბე. რომუალდს ხშირად გამოსახავდნენ როგორც ბერს, რომელიც მიუთითებს კიბეზე, რომლის საშუალებით სხვა ბერები ადიან ზეცაში. ამ სიმბოლოთი მიანიშნებდნენ, რომ მკაცრი ასკეტური ცხოვრება საუკუნო

ცხოვრების საფუძველია (Various Authors, 2002).

XI-XIII საუკუნეებში კამალდოლთა ორდენი მთელ იტალიაში გავრცელდა, შემდეგ თანდათან ევროპის სხვა ქვეყნებსა და ქალაქებში. მონასტრებში ფუნქიონირებდა ლაზარეთი, რომლებიც უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას.

XIII-XIV საუკუნეებში სამოში სამონასტრო ცხოვრების წეს-განგებასთან დაკავშირებით განდეგილურ/ერემიტულ და კოინობიოტურ მიმართულებათა მომხრეებს შორის წარმოიშვა განხეთქილება, რაც სამონასტრო ცხოვრების შესახებ განსხვავებული მისაზრებებიდან გამომდინარეობდა. ერემიტთა სკოლის მომხრეები ბერების განდგომილ ცხოვრებას უჭერდნენ მხარს, ხოლო კენობიტური სკოლის მიმდევრები - ბენედიქტელთა სკოლის მსგავს კოინობიოტურ სამონასტრო ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ ერემიტულმა სკოლამ საბოლოოდ გაიმარჯვა, კამალდოლთა ორდენმა ვერ შეძლო ერთიანი საძმოს შექმნა და დაიქსაქსა. საუკუნეების განმავლობაში მონასტრებს სხვადასხვა წეს-განგება ჰქონდათ და დამოუკიდებელ კონგრეგაციად იყვნენ ორგანიზებული. ამის მიუხედავად, საძმოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, მათ შორის, უმნიშვნელოვანეს ბაზელისა და ფერარა-ფლორენციის კრებებზეც. 1935 წელს პაპმა პიუს XI-მ კამალდოლთა ყველა კონგრეგაცია, მონტე კორონას გარდა, წმინდა ბენედიქტის ორდენის ერთ კამალდოლთა საძმოდ გააერთიანა. ამ კონგრეგაციაში შედიოდა კამალდულთა სამშობლო - მონასტერი კამალდოლში. მონტე კორონას მონასტერი კი დამოუკიდებელი რჩებოდა. კამალდულთა ორდენის მამათა და დედათა მონასტერი ამჟამადაც მოქმედია. მისი მონასტრები ფუნქციონირებს იტალიაში, პოლონეთში, ესპანეთში, აშშ-ში, კოლუმბიასა და სხვა ქვეყანაში.

როგორც აღინიშნა, საქართველოში ლათინურენოვან ხელნაწერთა სიმრავლე უკავშირდება კათოლიკური ქვეყნებიდან მისიონერთა შემოსვლა-მომრავლებას. „დიდი აღმოჩენების ეპოქაში“ კოსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ [1453 წ.], როცა დაიწყო ალტერნატიული სავაჭრო გზების ძიება, დასავლეთის სახელმწიფოები დაინტერესება საქართველოთი გაცხოველდა. გახშირდა ევროპული მისიონერული მოძრაობები. შედეგად,

საქართველოში [ქუთაისში, ბათუმში, გორში, ახალციხეში და ა.შ.] მომრავლდა კათოლიკე მრევლი, აიგო კათოლიკური ეკლესიები და ეს პერიოდი კათოლიკეთათვის შეირაცხა „საუკეთესო ხანად, რადგან პაპის ყურადღების მიქცევა და მისიონერების შრომა უნაყოფოდ არ დარჩენილა“ (თამარაშვილი, 1902: 297).

წყაროების სიმწირის გამო ძნელია იმის ვარაუდი, საქართველოში ჰყავდა თუ არა კამალდულთა ორდენს მიმდევრები. საკვლევი ხელნაწერები ამის მტკიცების საშუალებას ვერ გვაძლევს, მაგრამ ფაქტია, ამ შინაარსის ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავში დაცულია და მას აუცილებლად ეყოლებიდა საქართველოში „მესაკუთრე“.

გასაანალიზებლად ხელნაწერები დავყავით სასულიერო [Var-21, 26] და საერო [Var-2ო, 46-2] შინაარსის მიხედვით. კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა Var-21. ხელნაწერი შესრულებულია გოთური შრიფტით, გადაწერილია 1536 წელს ანდრეა ბადროცსკის მიერ. ხელნაწერი შეიცავს მხატვრული გაფორმების ელემენტებს, ტექსტი მთელ ხელნაწერში ჩაწერილია ჩარჩოში, დასაწყისები შესრულებულია სტილიზებული ასოებით. ხელნაწერი შეიცავს ლათინურ და ბერძნულ ტექსტებს, წარმოადგენს შუა საუკუნეების კარტუზიანელთა მონასტრული ცხოვრებისა და სულიერების უნიკალურ კრებულს. მისი ტექსტები აერთიანებს აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანულ ტრადიციებს, ასახავს მედიტაციის, სინანულის, მორალური პასუხისმგებლობისა და ემოციური პიეტის ხაზებს. ხელნაწერი იწყება ზოგადი მიმოხილვით - Contenta hujus libri -წიგნის შინაარსი [IIr], შემდეგ თანმიმდევრობით შეიცავს იოანე ოქროპირის ჰომილიებს, ავგუსტინეს წერილებს, ბერნარდუსის და ჰენრიხ დე ბალმას მედიტაციურ ტექსტებს, ასევე სხვადასხვა შინაარსის ეპისტოლეს. თითოეული ნაწარმოები ავითარებს სულიერი წინსვლის გზას, რომელშიც ხაზგასმით ვლინდება კარტუზიული მედიტაციის პრაქტიკა. ხელნაწერი 1556 წლის კიოლნის კარტუზიანთა მონასტერში უნდა შექმნილიყო და მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება მონასტრული თეოლოგიის შესასწავლად. აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა, რით უკავშირდება ხელნაწერი კამალდულთ მონასტერს ან მის წეს-განგებას? ხელნაწერი შეიცავს ნაშრომს: იოანე ოქროპირის ჰომილიას იმის შესახებ, რომ „Quod nemo potest leditur nisi a semetipso

არავის შეუძლია მისი ვნება, ვინც საკუთარ თავს არ ვნებს“ [1r]. ტექსტის ლათინური თარგმანი ეკუთვნის XIV-XV საუკუნეების მოღვაწეს, კამალდულთა კათოლიკური ორდენის წევრს, ამბროსიუს ტრავერსარიუსს [1386-1439 წ.წ.]. ამბროსიუს ტრავესიუსი იყო იტალიელი მონაზონი და თეოლოგი, რომელიც XV საუკუნეში პაპის საქმეთა ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი იყო. კამალდოლესის ორდენმა იგი წმინდანად შერაცხა. ის 1386 წელს 14 წლის ასაკში იგი შევიდა კამალდოლესის ორდენში, ფლორენციის წმინდა მარიამის მონასტერში და მალე მოიპოვა აღიარება როგორც განსწავლულმა თეოლოგმა. ამბროსიუს ტრავერსიუსი გამოკვეთილად იდგა პაპის პრიმატის მომხრეთა პოზიციაზე. ამ დამოკიდებულებას იგი განსაკუთრებით გამოხატავდა ბაზელისა და ფერარა-ფლორენციის კრებებზე, სადაც იყო როგორც პაპ ევგენი IV-ის ლეგატი და იცავდა პაპის პრიმატს, ასევე მონაწილეობა მიიღო ე.წ. უნიის შედგენაში, მაგრამ მალევე გარდაიცვალა. მისი შრომები მოიცავს ტრაქტატს წმინდა ევქარისტიაზე, აღწერილი აქვს წმინდანთა ცხოვრება, ასევე კამალდოლესის ორდენის ისტორია. მან ბერძნულიდან ლათინურ ენაზე თარგმნა დიონისე არეოპაგელის წერილები, ბასილი კესარიელის თხზულებები, იოანე ოქროპირის ჰომილები, რომლის ლათინური თარგმანია შესული კრებულში. მისი რამდენიმე ხელნაწერი ინახება ვენეციის წმინდა მარკოზის ბიბლიოთეკაში. ითვლება კამალდულთა ერთ-ერთ გამორჩეულ მოღვაწედ და ასკეტად.

საინტერესოა, რატომ შეიტანეს კამალდულთა ერთ-ერთი იდეოლოგის, ამბროსიუს ტრავერსიუსის თარგმანი ხელნაწერში. როგორც აღინიშნა, ხელნაწერი თარიღდება 1536 წლით. ამ პერიოდში კამალდულთა საძმო ერთიანი აღარაა, სხვადასხვა კონგრეგაციას თავისი, ავტონომიური, წეს-განგება ჰქონდათ. ასევე ხაზგასასმელია ისიც, რომ ხელნაწერი წარმოადგენს რენესანსის შემდგომ ეპოქაში შექმნილ დოკუმენტს, რომელიც ინარჩუნებს შუასაუკუნეების სულიერი მემკვიდრეობის მახასიათებლებს. იგი შეიცავს დიალოგს სხვადასხვა ტრადიციას - აღმოსავლურ და დასავლურ ეკლესიებს შორის.

იოანე ოქროპირის ქადაგებების ბერძნულ ტექსტებსა და ამბროსიუს ტრავერსარიუსის ლათინურ თარგმანებს, მათ შემცველ

ხელნაწერებთან ერთად, განიხილავს ა. ვოლმარი: André Walmart. (Vailhé, 1918: 325). "La collection des 38 homélies latines de saint Jean Chrysostome"[1] (Vailhé, 1918: 305-327). მკვლევარს სტატიაში განხილული აქვს ლათინურ ენაზე თარგმნილი იოანე ოქროპირის 38 ქადაგების შემცველი სხვადასხვა პერიოდის ხელნაწერები, მათთან ერთად კი XVI საუკუნის ნუსხები [მაგალითად, ვენეციის, პარიზის ხელნაწერები], თუმცა საქართველოში დაცული ლათინური ხელნაწერები მის სტატიაში ნახსენები არ არის.

კიდევ ერთი საღვთისმეტყველო შინაარსის ნაშრომის შემცველი ხელნაწერია Var-26, ასკეტიკური კრებული, დათარიღებული 1701 წლით. კრებული წარმოადგენს ასკეტურ-სამონასტრო ცხოვრების კომპილაციას, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება:

„Praxis meditationis summatim" - მედიტაციის პრაქტიკა მოკლედ [2r–79v] და

„Actus heroici per dies hebdomadis" - გმირული ქმედებები კვირის დღეებში [79v–152v]. პირველი ნაწილის შემდგენილია კამალდულელთა ორდენის წევრი გილიელმუ განდეგილი, რომელიც ხელნაწერში დაცული მინაწერის მიხედვით გარდაცვლილა 1701 წლის 21 სექტემბერს: „Ascetica Varia Collecta. A reverendo patre Gvilielmo Eremita Camaldulensi, qui anno Domini Millesimo septingentesimo primo, die 21 Septembris obdormivit in Domino - ასკეტური შინაარსის თხზულებათა კრებული შედგენილი ღირსი მამა გილიერმოს მიერ, კამალდულელი განდეგილისგან, რომელიც აღესრულა ქრისტეს აქეთ 1701 წლის 21 სექტემბერს" [Var-26, 1r]. მეორე ნაწილს - Actus Heroici per dies hebdomadae dispositi, auctore Patre Gaspare Druzbicki - გმირული ქმედებები კვირის დღეებში, შედგენილი მამა გასპარ დრუზბიცკის მიერ [79v-152v].

კრებული 1701 წლით თარიღდება. ხელნაწერის ზემოაღნიშნული მინაწერით დასტურდება, რომ პირველი ნაწილის შემდგენელი გილიელმო განდეგილი 1701 წლის 21

---

[1] The Journal of Theological Studies 19/76 (1918): 305-327 [დასახელებული ნაშრომის შესახებ იხ. Walmart, 1918, gv. 325, N 39. Incip[it] liber Joh[annis] C[hry]sos[to]mi, Quod nemo pro tempore laeditur nisi a semetipso. Inc. "Scio quod crassioribus quibusque et presentis vitae illecebris inhiantibus atque hiis, qui per omnia terrae adhaerent et voluptati…", 1r-99v]).

სექტემბერს გარდაცვლილა, რაც შეეხება მეორე ნაწილის შემდგენელ მამა გასპარ დრუზბიცკის, ის 1609-1662 წლებში მოღვაწეობდა, დაბადებულა 1589 წელს. იყო პოლონელი იეზუიტი და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა პოლონელ და ლიეტუველ მორწმუნეებში. ამდენად, ხელნაწერი XVII საუკუნით უნდა დათარიღდეს.

კრებული ასახავს კამალდულთა ორდენისა და იეზუიტთა სულიერების სინთეზს, სადაც პრაქტიკული მედიტაცია ერწყმის თეოლოგიურ ჭვრეტას.

განხილულია 150-მდე საკითხი. პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია მედიტაციური ვარჯიშების თანმიმდევრული სტრუქტურა - ცოდვის შეცნობიდან სულიერ აღორძინებამდე. მეორე ნაწილში კი განხილულია ყოველდღიური სათნოებების პრაქტიკა მონაზვნურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით საყურადღებოა მეორე ნაწილის სტრუქტურა, დინამიკა: ტექსტი დოგმატურიდან თანდათან, გააზრებულად გადადის პრაქტიკულ სულიერებაზე, რაც XVII–XVIII საუკუნის პოსტ-ტრიდენტინულ კათოლიკურ ასკეტიზმს ახასიათებს. ამ თვალსაზრისით, ტრაქტატი შეიძლება ჩაითვალოს კამალდულთა ორდენის იდენტობის დოკუმენტურ, ფაქტობრივ გამოხატულებად, რომელიც აერთიანებს ბენედიქტინურ, კამადულთა წესრიგსა და იეზუიტურ სულიერ მეთოდოლოგიას.

ისტორიული შინაარსისაა ორი ხელნაწერი - Var-20 და Var-46-2. ხელნაწერებში კამალდულთა ორდენი შესახებ უმნიშვნელოვანესი ცნობებია დაცული. კერძოდ, ეს არის კამალდოლთა ორდენის კაპიტულარიის აქტები. პოლონელი და ლიტველი ერის დადგენილებები, აქტები, ვიზიტები და კონსტიტუციები (1675–1757) - Acta Capitularia Ordinis Camaldulensis. Decreta, Actus, Visitationes et Constitutiones pro Natione Polona et Lithuaniae (1675–1757) - კამალდულთა ორდენის აქტები. (Litewski, 2020). პოლონელთა და ლიეტუველთა შესახებ დადგენილებები, აქტები, ვიზიტბი და კონსტიტუციები პოლონეთისა და ლიტვის ნაციისათვის (1675–1757) [Var-20] და Decreta Ordinis Camaldulensis - კამალდულთა ორდენის დეკრეტები [Var-46-2].

ხელნაწერები XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილი დოკუმენტაციაა, რომელიც შეიცავს კამალდულელთა ორდენის

ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და იურიდიულ აქტებს, დეკრეტებისა და ვიზიტების რეგისტრს. მასში ასახულია როგორც ორდენის შიდა დისციპლინა, ისე პროვინციალურ-ეროვნული სპეციფიკა - კერძოდ, პოლონეთისა და ლიეტუვასა მონასტრების ადმინისტრაციული ცხოვრება XVII-XVIII საუკუნეებში. მართალია, ტექსტების ძირითადი ნაწილი შეიცავს ცნობებს პოლონურ-ლიეტუვურ კამალდულურთა ორდენის შესახებ, თუმცა გვხვდება ცნობები საფრანგეთის, კერძოდ, პარიზის კამალდულთა ორდენის შესახებ, ასევე იკვეთება კავშირი იტალიურ ცენტრთან, ხშრადაა ხელნაწერში ნახსენები Sacer Eremus Montis Coronae - კორონას მთის წმინდა სამრევლო (ტოსკანა, იტალია) [Var-20, გვ. 42, 44, 46, 48, 57, 58 და ა.შ.].

ხელნაწერები დაწერილია ლათინურად, სხვადასხვა ადგილას იტალიური ჩანართებით. სტილი მკაფიოდ კანცელარულია — გამოიყენება ფორმულარული გამოთქმები [Decretum, Actus, Locus Sigilli, Datum Romae, Subscriptum ab omnibus Patribus- ბრძანებულება, აქტი, ბეჭდის ადგილი, დათარიღებული რომში, ხელმოწერილი ყველა მამის მიერ]. ტექსტები თანმიმდევრულად იყოფა ცალკეულ აქტებად, რომელთაც მოსდევს ხელმოწერები და ბეჭდის ნიშნები.

Var-20-ის ტექსტოლოგიური სტრუქტურა შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დოკუმენტებს (1675–1757) - ტექსტის ადრეული ფენა შეიცავს 1675 წლის Decretum Sacrae Congregationis - წმინდა კრების დადგენილებას, სადაც განსაზღვრულია ახალი წევრების მიღების კრიტერიუმები, განათლების ფორმა და ორდენის შიდა ცხოვრების წესები. ეს ნაწილი ქმნის იურიდიულ ჩარჩოს შემდგომი დოკუმენტებისთვის;

2. აქტები და დისციპლინარული დადგენილებები (1718–1754) - 1718–1724 წლებში განსაკუთრებით იჩენს თავს სამონასტრო ცხოვრების დისციპლინის გამკაცრების ტენდენცია, რომელიც ემსახურება შიდა კონტროლის გაძლიერებას.

დოკუმენტები ხშირად რეგულაციური ხასიათისაა, კერძოდ, მოყვანილია მონაზვნობის აღთქმების ფორმა; პრიორებისა და ვიკარების უფლებამოსილება; ასაკი და განათლება; ბენედიქტინურ წესებთან შესაბამისობის მოთხოვნა.

3. გამოყოფილია პოლონურ-ლიტვური, ასევე პარიზის

კამალდულთა ორდენი- ტექსტის ეს ნაწილი მიუთითებს კამალდულელთა ორდენის ეთნოგრაფიულად დიფერენცირებულ სტრუქტურაზე. პოლონეთში ჩამოყალიბდა საკუთარი ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც ჰქონდა ლეგალური, დამოუკიდებელი ურთიერთობა რომის გენერალურ ცენტრთან. საინტერესოა, რომ

1754 წლის დოკუმენტს ხელს აწერს პაპის ნუნციუსი ნიკოლა სერა, რომლითაც ის ამტკიცებს ორდენის კანონიკური ერთიანობის აღდგენას;

4. ტრიბუნალური და იურისდიქციული მასალა (1728–1730) - ამ ნაწილში წარმოდგენილია გადაწყვეტილებები შიდა სასამართლო ორგანოს - კამალდულელთა მონასტრებს შორის დავების მოსაგვარებლად. დოკუმენტები მოიცავს პაპის კარდინალთა სახელებს (Card. Spinola, Archiep. Damascenus) და გამოხატავს ორდენის პირდაპირ სამართლებრივ დამოკიდებულებას წმინდა საყდარზე.

ყველა აქტი, გადაწყვეტილება დასრულებულია ოფიციალური დამოწმებით - ხელმოწერებითა (Tiburtius ECMC, Ildephonsus ECMC, Joannes Baptista ECMC და სხვ.) და ბეჭდის ადგილით. ეს ფორმა მიანიშნებს, რომ ტექსტი სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტია. მინაწერი ტექსტზე - „Haec copia transumpta est ab hoc archivio Sancti Leonardi in Longaria - ეს ასლი ლონგარიაში მდებარე წმინდა ლეონარდის არქივიდან არის აღებული“ [გვ.88] - მიუთითებს, რომ ის გადმოწერილია იტალიური არქივიდან. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი გადმოწერილია XVIII საუკუნის ბოლოს ან XIX საუკუნის დასაწყისში, შესაძლოა ჩაითვალოს ოფიციალურ ტრანსკრიპტად.

რაც შეეხება Var-46-2, ხელნაწერი მოღწეულია ფრაგმენტის სახით, ამიტომ მის ტექსტოლოგიურ სტრუქტურაზე მსჯელობა რთულია. შემორჩენილ ტექსტში დეტალურადაა რეგლამენტირებული მონასტრის თითოეული სტრუქტურული ერთეულის მოვალეობები და ურთიერთობები. კერძოდ, შეიცავს შემდეგ მასალას:

1. Decreta Generali - ზოგადი დადგენილებები [1r-v] ხელმოწერილი ყველა მამის მიერ და ასახავს მონასტრული კანონმდებლობის ოფიციალურ ქმედებებსა და პრიორის,

მონასტრის წინამძღვრის, დანიშვნის პროცესს.

2. Decreta circa Patres Vicarios suosque Assistentes - დადგენილებები მამების, ვიკარებისა და მათი თანაშემწეების შესახებ [2r-3r]. ამ ნაწილში დეტალურადაა აღწერილი მონასტრის წინამძღოლისა და მისი თანამშეწეების პასუხისმგებლობები და დისციპლინარული წესები;

3. Decreta circa Priores et Superiores - დადგენილებები პრიორებისა და უფროსების შესახებ [4r-5v] - ჩამოყალიბებულია ხელმძღვანელ პირთა მოვალეობები: ღვთისმსახურების ზედამხედველობა, ფინანსური პასუხისმგებლობა, კომუნალური ცხოვრების წესები, რეგულაციების შესრულება, მონასტრის ხელმძღვანელობის სტრუქტურა და შიდა კონტროლის მექანიზმები;

4. Decreta circa Patres ac Fratres - დადგენილებები მამებისა და ძმების შესახებ [6r-v]

- აღწერილია მონასტერში მოღვაწე სულიერ მამათა ანგარიშვალდებულება, ადმინიტრაციული და დისციპლინური წესები, რაც უზრუნველყოფს მონასტრული ცხოვრების წესრიგსა და თითოეული წევრის პირად პასუხისმგებლობას.

ორივე ხელნაწერი - Var-20 და Var-46-2 - წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს კამალდულელთა ორდენის ისტორიის შესასწავლად.

ის აჩვენებს: ორდენის შიდა რეფორმის პროცესს, რომელიც გამოწვეული იყო დისციპლინარული კრიზისით; წმინდა საყდართან ურთიერთობის დინამიკას; კამალდულელთა იდენტობის ტრანსფორმაციას ბენედიქტინური ტრადიციის ფარგლებში. ასახავს კამალდულთა ორდენის

ადმინისტრაციულ პრაქტიკას, იურიდიულ კულტურასა და ეკლესიურ თვითშეგნებას. ტექსტის მნიშვნელობა სცდება ადგილობრივ კონტექსტს, იგულისხმება ლიეტუვის, პოლონეთისა და საფრანგეთის კამალდულთა ორდენის ეკლესია, და ეხება მთლიანად დასავლური მონასტრული კულტურის დისციპლინარულ და იდენტურ დინამიკასა და ისტორიას.

დასკვნა: კვლევამ გვიჩვენა, ვინაიდან კათოლიკე მისიონერთა საღვთისმსახურო და ხშირად სასაუბრო ენაც ლათინური იყო, კ.კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

დაცული ხელნაწერები - Var-20, 21, 26, 46-2, რომელთა შესახებ საუბარია სტატიაში, შეიცავს ისტორიული ხასიათის ჩანაწერებს, კამალდულთა საძმოს საფრანგეთის, კერძოდ, პარიზის, პოლონეთისა და ლიეტუვის მონასტრებთან დაკავშირებულ საბუთებს, წეს-განგებას, კატეხიზმოს, სავარაუდოდ, მრევლში, ნეოფიტებში გასავრცელებლად, მათთან ერთად, ქადაგებებსაც. ხელნაწერებში წარმოდგენილია 1717-1754 წლების სამონასტრო აქტები ბეჭდებითა და ხელმოწერებით, მონასტერთა წინამძღვრებისა და საძმოს წევრთა ჩამონათვალი [Var-20, Var-46-2], „სამონასტრო კაპიტულუმის აქტები“, წესები საძმოში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფ პირთათვის, ვიკარიუსებისა და მათი თანაშემწეების, პრიორებისა და წინამძღვრების, მამათა და ძმათათვის, ამ პირთა ჩამონათვალთან ერთად საუბარია შიდა დისციპლინურ წესებსა და სამართლებრივ ნორმებზე. აღსანიშნავია, რომ Var-20 და Var-46-2 ნაწერია არა კალიგრაფთა მიერ, არამედ გაკრული ხელით და, როგორც ჩანს, ისინი მხოლოდ შიდა გამოყენებისათვის იყო განკუთვნილი. ასევე აღსანიშნავია ისიც, ხელნაწერ ფონდებში საერო შინაარსის ჩანაწერებთან ერთად შემორჩენილი ჰიმნოგრაფიული და ჰომილეტიკური შინაარსის თხზულებები - ასკეტიკურ-საღვთისმეტყველო ტექსტთა კრებული ახალმოქცეულთათვის [Var-26], იოანე ქადაგებების კრებული [Var-21] უნდა მიანიშნებდეს იმას, რომ მართალია, საქართველოში ვერ შეიქმნა კამალდულთა საძმო, მაგრამ შესაძლოა, როგორც მისიონერი მოღვაწეობდა მისი მიმდევრევარი ან სასულიერო პირი.

საქართველოში კამალდულთა ორდენის შესახებ გამოკვლევები არ დაწერილა. მწირია ამგვარი შინაარსის კვლევები უცხო ენებზეც კი. არ ყოფილა შესწავლილი და გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული ლათინური ხელნაწერები. ამიტომ ოთხივე ლათინური ნუსხის ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური შესწავლა და შემდგომი კვლევები პასუხს გასცემს კითხვებს, თუ როგორი იყო კამალდულთა წეს-განგება და რითი განსხვავდებოდა იგი სხვა კათოლიკურ საძმოთა წესდებათაგან, როგორი იყო ის საწყისი თეოლოგიური ცოდნა, რაზეც აღმოცენდა ეს ორდენი, ვინ იყვნენ საძმოს წევრები და როგორი იყო მათთვის დადგენილი წესები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბრეგვაძე, თამარ და ცისია კახაბრიშვილი. 2002. სერგი მაკალათიას გორის სახელმწიფო ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბილისი: მეცნიერება.

თამარაშვილი, მიხეილ. 1902. ისტორია კათოლიკობისა ქართველთ შორის. თბილისი: წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა.

ნიკოლაძე, ელენე. 1964. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. II. თბილისი: ცოდნა.

ქავთარია, მაქსიმე, ილია აბულაძე და ცისია ჭანკიევი. 1987. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აღწერილობა. თბილისი: მეცნიერება.

Litewski, Przemysław. 2020. Pažaislis Hermitage: History of the Camaldolese Monks. Vilnius: Lietuvos kultūros tyrimų institutas.

The Journal of Theological Studies. 1918. Vol. 19, No. 76. [იხ. Vailhé, 1918, გვ. 325, № 39].

Various Authors. 2002. The Privilege of Love: Camaldolese Benedictine Spirituality. Collegeville, MN: Liturgical Press.

References

Bregvadze, Tamar, and Cisia Kakhabrishvili. 2002. Sergi Mak'alatias Goris sakhelmt'ip'o ist'oriul–etnograp'iuli muzeumis kartul khelnats'erta agts'eriloba [Description of Georgian Manuscripts of the Sergi Makalatia Gori State Historical-Ethnographic Museum]. Tbilisi: Metsniereba. (in Georgian)

Kavtaria, Maksime, Ilia Abuladze, and Cisia Ch'ank'ievi. 1987. Ivane Javaxishvilis sakhelobis Samtskhe-Javaxetis ist'oriul-etnograp'iuli muzeumis agts'eriloba [Description of the Ivane Javakhishvili Samtskhe-Javakheti Historical-Ethnographic Museum]. Tbilisi: Metsniereba. (in Georgian)

Litewski, Przemysław. 2020. Pažaislis Hermitage: History of the Camaldolese Monks. Vilnius: Lietuvos kultūros tyrimų institutas.


Nikoladze, Elene. 1964. K'utaisis sakhelmt'ip'o ist'oriuli muzeumis khelnats'erta agts'eriloba [Description of Manuscripts of the Kutaisi State Historical Museum]. Vol. II. Tbilisi: Tsodna. (in Georgian)

Tamarashvili, Mikheil. 1902. Ist'oria k'at'olik'obisa kartvelt shoris [History of Catholicism Among Georgians]. Tbilisi: Ts'ignis gamomtsemel kartvelta amkhanagoba. (in Georgian)

The Journal of Theological Studies. 1918. Vol. 19, no. 76. [See Vailhé, 1918, p. 325, no. 39].

Various Authors. 2002. The Privilege of Love: Camaldolese Benedictine Spirituality. Collegeville, MN: Liturgical Press.

წყაროები:




Decreta facta in Sancta Visitatione Apostolica, Nationis Polonæ et Lithuaniæ Aõ Dñi 1754.
approbata à Illmõ ac Rdmo Dño Nuntio Apostolico Nicolao Archiep: Mitilenj Varsaviæ Aõ 1754. d. 15 Nov:

Fontem et Originem omnium Malorum, quæ vigent ac serpunt ut cancer in Natione, cum animi nostri dolore, ac afflictione manibus palpavimus, nullam aliam esse, nisi inobservantiam Sanctæ Regulæ, et Constitutionum, præsertim Prælatorum, qui debent prædicare non verbis, sed exemplo, memores dicti Apostoli: In omnibus teipsum præbe exemplum bonorum operum. Ipsi ferè omnes raro frequentant chorum, sæpe Cursitat in Civitatibus, in prædiis, apud Magnates, votum paupertatis quasi pro aliis esset, tanquam Dominos Substantiæ Eremoni, non ut Ministros et Dispensatores se gerunt, quanam quæ sua sunt, ac sub prætextu Œconomiæ dissimulantes aut parvi pendentes Salutem animarum sibi commissarum, majorem sollicitudinem habent de rebus transitoriis et caducis, quam de progressu Spirituali Religiosorum, quos regendos susceperant, nihil attendentes ad Oraculum Divinum: Quærite primum Regnum Dei, et justitiam ejus et hæc omnia adjicientur vobis. Ideo ad reformationem tam necessariæ hujusce Nationis invocato Supremo Lumine sequentes Ordinationes relinquimus, quæ legi debent bis in Anno ante Lectionem Spiritualem in publico Capitulo, scilicet ante Festum B. V. M. Assumptæ, et post Festa Epiphaniæ Domini, hæ autem ordinationes nihil novi continent, sed solum quidquid præscribitur in S. Regula, Constitutionibus, ac Decretis Capitulorum, ac Dictarum Generalium.

5

სურ 1 ხეც [ვ.კეკელიძის, საქართველოს ხელნაწერთ ეროვნული ცენტრი-ხეც] -Var-20



სურ 2 ხელ - Var-21

ardore, plenitudineq; Obedientiæ, & Re-
signationis & Conformitatis cum Di-
vina Voluntate parata fuerit, si Deo
ita ordinare placuisset, ipsa suis ma-
nibq Maternis Christum Filium cru-
cifixisset, & in hostiam, holocaustumq;
Deo obtulisset. O! admiranda charitas,

Meditationes pro varijs Festis

In Vigilia Nativitatis D. N. I. Christi.

Considera D. Deum nobis Salvatorem
dari, sine gravi suspicione in Matre
Ejus innocentissima. Admirare Dei
judicia, qui omnes bonos hac via ducit,
cum ergo melior non sis Beatissima
Virgine, cur non vis pati?

Consid: probitatem S. IOSEPH, qui no-
luit traducere Sponsam, quam videbat
prægnantem. Hinc disce consulere
famæ alienæ, & perpende, quàm sæpè
videntur nobis mala in alijs, quæ bona
sunt. Examina te.

Consid: Angelicum monitum, noli ti-
mere accipere MARIAM; ubi Dei cha-
ritatem pondera, qui innocentiam tu-
etur Virginis. Gratias age. Spera.

Die Nativitatis D. N. IESU Christi.

Considera tum exteriorem corporis

compo.

Decreta circa Priores et Superiores.

1. Priores sint diligentes ad Divinum Servitium, frequentent Chorum die noctuq; neq; se eximant pro qualibet levi causa. Officium enim Cellerary est ad Oeconomiam incumbere, et quidquid attinet ad eum, cum scitu et consensu sui Prioris disponere: hinc sufficit ut aliquoties in anno visitent villas et prædia, et si hæ essent ab Eremis, administrentur potius per aliquem fidelem Sæcularem practicum Oeconomiæ ut aly Religiosi solent facere.
2. Neq; sub prætexta hospitum debent Chorum relinquere, sed deputent Sacerdotem Foresterarium, ut præscribunt Constitutiones super c. 33. S. Reg. n. 3. qui associet eos, nisi convenientia aut necessitas aliud requirat in adventu aliujus Magnatis; Sæculares enim quando vident Superiorem frequentare Ecclesiam, potius ædificantur.
3. Pecunia omnis quocunq; modo proveniens et spectans ad Eremos non apud Priores, nisi in casu à Constitutione expresso, sed apud Celleriarium, vel alio tutiori loco asservetur, et tunc claves sint penes P. P. Thesaurarios, ut mos est in Natione. Transgressores tanquam violatores Paupertatis puniantur, et Subtribunal in Acta Visitationis super hoc diligenter inquirant, sicut Cap. Gnrle 1704. jubet.
4. Vinum, crematum, aromata, sacarum, et alia ad victum et vestitum spectantia non asserventur apud Priores, sed in promptuario communi, et à Capitulo Conventuali juxta Constitutiones annuatim deputetur unus Frater fidelis et discretus, qui jussu P. Prioris indistincte et equaliter dispenset tam Patribus quam Fratribus portiones, et omnia necessaria; confirmantes acta Cap. Gnrl. 1689. 1692. et 1704. super hac materiam.
5. Observent in Omnibus vitam communem tam in victu quàm in vestitu, nihil particulariter è culina accipiant, nisi portionem, quam cæteri habent.
6. Negotys Sæcularium non se immisceant, neq; permittant suis Subditis: hinc non sint faciles ad relinquendam Eremum, imò totum studium ponant in Observantia Constitutionum, sub quibus Professionem Sanctam emiserunt; hæ enim ordinant c. 1. n. 6. quod nunquam foras nisi coacti egrediantur.
7. Per viscera JESU Christi sint Charitativi erga Infirmos, curent ut habeant suis temporibus medici visitationem, qui debet annuatim provisionari, ut facilius ad Eremum accedat; item medicinas, et quidquid est illis necessarium, frequenter eos visitent, et invigilent, ut habeant omnem possibilem consolationem, neq; sint difficiles concedere cum consilio medici mutationem ciborum, audivimus enim lamentationes tales quæ incredibiles videntur. Se mente habeant, quod Christus dixit: Infirmus fui et visitastis me, et quod fecistis uni de his minimis meis mihi fecistis.

სურ 4 ხეც - Var-46-2

შინაარსი

ენათმეცნიერება

ლელა თელიაშვილი

გვარი, როგორც ოიკონიმი (ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მინაძის მაგალითზე) 5

თამთა ნაგერვაძე

ონტოლოგიური კონცეპტუალური მეტაფორის თარგმანი „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე - კორპუსზე დაფუძნებული კვლევა..... 13

ლიტერატურთმცოდნეობა

ნესტან სულავა

ქართული ქრისტიანული გალობის მრავალხმიანობისა და ძველი სანოტო სისტემის ქრონოლოგიისათვის 32

დიანა მიქელაძე

ეკოლოგიური დისტოპია და გლობალური პასუხისმგებლობა მარგარეტ ეტვუდის პროზაში..... 60

ვახტანგ ინაური

მგლის სახე ჯეკ ლონდონის რომანში „ზღვის მგელი“ ქართული კონტექსტით..... 78

ქეთინო გრძელიშვილი

სახარებისეული ციტატა ანა კალანდაძის პოეზიაში..... 97

მაყვალა დავითაძე

ფსიქოლოგიზმი აკ. გაწერელიას რომან–ეტიუდში „ფაიდას გამოცხადება“..... 114

პედაგოგიკა-განათლება

ირმა ქურდაძე, ნინო კარკაძე

უნივერსალური სწავლების დიზაინის ინტეგრაცია სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადებაში: კვლევის, პრაქტიკისა და სამომავლო მიმართულებების მიმოხილვა,,,

თამაშის როლი უცხოური ენის სწავლებაში..... 141
მაია ქუქჩიშვილი
ლექსიკური სემანტიკის სწავლება სკოლაში და ასაკობრივი თავისებურებები..... 157
თამარ ნარიმანიშვილი
მოსწავლეთა მოტივაციის ხერხები და STEM ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკაში გამოყენება..... 167
ლალი ბერიძე
მხატვრული ტექსტი, როგორც სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების საშუალება უცხოური ენის გაკვეთილზე: ქრისტა რაინიგის იგავის ანალიზის საფუძველზე..... 174

ისტორია
დავით ახლოური
ყანჩავეთის გეთსამანიის ღვთისმშობლის ეკლესია და მისი საგანძური..... 194
ნინო მეგენეიშვილი
ცნობები კამალდულთა ორდენის შესახებ (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების მიხედვით)..... 220

Content

Onomastics
Lela Teliashvili
SURNAME AS AN OIKONYM (FOR THE EXAMPLE OF THE VILLAGE MINADZE IN AKHALTSIKHE MUNICIPALITY..... 6
Tamta Nagervadze
TRANSLATION OF THE CONCEPTUAL METAPHOR OF "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" – CORPUS-BASED ANALYSES
.....14

Literature Studies

Nestan Sulava

FOR THE CHRONOLOGY OF THE POLYPHONY OF GEORGIAN CHRISTIAN CHANT AND THE ANCIENT NOTATION SYSTEM..... 34

Diana Mikeladze

ECOLOGICAL DYSTOPIA AND GLOBAL RESPONSIBILITY IN MARGARET ATWOOD'S PROSE 61

Vakhtang Inauri

THE IMAGE OF THE WOLF IN JACK LONDON'S NOVEL "THE SEA-WOLF" WITHIN THE GEORGIAN CONTEXT..... 79

Ketino Grdzelishvili

GOSPEL QUOTATIONS IN ANA KALANDADZE'S POETRY..... 98

Makvala Davitadze

PSYCHOLOGISM IN AKAKI GATSERELIA'S NOVEL-ETUDE "THE MANIFESTATION OF FAIDA"..... 115

Pedagogy-Education

Irma Kurdadze, Nino Karkadze

INTEGRATING UNIVERSAL INSTRUCTIONAL DESIGN INTO SPECIAL EDUCATION TEACHER TRAINING: A REVIEW OF RESEARCH, PRACTICE, AND FUTURE DIRECTIONS 129

Gulnara Janova, Maka Murvanidze

THE ROLE OF GAMES IN FOREIGN LANGUAGE TEACHING..... 142

Maia Kukchishvili

TEACHING LEXICAL SEMANTICS AT SCHOOL AND AGE-SPECIFIC FEATURES..... 158

Tamar Narimanishvili

STUDENT MOTIVATION AND STEM-BASED EDUCATIONAL PRACTICES..... 167

Lali Beridze

LITERARY TEXT AS A MEANS OF DEVELOPING SOCIAL-EMOTIONAL SKILLS IN FOREIGN LANGUAGE CLASSES: BASED ON THE ANALYSIS OF CHRISTA REINIG'S PARABLES..... 175

History

David Akhlouri

THE CHURCH OF THE VIRGIN MARY OF QANCHAVETI AND ITS TREASURY 195

Nino Megeneishvili

INFORMATION ABOUT THE CAMALDOLESE ORDER (BASED ON THE MANUSCRIPTS PRESERVED AT THE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS) 221

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. #113,
ტელ.: 0(365)22-19-90, 591-41-12-78
ელ.ფოსტა: contact@sjuni.edu.ge